



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო



შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი
გრანტი FR 17_353



აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია

"საკვები პროდუქტების წარმოების აქტუალური პრობლემები
და თანამედროვე ტექნოლოგიები"

შრომების კრებული

ქუთაისი
2020
20-21 თებერვალი

კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტი

თავმჯდომარე - რ. კოპალიანი - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, ს.მ.მ.დ., პროფესორი

თანათავმჯდომარე - დ. თავდიდიშვილი - საკვები პროდუქტების ტექნოლოგიების დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტის FR 17-353 ხელმძღვანელი

საორგანიზაციო კომიტეტის წევრები - მ. გრძელიძე, პროფესორი; თ. ღვინიაძე, პროფესორი; ი. ბოჭორძე, პროფესორი; შ. რუხაძე, პროფესორი - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ქუთაისი)

სწავლული მდივანი - ც. ხუციძე - ასოცირებული პროფესორი

კონფერენციის საერთაშორისო სამეცნიერო კომიტეტი - მ. სილაგაძე, ტ.მ.დ., პროფესორი - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ქუთაისი); ა. კალანდია, ბ.მ.დ., პროფესორი - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ბათუმი); თ. მეგრელიძე, ტ.მ.დ., პროფესორი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (თბილისი); თ. რევიშვილი, ტ.მ.დ. - ჩაის, სუბტროპიკული კულტურებისა და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტი (ანასყული); ს. ზვერევი, ტ.მ.დ. - მარცვლისა და მისი გადამუშავების პროდუქტების რუსეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემია, (მოსკოვი); დ. ბოთერა, ტ.მ.დ., პროფესორი - ხაიფის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ისრაელი); ზ. ვასილენკო, ტ.მ.დ., პროფესორი - მოგილიოვის სურსათის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ბელარუსი); ტ. დეინიჩენკო, ტ.მ.დ., პროფესორი - ხარკოვის კვებისა და ვაჭრობის სახელმწიფო უნივერსიტეტი (უკრაინა); ვ. კოვბასა, ტ.მ.დ., პროფესორი; ა. დოროხოვიჩი, ტ.მ.დ., პროფესორი - კვების ტექნოლოგიის ეროვნული უნივერსიტეტი (კიევი, უკრაინა); დ. ლესკაუსკაიტე, პროფესორი - კაუნასის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი (ლიტვა); ა. არზუმანიანი, ტ.მ.დ., პროფესორი - სახელმწიფო საინჟინრო უნივერსიტეტი (გიუმრი, სომხეთი); შ. გულიევი, ტ.მ.დ., პროფესორი - განჯის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აზერბაიჯანი); ს. აბდულაევა, დოცენტი - ტაშკენტის ქიმიურ-ტექნოლოგიური ინსტიტუტი (უზბეკეთი); თ. სესიკაშვილი, ე.მ.დ., (ციურიხი შვეიცარია).

ISBN 978-9941-484-58-2

© აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა



საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია
INTERNATIONAL SCIENTIFIC-PRACTICAL CONFERENCE
МЕЖДУНАРОДНАЯ НАУЧНО-ПРАКТИЧЕСКАЯ КОНФЕРЕНЦИЯ



MINISTRY OF EDUCATION AND SCIENCE OF GEORGIA



SHOTA RUSTAVELI NATIONAL SCIENCE FOUNDATION OF GEORGIA -
GRANT FR 17_353



AKAKI TSERETELI STATE UNIVERSITY

INTERNATIONAL SCIENTIFIC AND PRACTICAL CONFERENCE

**ACTUAL PROBLEMS AND MODERN TECHNOLOGIES OF
FOOD PRODUCTS PRODUCTION**

COLLECTION OF WORKS

KUTAISI
2020
20-21 February

Organizing Committee

Chairman - R. Kopaliani - Rector of Akaki Tsereteli State University, professor;

Co-Chair - D. Tavdidishvili - Associate professor of Food Technologies Department, Head of Grant FR 17-353 of the Shota Rustaveli National Science Foundation

Scientific secretary - Tsira Khutsidze - Associate professor of Food Technologies Department

Members of organizational Committee - M.Grdzelidze, professor; T. Gvinianidze, professor; I. Bochoidze, professor; Sh. Rukhadze, professor - Akaki Tsereteli State University (Kutaisi)

International Scientific Committee of Conference - M. Silagadze, d.t.s., professor - Akaki Tsereteli State University (Kutaisi); A. Kalandia, d.b.s., professor - Shota Rustaveli State University (Batumi); T. Megrelidze, d.t.s., professor – Georgian State Technical University (Tbilisi); T. Revishvili, d.t.s., professor - Institute of Tea, Subtropical Crops and Tea Industry (Anaseuli); S. Zverev, d.t.s., professor - Research Institute of grain and products of its processing, (Russia, Moscow); D. Botera, d.t.s., professor - Haifa State University (Izrael); Z. Vasilenko, d.t.s., professor - Mogilev State University of Food Technologies (Belarus); T. Deinichenko, d.t.s., professor, Kharkov State University of Nutrition and Trade (Ukraine); V. Kovbasa, d.t.s., professor; A. Dorokhovich, d.t.s., professor – National University of food technology (Kiev, Ukraine); Daiva Leskauskaitė, professor - Kaunas University of Technology (Lithuania); A. Arzumanyan, d.t.s., professor, Branch of Armenian State Engineering University (Gyumri, Armenia); Sh. Guliev, d.t.s., professor - Ganja State University (Azerbaijan); S. Abdulaeva, associate professor - Tashkent Institute of Chemical Technology (Uzbekistan); T. Sesikashvili, d.e.s. (Zurich Switzerland).

ISBN 978-9941-484-58-2

© Published of Akaki Tsereteli State University



საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია
INTERNATIONAL SCIENTIFIC-PRACTICAL CONFERENCE
МЕЖДУНАРОДНАЯ НАУЧНО-ПРАКТИЧЕСКАЯ КОНФЕРЕНЦИЯ



МИНИСТЕРСТВО ОБРАЗОВАНИЯ И НАУКИ ГРУЗИИ



**ГРУЗИНСКИЙ НАЦИОНАЛЬНЫЙ НАУЧНЫЙ ФОНД ШОТА РУСТАВЕЛИ -
ГРАНТ FR 17_353**



ГОСУДАРСТВЕННЫЙ УНИВЕРСИТЕТ АКАКИЯ ЦЕРЕТЕЛИ

МЕЖДУНАРОДНАЯ НАУЧНО-ПРАКТИЧЕСКАЯ КОНФЕРЕНЦИЯ

**АКТУАЛЬНЫЕ ПРОБЛЕМЫ И СОВРЕМЕННЫЕ
ТЕХНОЛОГИИ ПРОИЗВОДСТВА ПРОДУКТОВ ПИТАНИЯ**

СБОРНИК ТРУДОВ



Организационный комитет

Председатель - Копалиани Р. – Ректор Государственного университета Акакия Церетели, профессор;

Сопредседатель - Д. Тавдишвили - ассоциированный профессор департамента технологии продуктов питания, руководитель гранта FR 17-353 Грузинского Национального научного фонда Шота Руставели

Члены оргкомитета М. Грдзелидзе, профессор; Т. Гвинианидзе, профессор;
И. Бочоидзе, профессор; Ш. Рухадзе, профессор -
Государственный университет Акакия Церетели (Кутаиси)

Учёный секретарь - Ц. Хуцидзе – ассоциированный профессор

Международный научный комитет конференции - М. Силагадзе, д.т.н., профессор - Государственный университет Акакия Церетели (Кутаиси); А. Каландия, д.б.н., профессор - Государственный университет Шота Руставели (Батуми); Т. Мегрелидзе, д.т.н., профессор – Грузинский технический университет (Тбилиси); Т. Ревшвили, д.т.н., профессор – Институт чая, субтропических культур и чайной промышленности (Анасеули); С. Зверев, д.т.н., профессор – ВНИИ зерна и продуктов его переработки –(Россия, Москва); Д. Ботера, д.т.н., профессор - Государственный университет Хайфы (Израиль); З. Василенко, д.т.н., академик – Могилевский Государственный университет продовольствия (Беларусь); Т. Дейниченко, д.т.н., профессор – Харьковский Государственный университет питания и торговли (Украина); В. Ковбаса, д.т.н. профессор, А. Дорохович, д.т.н., профессор – Национальный университет пищевых технологий (Киев, Украина); Д. Лескаускайте, профессор – Каунасский технологический университет (Литва); А. Арзуманян, д.т.н., профессор - Государственный инженерный университет (Гюмри, Армения); Ш. Гулиев - д.т.н., профессор - Гянджинский Государственный университет (Азербайджан); С. Абдуллаева, доцент - Ташкентский химико-технологический институт (Узбекистан); Т. Сесикашвили - д.э.н. (Цюрих, Швейцария)

ISBN 978-9941-484-58-2

© Издательство государственного университета Акакия Церетели



სექცია

SECTION

СЕКЦИЯ

1

ჯანსაღი კვების პროდუქტები
და სასურსათო უსაფრთხოება

HEALTHY FOOD AND FOOD SECURITY

ПРОДУКТЫ ЗДОРОВОГО ПИТАНИЯ И
ПРОДОВОЛЬСТВЕННАЯ БЕЗОПАСНОСТЬ

К проблеме фальсификации молочных продуктов и методов ее обнаружения

**Абрамович Н.В, Болотько А.Ю., Кондрашова И.А., Стасевич И.П
Могилевский государственный университет продовольствия, Беларусь**

В статье представлена актуальная информация о проблеме фальсификации молочных продуктов в РБ, способах фальсификации различных видов молочной продукции и современных методах ее обнаружения.

В Республике Беларусь, как и в других странах, остро стоит проблема идентификации, обнаружения и предотвращения разных видов фальсификации товаров. По оценкам ООН объем контрафактной и фальсифицированной продукции в мире ежегодно превышает 250 миллиардов долларов, что, несомненно, имеет множество отрицательных последствий. Фальсификат может нанести вред здоровью потребителей, вводит их в заблуждение, приводит к денежным и моральным потерям, наносит ущерб отраслям и государствам в целом.

Проблема фальсификации в молочной отрасли является одной из ключевых во всем мире. Состав и свойства молока колеблются под влиянием различных факторов, что дает возможность фальсифицировать молоко разными способами.

В 2019 году в Беларуси произведено 7,39 миллиона тонн молока, что более чем в 2 раза превышает потребности внутреннего рынка, поэтому более половины этого сырья пошло на изготовление экспортной продукции. Необходимо сказать, что Беларусь входит в пятерку мировых экспортеров наряду с Новой Зеландией, Австралией, Евросоюзом и США. По международным данным Беларусь находится на третьем месте в мире по экспорту масла, на четвертом — сыра, пятом — сухого молока.

Главным направлением экспорта страны является Россия – один из самых крупных импортеров молочной продукции в мире. Туда направляется более 90% белорусского экспорта молочной продукции.

По данным Национального союза производителей молока количество фальсифицированной молочной продукции на российском рынке составляет около 24%, фальсифицированная продукция обнаруживается и в крупных ритейлах, и в социальных учреждениях – детских садах, школах, медицинских организациях, оздоровительных учреждениях. Нарекания на качество молочной продукции из Беларуси встречаются редко, она пользуется повышенным спросом у населения, тем не менее, это не снимает ответственности с белорусских производителей за качество продукции.

Хорошая репутация белорусской молочной продукции имеет обратную сторону: нашу молочную продукцию активно подделывают. Чаще всего фальсифицируют сгущенное молоко, масло, сыр. Этот фальсификат предлагается к реализации, как на российском рынке, так и на рынках других государств — членов Евразийского экономического союза, в т.ч. на рынке



Беларуси. В настоящее время зафиксированы факты реализации в розничной торговле нашего государства российского спреда под видом сливочного масла, творога с добавлением растительных жиров и пр.

Фальсификация молочных товаров может носить технологический и предреализационный характер.

Технологическую фальсификацию осуществляют в процессе технологического цикла производства, для молочных товаров она имеет преимущественный характер. Данный вид фальсификации производится путем изменения или несоблюдения рецептуры и технологического режима производства. Фальсификация осуществляется путем полной или частичной замены более ценного молочного сырья на безмолочное либо молочное с более низкой жирностью, натурального молока на восстановленное, раскисления прокисшего молока или сливок. Фальсификация сметаны осуществляется путем разбавления ее простоквашей или кефиром, а также добавлением в нее творога, крахмала, растительного масла, сухого обезжиренного молока, желатина, пектина.

Однако наиболее распространенным способом технологической фальсификации молочных продуктов с высоким содержанием жира является частичная замена молочного жира растительным маслом, говяжьим, кондитерским, кулинарным жиром или маргарином, что имеет место при фальсификации сливочного масла, мороженого, сгущенного молока, сыров. Чаще всего производители фальсифицируют молочную продукцию, используя пальмовое и кокосовое масло, а также смесь растительных жиров, в том числе опасных для здоровья, гидрогенизированных, что приводит к повышенному содержанию транс-изомеров жирных кислот.

К технологической фальсификации, кроме вышеописанной, относится введение в молочные продукты консервантов, антибиотиков, антиокислителей и других пищевых добавок с целью удлинения сроков хранения, а также улучшения органолептических свойств, таких как цвет, консистенция, аромат, без указания сведений о наличии этих компонентов в маркировке товаров.

Предреализационная фальсификация производится при подготовке товаров к продаже или при отпуске их потребителю. Она в основном имеет место при реализации нефасованных производителем товаров, когда подделку товаров осуществляет недобросовестный продавец. Сюда относится реализация одного вида продукции под видом другой, но более дорогой продукции, например, сливочное мороженое продается как пломбир, либо коровье молоко продается под видом козьего, либо маргарин продается как сливочное масло, либо сливочное масло или сыр с пониженной жирностью реализуются как масло или сыр с более высоким содержанием жира. К предреализационной фальсификации относятся разведение сливок, сметаны водой либо молочными продуктами с низкой жирностью, раскисление прокисшего молока или сливок, а также перемаркировка фасованных товаров.

Подходы к фальсификации молочных товаров постоянно совершенствуются и обновляются, поэтому существует объективная необходимость в установлении методов, позволяющих выявить фальсифицированные молочные продукты, и существенно снизить количество данных товаров на рынке Беларуси.

Для установления фактов фальсификации применяются современные лабораторные исследования, которые постоянно совершенствуются с целью получения более достоверных результатов, сокращения времени проведения анализа, снижения затрат и т.д. Так, например, в РУП «Институт мясо-молочной промышленности» Беларуси разработаны методические рекомендации по определению фальсификации молока-сырья азотсодержащими веществами и заменителями молока, которые могут быть использованы на предприятиях молочной



промышленности с целью исключения фальсификации молока азотистыми веществами и заменителями цельного молока на стадии его приемки, а также для расчета баланса по белку и жиру в сырье и готовом продукте на стадии производства.

Авторы настоящей статьи систематизировали методы установления фальсификации молочной продукции в зависимости от способа фальсификации. Полученные результаты представлены в таблице 1.

Таблица 1. Методы определения фальсификации молочной продукции

Способ фальсификации	Критерий подлинности	Метод определения	Принцип метода
Разбавление жидких молочных продуктов	Плотность	Определение плотности молока	Плотность молока должна быть в пределах 1,027–1,032 г/см ³ . Если плотность молока меньше 1,027 г/см ³ , это свидетельствует о его разбавлении
	Точка замерзания	Измерение криоскопической температуры молока	Метод основан на измерении понижения температуры замерзания исследуемого образца молока по отношению к воде
Снижение жирности молочных продуктов	Массовая доля жира	Кислотный метод определения содержания жира (метод Гербера)	Метод Гербера основан на выделении жира из молочных продуктов под действием серной кислоты и изоамилового спирта с последующим центрифугированием и на измерении объема выделившегося жира в градуированной части жиromeра
		Гравиметрический метод определения жира	Метод заключается в экстрагировании жира из аммиачно-спиртового раствора молока диэтиловым и петролевым эфирами, выпаривании растворителей и взвешивании остатка
Использование нейтрализующих средств	Содержание аммиака	Качественный метод определения аммиака	Метод основан на изменении цвета выделенной молочной сыворотки при ее взаимодействии с реактивом Несслера
	Содержание перекиси водорода	Качественный метод определения перекиси водорода	Метод основан на взаимодействии перекиси водорода с йодистым калием, выделении йода, дающего с крахмалом синее окрашивание
	Содержание соды	Качественный метод определения соды	Метод определения соды основан на изменении окраски раствора индикатора бромтимолового синего при добавлении его в молоко, содержащее соду
Использование дезинфицирующих веществ	Содержание ингибирующих веществ и антибиотиков	Чашечный метод с <i>Bacillus stearothermophilus</i>	Метод основан на способности антибиотиков, содержащихся в молоке, препятствовать росту <i>Bacillus stearothermophilus</i> и образованию прозрачных зон ингибиции
		Метод с <i>Bacillus stearothermophilus</i> и индикаторами	Метод основан на изменении окраски агаровой среды со спорами <i>Bacillus stearothermophilus</i> <i>various calidolactis</i> C953в зависимости от индикатора при отсутствии в молоке антибиотиков и сохранении первоначальной окраски при наличии антибиотиков
Фальсификация белкового азота	Массовая доля мочевины	Определение мочевины колориметрическим методом	Метод основан на взаимодействии мочевины с диацетилмонооксимом с образованием окрашенного комплекса, количество мочевины определяют колориметрическим методом
	Массовая доля	Определение	Метод основан на определении содержания



	небелкового азота	массовой доли небелкового азота методом Кьельдаля	азота в анализируемой пробе после осаждения белкового азота трихлоруксусной кислотой
	Массовая доля белка	Расчетный	Метод основан на определении истинного белка как разность между массовой долей общего азота и небелкового азота, умноженную на коэффициент 6,38
Использование немолочных видов сырья, добавление растительных масел	Массовая доля молочного жира	Определение массовой доли молочного жира методом фотоколориметрирования	Метод основан на определении величины оптической плотности жира, выделенного из продукта, методом фотоколориметрирования и дальнейшим расчетным определением массовой доли молочного жира в диапазоне от 10,0% до 100,0%
	Жирнокислотный состав жировой части продукта	Метод газовой хроматографии	Метод основан на определении количественного состава смеси жирных кислот в виде метиловых эфиров (жирнокислотного состава) с применением газовой хромато-графии
	Содержание фитостеринов		Микроскопический метод
Определение наличия фитостеринов методом газожидкостной хроматографии			Метод основан на растворении жира в растворителе, вводе пробы в газовый хроматограф с использованием метода внутреннего стандарта при калибровке. Наличие пика фитостеринов подтверждает наличие в пробе продукта растительных масел или жира

Литература

1. Технический регламент Таможенного союза "О безопасности молока и молочной продукции" (ТР ТС 033/2013)
2. Фальсификация бывает качественной [Электронный ресурс] – Режим доступа: <https://produkt.by/story/falsifikaciya-byvaet-kachestvennoy>
3. Белорусскую молочку подделывают. Кто и зачем занимается фальсификатом? [Электронный ресурс] – Режим доступа: <https://belaruspartisan.by/economic/450183/>
4. Как выглядит «молочка» Беларуси на мировом рынке? [Электронный ресурс] – Режим доступа <https://packbel.by/mag/analitika/kak-vyglyadit-molochka-belarusi-na-mirovom-rynke>
5. Молочные продукты [Электронный ресурс] – Режим доступа: <https://sites.google.com/site/molocnyeprodukty/metodiceskie-materialy/lekcia>
6. Идентификация и фальсификация молока и молочных продуктов [Электронный ресурс] – Режим доступа: <https://znaytovar.ru/new779.html>
7. Фальсификация пищевых продуктов [Электронный ресурс] – Режим доступа: <https://ru.wikipedia.org/wiki>
8. Фальсификация молочных товаров [Электронный ресурс] – Режим доступа: https://znaytovar.ru/s/Falsifikaciya_molochnyx_tovarov.html
9. Фальсификация молочных товаров [Электронный ресурс] – Режим доступа: http://www.gigiena-saratov.ru/aktyalnye_temy/gig_pit/136201/

To the problem of falsification of dairy products and methods for its detection

Abramovich N.V., Bolotko A.Y., Kondrashova I.A., Stasevich I.P.

Mogilev state university of food, Belarus

Summary

The article provides relevant information on the problem of falsification of dairy products in Belarus, methods of falsification of various types of dairy products and modern methods for its detection.



სასურსათო უსაფრთხოების პრობლემები გლობალურ კონტექსტში

არნანია-კეპულაძე თ., კეპულაძე გ.*
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
*კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

თანამედროვე სამყაროს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას დედამიწის მზარდი მოსახლეობის უსაფრთხო სურსათით სტაბილური უზრუნველყოფა წარმოადგენს. მოცემული ნაშრომი გამოყოფს სასურსათო უსაფრთხოების ორ მიმართულებას: (1) დედამიწის მზარდი მოსახლეობის საკმარისი რაოდენობის სურსათით უზრუნველყოფა და (2) დედამიწის მზარდი მოსახლეობის სათანადო ხარისხის ანუ უვნებელი სურსათით უზრუნველყოფა. ასეთი მიდგომიდან გამომდინარე, ნაშრომში განხილულია სურსათის შედარებითი დეფიციტისა და საკვები პროდუქტების ხარისხის გავლენა დედამიწის მოსახლეობის რაოდენობასა და ჯანმრთელობაზე, საზოგადოებების სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

1. სასურსათო უსაფრთხოების რაობის შესახებ

სასურსათო უსაფრთხოება - ეს არის პრობლემა, რომელიც განიხილება როგორც ნაციონალურ ანუ ცალკეული ქვეყნის, ასევე მსოფლიო ანუ საერთაშორისო დონეზე. სასურსათო უსაფრთხოება - ეს არის ეროვნული და გლობალური უსაფრთხოების ერთ-ერთი მთავარ ელემენტი, ეკონომიკური განვითარებისა და ეკონომიკური უსაფრთხოების მნიშვნელოვანი ფაქტორი. სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა ნიშნავს მოსახლეობისათვის სურსათის ყველა მნიშვნელოვანი სახეების შეუფერხებელ და დროულ მიწოდებას.

სასურსათო პროდუქტების უსაფრთხოების საკითხებს მიეძღვნა 2019 წლის დამლევს, კერძოდ 9-11 დეკემბერს, არაბთა გაერთიანებული საამიროების დედაქალაქში აბუ-დაბში ჩატარებული მსოფლიო კონფერენცია, რომელსაც სტუმრობდნენ 135 ქვეყნის მთავრობის წარმომადგენლები და სასურსათო უსაფრთხოების ექსპერტები.

სასურსათო უსაფრთხოება - ეს არის დედამიწის მოსახლეობის მზარდ რაოდენობასთან დაკავშირებული პრობლემა, რომელიც მოიცავს ორ ურთიერთდაკავშირებულ და ურთიერთგანპირობებულ ასპექტს:

პირველი, ეს არის სურსათის რაოდენობრივი საკმარისობის პრობლემა ანუ საკვები პროდუქტის საჭირო რაოდენობით არსებობა დედამიწის მზარდი მოსახლეობის მოთხოვნების დაკმაყოფილებისა და შიმშილისგან დაცვისათვის;


მეორე, ეს არის სურსათის ხარისხის, ადამიანისთვის მისი უვნებლობის პრობლემა და მისი გადაჭრის გზების მოძიება.

სწორედ ამ კუთხით განვიხილავთ სასურსათო უსაფრთხოების სოციალურ-ეკონომიკურ და დემოგრაფიულ საკითხებს.

2. სასურსათო უსაფრთხოება როგორც სურსათის საკმარისი რაოდენობის პრობლემა

დედამიწის მოსახლეობის უწყვეტი ზრდასთან ერთად სულ უფრო მწვავედება სურსათით უზრუნველყოფის საკითხი.

თუ დედამიწის მოსახლეობის ზრდას პირველ მილიარდამდე დასჭირდა 200 000 წელზე მეტი და ამ ნიშნულს მოსახლეობამ მიაღწია დაახლოებით 1804 წელს, მოსახლეობის 7 მილიარდამდე ზრდას დასჭირდა სულ რაღაც 207 წელი (ნახ.1).



ნახაზი 1. დედამიწის მოსახლეობის ყოველი ერთი მილიარდით ზრდის დინამიკა

დღეს დედამიწის მოსახლეობა ყოველწლიურად იზრდება 90 მილიონი ადამიანით და 2020 წლის 15 იანვრისთვის შეადგინა დაახლოებით 7 766 865 757 ადამიანს.

სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (Food and Agriculture Organization, FAO) მონაცემების თანახმად, მოსახლეობის ზრდის ფონზე 2018 წელს არასაკმარისად იკვებებოდა ანუ განიცდიდა სასურსათო პროდუქტების დეფიციტს დაახლოებით 800 მილიონი ადამიანი ანუ მსოფლიოს მოსახლეობის დაახლოებით 10,8%, რაც 0,1%-თ აღემატება 2016 წლის მონაცემს და 0,2%-თ - 2015 წლის მონაცემს [3].

კვების უკმარისობის გამო 2018 წელს 20,5 მილიონი ბავშვი დაბალი წონით დაიბადა, ხოლო 1,3 მილიონ ადამიანს კვების უკმარისობის გამო ჯანმრთელობის პრობლემები აქვთ. გაეროს ბავშვთა ფონდის თანახმად, შიმშილისაგან ყოველდღე კვდება 22 000 ბავშვი [4].

ასეთ ვითარებაში მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფა წარმოადგენს ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემას.

სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO), რომელიც წარმოადგენს გაეროს უმთავრეს სააგენტოს სოფლის მეურნეობის დარგში და რომლის უმთავრესი მიზანია შიმშილის დაძლევა მსოფლიოს მასშტაბით, განიხილავს სასურსათო უსაფრთხოებას, როგორც გლობალურ ფენომენს და გამოყოფს სასურსათო უსაფრთხოების ოთხ დამახასიათებელ ელემენტს, კერძოდ:

1. *საკვების არსებობა* ანუ სათანადო ხარისხის სასურსათო პროდუქტის საკმარისი რაოდენობის არსებობა
2. *საკვების ხელმისაწვდომობა* ანუ ინდივიდებისთვის წვდომა იმ რესურსებისადმი, რომლებიც აუცილებელი და საკმარისია მათი დაბალანსებული კვების უზრუნველყოფისათვის
3. *სურსათის გამოყენების რაციონალურობა* ანუ ინდივიდის ყველა ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება დაბალანსებული კვების მეშვეობით
4. *სტაბილურობა* ანუ უახლეს მომავალში სასურსათო პროდუქტებისადმი ხელმისაწვდომობის დაკარგვის რისკის არარსებობა.

3. სასურსათო უსაფრთხოება როგორც სურსათის ხარისხის უზრუნველყოფის პრობლემა

საკვები პროდუქტების რაოდენობის შედარებითი დეფიციტის პირობებში მწვავედ დგას სურსათის ხარისხის პრობლემა.



თუ სასურსათო უსაფრთხოების პრობლემას გლობალურ კონტექსტში შევავსებთ, დედამიწის მოსახლეობის თითქმის 10% ანუ დაახლოებით 600 მილიონი ადამიანი ავადდება დაბინძურებული სასურსათო პროდუქტის მიღების შედეგად და მათგან, Disability-Adjusted Life Year (DALY) მონაცემებით, 0,07% ანუ 420 000 ადამიანი ყოველწლიურად კვდება ამ მიზეზის გამო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სამუდამოდ იკარგება ჯანსაღი ცხოვრების 33 მილიონი წელი.

საკვები პროდუქტების დაბინძურება ნიშნავს ამ პროდუქტების შემადგენლობაში პათოგენური ბაქტერიების, ვირუსების, პარაზიტების ან მავნე ქიმიური შენაერთების არსებობას, რომლებიც იწვევენ 200-ზე მეტი სახის დაავადებას დაწყებული დიარეით და დამთავრებული მენინგიტით და ონკოლოგიური დაავადებებით.

დაბინძურებული საკვების მიღებით გამოწვეული ყველაზე გავრცელებული დაავადებაა დიარეა, რომელიც ყოველწლიურად აზარალებს დედამიწის მოსახლეობის დაახლოებით 7,1% ანუ 550 მილიონ ადამიანს.

აღსანიშნავია, რომ საკვებით გამოწვეული დაავადებულთა 40% შეადგენენ ხუთ წლამდე ასაკის ბავშვები, რომელთაგან ყოველწლიურად 125 000 ბავშვი იღუპება.

როგორც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO, World Health Organization) დირექტორმა თედროს ადჰანომ გებრეიესუსმა (Tedros Adhanom Ghebreyesus) აღნიშნა, საკვებით გამოწვეული დაავადებები სულ უფრო ხშირი ხდება და რთულ ხასიათს იჩენენ, აუარესებენ ადამიანების ჯანმრთელობას და მრავალ ადამიანს ასალმებენ სიცოცხლეს, საფრთხეს უქმნიან მომავალი თაობების ჯანმრთელობას და ქვეყნების ეკონომიკას.

სასურსათო უსაფრთხოება - ეს არის არა მხოლოდ ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული პრობლემა, არამედ ესაა სოციალურ-დემოგრაფიული და ეკონომიკური პრობლემა.

საჭირო რაოდენობით უსაფრთხო საკვები პროდუქტების არსებობაზე დიდ წილად დამოკიდებულია ეროვნული ეკონომიკის გამართული ფუნქციონირება, ვაჭრობისა და ტურიზმის განვითარება, შიმშილთან ბრძოლის და სიღარიბის დაძლევა.

ლიტერატურა

1. The United Nations Disarmament Yearbook: Volume 43: 2018, Part I, ISBN: 978-92-1-139167-1, Publication date: April 2019.
2. The United Nations Disarmament Yearbook: Volume 43: 2018, Part II, ISBN: 978-92-1-139172-5, Publication date: September 2019.
3. The State of Food Security and Nutrition in the World: Safeguarding Against Economic Slowdowns and Downturns. Food and Agriculture Organization of the United Nations, Rome 2019.
4. Hunger and World Poverty. United Nations World Food Program (WFP), Oxfam, UNICEF.

Problems of food security in a global context

T. Arnanian-Kepuladze, G. Kepuladze*

Akaki Tsereteli State University

* Caucasus International University

Summary

The present-day society faces a lot of challenges. One of the most significant problems of the modern world is the providing of food security to the growing population of the Earth. The proper functioning of the national economy, the development of trade and tourism, the fight against hunger and poverty are largely dependent on the availability of safe food. This article distinguishes two areas of food security: (1) ensuring sufficient quantity of food for a growing global population and (2) providing adequate quality or safe food for a growing global population. Based on this approach, the article discusses the impact of relative food shortages and food quality on the quantity and health of the world's population, on the socio-economic situation of the society. The food security is considered as a multidimensional problem that is connected to the health of the earth population as well as to population growth and the realization of socio-economic issues of societies.



ბიის ფოთლების ფენოლოური ნაერთები

გაბიძაშვილი მ., გულეიშვილი ნ., ბოჭორძე ი.
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

კომში უძველესი დროიდან გამოიყენებოდა როგორც საკვები და სამკურნალო მცენარე, კომშის ფოთლების ნაყენი ხასიათდება კარდიოტონური მოქმედებით, ამცირებს არტერიულ წნევას, აქვს სპაზმოლიზური მოქმედება, ფოთლებში აღმოჩენილია კოფეინის მჟავა, კვერცეტინი, კემპფეროლი და გლიკოზიდები. ფოთლებიდან მომზადებულ სპირტიან და წყლიან ექსტრაქტში განსაზღვრულ იქნა საერთო ფენოლოური ნაერთები ფოლინ-ჩოკალტუს მეთოდით, ფლავანოიდები AICls -ის რეაქტივით, სპექტრალური მეთოდით, შეფასდა მომზადებული ექსტრაქტების ანტიოქსიდანტური აქტივობა DPPH მეთოდით.

კომში უძველესი დროიდან გამოიყენებოდა როგორც საკვები და სამკურნალო მცენარე, მიაჩნდათ რომ კომშის მიღება აძლიერებდა გულის, ტვინის და კუჭის მუშაობას, ტკბილი კომშის თბილი წვენი გამოიყენებოდა გარეგანად ფეხების შეშუპების დროს, მჟავე კომშის შედედებული წვენი სუნთვის უკმარისობის, სისიხლდენების და ნაზახუსევის დროს. აქრობს პირის ღრუში ცუდ სუნს. ბიის ნაყოფი თავლთან ერთად გამომცხვარი გამოიყენება ანემიის და დასუსტებული ორგანიზმის გაჯანსაღებისათვის, როგორც შარდმდენი და ნაღველმდენი საშუალება, ხოლო ფოთლების ღეროების და ქერქის ნახარშები შაქრიანი დიაბეტის, ჰიპერტონიის დროს. თანამედროვე მედიცინა კომშს, როგორც სამკურნალო თვისების მქონე საკვებს უნიშნავენ რკინადეფიციტური ანემიის, გასტრიტების, კუჭის მომატებული მჟავიანობის და ზემო სასუნთქი გზების დაავადებების დროს, კოსმეტოლოგიაში ტუჩზე და ძუძუს კერტების ნახეთქების სამკურნალოდ. გამომშრალი კომშის ჩაი და წვენი ითვლება საუკეთესო კვებითი და სამკურნალო ღირებულების მქონედ ანტიოქსიდანტური თვისებების გამო. კვლევებით დადგენილია ასევე იმუნომოდულატორული თვისებები. ლიმონისა და კომშის ექსტრაქტებიდან მიღებულია პრეპარატი „გენდიკო“, რომელიც გამოიყენება როგორც ალერგიის საწინააღმდეგო მცენარეული საშუალება. თესლებიდან დამზადებული ნახარში გამოიყენება კუჭ-ნაწლავის დაავადებების და სველი ნახველიანი ხველის დროს [6].

ექსპერიმენტულად დადასტურებულია რომ კომშის ფოთლების ნაყენი ხასიათდება კარდიოტონური მოქმედებით, ამცირებს არტერიულ წნევას, აქვს სპაზმოლიზური მოქმედება, ჰიპოტენზიური მოქმედება, რაც დაკავშირებულია ანგიოტენზინ გარდამქმნელი ფერმენტის ინჰიბირებაზე, ფოთლების სპირტიან ექსტრაქტს გააჩნია ასევე ჰიპოლიპიდემიური ჰეპატოპროტექტორული მოქმედება დადგენილია ასევე ანტირომბოზული ეფექტი.

კომშის ქერქს აქვს ანტიბაქტერიული ეფექტი, მჟავე კომშის ნაყოფს გააჩნია ანტივირუსული მოქმედება.

კომშის კურკებს გააჩნია დამამშვიდებელი, ანთების საწინააღმდეგო და ანტიესპტიკური მოქმედება. სწორედ ამიტომ, სამედიცინო პრაქტიკაში კომშის კურკების ნახარში გამოიყენება ხველის, ასევე ანგინის დროს სავლემ საშუალებად. თვალის დაავადებებისას იყენებენ ლოსიონად, კოსმეტიკაში კი - კანის დამარბილებლად.

Cidonia oblonga Mill (*C. vulgaris* Pers) გავრცელებულია ცენტრალური აზიის მთელ ტერიტორიაზე, სამშობლოდ ითვლება კასპიის ზღვის სანაპირო და საბერძნეთი. კულტურაში გამოყვანილია ათეულობით ჯიში. საქართველოში გვხვდება როგორც აღმოსავლეთ ასევე და-



სავლეთ ნაწილში.

ბიის ნაყოფი შეიცავს 16% შაქარს, ორგანულ მჟავებს, პენტეტინს, ფენოლურ ნაერთებს: ფლავან-3-ოლებს (-) ეპიკატეჩინს, პროცინანდინ B₂, 8-ჰიდროქსიცინამატს, კოფეინის და კუმარინის მჟავას ნაწარმებს, კემფეროლსა და კვერცეტინს, ნაყოფი მდიდარია რკინის და სპილენძის მარილებით, ბიის თესლები შეიცავს 20% ლორწოს, სახამებელს, ცხიმოვან მჟავებს, ცილოვან მთრმლავ და მინერალურ ნივთიერებებს, ფერმენტ ემულსინს და ამიგდალინს. ფოთლებში აღმოჩენილია კოფეინის მჟავა, კვერცეტინი, კემპფეროლი და გლიკოზიდები.

მცენარის რბილობი ორგანული მჟავების და ც ვიტამინის შემცველობის გამო ხასიათდება ანტიოქსიდანტური თვისებებით.

კვლევისათვის გამოვიყენეთ კომშის ფოთლები ნაყოფის სრული მწიფობის პერიოდში. ნედლეულის შეგროვება მოხდა რაჭა-ლეჩხუმის და ბაღდათის რაიონის ტერიტორიაზე. ფოთლების გაშრობისათვის გამოვიყენეთ ბუნებრივი შრობის მეთოდი [3].

გამშრალი ნედლეული დავაქუმცეთ 3-5მმ ზომის ნაწილებად და ვაწარმოეთ ცირკულაციური ექსტრაქცია სოქსლეტის აპარატში. მეთოდის უპირატესობა მდგომარეობს სუფთა ექსტრაგენტის მრავალჯერად გამოწვლილვაში, რაც უზრუნველყოფს ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების მაქსიმალურ გამოწვლილვას. ექსტრაგენტად გამოვიყენეთ წყალი ერთ შემთხვევაში და ეთილის 40% სპირტი შეფარდებით ნედლეულთან 1:5. ექსტრაქცია ვაწარმოეთ 40°C სრულ გამოფიტვამდე. მიღებული ექსტრაქტიები დავაყოვნე 10 °C სპირტიან ექსტრაქტში წარმოქმნილი ნალექი მოვაშორე დაცენტრიფუგირებით 1000ბრ/წთ, დავაკონცეტრირეთ ვაკუუმ ამპორთქლებელში 40°C, 0,65 ატმოსფერულ წნევაზე. ჩავატარეთ კვლევები საეთო ფენოლური ნაერთების, ფლავანოიდების შემცველობაზე.

ფენოლური ნაერთების რაოდენობის განსაზღვრისათვის 0,5გ საკვლევ ნიმუშს დავუმატეთ 2 მლ წყალი, 2,5მლ 10% ფოლინ-ჩოკალტეუს რეაგენტი 2მლ 7,5%მლ ნატრიუმის კარბონატი ნარევი დავაყოვნეთ 45°C 40წთ და შთანთქმის მაჩვენებელი განსაზღვრულ იქნა 765ნმ ტალღის სიგრძეზე. განსაზღვრის შედეგად მიღებული მონაცემების გადაანგარიშება ხორციელდება გალის მჟავას საკალიბრო მრუდზე [3, 5].

საერთო ფენოლების შემცველობა გამოვთვალეთ ფორმულით:

$$X = (D K V F) \cdot 1000 / m$$

სადაც: X - საერთო ფენოლების შემცველობა, მგ/კგ-ში;

D - ოპტიკური სიმკრივე;

K - გალის მჟავაზე გადაანგარიშების კოეფიციენტი;

F - განზავების ფაქტორი;

V - ექსტრაქტის საერთო მოცულობა, მლ;

m - საექსტრაქციოდ აღებული ნედლეულის მასა, გ.

ფლავანოიდების განსაზღვრისათვის ექსტრაქტის 1 მლ-ს 10 მლ დავაემატეთ 5 მლ H₂O, 0,3 მლ 5% NaNO₂ დავაყოვნეთ 5 წუთი, დავაემატეთ 0,3 მლ 10% AlCl₃ 6 წუთის დაყოვნების შემდეგ 2 მლ 1N NaOH-ის ხსნრი და ოპტიკური სიმკვრივის განსაზღვრა მოვახდინეთ 510 ნმ-ზე. საკონტროლოდ ავიღეთ ექსტრაგენტის 1 მლ და ჩავატარეთ იგივე პროცესი. განსაზღვრის შედეგად მიღებული მონაცემების გადაანგარიშება ხორციელდება რუტინის საკალიბრომრუდზე. საერთო ფლავონოიდების შემცველობა გამოვითვალეთ ფორმულით:

$$X = (D K V F) \cdot 1000 / m \quad [3, 5].$$



სადაც: X - საერთო ფლავონოიდების შემცველობა, მგ/კგ-ში;

D - ოპტიკური სიმკვრივე;

K – რუტინზე გადაანგარიშების კოეფიციენტი;

F – განზავების ფაქტორი;

V – ექსტრაქტის საერთო მოცულობა, მლ;

m - საექსტრაქციოდ აღებული ნედლეულის მასა, გ.

ანტიოქსიდანტური აქტივობის განსაზღვრისათვის გამოვიყენეთ DPPH მეთოდი თავისუფალი რადიკალის კოლორიმეტრიაა რადიკალის 50%-ი ინჰიბირებით DPPH - ($C_{18}H_{12}N_5O_6$ $M=394,33$) წარმოადგენს სტაბილურ თავისუფალ რადიკალს მაქსიმალური შთანთქმით 515 - 517 ნმ -ზე, რომლის მეთანოლიანი ექსტრაქტის მეწამული იისფერი შეფერილობა აღდგენის შედეგად იცვლება ღია ყვითლამდე. ანტიოქსიდანტური აქტივობის განსაზღვრის DPPH მეთოდი არის სწრაფი, მარტივი და ზუსტი ტესტ-მეთოდი. აღნიშნული მეთოდი შესაძლოა გამოყენებული იქნას როგორც სხვადასხვა ნაერთების თავისუფალი რადიკალების შებოჭვის უნარიანობის დასადგენად, ასევე საკვებ პროდუქტებსა და წვენებში ანტიოქსიდანტური აქტივობის გასაზომად. საანალიზო ექსტრაქტის 1 მლ-ს დავუმატეთ 3 მლ-ი DPPH- ის სპირტიანი ხსნარი (0,1 mM DPPH – 0,004 გ/100მლ ეთილის სპირტში) და 30 წუთის შემდეგ განვსაზღვრეთ საკვლევი ნიმუშის ოპტიკური სიმკვრივე სპექტროფოტომეტრული მეთოდით 515 ნმ-ზე. საკონტროლო ხსნარს წარმოადგენს DPPH-ის ხსნარი, ხოლო ფონს 96% ეთილის სპირტი. თავისუფალი რადიკალის (DPPH) აქტივობის ინჰიბირება გამოვითვალეთ შემდეგი ფორმულით:

$$In \% = Ac - As / Ac * 100$$

სადაც Ac - DPPH- ის სპირტიანი ხსნარის აბსორბცია,

ხოლო As - საანალიზო ექსტრაქტის აბსორბცია [4, 1].

კვლევის შედეგები მოცემულია ცხრილში 1.

ცხრილი 1

ფლავონოიდების, ფენოლების საერთო შემცველობა და ანტიოქსიდანტური აქტივობა ბის ფოთლებში

საკვლევი ნიმუში	ფენოლების საერთო რაოდენობა მგ/100გ მშრალ მასაზე	ფლავონოიდების საერთო რაოდენობა მგ/100გ მშრალ მასაზე	ექსტრაქტის ანტიოქსიდანტური აქტივობა In %
სპირტიანი ექსტრაქტი	1650	1230	52
წყლიანი ექსტრაქტი	1100	870	47

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ფოთლებიც კომშის რბილობის მსგავსად მდიდარია ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებით (ფენოლური ნაერთები, ფლავონოიდები), რაც განაპირობებს ფოთლების ანტიოქსიდანტურ აქტივობას და შესაბამისად მისი გამოყენების ფართო შესაძლებლობას ფარმაცეპიასა და კოსმეტეოლოგიში.

უმჯობესია კომშის ფოთლიდან ექსტრაგირება ვაწარმოთ 40% ეთილის სპირტით ვიდრე წყლით, რადგან სპირტიანი ექსტრაქტში ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების შემცველობა და შესაბამისად ანტიოქსიდანტური აქტივობა მეტია წყლიან ექსტრაქტზე.



ლიტერატურა

1. Wojdyło A., Oszmiański J., and Bielicki P. Polyphenolic Composition, Antioxidant Activity, and Polyphenol Oxidase (PPO) Activity of Quince (*Cydonia oblonga* Miller) Varieties. *Journal of Agricultural and Food Chemistry* 2013, 61 (11), 2762-2772. DOI: 10.1021/jf304969
2. Olivera A. P., Pereira J.A., Andrade P.B., Seabra R.M., and Silva B. A., Phenolic Profile of *Cydonia oblonga* Miller Leaves, *J. Agric. Food Chem.* 2007, 55, 7926–7930
3. A.K. Mahapatra, C.N. Nguyen „DRYING OF MEDICINAL PLANTS,, International Symposium on Medicinal and Nutraceutical Plants DOI:10.17660/actaHortic.2007.756.5
4. Hamauzu Y, Yasui H, Inno T, Kume C, Omanyuda M., Phenolic profile, antioxidant property, and anti-influenza viral activity of Chinese quince (*Pseudocydonia sinensis* Schneid.), quince (*Cydonia oblonga* Mill.), and apple (*Malus domestica* Mill.) fruits, *J Agric Food Chem.* 2005 Feb 23;53(4):928-34
5. Singleton, V.L.; Orthofer, R.; Raventos, R.M.L. Analysis of Total Phenols and Other Oxidation Substrates and Antioxidants by Means of Folin-Ciocalteu Reagent. *Methods in Enzymology* 1999, 299, 152–178.
6. Кароматов И. Д., Абдувохидов А.Т. Лечебные Свойства фйвы. Электронный научный журнал «Биология и интегративная медицина» №6 – июнь (23) 2018 УДК: 615.322

Phenolic compounds of quince leaf

M. Gabidzashvili, N. Guleishvili, Yu. Bochoidze

Akaki Tsereteli State University

Summary

According to the findings of research, bay leaves similar to quince mildew, are rich in biologically active substances (phenolic compounds, flavonoids), which is the reason behind the antioxidant activity of the leaves and therefore its wide use in pharmacy and cosmetology.

It is better to extract from bay leaf with 40% ethyl alcohol than with water, as the phenolic compounds flavonoids in the alcoholic extract are more than the aqueous extract, hence the antioxidant activity of the alcoholic extract is 52% aqueous extract - 47%.

ალერგია მარცვლოვანებზე და მისგან წარმოებულ პროდუქტებზე

გამყრელიძე ე.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სტატიაში განხილულია ალერგენების მოქმედება კვების ცალკეულ პროდუქტებზე. ადამიანის ორგანიზმში ალერგენის მოხვედრისას ვითარდება რეაქცია უცხო ცილაზე. სხვადასხვა ტიპის ალერგიული დაავადებები შეიძლება გამოიწვიოს ხორბლის და სხვა მარცვლოვანი კულტურების მიკროსკოპული სოკოებით დაზიანებამ, როგორც მინდვრის პირობებში, ასევე მათი შენახვისას; სწორედ ისინი არიან მიკოგენური ალერგიის გამომწვევები. ალერგია მარცვლეულზე ასევე შეიძლება გამოწვეული იყოს მცენარეული ცილის გლუტენის შეუთავსებლობით გლიადინთან. ალერგია გლუტენზე მსოფლიო მოსახლეობის 0,8-1% აწუხებს.

ალერგენები ადამიანის ორგანიზმში სხვადასხვა გზით ხვდებიან. ალერგია ცალკეული საკვები პროდუქტების მიმართ უარყოფითად მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე, თუმცა ადამიანების უმრავლესობისათვის იგივე საკვები პროდუქტები შეიძლება აბსოლუტურად უვნებელი იყოს. ალერგიულია ასევე საკვები პროდუქტების სხვადასხვა ინგრედიენტები: საღებავები, საკვები დანამატები და სხვ.

ადამიანის ორგანიზმში ალერგენის მოხვედრისას ვითარდება რეაქცია უცხო ცილაზე. ამ უცხო ცილის მცირე რაოდენობაც კი საკმარისია, რომ ის მოხვედეს სისხლის მიმოქცევის სისტემაში და გამოიწვიოს საპასუხო ალერგიული რეაქცია.



დღეისათვის მთელს მსოფლიოში ფართოდაა გავრცელებული სხვადასხვა ტიპის ალერგიული დაავადებები, რომლებიც გამოწვეულია ხორბლის მარცვლის და მარცვლოვანი კულტურების დაზიანებით მიკროსკოპული სოკოებით, რომლებიც მარცვლეულ კულტურებში შეიძლება მოხვდეს როგორც მინდვრის პირობებში, ასევე მათი შენახვისას. სწორედ ეს მიკროსკოპული სოკოები არიან სოკოვანი ან მიკოგენური ალერგიის გამომწვევეები, ისინი ადვილად სახლდებიან არა მარტო მარცვლოვან კულტურებში, არამედ სამკურნალო მცენარეებზეც, განსაკუთრებით მათ ნაყოფებში და თესლებში.

უნდა აღინიშნოს, რომ ალერგენული მიკროსკოპული სოკოების რიცხვი ერთ გრამ ხორბლის მარცვალში მილიონს აღწევს.

დადგენილია, რომ მიკოგენური ალერგია შეიძლება იყოს ორი სახის: ეგზოგენური და ენდოგენური. ეგზოგენური ალერგიის წყაროს წარმოადგენენ მარცვლების მიკროფლორა.

ინჰალაციური ალერგიის შემთხვევაში მიკროსკოპული სოკოები ადამიანის ორგანიზმში ხვდებიან სასუნთქი გზებიდან, ხოლო კვებითი ალერგიის შემთხვევაში - კვების პროდუქტებთან ერთად, რომლებიც დამზადებულია მარცვლოვან ფუძეზე და შეიცავენ კონტამინირებულ სოკოებს. ინჰალაციური ალერგიის შედეგად ხდება პროფესიული დაავადებების ჩამოყალიბება ფერმერებში, მეწისქვილეებში, პურკომბინატის მუშებში, რაც იწვევს მათი ფილტვების და ბრონქების დაზიანებას, ბრონქიალურ ასთმას, ასევე ადგილი აქვს სხვა პათოლოგიების განვითარებასაც, როგორცაა ალერგიული რინიტი, ჭინჭრის ციება, კვინკეს შეშუპება, სხვადასხვა ტიპის ალერგიული დერმატიტები და სხვ.

ცალკეული სახეობის სოკოები წარმოქმნიან ენდო და ეგზოტოქსინებს, რომლებიც ხელს უწყობენ ადამიანის ორგანიზმში იმუნოდეფიციტის განვითარებას. ასევე საყურადღებოა მწერების და ტკიპების მეტაბოლიზმის პროდუქტები, რომლებიც საკმაოდაა მარცვალში და მარცვლოვან პროდუქტებში და ხასიათდებიან ალერგიული თვისებებით.

ალერგიული თვისებებით გამოირჩევიან *Aspergillus*-ის, *Penicilium*-ის, *Mucor*-ის, *Rhizopus*, *Alternaria*-ს, *Cladosporium*-ის, *Fusarium*-ის რიგის სოკოები, რომლებიც ადვილად ხვდებიან მარცვლოვანი კულტურების მიკროფლორაში.

სოკოების ალერგენები შეიძლება იყოს: ცილები, ფერმენტები, სოკოების უჯრედების გალაქტოზამინები და პოლისაქარიდები, გლიკოპროტეინები და პროტეოგლიკანები. ალერგენებს ასევე მიეკუთვნებიან ხორბლის მარცვლის სხვადასხვა კომპონენტები, კერძოდ ალკილრეზოცინოლები, რომელიც საკმაო რაოდენობით შედის ჭვავის ქატოში და პურში.

ალკილრეზოცინოლები წარმოადგენენ ფენოლის მსგავს ნივთიერებებს - რეზორცინის ალკილირებული წარმოებულები. ისინი თრგუნავენ ადამიანის ნაწლავე ბის მიკროფლორას და აქვეითებენ მათი მუშაობის რითმს.

კვლევების საფუძველზე დადგენილია, რომ პურეული მარცვლოვანი კულტურებიდან ალკილრეზოცინოლების მაღალი შემცველობით გამოირჩევა ჭვავის მარცვალი - 30,3 - 50,8 მგ %, ხორბლის მარცვალი - 18,2 - 22,5 მგ %, ტრიტიკალე - 16,0 - 30,3 მგ %. მარცვლის გარსი ალკილრეზოცინოლებს შეიცავს უფრო დიდი რაოდენობით, ვიდრე ენდოსპერმი. ამჟამად მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში დაწყებულია ჭვავის ისეთი ჯიშების სელექცია, რომლებიც ხასიათდებიან ალკილრეზოცინოლების დაბალი შემცველობით მარცვალში.

თ. იაკოვლევას და ვ. გოლენკოვის გამოკვლევების საფუძველზე დადგენილია, რომ ჭვავის მარცვლის დაფქვისას და ჭვავის პურის გამოცხობისას ალკილრეზოცინოლების შემცვე-



ლობა ჭვავის პურში მცირდება 25 – 26 მგ %-მდე, დაახლოებით ორჯერ.

ასევე დადგენილი იქნა, რომ ალკილრეზოცინოლების შემცველობა ჭვავის ქატოში უფრო მაღალია, ვიდრე საწყის მარცვალში (დაახლოებით 2,5 – 3,5-ჯერ).

თერმული დამუშავება ამცირებს ალკილრეზოცინოლების შემცველობას, დაახლოებით 2 – 9 მგ %-ით და ასევე თერმულად დაუმუშავებელი ჭვავის ქატოს დამატებით (ფქვილის მასის 15%) გამომცხვარი პური შეიცავს ალკილრეზოცინოლების საკმაოდ მცირე რაოდენობას. ავტორების აზრით პური, რომელიც გამომცხვარია ჭვავის ქატოს დამატებით (15%-მდე) შეიძლება გამოყენებული იქნას როგორც ჩვეულებრივად, საკვებად, ასევე სამკურნალო დანიშნულებითაც.

ამ ბოლო წლებში მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში დიდ ყურადღებას უთმობენ გლუტენურ ენთეროპათიას. ეს არის პათოლოგია ცილოვან ცვლაზე - მიმოცვლაზე, რომელიც დაკავშირებულია მცენარეული ცილის გლუტენის შეუთავსებლობაზე - გლიადინთან, რომელსაც შეიცავს მარცვლოვანი კულტურების დიდი უმეტესობა; კერძოდ, ჭვავი, ქერი, ხორბალი, შვრია და სხვა კულტურები. ზოგიერთი მეცნიერის აზრით მას შეიცავს ბრინჯიც.

გლუტენი - წებოგვარული ცილაა, რომელსაც შეიცავს ისეთი მცენარეების მარცვლები, როგორცაა ჭვავი, ხორბალი და ქერი. პურის მომზადებისას სწორედ გლუტენი ანიჭებს მას წელვადობას და ელასტიურობას. გლუტენს შეიცავს არა მარტო გამომცხვარი პური, არამედ ყველა კერძი, რომელსაც დამატებული აქვს ფქვილი. საკვები, რომელიც არ შეიცავს ფქვილს, მაგრამ მას შეიძლება დამატებული ჰქონდეს გლუტენი მოცულობის და ფორმის მისაღებად.

არსებობენ ადამიანები, რომელთაც გააჩნიათ შეუთავსებლობა გლუტენთან. ამ დაავადებას ცელიაკიას უწოდებენ. ბოლო გამოკვლევებით დადგენილია, რომ ეს დაავადება ერთნაირად აწუხებს როგორც ბავშვებს, მოზრდილებს, ასევე ზრდასრულ ადამიანებს. ცელიაკიით დაავადებულია მსოფლიოს მოსახლეობის დაახლოებით 0,8-1%, რამაც განაპირობა მაღაზიებში ისეთი სპეციალური საკვები პროდუქტების გაჩენა, რომლებიც არ შეიცავენ გლუტენს.

სამედიცინო თვალსაზრისით, ცელიაკია არის წვრილ ნაწლავებში საჭმლის მიწელების მოშლა, რომელიც წარმოიქმნება აუტოიმუნური რეაქციის შედეგად გლუტენზე. ნორმალურ მდგომარეობაში წვრილი ნაწლავის კედლები დაფარულია უწვრილესი ბუსუსებით, რომლებიც მონაწილეობენ ცილების და ცხიმების შეთვისებაში. ცელიაკიით დაავადებულებში ეს ბუსუსები ვერ ასრულებენ თავის ფუნქციას, დარღვეულია ცილების და საკვები ნივთიერებების შეწოვის უნარი. ადგილი აქვს დიარეას, ადამიანი კარგავს წონას. ცელიაკიის შემთხვევაში აუცილებელია დიეტური კვება, წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება განვითარდეს ფარისებრი ჯირკვლის დაზიანება, ტკივილი სახსრებში, მოთენთილობა, ანემია, ოსტეოპოროზი, ჰიპოვიტამინოზი, ნივთიერებათა ცვლის სხვადასხვა დარღვევები.

მკურნალობის და პროფილაქტიკის ერთადერთ საშუალებას წარმოადგენს დიეტოთერაპია, რომელიც მთლიანად გამორიცხავს პურის, ასევე ფქვილის და მკარონის პროდუქტებს. ამ სიტუაციაში ერთადერთ მარცვლოვანს, რომელსაც კარგად იტანენ გლუტენის ენთეროპათიით დაავადებული ავადმყოფები, წარმოადგენს სიმინდი, თუმცა მისი გამოყენება დიეტური მიზნით ნაწილობრივ იზღუდება იმ გარემოებით, რომ ის საჭიროებს ხანგრძლივ თერმულ დამუშავებას თავისი კონსისტენციის გამო, ასევე ქიმიური თვალსაზრისითაც ის არ შეიცავს ლიზინს, თრეონინს, ტრიფტოფანს, კალციუმს, რკინას და რიგ სხვა ვიტამინებს. ამ პრობლემის გადაჭრის მიზნით შექმნილია სპეციალიზირებული საკვები პროდუქტები სიმინდის



ფეკილის სამრეწველო გადამუშავების საფუძველზე. ასეთი საკვები პროდუქტების ქიმიური შედგენილობის შესწავლამ აჩვენა, რომ მათში საკმაოდ მაღალია ცილის - 5,4 -14,9-ჯერ, კალციუმის 2,2 -2,6-ჯერ, ვიტამინი C – 20,3-21,5-ჯერ, ასევე თიამინის და რიბოფლავინის შემცველობა, გაუმჯობესებულია ამინომჟავური შედგენილობა.

მარცვლოვანებზე ალერგია საკმაოდ აქტუალური პრობლემაა. არსებობს დიდი რისკი ალერგენებით მათი დაბინძურებისა, როგორც ბუნებრივ პირობებში, ასევე შენახვისას, რაც აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული, რათა საფრთხე არ შეექმნას ადამიანის ჯანმრთელობას. არა ნაკლებ საყურადღებოა გლუტამინური ენთეროპათია.

ლიტერატურა

1. Сургеев Е.Л. Микогенная аллергия// успехи клин. Иммунол. и аллерголог. – М.,2002.-Т.3.-С.348-354.
2. Елинов Н.П. Микоаллергены//Аллергол. Т.1-СПб, 2001-С.98-113.
3. Яковлева О., Голенков В., Мельников Е. Алкилрезорцины в ржаных отрубях и хлебе//Хлебопродукты.- 1991.-№11-С.48-49.
4. Красовская А.Г. Новые диабетические продукты для диетотерапии глютеновой энтеропатии//Материалы науч.конф.»Питание: здоровые и болезнь».-М.:Ин-т питания РАМН, 1990.-С.105.

Allergy to cereals and products derived from it

E. Gamkrelidze

Akaki Tsereteli State University

Summary

The article discusses the action of allergens on certain food products. When an allergen occurs in the human body, a reaction to a foreign protein develops. Different types of allergic diseases can be caused by microscopic fungi of bread crops and other cereal crops, both in the field and during storage; They are the cause of mycogenic allergies. An allergy to grains can also be caused by incompatibility of gluten with vegetable protein with gliadin. Allergy to gluten affects 0.8-1% of the world population.

ავლატოქსინები - მარცვლეულის დაუპატიჟებელი სტუმარი

გამყრელიძე ე.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სტატიაში განხილულია მარცვლოვანი კულტურების დაზიანება ტოქსინებით. ეს მიკროსკოპული ტოქსიკოგენური სოკოები დიდ ზიანს აყენებენ მარცვლოვანებს. საკვები და საფურაჟე პროდუქტების დაბინძურება მიკოსეპტინებით იწვევს მწვავე და ქრონიკულ ტოქსიკოზებს, საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას. ავლატოქსინები ერთ-ერთი საშიში და გავრცელებული მიკოტოქსინებია.

მცენარეული ნედლეულის დაბინძურება მიკოტოქსინების შხამიანი და კანცეროგენული მეტაბოლიტებით მსოფლიოს მრავალ ქვეყანაშია გავრცელებული.

დადგენილია, რომ მიკროსკოპული ტოქსიკოგენური სოკოები აზიანებენ მარცვლეულის ანატომიურ ნაწილებს, სადაც გროვდება მიკოტოქსინების დიდი მასა, ასევე მათ გააჩნიათ უნარი შეაღწიონ ენდოსპერმშიც.

ოზის სოკოები - მოკოტოქსინების პროდუცენტებია. ისინი მარცვლოვანი კულტურების მასის შემადგენელ და ფიზიოლოგიურად აქტიურ ნაწილს წარმოადგენენ, რომელიც მოქმედებს მათ ხარისხზე და უსაფრთხოებაზე.



მიკოტოქსინები, თავისი მაღალი ტოქსიკურობის და გავრცელების გამო, წარმოადგენენ რეალურ საფრთხეს ადამიანის ჯანმრთელობისთვის და სასოფლო-სამეურნეო კულტურებისთვის, იწვევენ დიდ ზარალს ეკონომიკური თვალსაზრისით.

გლობალური მასშტაბით დანაკარგები, რომლებიც მიკროსკოპულ სოკოებთან და მიკოსექტინებთანაა დაკავშირებული, საკმაოდ დიდია და მილიარდი დოლარებით განისაზღვრება. ობის სოკოები ანადგურებენ ბრინჯის მოსავლის 5%, სიმინდის - 3%, არაქისის - 4,2% და სხვ.

საკვები და საფურაჟე პროდუქტების დაბინძურება მიკოსექტინებით იწვევს მწვავე და ქრონიკულ ტოქსიკოზებს, ცენტრალური ნერვული სისტემის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაზიანებას, გულ-სისხლძარღვთა დაავადებებს და სხვ.

მიკოტოქსინები ხასიათდებიან კანცეროგენული, მუტაგენური და ტერატოგენური თვისებებით. მიკოტოქსინების ყველაზე ძლიერ უარყოფით ეფექტად ითვლება ადამიანის და ცხოველების ორგანიზმის იმუნური სისტემის დაზიანება.

მიკოტოქსინებით მარცვლეულის დაბინძურების განსაკუთრებული საფრთხე განპირობებულია მათი უნარით დააზიანონ მარცვალი მისი წარმოების ყველა ეტაპზე: მინდორში, გადამუშავების პროცესში, მიღებისას, დასაწყობების პირობებში და პურ-ფუნთუშეული პროდუქციის გამოცხობისას.

გამრავლებისას ობის სოკოები არა მარტო აბინძურებენ მარცვლეულს ტოქსიკური ნივთიერებებით, ასევე აუარესებენ მის ორგანოლექტიკურ თვისებებს, ამცირებენ მის კვებით ღირებულებას, იწვევენ მის გაფუჭებას და მატერიალურ დანაკარგებს. ობის სოკოების ცხოველმომედეგა დამოკიდებულია ისეთ ფაქტორებზე როგორცაა ტემპერატურა, მარცვლის და პურის ტენიანობა, მარცვლის მექანიკური დაზიანება.

აფლატოქსინები - ერთ-ერთი ყველაზე საშიში და გავრცელებული მიკოტოქსინებია. ტერმინი „აფლატოქსინი“ მიეკუთვნება ნივთიერებათა იმ ჯგუფს, რომლებიც პროდუცირებულია მიკროსკოპული სოკოებით. ამ სოკოების ძირითადი მეტაბოლიტებია - აფლატოქსინები B₁, B₂, G₁ და G₂. აფლატოქსინები - უძლიერესი ბუნებრივი ჰეპატოკანცეროგენებია, რომლებიც ხასიათდებიან ჰეპატოტოქსიკური, ნეფროტოქსიკური, ტერატოგენური, მუტაგენური და იმუნოდეპრესიული მოქმედებით.

საქონლის საკვებად ისეთი მარცვალის გამოყენება, რომლებიც აფლატოქსინებითაა დაბინძურებული, არ არის რეკომენდირებული, რადგან აფლატოქსინები გადადიან რძეში, ასეთი რძე და რძის პროდუქტები ძალზე სახიფათოა ბავშვთა კვებაში.

აფლატოქსინები ადვილად იშლებიან ჟანგბადის და სინათლის მოქმედებით განსაკუთრებით ულტრაიისფერი სხივების მოქმედებით. ისინი იჩენენ განსაკუთრებულ თერმომდგრადობას და არ იცვლებიან თერმული დამუშავების შედეგად. გამოკვლეულია რომ აფლატოქსინების სრული დაშლა ხდება მარცვლეულის დამუშავებისას ამიაკით ან ნატრიუმის ჰიპოქლორიტით.

დადგენილია, რომ აფლატოქსინების წარმოქმნა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სუბსტრატის შედგენილობაზე, რომელზეც ვითარდებიან აფლატოქსინები და დაზიანებული კულტურის ბიოლოგიურ თავისებურებებზე. მარცვლოვანი კულტურებიდან აფლატოქსინებით დაზიანების მაღალი რისკით გამოირჩევიან სიმინდი და სორგო, რომელთაც გააჩნიათ ზეთით მდიდარი ჩანასახი. სხვა დანარჩენი მარცვლოვანი კულტურები აფლატოქსინებით ზიანდებიან განსაკუთრებულ პირობებში. ბავშვთა და სამკურნალო-პროფილაქტიკური კვე-



ბის პროდუქტებში აფლატოქსინების არსებობა დაუშვებელია.

პური და პურფუნთუშეული პროდუქცია ადამიანის კვების ერთ-ერთ ძირითად პროდუქტს წარმოადგენენ. ამიტომ მათ უსაფრთხოებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ისტორიულად პურის გამოცხობას მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებში განსხვავებული მეთოდი ახასიათებს. საერთოა მხოლოდ ცომის დასამზადებლად აღებული დაფქული მარცვალი და წყალი, ასევე პურის გამოცხობა მაღალ ტემპერატურაზე ცილების დენატურაციის ხარჯზე.

არსებობს პურის მიკოსეპტინებით დაბინძურების ორი გზა:

ა) ტოქსინების მოხვედრა ფქვილში გამოცხობის წინ;

Вкус и аромат	характерный для хлеба	слегка выраженный запах моркови	выраженный овощной запах	выраженный запах вареной свеклы

Для образцов с вижимками необходимо продлевать время замешивания, по сравнению с контролем, поскольку частицы выжимок медленнее поглощают воду, чем белки пшеничной муки.



В процессе замешивания происходило распределение влаги между частицами муки и выжимок, вследствие чего тесто стало однородным. Тесто содержащее выжимки окрашивалось в желтый или розовый цвет, который немного изменялся во время выпекания хлеба. Особенно интенсивно происходил процесс разрушения антоцианов свекольных выжимок, поскольку мякиш готового хлеба приобретал коричневый цвет.

Поскольку выжимки содержат сахара, которые способны сбраживать дрожжи, интенсифицировался процесс выделения углекислого газа. Наиболее интенсивно процесс газообразования происходил в образце со свекольными выжимками – за 3 часа брожения в нем выделилось на 22,3% больше углекислого газа чем в контроле. Это привело к уменьшению времени расстойки тестовых заготовок. Наличие органических кислот в выжимках, а также интенсификация процесса брожения способствовали увеличению кислотности теста и хлеба на 0,4-1,5 град.

Удельный объем готовых изделий с морковными и тыквенными выжимками меньше контрольного образца на 7 и 11% соответственно, а образца со свекольными – на 3,4 %. Такое влияние обусловлено высокой водопоглотительной способностью выжимок, уменьшением общего содержания клейковины в тесте.

Таким образом, сушеные овощные выжимки могут быть использованы для обогащения хлебобулочных изделий функциональными ингредиентами: каротиноидами, антоцианами, пектином и пищевыми волокнами. Принимая во внимание значительное затемнение мякиша образца, содержащего выжимки свеклы, в дальнейшем целесообразно использовать их в технологии ржано-пшеничного хлеба. С целью улучшения качества готовых изделий с выжимками целесообразно проводить исследования по увеличению дисперсности частиц выжимок, определения оптимальной дозировки и способа их внесения.

Литература

1. Microwave dried carrot pomace as a source of fiber and carotenoids / Hernández-Ortega, Marcela, et al. // *Food and Nutrition Sciences*. 2013; 4(10): 1037-1040.
2. Use of dried pumpkins in wheat bread production / Rakcejeva T. et. al. // *Procedia Food Science*. 2011; 1: 441-447.
3. Капрельянц Л. В. Функциональные продукты : монография / Л. В. Капрельянц, К. Г. Иоргачева. Одесса : Друк, 2003. 312 с.
4. Левківська Т. М. Удосконалення технології каротиновмісних добавок та консервованих продуктів з моркви : автореф. дис. ... канд. техн. наук : 05.18.13 ; НУХТ. Київ, 2012. 22 с.
5. Омаров М. М., Исламов М. Н., Гасанова Д. Ш. Технология производства нового купажированного диетического сока из овощей и крапивы // *Вестник ДГТУ. Технические науки*. 2012. №4 (27).

INFLUENCE OF DRIED VEGETABLE POMACE ON OF WHEAT BREAD QUALITY

A. Hryshchenko

National university of food technologies, Kiev, Ukraine

Summary

The prospects of using dried beetroot, carrot and pumpkin pomace as a valuable vegetable raw material to enrich the chemical composition of wheat bread are discussed in the article. The characteristics of the different dried pomace, their influence on the technological process of production and the organoleptic characteristics of wheat bread are presented.



გენმოდულიცირებული პროდუქტი და ადამიანი

გურული მ.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გენმოდულიცირებული ორგანიზმი ისეთი ორგანიზმია, რომლის გენეტიკურ აპარატში ხელოვნურად ჩანერგილია გენი/ გენები სხვა ორგანიზმიდან. განსაზღვრული გენის ჩასმისას მცენარე იძენს საჭირო თვისებებს, მათ შორის მდგრადობა -მავნებლების, პესტიციდების მიმართ. გენმოდულიცირებული თესლით მოწეული მოსავლის მაღალი პროდუქტიულობა საშუალებას იძლევა მზარდი მოსახლეობის საკვები მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ნაკლები მიწისა და წყლის რესურსი იყოს გამოყენებული და ამასთან შენარჩუნდეს მეტი ბუნებრივი ეკოსისტემა. მავნებლების მიმართ რეზისტენტული ნათესები მნიშვნელოვნად ამცირებს შხამ-ქიმიკატების მოხმარების საჭიროებას, რაც არა მარტო გარემოს დაბინძურების თავიდან აცილების საშუალებაა, არამედ ასევე მომუშავე პერსონალის ჯანმრთელობის დაცვის საწინდარია.

თანამედროვე ბიოტექნოლოგიის მეთოდების შედეგად შესაძლებელია მცენარის, ან ცხოველის ამა თუ იმ სახეობისათვის “სასურველი” თვისების მინიჭება. კერძოდ, ხდება ამ “სასურველი” თვისების განმაპირობებელი გენის ჩანერგვა მცენარეში ან ცხოველში. სწორედ ამ გზით წარმოიქმნება გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმები. ამდენად, გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმი არის ის მცენარე ან ცხოველი, რომელსაც მისი გენეტიკური მასალის ცვლილებით (ახალი გენის ჩანერგვით) მინიჭებული აქვს რომელიმე ახალი “სასურველი” თვისება. მაგ. ყინვაგამძლეობა, სწრაფი სიმწიფე, უხვმოსავლიანობა და ა.შ..

თანამედროვე ბიოტექნოლოგიის საშუალებით ხდება ორგანიზმების გენეტიკური მასალის იმგვარი შეცვლა, რაც არასოდეს მოხდებოდა ბუნებრივი ევოლუციის პროცესში. თანამედროვე ბიოტექნოლოგიის მიღწევები, ძირითადად გამოიყენება მედიცინასა და სოფლის მეურნეობაში. გენმოდულიცირებული ორგანიზმებიდან (ანუ გენეტიკურად მოდიფიცირებული მცენარეებიდან და ცხოველებიდან) იწარმოება გენმოდულიცირებული პროდუქტები – სამკურნალო საშუალებები, ვაქცინები, საკვები პროდუქტები (ადამიანისა და ცხოველის), კვებითი ინგრედიენტები, პარფიუმერული ნაწარმი, სათესლე და სანერგე მასალა და ა.შ. ამჟამად, გენმოდულიცირებული ორგანიზმებიდან წარმოებული სათესლე/სანერგე მასალა და საკვები პროდუქტები მსოფლიო ბაზრის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია.

უსაფრთხოა თუ არა ადამიანისათვის გენურად მოდიფიცირებული პროდუქტები?

გენმოდულიცირებული პროდუქტების გამოყენებას თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს, რომელთა შესახებაც ურთიერთსაპირისპირო მოსაზრებები არსებობს, ამასთან, აღსანიშნავია, რომ აღნიშნული თვალსაზრისით კვლევების ისტორია ძალიან ხანმოკლეა. გენმოდულიცირებული ორგანიზმების გამოყენებისას არსებობს გენმოდულიცირებული ორგანიზმების ადამიანზე, ბუნებრივ გარემოსა და ბიომრავალფეროვნებაზე უარყოფითი ზეგავლენის პოტენციური რისკი (საშიშროება). აქედან გამომდინარე თანამედროვე ბიოტექნოლოგიის მეთოდებისა და მათ შედეგად მიღებული ორგანიზმების გამოყენებისას ბიოუსაფრთხოების სათანადო დონის უზრუნველყოფის მიზნით მთელ რიგ ქვეყნებში და საერთაშორისო დონეზე შემუშავდა გენმოდულიცირებული ორგანიზმების სამართლებრივი რეგულირების მექანიზმები.

მეცნიერთა ჯგუფი, რომელიც გენმოდულიცირებული ორგანიზმების გამოყენების



მომხრეა ასეთი ორგანიზმების წარმოებისა და მოხმარების დადებით ასპექტებად ასახელებს სოფლის მეურნეობაში გაზრდილ პროდუქტიულობას, გარემოზე უარყოფითი ზეგავლენის შემცირებასა და სამედიცინო სფეროში მათი გამოყენების ფართო შესაძლებლობებს.

კითხვა, უსაფრთხოა თუ არა ადამიანისათვის გენეტიკური მოდიფიკაციით მიღებული კვების პროდუქტები, ჯერ-ჯერობით პასუხის გარეშე რჩება. არსებობს ურთიერთსაპირისპირო მოსაზრებები გენმოდიფიცირებული პროდუქტის გამოყენების დადებით და უარყოფით მხარეებზე.

მეცნიერების ნაწილს მიაჩნია, რომ გენმოდიფიცირებული საკვები პროდუქტები სავსებით უსაფრთხოა. მათი მთავარი არგუმენტი ის არის, რომ ბიოინჟინერიის მეთოდების გამოყენება მრავალ სასარგებლო თვისებებს სძენს სასოფლო-სამეურნეო კულტურებს. გენმოდიფიცირებული კულტურებიდან მიღებული პროდუქტები გამოირჩევიან მაღალი ხარისხით, აქვთ მომგებიანი სასაქონლო სახე და საკვებ ღირებულებას უფრო დიდხანს ინარჩუნებენ.

მსოფლიოში გენმოდიფიცირებული (გმო) პროდუქციის ერთ-ერთ უპირატესობად ასახელებენ იმას, რომ ამ გზით შესაძლებელია სასურსათო კრიზისის დაძლევა. დედამიწის მოსახლეობამ მიაღწია 6 მილიარდს და გამრავლების ასეთი ტემპი თუ შენარჩუნდა, მომავალი 50 წლის განმავლობაში 2-ჯერ გაიზრდება. მოსახლეობის საკვები პროდუქტებით მომარაგება სულ უფრო პრობლემატური ხდება და მსოფლიოს მრავალ კუთხეში შიმშილი მძვინვარებს. გენმოდიფიცირებული პროდუქტების საშუალებით ამ პრობლემის გადაჭრა რამდენიმე გზით შეიძლება. უპირველესად, გენმოდიფიცირებული ხილ-ბოსტნეული თავს იცავს მავნე მწერებისა და სარეველა ბალახისაგან, აქედან გამომდინარე, იმატებს ამ პროდუქტების მოსავლიანობა, თვითღირებულება კი იკლებს. არსებობს გენური ინჟინერიით გამოყვანილი მცენარეები, რომლებიც ადვილად უმკლავდებიან ვირუსებს, ბაქტერიებს და სოკოებს. ამ გზით მიღებული მცენარეები უძლებს ისეთ ყინვას, რაც ჩვეულებრივ გაანადგურებდა მოსავალს.

გარკვეულმა კვლევებმა დაადასტურა, რომ გენეტიკურად მოდიფიცირებული პროდუქტების საკვებად გამოყენებას ადამიანის ჯანმრთელობისთვის სერიოზული ზიანის მოტანა შეუძლია. განსაკუთრებით დიდი სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ მათ გამოყენებას ჩვილ ბავშვთა ასაკში, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ნებისმიერი დედის რძის შემცველი ადაპტირებული ნარევის ცხიმოვანი კომპონენტის შემადგენლობაში შედის მცენარეული ცხიმები, კერძოდ, სოიო, სიმინდი, პალმა, ქოქოსი და ა. შ. ალბათ მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ ფაქტს, რომ დღეისათვის მსოფლიოში ყველაზე მეტად სწორედ ზემოთჩამოთვლილი პროდუქტების გენმოდიფიცირება ხდება. საკვებ პროდუქტებთან მიმართებაში მომხმარებელი დაინტერესდა თვით პროდუქტის უსაფრთხოებით, რადგან მიიჩნეოდა, რომ თანამედროვე ბიოტექნოლოგიის მეშვეობით შესაძლებელი იყო ახალი სახეობების შექმნა. იმ შემთხვევაში, როდესაც საკითხი ეხება ბიოტექნოლოგიით შემუშავებულ სამედიცინო პრეპარატებს, მომხმარებელი უფრო დადებითად არის განწყობილი, რადგან თვლის, რომ ამ ტექნოლოგიით შექმნილი პრეპარატები დადებით გავლენას ახდენენ მათ მკურნალობასა და საერთოდ ჯანმრთელობაზე. ამ თემაზე წლებია, მეცნიერული კვლევები მიმდინარეობს. საბოლოო დასკვნა ჯერ-ჯერობით არ გამოქვეყნებულა. შესაბამისად, არ ვიცით, ასეთი პროდუქტების მიღებამ ორგანიზმზე რა შედეგი შეიძლება იქონიოს; როგორ მოქმედებს ზრდაზე, განვითარებაზე, რეპროდუქციაზე... სანამ სამეცნიერო დასკვნა არ იქნება გამოტანილი, მანამ-



დე უვნებლად ვერ მივიჩნევთ. როგორც ჩანს, ასეთი გამოკვლევების გამოქვეყნება იზღუდება, მაგრამ არსებობს შრომები, სადაც ნაჩვენებია, რომ ასეთი პროდუქტის მიღებით სხვადასხვა სასიცოცხლო მნიშვნელობის პროცესი ირღვევა; იმ ცხოველებს, რომლებზეც ცდებს ატარებენ, მახინჯი ნაშიერები უჩნდებათ. არ ვამტკიცებ, რომ გენმოდიფიცირებული პროდუქტის მიღება ორგანიზმისთვის დაუშვებელია, მაგრამ არსებობს რისკი, ადამიანი კი გონიერი არსება იმიტომ არის, რომ ეს რისკი აირიდოს. პროდუქტებზე აუცილებლად უნდა კეთდებოდეს მარკირება - მომხმარებელმა უნდა იცოდეს, რა პროდუქტს იძენს. გენმოდიფიცირებული პროდუქტების მიღებისგან ბავშვებმა და ორსულმა ქალბატონებმა მაინც უნდა შეიკავონ თავი.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციაში მიმდინარეობს ფართო მუშაობა პრობლემის სხვა ფაქტორების წარმოჩენისა და შესწავლის მიზნით. აღნიშნული საქმიანობის მეშვეობით, საფუძველი ჩაეყრება, უფრო კოორდინირებულ, მრავალპროფილურ და სისტემატიზირებულ სახელმწიფოთაშორისო ურთიერთქმედების ღონისძიებებს გენმოდიფიცირებული პროდუქტის უვნებლობის თვალსაზრისით.

გენმოდიფიცირებული ორგანიზმები გამოიყენება, როგორც ბიოლოგიური და სამედიცინო კვლევების წარმოებისთვის, ასევე ფარმაცევტიკაში. ყველაზე ფართოდ კი დღეისათვის, გენმოდიფიცირებული ორგანიზმები სოფლის მეურნეობასა და კვების მრეწველობაში გვხვდება. სამრეწველო მიზნებით გენმოდიფიცირებული მცენარეები მოჰყავთ 10-ზე მეტ ქვეყანაში, ხოლო მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში კვების პროდუქტების 60%-ზე მეტი გენმოდიფიცირებული ინგრედიენტების შემცველია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად უკვე არსებული მოხმარების ფართო მასშტაბისა, ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოს მდგომარეობაზე გენმოდიფიცირებული ორგანიზმების დადებითი და უარყოფითი ზეგავლენა ჯერ კიდევ შესწავლისა და განსჯის საგანია.

გაზრდილი პროდუქტიულობა და პროდუქტის მაღალი კვებითი ღირებულება. ყინვაგამძლე, სიცხისა და სიმშრალის ამტანი გემოდიფიცირებული თესლი, რომელიც ასევე მავნე მწერებისადმი მედეგობით გამოირჩევა დანაკარგების შემცირებისა და შესაბამისად, უხვი მოსავლის მიღების საშუალებას იძლევა. გენმოდიფიცირებული თესლიდან მიღებული პროდუქტი მაღალი კვებითი ღირებულებით ხასიათდება, მაგალითად ბეტა კაროტინით მდიდარი ბრინჯი, რადგან 50%-ზე მეტი მსოფლიო მოსახლეობის საკვებ რაციონს ბრინჯი წამოადგენს. ასეთი პროდუქტი მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს მოსახლეობის A ვიტამინით უზრუნველყოფაში.

90-იანი წლების ბოლოს ჩატარებული გამოკითხვის შედეგების მიხედვით გენმოდიფიცირებულ საკვებ პროდუქტებს ჯანმრთელობისთვის სარისკოდ საფრანგეთის მოსახლეობის 76%, შვედეთის 65%, ავსტრიის 69% და გერმანიის 50% მიიჩნევდა, მაშინ როდესაც ამ მარკინებელმა აშშ-ს შემთხვევაში სულ რაღაც 14 % შეადგინა. გენმოდიფიცირებული საკვები მიიღება ხელოვნურად შექმნილი თესლებისგან, რომლებიც შეიცავენ თანამედროვე ბიოტექნოლოგიების გამოყენებით მიღებულ გენომს.

გმო ორგანიზმების შექმნა მეცნიერებისა და ზოგადად კაცობრიობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიღწევად უნდა ჩაითვალოს. გმო-ს გავრცელების უდავო დადებითი მხარეებია მაღალპროდუქტიული და დაავადებებისადმი ნაკლებად მგრძობიარე კულტურების გავრცელება, ზოგიერთ ქვეყანაში საკვების ნაკლებობის პრობლემის შესაძლო გადაჭრა ასეთი



გავრცელების შედეგად, აგრობიზნესისთვის ოპტიმიზებული და მომგებიანი კულტურების დამკვიდრება. გმო-სთან დაკავშირებული პრობლემების უმეტესობა ტექნოლოგიურ და მე-თოდოლოგიურ საკითხებთანაა დაკავშირებული.

ლიტერატურა

1. ა. კორახაშვილი. საკვების ხარისხის შეფასების თანამედროვე მეთოდები : პრობლემური ლექციების კურსი სას. სამ. ინ-ტის აგრონომიული ფაკულტეტის სტუ-ის/ საქ. აგრარული უნ-ტი ; - თბ.1991წ. - 50გვ.ISBN5-8120-0017-4 .
2. ა. კორახაშვილი. გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმები - მითი და რეალობა. თბ., 2007. - ISSN:1512-4134-ივლისი-N10-გვ.25-30
3. <http://www.placewoman.ru/gmo/>
4. <http://lurkmore.to>
5. <http://gmo.com.ua/>
6. <http://www.ambioni.ge/genmodiqicirebuli-produqti-saftxe-janmrtebobisatvis>
7. <http://www.apocalypse.ge/sxv eqimebi gvaprtxleben tavi aaridet gmp s.html>

GM products and human
Guruli M.
Akaki Tsereteli State University
Summary

GM seed harvest high productivity allows for a growing population's demand for food with less land and water resources to be used more and at the same time preserving the natural ecosystem. Pest-resistant crops significantly reduces the need to use chemicals, which is not only to avoid the possibility of contamination of the environment, But also the staff working in the health care business. In developing countries as a result of unsustainable agricultural practices on saline lands increased salinity tolerant genetically modified crop such arable land rehabilitation tool. Restoration of damaged soil can also be genetically modified organisms whose function is to restore the soil structure. Genetically modified their perishable fruits and vegetables for a long time in storage and thus makes it possible to avoid losses.

**საქართველოს მოსახლეობის კვებითი პრიორიტეტების
თავისებურებები ანთების ინდექსის მქონე პროდუქტების
მნიშვნელოვანი რაოდენობით შემცველ სურსათთან დაკავშირებით**

**დარსანია თ., გარუჩავა ნ., მურჯიკნელი ქ.
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი**

კვება ქრონიკული ანთების მოდულატორია. დიეტური ანთებითი ინდექსი შემუშავდა კვების რაციონის ანთებითი პოტენციალის დასახასიათებლად. კვებას სამკურნალო მიმართულებაც აქვს და მეტად მნიშვნელოვანია პროანთებითი პროდუქტების მინიმუმამდე დაყვანა სხვადასხვა დაავადებებისას. აქედან გამომდინარე, კვლევის მიზანი იყო საქართველოს მოსახლეობის კვების რაციონის ანთებითი ინდექსის განსაზღვრა. მოსახლეობა გამოიკითხა სპეციალური ჩვენ მიერ შემუშავებული კითხვარის გამოყენებით. მიღებული შედეგები ცხადყოფს, რომ მოსახლეობის კვების რაციონში ჭარბადაა წარმოდგენილი ანთებისხელშეწყობი სურსათი.

არაინფექციური დაავადებები წარმოადგენენ დაავადებების გლობალური ტვირთის ძირითად მიზეზს და შეადგენენ მსოფლიოში სიკვდილიანობის 72% (6). მსუბუქი დონის ქრონიკული ანთება, რომელიც ხასიათდება მთელი სიცოცხლის მანძილზე სისხლში პროანთებითი ციტოკინების მუდმივად მომატებული კონცენტრაციების ცირკულაციით, იწვევს არაინ-



ფექციური დაავადებების განვითარებას, რომლებიც დაკავშირებულია როგორც ასაკთან, ასევე კვებასთან (7). კვებით ჩვევებსა და არაინფექციურ დაავადებებს შორის კავშირი კარგადაა შესწავლილი. მრავალი მათგანის თავიდან აცილება შეიძლება რისკ-ფაქტორების მოდიფიცირებით, რომლებიც დაკავშირებულია ცხოვრების წესთან, მ.შ. არაჯანსაღ კვებასთან. ალიმენტურდამოკიდებული და ქრონიკული დაავადებების გლობალური ტვირთის ექსპერტების ჯგუფმა შეისწავლა კვების ხარისხის ტენდენციები 187 ქვეყანაში 20 წლის განმავლობაში მოზრდილთა შორის (1990-2010წწ) (6). აღმოჩნდა, რომ ჯანსაღი კვების მიმდევრების რაოდენობამ ძალიან მცირედით მოიმატა ამ პერიოდის განმავლობაში, მაგრამ მას გადააჭარბა არაჯანსაღი კვების მიმდევრების რაოდენობამ. დღეისათვის დადასტურებულია, რომ კვება ქრონიკული ანთების მოდულატორია. დიეტური ანთებითი ინდექსი (DII[®]) შემუშავდა კვების რაციონის ანთებითი პოტენციალის დასახასიათებლად (7).

მიუხედავად იმისა, რომ კვების უსაფრთხოება (ხარისხი) და სურსათის უსაფრთხოება (რაოდენობა) დამოკიდებულია სურსათის დამუშავებაზე, უკანასკნელ წლებში საზოგადოება შემფოთებულია იმაზე, თუ რა კვებითი წვლილი შეაქვთ ასეთ პროდუქტებს მოსახლეობის კვების რაციონში (7). შემფოთება ეხება ისეთ საკითხებს, როგორიცაა კვების ხარისხი, პროდუქტის სიხლე, უვნებლობა, ადგილობრივი წარმოების პროდუქცია (იმპორტირებულთან შედარებით), სიჯანსაღე, მდგრადობა, მათი მოყვანის მეთოდები (ორგანული წარმოება არაორგანულ და გმო-თან შედარებით) და წარმოების ეთიკური ასპექტები. ანუ ეს საკითხები ეხება მხოლოდ ერთ მიმართულებას - დამუშავებული პროდუქტის კვებით ღირებულებას. მნიშვნელოვანია გავარკვიოთ, უწყობს თუ არა ხელს დამუშავებული პროდუქტი მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნებას, არის თუ არა ასეთი პროდუქცია მნიშვნელოვანი საკვები ნივთიერებების წყარო და წარმოადგენენ თუ არა ისინი ანთებითი ინდექსის მქონე კომპონენტების წყაროს (როგორიცაა მარილი, შაქარი ნაჯერი ცხიმოვანი მჟავები, ომეგა-6 ჭარბი რაოდენობა, ტრანსცხიმები) (1,3). მეცნიერთა აზრით, იმის ნაცვლად, რომ შევზღუდოთ დამუშავებული პროდუქტები კვების რაციონში, უფრო პროდუქტიული იქნება წავახალისოთ პროდუქტის ხელმისაწვდომი საუკეთესო ვარიანტები, კერძოდ, ისინი, რომლებიც უზრუნველყოფენ მავნე კომპონენტების უმცირეს შემცველობას პროდუქტის შემადგენლობაში და შეიცავენ მეტ სასარგებლო საკვებ ნივთიერებას (4).

დამუშავებულ პროდუქტები საშიშია იმიტომ, რომ მათში იზრდება ისეთი ნივთიერებების შემცველობა, როგორიცაა მარილი, შაქარი, ნაჯერი და ტრანსცხიმები, კონსერვანტები, საკვები დანამატები. ამ ნივთიერებების დამატება აუცილებელია შენახვის ვადის გასახანგრძლივებლად, ფორმის შესანარჩუნებლად, სტაბილურობისათვის, სუნისა და არომატისათვის, საგემოვნო თვისებების ასმაღლებლად. რაც მთავარია, მასობრივი პროდუქტების წარმოებისას, საკვები დანამატების გამოყენება აუცილებელი ხდება. პროდუქტთა დიდი არჩევანის პირობებში, დამუშავების ტექნოლოგიების არცოდნა, ბაზარზე წარმოდგენილი პროდუქციის კვებითი და ბიოლოგიური ღირებულებებზე მწირი ინფორმაცია, ამნელებს მომხმარებლის ორიენტაციას ჯანსაღი პროდუქტის პროდუქტის არჩევაში. ეს პრობლემა მერყეობს გეოგრაფიულ და ეკონომიკურ დემოგრაფიულ მაჩვენებლებს შორის და ძალიან მწვავეა მოსახლეობის ზოგიერთი ფენისათვის. კვების ტექნოლოგიების ახალი მეთოდები მიმართულია, შეამციროს მავნე კვების კომპონენტები პროდუქტში და ისინი უფრო სასარგებლო გახადოს. კვების მრეწველობის დარგის წარმომადგენლები და კვების ექიმები ერთობლივად უნდა მუშაობდნენ ამ



მიმართულებით. სურსათის ღირებულება მომხმარებელთა უვიცობის მეტ წილს წარმოქმნის. პროდუქტთა ღირებულება გაიზარდა უკანასკნელი ნახევარი საუკუნის მანძილზე ყველაზე ნაკლებად (10). მაგრამ მომხმარებელი მაინც ძალიან მგრძობიარეა ამ საკითხისადმი. სწორედ სურსათის ფასია წარმმართველი სურსათის არჩევისას და არა ჯანმრთელობაზე ზრუნვა, დაავადებათა პრევენცია, არსებული დაავადების გამწვავების თავიდან აცილება (7). უკანასკნელ დროს სულ უფრო და უფრო იზრდება კვების ინდივიდუალური სტრატეგიების შემუშავება პაციენტთა მკურნალობის გეგმაში მრავალი თანდაყოლილი ნივთიერებათა ცვლის დარღვევისას, რომელსაც სპეციფიკური კვების კომპონენტი აქვს (9). მხოლოდ უკანასკნელ ხანს აღმოჩნდა, რომ ანალიტიკურ ტექნოლოგიებში, სტატისტიკაში, მოლეკულურ ფიზიოლოგიასა და კვების დარგში ცოდნის მიღწევები საშუალებას იძლევა დავაზუსტოდ მოსახლეობის ქვეჯგუფი უფრო პირად დონემდე. ამან მთელი რიგი პერსონალური მიზნები დასახა. ეს მიზნები ხშირად შორდება ქრონიკული დაავადებების პროფილაქტიკასა და/ან შემსუბუქებას და მოიცავს კეთილდღეობის მრავალ ასპექტს, როგორცაა გუნებ-განწყობა, ყურადღება, გამძლეობა და წონის შენარჩუნება, ასევე ჯანმრთელობის პარამეტრები. მართლაც, რაც შეეხება კვებას, მედიკამენტოზურ მკურნალობას, დაავადებების პროფილაქტიკის სტრატეგიებსა და ოპტიმალური ჯანმრთელობის მიღწევის სტრატეგიებს შორის საზღვრები ხელოვნური გახდა და იურიდიულ წინააღმდეგობას ქმნის სამკურნალო კვების ფართომასშტაბიანი დანერგვისათვის. მაგალითად, გლიკემიური კონტროლის მექანიზმები და დიეტოლოგიური მიდგომები მეტაბოლური ჯანმრთელობის ოპტიმიზაციისათვის მეორე ტიპის დიაბეტის დროს იდენტურია, მაგრამ კვებითი ინტერვენციები სამედიცინო პრაქტიკაში არ გამოიყენება. 2002 წელს შექმნილი დიაბეტის პროფილაქტიკის პროგრამა, შექმნილი დიაბეტისა და საჭმლისმომწელებელი ორგანოებისა და თირკმლების დაავადებების ეროვნული ინსტიტუტის მიერ, აჩვენა, რომ ცხოვრების წესის მოდიფიკაციის მრავალწლიანი პროგრამა უფრო ეფექტური იყო, მეტფორმინით მკურნალობასთან შედარებით, დიაბეტით ავადობის დაქვეითებაში მაღალი რისკის მქონე პირებს შორის (8,2).

აქედან გამომდინარე, ჩვენი **კვლევის მიზანი** იყო შეგვესწავლა საქართველოს მოსახლეობის მიერ პროანთებითი საკვები სურსათის მოხმარების სიხშირე პირველ ეტაპზე და სამედიცინო დაწესებულებებში სამკურნალო კვების ორგანიზება - მეორე ეტაპზე.

კვლევის მასალა და მეთოდები. შევისწავლეთ შემთხვევითი, ასაკისა და სქესის მიხედვით სტრატეგიფიცირებული ამონარჩევი საქართველოს მსხვილი ქალაქების მოსახლეობიდან. რესპოდენტთა ასაკი შეადგენდა 18-65 წელს. კვლევა ტარდებოდა ჩვენ მიერ სპეციალურად ამ კვლევისათვის შემუშავებული კითხვარის საშუალებით, რომელიც მოიცავდა კითხვებს მოსახლეობის კვებითი ქცევის დეტალური შესწავლისათვის, კვებით ჩვევებს და კვების ხასიათს, ასევე დამოკიდებულებას საკუთარი ჯანმრთელობისადმი. შევისწავლეთ 521 ადამიანი, რომელთაგან 41% იყო მამაკაცი, 59% - ქალი. კვებითი ჩვევების კავშირები შეფასდა მონაცემების დამუშავების პარამეტრული და არაპარამეტრული მეთოდების დახმარებით, ერთფაქტორულ ანალიზში - X^2 კრიტერიუმის დახმარებით. სტატისტიკური ანალიზი ჩატარდა 95%-იანი სარწმუნოებით. გარდა ამისა, კვლევის მეორე ეტაპზე შევისწავლეთ სამკურნალო კვების ორგანიზაცია სამედიცინო დაწესებულებებში ამ მიზნებისთვის სპეციალურად შემუშავებული კითხვარის საშუალებით. მონაცემები დამუშავდა პროგრამული პაკეტის SPSS12 გამოყენებით.



შედეგები და განსჯა. მიღებული მონაცემები ცხადყოფს, რომ საქართველოს მოსახლეობის მიერ ნაჯერი ცხიმოვანი მჟავებისა და ტრანსცხიმების, მარტივი შაქრებით მდიდარი სურსათის ჭარბ მოხმარებას, ამის ფონზე კი აღინიშნება სრულფასოვანი ცილისა და მიკრონუტრიენტების დეფიციტი. აღსანიშნავია, რომ ქალებში ჭარბობს საკონდიტრო ნაწარმის უპირატესი მოხმარება, მამაკაცებში კი - ხორცპროდუქტებისა და ცხიმის პროდუქტების. მოსახლეობაში ძირითადად დამუშავებული, რაფინირებული, დაბალი კვებითი ღირებულების მქონე პროდუქტებია წარმოდგენილი, ხოლო ნატურალური, ორგანული პროდუქტების რაოდენობა დაბალია, როგორცაა თევზი, ხორცი, რძე და რძის პროდუქტები, ხილი, ბოსტნეული, მწვანელი, მთლიანმარცვლოვანი ნაწარმი. მიღებული შედეგები გვიჩვენებს, რომ პროანთებითი პროდუქტები ჭარბობს მოსახლეობაში, რადგან ისინი, პირველ რიგში, ტრადიციულია, ხოლო, მეორე მხრივ, ფასის მიხედვით უფრო ხელმისაწვდომია, ვიდრე მაღალი ბიოლოგიური ღირებულების პროდუქტები და ადგილობრივი წარმოების ხილი და ბოსტნეული.

სამედიცინო დაწესებულებებში სამკურნალო კვების ორგანიზების შესწავლისას, გაირკვა, რომ საქართველოში სამკურნალო კვება ორგანიზებული არ არის, პაციენტის კვება დამოკიდებულია მის პატრონზე და პატრონის არჩევანზე, ხოლო გამოწერის შემდეგ პაციენტებს ან ზეპირ დავალებებს აძლევენ თუ როგორ იკვებონ, ხოლო ეს რჩევები მოძველებული დიეტური მაგიდებიდან მოდის, ან ურიგებენ ფლაიერებს, სადაც ჩამოთვლილია დასაშვები და აკრძალული სურსათისა და კერძების დასახელება. თავის დროზე დიეტური მაგიდები პროგრესული მნიშვნელობის იყო ჯანდაცვის სისტემის განვითარებაში. ამ მაგიდებს სამეცნიერო საფუძველი ჰქონდა, მეცნიერულად იყო დასაბუთებული სამკურნალო კვების ორგანიზაცია საავადმყოფოებსა და კურორტებზე. დღეს მოქმედი სამკურნალო კვების აგების საფუძველი იყო ნოზოლოგიური პრინციპი, რომლის შესაბამისადაც ქიმიური შედგენილობა, ენერგეტიკული ღირებულება და კვების რეჟიმი მისადაგებული იყო დაავადების კლინიკურ-პათოგენეტიკური თავისებურებებისადმი. დღეს ამ მიმართულებას ყურადღებას არავინ აქცევს, არ არის გაცნობიერებული მისი მნიშვნელობა. კვება განიხილება როგორც არაპროფესიონალების, ასევე ექიმების მიერ როგორც მეორეხარისხოვანი ფაქტორი ჯანმრთელობის შენარჩუნებაში. მხოლოდ ჭარბი წონისა და სიმსუქნის შემთხვევაში ურჩევენ შეცვალონ კვებითი ჩვევები. კვების ანთებითი ინდექსის შესახებ ინფორმირებული არ არიან.

სამკურნალო კვება უნდა წარმოადგენდეს თანამედროვე თერაპიის განუყოფელ ნაწილს ყველა სამედიცინო დაწესებულებაში. განვითარებულ ქვეყნებში სამკურნალო კვება მოიცავს ინდივიდუალურად შერჩეულ კვების რაციონს, რომელიც მზადდება კვების დარგში თანამედროვე ცოდნის შესაბამისად, დიეტურ სურსათს, ასევე ხელოვნური კვების სხვადასხვა ფორმას. დიეტოთერაპიული პრობლემების ინტეგრაცია ავადმყოფთა მკურნალობაში მოითხოვს კლინიკაში კვების ორგანიზაციის ოპტიმალურ სამეცნიერო და პრაქტიკულ ფორმებს. ამისათვის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება კლინიკური, ტექნიკური, ეკონომიკური და პედაგოგიური ქვედანაყოფების თანამშრომლობას.

ამგვარად, აუცილებელია მიზნობრივი რეგიონული პროგრამების შემუშავება და დაწესებულება, მოსახლეობის ჯანმრთელობითი ქცევის ჩამოსაყალიბებლად.

ლიტერატურა

1. Bender AE. Food processing and nutrition. London, United Kingdom: Academic Press, 1978. [[Google Scholar](#)]
2. Diabetes Prevention Program Research Group. The Diabetes Prevention Program (DPP): description of lifestyle



- intervention. Diabetes Care. 2002;25:2165–2171. [PMC free article] [PubMed] [Google Scholar]
3. Dietary Guidelines Advisory Committee. Report of the Dietary Guidelines Advisory Committee on the Dietary Guidelines for Americans, 2010. Washington, DC: US Department of Agriculture, Agricultural Research Service, 2011. [Google Scholar]
 4. Fellows PJ. Food processing technology: principles and practice. 3rd ed. Cambridge, United Kingdom: CRC Press and Woodhead Publishing Ltd, 2009. [Google Scholar]
 5. GBD 2016 Causes of Death Collaborators Global, regional, and national age-sex specific mortality for 264 causes of death, 1980–2016: A systematic analysis for the Global Burden of Disease Study 2016. Lancet. 2017;390:1151–1210. doi: 10.1016/S0140-6736(17)32152-9. [PMC free article] [PubMed] [CrossRef] [Google Scholar]
 6. Imamura F., Micha R., Khatibzadeh S., Fahimi S., Shi P., Powles J., Mozaffarian D. Dietary quality among men and women in 187 countries in 1990 and 2010: A systematic assessment. Lancet Glob. Health. 2015;3:e132–e142. doi: 10.1016/S2214-109X(14)70381-X. [PMC free article] [PubMed] [CrossRef] [Google Scholar]
 7. International Food Information Council Foundation. 2011 Food and health survey: consumer attitudes toward food safety, nutrition, and health. Washington, DC: International Food Information Council Foundation, 2012. [Google Scholar]
 8. Knowler WC, Barrett-Connor E, Fowler SE et al. Reduction in the incidence of type 2 diabetes with lifestyle intervention or metformin. N Engl J Med. 2002;346:393–403. [PMC free article] [PubMed] [Google Scholar]
 9. B. van Ommen, T. van Broek, I. de Hoogh, M. van Erk, E. van Someren, T. Rouhani-Rankouhi, J.C. Anthony, K. Hogenelst, W. Pasman, A Boorsma, S. Wopereis. Systems biology of personalized nutrition. Nutr Rev. 2017; 75(8): 579-599.
 10. US Department of Agriculture, Economic Research Service. Consumer price index (CPI) homepage. Available from: [http://www.ers.usda.gov/topics/food-markets-prices/consumer-price-index-\(cpi\).aspx](http://www.ers.usda.gov/topics/food-markets-prices/consumer-price-index-(cpi).aspx) (cited 28 August 2013)

Features of dietary priorities of Georgian population concerning the food consumption containing products with significant amount of inflammatory index

Darsania T., Garuchava N., Murjikneli K.

Tbilisi State Medical University

Summary

Nutrition is significant not only for prevention of various non-communicable diseases, but it also has a therapeutic purpose. Some foods are characterized by promoting inflammatory effects, including saturated fatty acids, foods with a high glycemic index, trans fats, foods with the wrong ratio of Omega-6: Omega-3. Based on this, it is most important to know the inflammatory index of the diet ratio of the population. This would facilitate planning and implementation of measures aimed to prevention of alimentary diseases. The data obtained as a result of our studies indicate that the diet ration of Georgian population is enriched with products that promote inflammation. Therefore, it is very important to increase knowledge of the population in relation to the fact that unhealthy nutrition causes not only development of gastro-intestinal and cardiovascular diseases, obesity and type II diabetes mellitus, but also arthritis, degenerative and many other diseases. It is also necessary to provide the population with information, that effectiveness of treatment of non-communicable diseases is directly related to observe the principles of healthy nutrition.

ფუნქციური დანიშნულების არომატიზებული ქართული ღვინოების წარმოების პერსპექტივები

დემეტრაშვილი მ., ქვარცხავა გ., ტყემალაძე გ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

დღეს, კლიმატის მკვეთრი ცვლილებისა და გაზრდილი ეკონომიკური რისკების ფონზე, განსაკუთრებულ აქტუალურობას იძენს ყოველმხრივ უსაფრთხო სურსათის წარმოება. მიმდინარეობს ღრმა მეცნიერული კვლევა ე.წ. ფუნქციური, ანუ პროფილაქტიკურ-პრევენციული დანიშნულების სურსათის შესაქმნელად. მსოფლიო, მათ შორის, ქართული ხალხური მედიცინა ოდითგანვე ფართოდ იყე-



ნება მცენარეებს ადამიანის სამკურნალოდ. ცნობილია გამოთქმა: „არ არსებობს დაავადება, რომლის სამკურნალო თვისება არ გააჩნდეს მცენარეულ სამყაროს.“ ნაშრომში შესწავლილია „ციცქას“, „ცოლიკოურის“, „რქაწითლისა“ და „მელშავის“ ღვინომასალებში კულმუხოსა და სალბის ბიოაქტიურ დანამატად გამოყენების შესაძლებლობა და, შესაბამისად, ფუნქციური დანიშნულების არომატიზებული ღვინოების მიღება.

ჩვენი პირველი შრომა, ფუნქციური სასმელების შექმნის კუთხით, მიემდვნა არომატიზებული ღვინოს (რქაწითლის) შექმნას კულმუხოსა (*Inula helenium*) და სალბის (*Salvia officinalis*) გამოყენებით. სერტიფიცირებულ დეგუსტატორ-სპეციალისტთა დასკვნით: „კულმუხოსაგან დამზადებული ნიმუში ხასიათდება სასიამოვნო არომატით, მცენარისათვის დამახასიათებელი სენსორული თვისებებით და ჰარმონიულად ერწყმის ღვინომასალის ჯიშურ არომატს. სალბის გამოყენებით დამზადებულ ნიმუშში დომინირებს მცენარეული ნედლეულისათვის დამახასიათებელი გემოვნური თვისებები. შესაბამისად, დადგინდა: რომ არომატიზებული ღვინოს დამზადება კულმუხოსა და სალბის გამოყენებით პერსპექტიულია და კონკრეტული რეცეპტურის შემუშავებისათვის საჭიროა შემდგომი კვლევა“ [1, 2]. გლობალური დათბობის პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ფუნქციური სურსათის პრობლემას [3-7].

საკონტროლო და საცდელ ნიმუშების ფიზიკურ-ქიმიური პარამეტრების რაოდენობრივი შესწავლა განხორციელდა შემდეგი მეთოდებისა და სტანდარტების გამოყენებით: 1. ფაქტიური სპირტმცველობა, მოც. % - OIV-MA-AS312-01B; 2. ტიტრული მჟავების მასის კონცენტრაცია ღვინოს მჟავაზე გადაანგარიშებით, გ/დმ³ - OIV-MA AS 313-01; 3. აქროლადი მჟავების მასის კონცენტრაცია ძმარმჟავაზე გადაანგარიშებით, გ/ლ - OIV-MA – AS 313-02; ღვინო, ქიმიური თვალთახედვით, რთული შედგენილობის სასმელია, რომელშიც, ორგანულ ნივთიერებებთან ერთად, ფართოდ არის წარმოდგენილი არაორგანული ნაერთებიც, მათ შორის, მძიმე მეტალები. ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების ფარგლებში, ქვეყნისთვის პრიორიტეტულია ეკოლოგიურად სუფთა და უსაფრთხო პროდუქტის წარმოება.

„ციცქას“, „ცოლიკოურისა“ და „რქაწითლი“-ს გადამუშავება, აგრეთვე საკონტროლო და საკვლევი ნიმუშების დამზადება განხორციელდა ოჯახური ტიპის მარანში სტანდარტების სრული დაცვით. ღვინომასალები დამზადებული იქნა იმერული ტექნოლოგიით, რაც ყურძნის ტკბილის ჭაჭის 1/3-ზე დადუღებას გულისხმობს. დუღილის შემდგომ, ქვევრები, ტრადიციული მეთოდის შესაბამისად, დაიგოზა. 1-ლი გადაღება განხორციელდა მინის ჭურჭელში. შემდგომი გადაღება ხდებოდა თითო თვის ინტერვალით დადუღებიდან ერთი, ორი და სამი თვის განმავლობაში. ზოგადად, იმერული ტიპის ღვინო, სასიამოვნო ფერისაა, სრული შინაარსიანი და საკმაოდ ხალისიანი [2-3]. „მელშავი“-ს დუღილი მიმდინარეობდა ტკბილზე, დურდოსა და კლერტის გარეშე. დუღილის პროცესში პერიოდულად ხდებოდა ზედაპირზე წარმოქმნილი ქაფის მოცილება. დადუღება მიმდინარეობდა 18-22 °C-ზე. საკონტროლო და საკვლევი ნიმუშების აღება განხორციელდა აპრილის თვეში, თითოეული ყურძნის ჯიშისათვის მომზადდა სამ-სამი განმეორებითი ნიმუში (ცხრ.1).




ცხრილი 1. საკვლევი ნიმუშების დამზადების სქემა

#	ღვინო	რაოდენობა, ლ	მცენარე	რაოდენობა, გ
1.	ცოლიკოური	1,5	კონტროლი	-----
2.	ცოლიკოური	1,5	კულმუხო	10
3.	ცოლიკოური	1,5	სალბი	6
4.	ციცქა	1,5	კონტროლი	-----
5.	ციცქა	1,5	კულმუხო	10
6.	ციცქა	1,5	სალბი	6
7.	რქაწითელი	1,5	კონტროლი	-----
8.	რქაწითელი	1,5	კულმუხო	10
9.	რქაწითელი	1,5	სალბი	6
10.	ძელშავი	1,5	კონტროლი	-----
11.	ძელშავი	1,5	კულმუხო	10
12.	ძელშავი	1,5	სალბი	6

კვლევა ეფუძნება დარგის მარეგულირებელი დოკუმენტაციით დადგენილ ნორმებს. ქვევრისა და კასრის ღვინოებზე აღნიშნული მცენარეების გავლენა შესწავლილ იქნა ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საგამოცდო ლაბორატორიაში „TestLAB“, საგამოცდო ოქმი #TP- 0210 /560-1; /560-2 ;/560-3; 560-4.

როგორც სურ. 1-დან ჩანს, კულმუხოს გავლენით ეთანოლის მოცულობითი წილი, ცოლიკოურისა და ძელშავის შემთხვევაში, საკონტროლო ნიმუშებთან შედარებით იზრდება - 1,09 და 0,27%-ის, ხოლო სალბის გავლენით იზრდება - ცოლიკოურში - 1,09, რქაწითელში - 0,1, ძელშავში კი 0,35 %-ით. გარდა ამისა, კულმუხოიანი ღვინო იყო უფრო გამჭირვალე, დამახასიათებელი მცენარეული არომატით და შეფასდა დეგუსტატორების მიერ 2,5 ერთეულით, რაც მიუთითებს კულმუხოს ჰარმონიულ ერწყმაზე ყველა ღვინომასალაში.




სურ.1. ღვინომასალებში ეთანოლის მოცულობითი წილი %
(1-კონტროლი, 2-კულმუხო, 3-სალბი)

ასეთივე მკაფიო ცვლილება აჩვენა ტიტრული მჟავიანობის კვლევამ (სურ.2.). კერძოდ, საკონტროლო ნიმუშთან შედარებით, კულმუხოს შემთხვევაში, ტიტრული მჟავიანობა იზრდება: ციცქაში - 0,03-გ/ლ-ით, რქაწითელში - 0,6გ/ლ-ით, ხოლო ძელშავში - 0,07გ/ლ-ის რაოდენობით. სალბის შემთხვევაში, ამავე ღვინოებში - ტიტრული მჟავიანობა იზრდება 0,15; 0,65 და 0,3 გ/ლ-ის ოდენობით. მიგვაჩნია, რომ აღნიშნული სიდიდეები წარმოადგენს ერთ-




ერთ ძირითად ფაქტორს, რომელიც ჩვენ მიერ დამზადებულ ღვინოებს შენახვის პერიოდში ანიჭებს მდგრადობასა და მათთვის დამახასიათებელ ორგანოლექტიკურ თვისებებს. საკვლევი ნიმუშების შედარებით მაღალი ტიტრული მჟავიანობა არ მოქმედებს ღვინომასალების ფერის ტონის სტაბილურობაზე.

შესწავლილი ღვინომასალებიდან აქროლადი მჟავების შემცირება ხდება ციცვაზე კულმუხოს დამატებით (სურ. 3.). მიგვაჩნია, რომ კულმუხოს ექსტრაქტის დამატებით აქროლადი მჟავების შემცირება განპირობებულია კულმუხოს როგორც მიწისზედა, ისე მის ფესვსა და ფესურებში არსებული მრავალრიცხოვანი ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერების შემცველობით.



სურ 2. ღვინომასალებში ტიტრული მჟავიანობის მასის კონცენტრაცია ღვინის მჟავაზე გადაანგარიშებით, გ/ლ (1-კონტროლი, 2-კულმუხო, 3-სალბი)



სურ 3. ღვინომასალებში აქროლადი მჟავების მასის კონცენტრაცია ძმარმჟავაზე გადაანგარიშებით, გ/ლ (1-კონტროლი, 2-კულმუხო, 3-სალბი)

ვფიქრობთ, ჩვენ მიერ ღვინომასალებში დამატებული ფიზიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების შემცველი ექსტრაქტები არომატიზებული ღვინოების საწარმოებლად აკმაყოფილებს ყველა სტანდარტს და ფუნქციური სურსათისადმი წაყენებულ მოთხოვნას. შესაბამისად, ექნებათ გამოყენება გარკვეული დაავადების პროფილაქტიკისა და პრევენციისათვის. ამრიგად:

1. ექსპერიმენტის ფარგლებში დამზადებული საკვლევი ღვინომასალების ფიზიკურ-ქიმიური პარამეტრები აკმაყოფილებს საქართველოს მთავრობის #524 დადგენილებას („ტექნიკური რეგლამენტი ღვინის წარმოების წესისა და ნებადართული პროცესების მასალებისა



და ნივთიერებების განსაზღვრის შესახებ“)

- ჩატარებული ექსპერიმენტის შედეგებზე დაყრდნობით დგინდება: კულმუხოსა და სალბის გამოყენება მიზანშეწონილია არომატიზებული ღვინოების წარმოებისა და მათი ბიოლოგიურად აქტიური ნაერთებით გამდიდრების მიზნით.

ლიტერატურა

- გ. ტყემალაძე. ბიოქიმიისა და მოლეკულური ბიოლოგიის ენციკლოპედიური ლექსიკონი, ელექტრონული ვერსია. თბილისი, 2019.
- გ. ტყემალაძე, გ. ქვარცხავა, მ. დემეტრაშვილი და სხვ. ბიოაქტიურ დანამატად კულმუხოსა (*Inula helenium*) და სალბის (*Salvia officinalis*) გამოყენების პერსპექტივები მეღვინეობაში. საერთაშორისო კონფერენცია - მევენახეობა და მეღვინეობა ევროპის ქვეყნებში, ისტორიული ასპექტები და პერსპექტივები. 25-27 ოქტომბერი, 2017 წელი. შრომათა კრებული. 214-226 გვ. თბილისი, საქართველო.
- გ. ტყემალაძე, გ. ქვარცხავა, მ. დემეტრაშვილი. და სხვ. მცენარეული ინგრედიენტების გამოყენებით ახალი სასურსათო პროდუქტების შექმნა მათთვის დაბალანსებული ენერგეტიკული, საგემოვნო და ფარმაცოლოგიური თვისებების მინიჭების მიზნით. I საერთაშორისო სამეცნიერო - პრაქტიკული ინტერნეტ-კონფერენცია თანამედროვე ფარმაცია-მეცნიერება და პრაქტიკა. შრომათა კრებული. 108-114 გვ. 2017 წელი, ქუთაისი. საქართველო.
- Н. В. Бабий, Е. Н. Соловьева, В. А. Помозова, Т. Ф. Киселева. ТОНИЗИРУЮЩИЕ НАПИТКИ С ФУНКЦИОНАЛЬНЫМИ СВОЙСТВАМИ Техника и технология пищевых производств. 2013. № 3, 101-105 pp.
- Compendium of Food Additive specifications. Joint FAO/WHO Expert Committee on Food Additives. 84th Meeting 2017.
- Галут Нина Васильевна научный сотрудник. РАЗРАБОТКА СПОСОБА ПОЛУЧЕНИЯ ТОНИЗИРУЮЩИХ ФУНКЦИОНАЛЬНЫХ ПЕКТИНОСОДЕРЖАЩИХ НАПИТКОВ. Научный журнал КубГАУ, №94(10), 2013 года.101-105.
- Капрельянци Л. В., д-р техн. наук, профессор; Хомич Г. А., канд. наук, докторант. функциональные продукты: тенденции и перспективы. 5-8. Нутрициология диетология, проблемнарчування № 4(21)*2012

Prospects for Production of Functional Flavored Georgian Wines

Demetrashvili M., Kvartskhava G., Tkemaladze G.

Georgian Technical University, Tbilisi, Georgia

Summary

Today, on the background of dramatic climate change and increased economic risks, production of food products with a high degree of security is becoming very important. Extensive research to produce the so-called functional or preventive food is underway. The world, including Georgian traditional medicine, has long been using plants to heal people. There is a well-known saying: "There is no disease that will not be cured by the plant world". In our research were investigated use of Kulmuko (*Inula helenium*) and Sage (*Salvia officinalis*) into four wines "Tsitska", "Tsolikouri", "Rkhatsiteli" and "Dzelshavi" as bioactive additive and accordingly functional applying to obtain wines with aromatic additives.

საკვები პროდუქტებისა და გარემომცველი ბუნების დაცვა დარიშხანშემველი ნაერთებით დაბინძურებისაგან

დიდბარიძე ი., კანდელაკი მ.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სტატია გვამცნობს ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი გამორჩეული წიაღისეული რესურსის - დარიშხანის გავრცელებას საქართველოს ტერიტორიაზე. მის, როგორც ტოქსიკური ელემენტის გავლენას



ფლორას, ფაუნასა და ადამიანებზე. განხილულია დარიშხანის წარმოების ნარჩენების გადამუშავების ყველაზე პერსპექტიული ხერხი, რაც შესაძლებელს გახდის მოსახლეობის დაცვას ეკოლოგიურად და-ბინძურებული პროდუქტების მიღებისაგან.

დარიშხანი ბუნებაში ნაკლებად გავრცელებული ელემენტია. მისი გავრცელება საქართველოს ნიადაგებში, წყლებში, მცენარეულ საფარში, მინერალებში და სხვ. საფუძვლიანად შესწავლილია ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის არაორგანული ქიმიის კათედრაზე [1-4]. აღნიშნული შრომების საფუძველზე გამოირკვა, რომ მთელი ამიერკავკასია [5], განსაკუთრებით კი საქართველოს ტერიტორია, გამოირჩევა ამ ელემენტის გავრცელების მაღალი ფონით. ეს განსაკუთრებით ითქმის რაჭის ტერიტორიაზე, სადაც სახნავ-სათესად გამოყენებული ფართობიც კი 10-20-ჯერ მეტ დარიშხანს შეიცავს, ვიდრე მსოფლიოში დარიშხანის გავრცელების საშუალო მაჩვენებელია.

ნიშანდობლივია, რომ დარიშხანს გარკვეული რაოდენობით შეიცავს ცხოველური და მცენარეული ორგანიზმებიც. ამ მხრივ, გამორჩეულ თვისებებს ზღვის ფლორა - წყალმცენარეები ავლენენ. ზღვის ზოგიერთი მიკროორგანიზმი ახდენს ამ ელემენტის აკუმულაციას თითქმის 1%-მდე. ლიტერატურული მონაცემებით არა მხოლოდ წყალმცენარეები გამოირჩევიან დარიშხანის მაღალი პროცენტული შემცველობით, არამედ ზღვის ცხოველთა ცალკეული სახეობებიც შეიცავენ ამ ელემენტს მთელი მასის $5 \cdot 10^{-7}$ % -დან ან $3 \cdot 10^{-5}$ %-მდე. ეს ფაქტი განპირობებული უნდა იყოს ზღვის წყლის შედგენილობაში დარიშხანის მაღალი შემცველობით. ასეთივე მაღალი შემცველობით გამოირჩევა დედამიწის ფაუნის ორგანიზმების შედგენილობაც, განსაკუთრებით მათი კანი და ბეწვეული საფარი. დარიშხანს შეიცავს ადამიანის ორგანიზმიც, კერძოდ, ადამიანის მასის $2 \cdot 10^{-5}$ - $3 \cdot 10^{-5}$ %-ს, თმა შეიცავს $3,6 \cdot 10^{-5}$ %-ს, ფრჩხილები $8,7 \cdot 10^{-6}$ - $4 \cdot 10^{-4}$ %-ს. [5].

რა შეიძლება ყოველივე ამის შესახებ ითქვას? ის, რომ თუ ადამიანის სიკვდილის მიზეზი იყო დარიშხანის გადაჭარბებული დოზის მიღება, რამდენიმე წლის ან თუნდაც საუკუნის შემდეგაც კი შესაძლებელია დადგინდეს გარდაცვალების მიზეზი. თუ ფრჩხილებში ან თმაში ნორმაზე მეტად გაზრდილია დარიშხანის მასური წილი - ეს დარიშხანით მოწამვლის მაჩვენებელია.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, დარიშხანი ერთ-ერთი აუცილებელი ელემენტია ცხოველთა და მცენარეთა ნორმალური განვითარებისათვის, - იგი შედის ყველა სახეობის ფლორასა და ფაუნის ქსოვილებში. იგივე ითქმის ადამიანებთან მიმართებაში. როგორც ცნობილია, დიდი დოზით დარიშხანშემცველი პრეპარატი ძლიერი საწამლაია, გარკვეული ულუფა კი იგივე პრეპარატისა ხშირად დადებითად მოქმედი ფაქტორი. „ყველაფერი სასარგებლოა, ყველაფერი - საწამლავი, საქმე დოზაა“ (ავიცენა). როგორც ირკვევა „მომაკვდინებელი“ დოზა განპირობებულია არა იმდენად პრეპარატში დარიშხანის მასური წილით, არამედ თვით პრეპარატის რაობით - მასში დარიშხანის ჟანგვის რიცხვით და იმით, თუ რომელ ელემენტთან წარმოქმნის ნაერთს. მაგალითად, თეთრი დარიშხანი (As_2O_3) სრულიად განსხვავებული ფიზიოლოგიური ქმედებით გამოირჩევა დარიშხანის სხვა ნაერთებთან შედარებით. ამ შემთხვევაში მიზეზ-შედეგობრივი კავშირის გარკვევის მიზნით, ყურადღება მახვილდება თეთრი დარიშხანის სრულიად განსხვავებულ აღნაგობაზე სხვა ბინალურ ნაერთებთან შედარებით [6-9], მაგრამ არც გეომეტრიული სტრუქტურა-აღნაგობა უნდა იყოს ამ შემთხვევაში გადამწყვეტი, რადგანაც ასეთივე (ციკლური) აღნაგობისაა დარიშხანის სხვა ქალკოგენიდე-



ბიც, მაგალითად, ბუნებრივი აურიპიგმენტი (As_4S_6), რომლის მომწამლავი უნარი თითქმის 10-ჯერ ჩამოუვარდება თეთრ დარიშხანს.

თეთრი დარიშხანი პირის ღრუში ტოვებს მოტკბო გემოს, არასასიამოვნო ლითონურ შეგრძნებას. ის პირველ რიგში, იწვევს ადგილობრივ გაღიზიანებას, ლებინებას, ტკივილს მუცლის არეში და სხვ. ორგანიზმში მისი მოხვედრისას, თუ იგი სადაშვებ ნორმას აღმატება, 1-2 საათის შემდეგ მთლიანად ირღვევა ადამიანისა და სხვა ცოცხალ არსებათა ნორმალური ცხოველქმედება: ინტენსიურად იზრდება შარდში შაქრისა და თვით სისხლის შემცველობა, იზრდება გულისცემის სიხშირე, აღზნებადობა და ა.შ. ძლიერი მოწამვლის შემთხვევაში კი მთავრდება ადამიანის სიკვდილით 60-70 საათის შემდეგ.

გამოკვლევებით დასტურდება, რომ ცოცხალ ორგანიზმებს დარიშხანის პრეპარატებთან გარკვეულწილად შეგუების უნარიც გააჩნიათ, მათ შორის, თეთრი დარიშხანის მიმართაც. დადგენილია, რომ თუ ადამიანი თანდათანობით „მიეჩვევა“ გარკვეული დოზით საწამლავის მიღებას, მისთვის დღეში 0,4 გ. თეთრი დარიშხანიც კი შეიძლება ლეტალური არ აღმოჩნდეს.

მყარ დარიშხანშემცველ პრეპარატებთან შედარებით გაცილებით ძლიერ მომწამლავ თვისებებს ავლენენ თხევადი და განსაკუთრებით, აიროვანი ნაერთები. გარდა სწრაფი, უცაბედი მოწამვლისა, რასაც განაპირობებს ცოცხალი ორგანიზმებში მიერ დასაშვებ ნორმაზე მეტი რაოდენობით დარიშხანშემცველი ნაერთის მიღება, მოწამვლა შეიძლება მოხდეს ქრონიკულადაც (თანდათანობით).



დარიშხანშემცველი ნაერთებიდან განსაკუთრებით ძლიერ ტოქსიკურებად მიჩნეულია დარიშხანორგანული ნაერთები. დამუშავებულია ნორმები-დასაშვები რაოდენობები, მაგალითად, ჰაერში დარიშხანის საშუალო შემცველობა 24 საათის განმავლობაში არ უნდა აღემატებოდეს 0,3 მგ/მ³, ხოლო სასმელად ვარგის წყალში 0,05მგ/ლ. თუ ჰაერი და წყალი აღნიშნულ ნორმებთან შედარებით მეტ დარიშხანს შეიცავს, ადამიანისა და სხვა ცოცხალი არსებების მოწამვლა გარდაუვალია.

წყლებში, ჰაერსა და ნაიადაგში დარიშხანის გაზრდილი რაოდენობის ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება იყოს საკუთრივ დარიშხანისა და დარიშხანშემცველი წიაღისეული რესურსის გადამუშვება, როგორც გამონაბოლქვი აირები, ისე წარმოების ნარჩენი ხდება წარმოების მიმდებარე ტერიტორიის ანტიპოგენური გაბინძურების საფუძველი. გარდა აღნიშნული მიზეზისა, სავარგულებად განკუთვნილ ნიადაგებში დარიშხანის შემცველობის გაზრდის საფუძველია ასევე პესტიციდების გამოყენება[10].

დარიშხანშემცველი ნაერთების ნიადაგებსა და გრუნტის წყლებში გავრცელება დიდად არის დამოკიდებული აღნიშნული ნაერთების ხსნადობაზე. რაც უფრო ადვილად ხსნადია ნაერთი, მით მეტ მანძილზე განაწილდება იგი დროის მცირე მონაკვეთში. ლითონთა არსენიტებიდან და არსენატებიდან ყველაზე დიდი წყალში ხსნადობით ტუტე ლითონთა შესაბამისი მარილები გამოირჩევიან, ასევე კარგად იხსნებიან დარიშხანმჟავა ამონიუმის მარილები. პესტიციდების სახით, უმეტესწილად, ტუტე ლითონთა არსენიტებსა და არსენატებს იყენებენ. ასეთი მარილები, გარდამავალ მეტალთა არსენატებთან შედარებით ადვილად აითვისებიან მცენარეებისა და საერთოდ, მწვანე საფარის მიერ. ფაქტია ასეთი პროდუქტების მიღება სახიფათოა ადამიანის ჯანმრთელობისათვის. ამიტომ ჩვენ მოვახდინეთ დარიშხანის წარმოების ნარჩენების ბაზაზე ახალი ფიზიოლოგიურად აქტიური კომპლექსური ნაერთის სინ-



თეზი, შემდეგი თანმიმდევრული რეაქციების მიხედვით:



სადაც M=d-მეტალეზია, X=ანიონებია (Cl^- , $1/2\text{SO}_4^{2-}$, NO_3^-)

მიღებული კოორდინაციული ნაერთები წარმოადგენენ სხვადასხვა შეფერილობის წვრილკრისტალურ ნივთიერებებს. არ იხსნებიან წყალსა და სპირტში, არც ორგანულ გამხსნელებში. დარიშხანშემცველი ნაერთების გამოყენების დიდი პერსპექტივა დაადგინეს ქართველმა მკვლევარებმა [11-12]. საქმე ისაა, რომ ცხოველთა ჰელმინთოზური დაავადება მეტად ვერაგია და მეცხოველეობას უდიდეს ზიანს აყენებს, რის გამოც დიდი მნიშვნელობა ენიჭება ანტიჰელმინთური საშუალებების შექმნას. ყველაზე ეფექტურნი ჰელმინტების წინააღმდეგ ლითონთა არსენატებია, შესაძლოა გამოყენებული იქნას ასევე ტეტრათიოარსენატებიც. კვლევა ამ მიმართულებით გრძელდება.

ყოველივე ზემოთქმულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ დარიშხანი, თავისი ბუნებით დიდად საჭირო და პრაქტიკულად ფართოდ გამოსაყენებელი ელემენტია და, ამავე დროს, უარყოფითი ზემოქმედების მქონეც. დარიშხანშემცველი ნარჩენებით ბუნების დაბინძურება უარყოფითად აისახება ფაუნაზე, ფლორაზე და, რა თქმა უნდა ადამიანებზეც. მაგრამ, მეორე მხრივ, იგივე დარიშხანშემცველი არაორგანულ და ორგანულ ნაერთებს აქვთ უდიდესი პრაქტიკული ღირებულებაც. ნათქვამის საილუსტრაციოდ საკმარისია პრეპარატი 606 (სალვარსანი), რომელმაც მილიონობით ადამიანის სიცოცხლე იხსნა. ეს პრეპარატი და მისი სახეცვლილება (ნეოსალვარსანი) დღესაც გამოიყენება ვენერიული დაავადებების საწინააღმდეგოდ.

ლიტერატურა

1. გ.მ. ჯოხაძე., თსუ შრომები. ტ. 167, გვ.161-164. 1973.
2. გ.მ. ჯოხაძე., თსუ შრომები. ტ. 219, გვ.161-164. 1986.
3. ი.პ. მოსევილი, გ.მ. ჯოხაძე., თსუ შრომები. ტ. 80, გვ.161-164. 1961.
4. გ.დ. სუპატაშვილი, ნ.ვ. ლორია, ნ.ა. ლაბარტყავა., თბილისის მეცნიერება. გვ.5-6. 1983.
5. Мышьяк и окружающая среда. Экспресс-инф. Винити. Сер. Цветная металлургия. М.;45, с.29-40. 1974.
6. Р.Д. Гигаури. Синтез и превращения органических соединений мышьяка на базе As_4O_6 . Дисс. Докт. Техн наук. Тбилиси, 1987.
7. А.Г. Гегенава, Технодогия получения кислого мышьяково-кислого олова. В кн. Достижения ветеринарной гельминтологии в практику, Тб, Сакартвело, с.81-92, 1971.
8. N. M. Grant. Toxicology of the lye Graches/by N/ Morton Grant spring field (III) Thomas V.IX,641p.1962.
9. W.D.Buchanan., Toxicity of Arsenic compounds – Elsevier Publishing co. Amsterdam; London. New-York V. VIII 155p., 1962.
10. Б.Е. Абалонин. Проблема арбузовской и ретроарбузовской реакции в ряду эфиров арсинистых кислот, их ангидридов, а также окисей сульфидов и селенидов третичных арсинов. Дисс. Докт. Химических наук. Казань, с. 278-301, 1990.
11. Достижения ветеринарной гельминотлогии в практику. Под редакцией К. С. Капанадзе, И.Г. Чубабрия, Г. И. Годердзишвили, Б.Ф. Морошкина, И.Л. Матикашвили. Тб, Сакартвело, с.214. 1971.
12. რ. გიგაური, გ. ჩაჩავა. დარიშხანი და გარემომცველი ბუნება, თსუ გამომცემლობა, გვ 44. 2004.



Protection of food products and the environment from contamination with arseniccontaining products

I.Didbaridze, M.Kandelaki

Akaki Tsereteli State University

Summary

The article discusses the distribution of arsenic in Georgia, the composition of its natural forms. It is shown that the most promising method of processing production waste is the synthesis of new coordination compounds. The interaction of arsenic compounds with fauna and flora is considered. The widespread use of arsenic compounds in medicine and veterinary medicine is shown.

It has been shown that the economic priority is to increase the range of drugs based on arsenic production waste, which in parallel contributes to the solution of environmental problems.

Модернистская кухня в ресторанах

Зоценко Л.Н., Сидина Л.П.

Киевский национальный университет культуры и искусств, Киев, Украина

В статье проанализированы рестораны молекулярной кухни, которые умело, сочетают инновационные технологии с региональной кухней, тесно заполняют первые ряды в рейтинге лучших ресторанов мира. Молекулярные рестораны уже давно открыто не позиционируют направление своей кухни как таковое, появилось множество интерпретаций этого выражения. Исследовано появление заведений авангардной, экспериментальной, провокационной, техно-эмоциональной и физической кухни.

В ресторанной индустрии кулинария получила высокий уровень развития и достигла статуса кулинарного искусства благодаря многим факторам: внедрению инновационного оборудования, использованию современных технологий, помогающих достичь желаемых текстур и вкусов, высокого интеллектуального уровня личности и общества. Одним из направлений современного кулинарного искусства является - молекулярная кухня [2].

Суть молекулярной кулинарии заключается в том, что в процессе приготовления блюд используются новейшие технологии и достижения молекулярной химии, которые дают возможность получить блюда необычной консистенции и оригинальных вкусовых качеств.

Молекулярная кухня рассматривает продукты питания как сочетание молекул с определенными физическими и химическими свойствами. Повара разделяют продукты на молекулы и меняют их свойства, в результате чего появляются абсолютно новые по форме и консистенции блюда с необычными вкусами.

Молекулярная кухня использует несколько основных направлений технологий, включая сферификацию, Sous-vide, термомиксинг, аромакухню, деструктивную кухню (центрифугирование и пакоджеттинг), глубокое замораживание, использование жидкого азота, метод Gruzcook, Gookvac [1].

Например, при использовании метода Sous-vide, вода переносит тепло к продуктам и через продукты находящиеся в вакууме в 10 раз более эффективно, чем это делает воздух, соответственно продукты подвергаются мягкой обработке и готовятся именно при той температуре, которая необходима. Стейк, например, будет готовиться при температуре 56.5°C, в результате чего будет средней прожарки и идеален как внутри, так и снаружи [5].

Вакуумирование продуктов питания в полимерных пакетах значительно способствует сохранению всех полезных свойств продукта. При вакуумировании из упаковки удаляется кислород, который может повлечь реакции окисления (изменения в структуре молекул) или денатурацию (потерю биологической ценности белков) многих компонентов пищевого продукта.



Следовательно, приготовление в вакууме, позволяет поддерживать многие микроэлементы продукта в неизменном состоянии как в питательном смысле (витамины, белки, углеводы и жиры), так и в органолептическом (вкус и аромат). Вакуумный метод предохраняет пищу от органолептических изменений, которые могут произойти при традиционной тепловой обработке, и при воздействии высоких температур, которые влияют, прежде всего, на цвет, запах, вкус, вес и удобоваримость пищевого продукта.

Кроме того, данная практика, предполагает большее единообразие приготовления и большую гигиеническую безопасность в течение процесса хранения продукта.

Данные технологии позволяют при сочетании определенных продуктов питания, не меняя вкус продукта, получить при этом определенную текстуру или форму. Или же, наоборот, изменив традиционный вкус продукта - подавать его в совершенно ином варианте, т.е. нанокухня - это кулинарное искусство и повару в заведении придется углубиться в детальное изучение молекулярной кухни, провести несколько десятков экспериментов, чтобы гости получали не только Way-эффект при подаче блюд, но и настоящее гастрономическое удовольствие, т.е. привычную еду, приготовить необычным способом [2].

Такая технология достигается с помощью различных физико - химических реакций, при этом удивляя гостя. Ни полезные свойства, ни вкусовые качества у блюда при этом не меняются. Сегодня, в отдельных ресторанах входят в моду молекулярные сетки, которые предлагают холодные закуски, супы, основные блюда, десерты, соусы с необычной подачей традиционного меню.

Например, украинский борщ можно подавать в виде воздушной пены, пюре из овощей - в виде спагетти, а соус к мясу - в виде пузырька. При этом вкус блюда не меняется, борщ так и остается борщом, пюре - пюре, а соус - соусом.

Также, можно назвать молекулярным подходом к традиционному салату "Капрезе" с моцареллой и томатами, которые подаются в трех состояниях - вяленые в виде чипсов, натуральные, и томатное пюре в виде пузырьков.

Одна из самых интересных технологий в молекулярной кухне – создание псевдоикры путем технологии сферификации. Икру можно сделать из любого соуса, смешав его с кальцием, и с альгинатом, при этом соевый соус трансформируется в бронзовые икринки. "Черные икринки" - это бальзамический уксус, доведенный до такого состояния с помощью альгината, консистенция у пузырьков такая же, как у икры, а вкус бальзамического уксуса сохраняется.

Еще одна технология – эмульсификация - позволяет превращать любой продукт питания в воздушную пену. Для этого вначале его замораживают, измельчают и, закачивая в получившуюся массу инертный газ, взбивают. Желтая пена - это оливковое масло, которое получилось в таком виде из-за добавления соевого лецитина, с помощью которого в пену можно превратить даже бородинский хлеб.

Сегодня отдельные заведения представляют несколько вариантов меню, в одном из которых представлены традиционные национальные блюда, а в другом – современные интерпретации популярных рецептов, основанные на технологиях молекулярной кухни [3].

В одном из ресторанов блюдо из дунайской сельди и фермерских овощей подают в виде многослойного мусса, где просматриваются продукты, из каких он приготовлен, попробовав это блюдо, можно определить вкус «Сельди под шубой».

Подают с элементами молекулярной кухни и традиционные блюда, такие как «Греческий салат», где маслины попадают в тарелку гостя в виде черного порошка, напоминающего грунт. Для этого оливки высушивают и измельчают. Повар может придать этому порошку и форму настоящих маслин. Для этого он их перерабатывает в пюре и, опять же с помощью химических реакций, формирует. В итоге получаются средиземноморские плоды, только с более ярко



выраженным вкусом.

Нашли свой подход гастрономические химики и к стейку. Так, по законам молекулярной кухни, его следует поместить в вакуумный пакет, откачать воздух, после чего томить при температуре 60 градусов. В результате мясо получается идеально замаринованным и в меру прожаренным. Эта технология называется sous-vide. Она предполагает приготовление пищи в запаянных вакуумных пакетах при низкой температуре, что позволяет сохранить все полезные питательные вещества [1].

Отдельная тема о технологии с азотом. Его используют как для быстрой заморозки (мороженое можно приготовить за 2-3 минуты), так и ради Way-эффекта, а для создания более густой дымки в азот добавляют сухой лед.

Для соблюдения четких температурных режимов, термообработки продуктов, заведениям необходимо иметь специальное оборудование, Сейчас большинство ресторанов используют оборудование, отличающее от традиционных методов приготовления блюд: термомиксинг, испаритель, сифоны, преобразующие продукты питания в пену, центрифугу, пакоджеттинг, стефан гриль, термостат су вид.

Молекулярная кухня сегодня находится в начале своего развития. Технологии молекулярной кухни в подаче используют многие повара мира, такой подход позволяет придать блюду необычный вид, не меняя структуру привычных для гостя продуктов.

Постепенно молекулярная кухня проникает в высокую кухню многих стран мира. Знаменитые повара начинают претворять в жизнь идеи, методы и технологии своего идеолога Феррана Адриа, хотя бы в отдельных блюдах. Ведь высокая кухня - это шоу, и привыкшие ко всему гости ресторанов ждут от поваров ярких зрелищ.

Больше знаний о химических и физических свойствах продуктов, процессов, реакций - вот главный постулат нового направления. Кто больше знает о химических и физических процессах во время приготовления блюд, тот может ими и лучше управлять. Это значит, что вооружившись знаниями, повар будет заказывать лучшие продукты питания, бережнее обрабатывать компоненты, и, как результат, вкуснее готовить [4].

Выводы. Благодаря стараниям Феррана Адриа и его последователей молекулярная кухня стала синонимом нетрадиционным методам приготовления пищи. Однако любое приготовление блюд методом варки и жарки изменяет физическое и химическое состояние компонентов на молекулярном уровне. Поэтому, сторонники молекулярной кухни утверждают, что каждое приготовление блюд происходит на молекулярном уровне. Так что молекулярная кухня – повсюду.

Литература

1. Барэм П. Кулинарная наука/ П. Барэм. – М.: Scribner, 2001. – 359 с.
2. Мирхвольд Н. Модернистская кухня: искусство и наука готовки / Н. Мирхвольд. – М.: TheCookingLab, 2011. – 2438 с.
3. Lister T., Blumenthal H. Kitchen Chemistry/ T. Lister, H. Blumenthal – М.: Royal Society of Chemistry, 2004. – 139 с.
4. Блюменталь Х. Наука кулинарии или молекулярная гастрономия/ Х. Блюменталь – М.: Самиздат, 2004. – 48 с.
5. Herve T. Molecular Gastronomy/T. Herve – М.: Columbia University Press, 2006. – 392 с.

MODERNIST CUISINE IN RESTAURANTS

L. Zotsenko , L. Sidyna

National University of Culture and Arts. Kiev, Ukraine

Summary

Molecular cuisine is only at the beginning of its development. Yes, they talk about her, but more often as a show of chemical reactions on the kitchen table. In fact, we are talking about a global approach to cooking, for example, about the right temperatures for heat treatment of products. Today, experts know much more than 20 years ago how to fry meat. Based on this knowledge, new materials for kitchen and appliances are being developed.



სოიოს, როგორც მწვანე სასუქის გავლენა ახალგაზრდა ჩაის ბუჩქის ზრდაზე იმერეთის (ვანი, ფერეთა) პირობებში

თაბაგარი მ., უგულავა ვ., კაპანაძე შ.
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ანოტაცია: ნაშრომში მოცემულია იმერეთის, კერძოდ ვანის რაიონის სოფ. ფერეთაში გაშენებულ ახალგაზრდა ჩაის პლანტაციებში ჩატარებული კვლევის შედეგები, რომლებმაც აჩვენა, რომ ჩაის კარგი ნაზარდისა და მაღალი მოსავლის მისაღებად საჭიროა მწვანე სასუქის გამოყენება ჩაის მწკრივთაშორისებში როგორც ერთწლიან, ისე სამწლიან და ოთხწლიან პლანტაციებში. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მნიშვნელოვანია სოიოს თესვის წესების გათვალისწინება ჩაის მწკრივთაშორისებში, ანუ ჩაის ასაკის მატებასთან ერთად უნდა იყოს გაზრდილი სოიოს თესვის დაშორება ფესვის ყელიდან.

ჩაი დედამიწის კონტინენტზე საყოველთაოდ ცნობილი მცენარეა. აღიარება გამოწვეულია უმთავრესად მისი სასმელი ღირებულების გამო. ყველასათვის ცნობილი არ არის, რომ ჩაის მცენარის კულტურის მნიშვნელობა მხოლოდ ამით არ ამოიწურება და მის პროდუქტებს სხვა გამოყენებაც აქვს სახალხო მეურნეობაში. ჩაის კულტურის ძირითადი მიზანი მაინც მისგან ნაზი ყლორტებისა და ფოთლების მიღებაა.

ლიტერატურაში ცნობილია ამ ძვირფასი კულტურის აგროტექნიკა, მაგრამ დღემდე ნაკლებადაა გაშუქებული სოიოს, როგორც მწვანე სასუქის გავლენა ჩაის ზრდა-განვითარებაზე. აღნიშნული საკითხის შესწავლას ვაწარმოებდით ვანის რაიონის სოფ. ფერეთაში გაშენებულ ჩაის პლანტაციებში, სადაც მიმდინარეობს ჩაის ძველი ნარგაობების აღდგენა რეაბილიტაცია და ახალი პლანტაციების გაშენება. მოცემული საკითხი შესწავლებოდა 2016-2019 წლებში.

ჩაის მოსავლიანობის გადიდებაში სოიოს ეფექტიანობის შესწავლის მიზნით, იმისათვის, რომ არ დაზიანებულიყო ჩაის ფესვები, თესვა ჩატარებული იქნა ერთწლიანი პლანტაციების მწკრივთაშორისებში 15 და 25 სმ მანძილზე ფესვის ყელიდან, ხოლო სამწლიან პლანტაციებში 25 და 35 სმ მანძილზე, ვინაიდან ერთწლიან ასაკში ფესვები არ გადის 25 სმ-ზე შორს, ხოლო სამწლიან ასაკში – 35 სმ-ზე შორს. შესადარებლად საკონტროლოდ აღებული იქნა მწკრივთაშორისების გადაბარვა სოიოს დაუთესავად და გადაუბარავად დატოვება. სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში შესწავლილი იქნა ჩაის ზრდის ცვლილებები სიმაღლეში, მთელი მცენარის ნაზარდი, ფოთლის ზედაპირის ცვლილება და ფოთლების წონა. ძირითადად თესვა ჩატარებული იქნა ივლისის ბოლოს და აგვისტოში.

სოიოს დათესვისას, თუნდაც მწვანე სასუქად და არა სათესლედ, დამატებით შევიტანეთ აზოტოვანი, კალიუმისა და ფოსფორის სასუქები ნიადაგის სათესად მომზადების პერიოდში, ხოლო აზოტი დამატებით იქნა მიცემული ორი სამყურა ფოთლის წარმოქმნის პერიოდში.

ჩატარებული ექსპერიმენტული მუშაობის შედეგად მიღებული იქნა შემდეგი მონაცემები:

სოიოს მწვანე სასუქის სახით ჩახვნისას ერთწლიანი და სამწლიანი ჩაის პლანტაციების მწკრივთაშორისებში აღნიშნულია ძირითადი ყლირტის ზრდა. მთელი მცენარის ნაზარდი და მწვანე ფოთლის მოსავალი გაცილებით მეტია, ვიდრე საკონტროლოზე.

როგორც ცხრილიდან ჩანს, სოიოს დათესვისას დამატებითი კვებით მწვანე სასუქად



მწკრივთაშორისებში 15 სმ მანძილზე ჩაის ფესვის ყელიდან, სოიოს ჩახვნის დროს ჩაის ძირითადი ყლორტები სიმაღლეში იზრდება 18,5 სმ; იმავე პირობებში, მაგრამ დამატებითი კვების გარეშე – 15,2 სმ. სოიოს დათესვისას 25 სმ მანძილზე ჩაის ფესვის ყელიდან დამატებითი კვებით, მწვანე მასის ჩახვნისას ძირითადი ყლორტის ზრდა სიმაღლეში 26,3 სმ–ია; იმავე პირობებში, მაგრამ დამატებითი კვების გარეშე – 17,4 სმ. ასეთივე კანონზომიერება დაფიქსირდა სხვა მაჩვენებლების, კერძოდ, მთელი მცენარის ნაზარდისა და ფოთლების წონის მიხედვით.

ცხრილი 1. მწვანე სასუქის გავლენა ჩაის მოსავლიანობაზე

შესრულებული სამუშაოები (ვარიანტები)	ნაზარდი სიმაღლეში სვეტეტაციო პერიოდის განმავლობაში სვეტეტაციო პერიოდის განმავლობაში	მთლიანად მცენარის ნაზარდი სვეტეტაციო პერიოდის განმავლობაში	ერთი მცენარის ფოთლების რაოდენობა ცალით	ერთი ფოთლის წონა, გრ.	ერთი მცენარის ფოთლების წონა, გრ.
ერთი წლის განმავლობაში ჩაის აღმოცენებიდან					
1. მწვანე სასუქის გამოყენება სოიოს დათესვისას 15 სმ მანძილზე ჩაის ფესვის ყელიდან					
ა) სოიოს დამატებითი კვებისას	18,5	21,6	25	0,22	5,50
ბ) სოიოს დამატებითი კვების გარეშე	15,2	17,5	23	0,18	4,14
2. მწვანე სასუქის გამოყენება სოიოს დათესვისას 25 სმ მანძილზე ჩაის ფესვის ყელიდან					
ა) სოიოს დამატებითი კვებისას	26,3	26,3	39	0,28	10,9
ბ) სოიოს დამატებითი კვების გარეშე	17,4	22,1	31	0,23	7,13
სამი წლის შემდეგ ჩაის აღმოცენებიდან					
1. მწვანე სასუქის გამოყენება სოიოს დათესვისას 25 სმ მანძილზე ჩაის ფესვის ყელიდან					
ა) სოიოს დამატებითი კვებისას	35,5	85,5	49	0,48	23,52
ბ) სოიოს დამატებითი კვების გარეშე	30,2	71,4	38	0,41	15,58
2. მწვანე სასუქის გამოყენება სოიოს დათესვისას 35 სმ მანძილზე ჩაის ფესვის ყელიდან					
ა) სოიოს დამატებითი კვებისას	48,5	135,5	125	0,52	65
ბ) სოიოს დამატებითი კვების გარეშე	39,8	99,5	103	0,48	49,4
3. ჩაის გადაბარვა და დამატებითი კვება სასუქის გარეშე	36,7	82,1	82	0,43	33,26
4. ჩაის გადაბარვა დამატებითი კვების გარეშე	34,9	79,1	81	0,41	33,21
5. გადაბარვის და დამატებითი კვების გარეშე	31,5	72,8	50	0,35	17,5

სამწლიან პლანტაციებში ყველა ეს მაჩვენებლები იცვლებიან ისევე, როგორც ერთწლიან პლანტაციებში.

მწვანე სასუქის გამოყენებისას სამწლიან პლანტაციაში ფესვის ყელიდან 25 სმ მანძილზე და სოიოს დამატებითი კვებისას ვეგეტაციის პერიოდში, ძირითადი ყლორტის ზრდა სიმაღლეში, ძირითადი ყლორტის ზრდა სიმაღლეში აღწევს 35 სმ. დამატებითი კვების გარეშე –



30,2 სმ. სოიოს დათესვისას 35 სმ მანძილზე ჩაის ფესვის ყელიდან და დამატებითი კვებისას აზოტით, ჩაის ძირითადი ყლორტის ზრდა სიმძლავლეში შეადგენს 48,5 სმ, ხოლო სოიოს დამატებითი კვების გარეშე – 39,8 სმ და გადაბარვის გარეშე – 31,5 სმ.

ასეთივე კანონზომიერებაა სხვა მჩვენებლების მიხედვითაც. მაგალითად ერთი მცენარის ფოთლების წონა მწვანე სასუქისა და სოიოს დამატებითი კვების გამოყენებისას შეადგენს 65 გრამს, ხოლო აზოტით სოიოს დამატებითი კვების გარეშე – 49,4 გრ და გადაბარვის გარეშე – 17,5 გრ.

როგორც ავლნიშნეთ, ჩაის კარგი ნაზარდისა და მაღალი მოსავლის მისაღებად საჭიროა მწვანე სასუქის გამოყენება ჩაის მწკრივთაშორისებში როგორც ერთწლიან, ისე სამწლიან და ოთხწლიან პლანტაციებში. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მნიშვნელოვანია სოიოს თესვის წესების გათვალისწინება ჩაის მწკრივთაშორისებში, ანუ ჩაის ასაკის მატებასთან ერთად უნდა იყოს გაზრდილი სოიოს თესვის დამორება ფესვის ყელიდან. ჩაის ერთ მწკრივთაშორისში უნდა ითესებოდეს 3-4 მწკრივი სოიო 30-35 სმ მწკრივთაშორისით.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია სოიოს თესვა მწვანე სასუქად ჩაის მწკრივთაშორისებში ერთწლიან და უფრო ხნიერ პლანტაციებში, მაგრამ ყოველი შემდგომი წლიდან საჭიროა სულ უფრო ვშორდებოდეთ ჩაის მცენარის ფესვის ყელს, იმისათვის რომ არ დაზიანდეს ჩაის ფესვები.

ჩაის ერთწლიან პლანტაციებში სოიო შეიძლება დაითესოს მწკრივთაშორისებში ფესვის ყელიდან 20-25 სმ დაშორებით; ორ და სამწლიან პლანტაციებში უნდა დავშორდეთ ფესვის ყელს 30-35 სმ-ით. თესვა უნდა ჩატარდეს აგვისტოში და უნდა ჩაიხნას – ოქტომბერში.

ლიტერატურა

1. ჩხაიძე გ. კოპალიანი რ. მიქელაძე ა. უგულავა ვ. მეჩაიეობა ქუთაისი 2013 წ.
2. ჯაბნიძე რ. – ჩაი და ციტრუსები. თბილისი. 2004წ.
3. კოპალიანი რ. – ჩაის კულტურის რეაბილიტაციის მეცნიერული საფუძვლები საქართველოში. თბილისი. 2003წ.

Influence of soybean as green fertilizer on growth of young tea bushes in Imereti (Vani, Ferrets)

M. Tabagary, V.Ugulava, Sh. Kapanadze

Akaki Tsereteli State University

Summary

The work presents the village of Imereti, in particular Vani district. Results of a research conducted on a young tea plantation in Ferretia, Which has shown that to grow a good tea plant and to obtain a high crop, green fertilizer is needed Intermediate teas in both one, three and four year plantations. But it should be noted that it is important to take into account the rules for soybean seed in tea strips, That is to say, as the tea age increases, the distance from the root of the tea plant to the soybean seed should be increased.



ბოცვერი - სრულფასოვანი ხორცის პერსპექტიული წყარო

თავდიდიშვილი დ., ხუციძე ც., ფხაკაძე მ.
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მებოცვერობა მეცხოველეობის ერთ-ერთი პერსპექტიული დარგია, განსაკუთრებით საქართველოში პირუტყვის სულადობის შემცირებისა და სამამულო ხორცის ნედლეულის მკვეთრი დეფიციტის ფონზე. ბოცვერი გამოირჩევა მრავალნაყოფიერებით, მალმწიფადობით, ხოლო მისი ხორცი - კარგად შეითვისება და დადებით ფიზიოლოგიურ გავლენას ახდენს ორგანიზმზე. წარმოდგენილია ბოცვერის ჯიშების კლასიფიკაცია, განხილულია ბოცვერის ხორცის სასარგებლო თვისებები, მოთხოვნები ნაკლავის დამუშავების, შენახვის და ხარისხისადმი.

საქართველოს მეცხოველეობის მთავარი დარგებია მესაქონლეობა, მეღორეობა, მეცხვარეობა და მეფრინველეობა. მაგრამ ქვეყნის დღევანდელი ცხოვრების რეალობას წარმოადგენს პირუტყვის სულადობის შემცირება, ხორცის მკვეთრი დეფიციტი და უახლოეს წლებში მისი აღმოფხვრის პრობლემა. გაიზარდა ხორცის იმპორტი. სამომხმარებლო ბაზარი გაჯერებულია უცხოეთიდან შემოტანილი გაყინული ხორცი და მისგან დამზადებული ხორცპროდუქტებით.

ამიტომ მეტად აქტუალურია სამამულო ხორცის პროდუქტების წარმოებისათვის ალტერნატიული წყაროების ძიება.

სრულფასოვანი ხორცის მისაწვდომ და პერსპექტიულ რეზერვად გვესახება ბოცვერის ხორცი.

სხვა სასოფლო-სამეურნეო ცხოველებისაგან განსხვავებით ბოცვერი გამოირჩევა მრავალნაყოფიერებით, მალმწიფადობით და მისგან დამზადებული პროდუქციის გამოყენების ფართო შესაძლებლობებით. ბოცვერის გაშენება არ მოითხოვს დიდ დანახარჯებს კაპიტალურ მშენებლობაზე, ენერგომატარებლებზე და ადამიანურ რესურსებზე. წლის განმავლობაში დედალი ბოცვიდან საშუალოდ 100 კგ-მდე ხორცი და 55 ცალის ოდენობით საქურქე ნედლეული მიიღება.

ამას გარდა, ბოცვერის ხორცის გამოყენება კვების პროდუქტების წარმოებაში განპირობებულია ადვილად შესათვისებელი ცილის მაღალი შემცველობით, კარგად ბალანსირებული ამინომჟავური შედგენილობით, ცხიმის ზომიერი, ხოლო მინერალური ნივთიერებებისა და ვიტამინების მნიშვნელოვანი შემცველობით, დაბალი კალორიულობით და მაღალი ორგანო-ლეპტიკური მაჩვენებლებით.

მებოცვერობა - მეცხოველეობის ერთ-ერთი უძველესი დარგია. ცნობილია, რომ დაახლოებით 2000 წლის წინ ძველი რომაელები ეწეოდნენ ბოცვერის გაშენებას. მოგვიანებით მებოცვერობა განვითარდა ხმელთაშუა ზღვის აუზის სხვა ქვეყნებში, ხოლო შემდეგ ინგლისში, ბელგიაში, გერმანიაში და აზიის კონტინენტზე. საქართველოში ბოცვერი პირველად მოიხსენიება XI ს-ის დასაწყისში.

მებოცვერობის განვითარება ჩვენს ქვეყანაში XX საუკუნის 60-იანი წლებიდან იწყება, როდესაც პირველად იქნა ჩამოყალიბებული ბებნისის, კუმისის, დედოფლისწყაროს, თეთრი-



წყაროს, მარტყოფისა და მარაბდის მეზოცვრობის ფერმები. გაშენებული იყო ნაცრისფერი გოლიათის, თეთრი გოლიათის და შინშილას ჯიშის ბოცვრები. დღესდღეობით სამამულო ბაზარზე ბოცვრის ხორცი ძალიან მცირე რაოდენობითაა, თანაც ჭარბობს უცხოეთიდან შემოტანილი პროდუქცია, მაშინ, როცა ქვეყანაში ყველა პირობა არსებობს მეზოცვრობის ინტენსიური განვითარებისა და დიდი მოცულობით ბოცვრის ხორცის წარმოებისთვის.

ბოლო წლების მონაცემებით მსოფლიოში იწარმოება 1 მლნ ტ-ზე მეტი ბოცვრის ხორცი, ამასთან ხორცის 70 %-ს აწარმოებს ჩინეთი, იტალია, საფრანგეთი, ესპანეთი.

მეცნიერთა გაანგარიშებით ერთ ადამიანზე ბოცვრის ხორცის წილი ხორცის მოხმარების საერთო მოცულობაში უნდა იყოს არა ნაკლებ 5%, ანუ დაახლოებით 2 კგ წელიწადში.

მსოფლიოში არსებობს ბოცვრის 70-ზე მეტი ჯიში. ბოცვერს სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა მიზნით აშენებენ. ევროპაში და აზიაში ეს შედარებით იაფი მაღალხარისხოვანი დიეტური ხორცია. ამერიკაში ბოცვერს ძირითადად აშენებენ არასასურსათო მიზნით - ბეწვი, სამედიცინო კვლევები, დეკორატიული ცხოველი.

ბოცვრის ჯიშების კლასიფიკაცია ხდება სხვადასხვა ნიშნის მიხედვით: მისგან მიღებული პროდუქციის სახეობის, ცხოველის ზომის და ბეწვის სიგრძის მიხედვით. მიღებული პროდუქციის სახეობის მიხედვით ანსხვავებენ: სახორცე, სახორცე-საქურქე, სათივითიკე და დეკორატიული ჯიშის ბოცვრებს.

სახორცე ჯიშის ბოცვერი ხასიათდება ხორცის მაღალი გამოსავლიანობით, სწრაფად იზრდება და აქვს კარგად განვითარებული კუნთოვანი ქსოვილი. ეს ჯიშებია: ახალზელანდიური წითელი, ახალზელანდიური თეთრი, კალიფორნიული, თეთრი გოლიათი, ნაცრისფერი გოლიათი, ბელგიური გოლიათი, იგივე ფლანდრი, ვენური ცისფერი, საბჭოთა ვერცხლისფერი, საბჭოთა შინშილა და სხვ. მათ შორის მსოფლიოში ყველაზე გავრცელებული და მაღალპროდუქტიულია სპეციალიზირებული სახორცე ჯიშები ახალზელანდიური და კალიფორნიული, რომლებიც ხშირად გამოიყენება ბროილერების წარმოებისთვის. ჩამოთვლილი სახორცე ჯიშებიდან მეწარმეებისათვის ყველაზე მომგებინია: ახალზელანდიური წითელი, ახალზელანდიური თეთრი, ვენური ცისფერი და საბჭოთა ვერცხლისფერი, რადგან ხორცის მაღალ გამოსავალთან ერთად აქვთ ხარისხიანი ბეწვი. ზოგიერთი მათგანი კი მიეკუთვნება სახორცე-საქურქე ჯიშსაც.

სახორცე-საქურქე ჯიშები გამოირჩევა დიეტური ხორცით და მაღალი ხარისხის ტყავით. ამ ჯიშის ბოცვრებია: საბჭოთა შინშილა, თეთრი გოლიათი, ნაცრისფერი გოლიათი, ვენური ცისფერი, ვერცხლისფერი, პეპელა, შავ-რუხი ბოცვერი.

სათივითიკე ჯიშები გამოირჩევა მაღალი საბეწვე პროდუქტიულობით, ხოლო ხორცი და ტყავი მათთვის წარმოების მეორადი პროდუქტებია, ეს ჯიშებია: თეთრი ბუმბულა და ანგორის.

დეკორატიული ბოცვრის ჯიშებია: იაპონური, ნიდერლანდური ჯუჯა, ჰიმალაური და პოლონური. ჩვეულებრივ ისინი გამოიყენება შინაური ცხოველების სახით.

ზომის მიხედვით ბოცვერი შეიძლება იყოს: დიდი - 5-7 კგ მასის ბოცვრები (ჯიშები: ვერცხლისფერი, თეთრი და ნაცრისფერი გოლიათები, შინშილა, გერმანული ნაცრისფერი, გოლიათი ფლანდრი, შავი-მურა); საშუალო - 4-5 კგ მასის ბოცვრები (ვენური ცისფერი, ამერიკული შინშილა, პოლომინო, დიდი შინშილა, კალიფორნიული); პატარა - 3-4 კგ მასის პატარა ბოცვრები (არლეკინი, ინგლისური ლაქებიანი, პატარა შინშილა, ანგორის, თერი ბუმბულა).



ლის, ალიასკა); ჯუჯა. სუფთა ჯიშის და ბოცვის პატარა ჯიშებთან შერეული ჰკგ-მდე მასის ბოცვერი (ჰიმალაური, ჯუჯა რექსი, ანგორის, ჯუჯა ჯიშები).

ბეწვის საფარის სიგრძის მიხედვით განასხვავებენ ბოცვის შემდეგ ჯიშებს: ნორმა-ლურბეწვიანი - ბოცვის ჯიშები 2-4 სმ სიგრძის ბეწვის საფარით (მათ შეიძლება მივაკუთ-ნოთ ჯიშების უმრავლესობა, მაგალითად, შინშილას ჯიშები, ვერცხლისფერი, ვენური თეთ-რი, ატლასის); მოკლებეწვიანი (ან როგორც მათ ეძახიან სხვა სახის ცხოველებშიც - რექსი) - ბოცვის ჯიშები 2 -2,5 სმ სიგრძის ბეწვის საფარით; გრძელბეწვიანი - ბოცვის ამ ჯიშს აქვს 6 სმ-ზე მეტი სიგრძის ბეწვი (თეთრი ღუნდლის, ანგორის ღუნდლის) [2].

სავაჭრო ქსელსა და საზოგადოებრივი კვების საწარმოებს ბოცვის ხორცი მიეწოდება ნაკლავის (გამოშიგნული ნაკლავი და გამოშიგნული ნაკლავი შიგნულითა და კისრით) და ნაკლავის ნაწილების სახით: ნახევარნაკლავი, ნახევარნაკლავის წინა და უკანა ნაწილები, მკერდის, ბეჭისა და მხრის, წელის, წელ-გავის, თეძო-ბარძაყის და ბარკლების სახით. ნაკლავი უნდა იყოს სისხლგაცლილი სისხლის ჩამონადენების და ტყავის ნარჩენების გარეშე.

ახლადდაკლული ბოცვის ხორცის გამოყენება შეიძლება მხოლოდ მისი „მომწიფე-ბის“ შემდეგ, რასაც სჭირდება 9-10 სთ გრილ სათავსოში.

კუნთის სიღრმეში ტემპერატურის მიხედვით ანხვავებენ შემდეგი სახის ბოცვის ხორცს: სიცივით დამუშავებაგავლილი ახლადდაკლული ხორცი, რომლის ტემპერატურა ნე-ბისმიერი კუნთის სიღრმეში არ უნდა აღემატებოდეს -1,5-დან +4 °C-მდე, გაყინული ხორცი, რომლის ტემპერატურა კუნთის სიღრმეში არ უნდა აღემატებოდეს -8°C ტემპერატურას.

დამუშავებული ბოცვის ნაკლავის მასა გაცივებულ მდგომარეობაში უნდა იყოს არა ნაკლებ 1,1 კგ. ხოლო ბროილერის ბოცვის ნაკლავი (80 დღემდე ასაკის) - 0,8-დან 1,6კგ-მდე.

ნაკვებობისა და დამუშავების ხარისხის მიხედვით ბოცვის ნაკლავი იყოფა I და II ხარისხებად. I ხარისხის ხორცს უნდა ჰქონდეს კარგად განვითარებული კუნთოვანი ქსოვილი, მინდაოსა და ფენტოზე - ცხიმის დაგროვება, თირკმელები - ნახევრად დაფარული ცხიმით, ზურ-გის მალეების მახვილი წანაზარდები არ უნდა იყოს ამოშვერილი, II ხარისხის ხორცს უნდა ჰქონდეს საკმარისად განვითარებულია კუნთოვანი ქსოვილი, ცხიმის უმნიშვნელო დაგროვე-ბა კვალი მინდაოზე, ფენტოში და თირკმელებზე. ზურგის მალეების მახვილი წანაზარდები - ოდნავ ამოშვერილი.

მორფოლოგიური თვალსაზრისით ხორცი წარმოადგენს რთულ კომპლექსს, რომლის შემადგენლობაში შედის კუნთოვანი, ცხიმოვანი, ძვლოვანი და შემაერთებული ქსოვილი. ყვე-ლაზე დიდი რაოდენობითაა კუნთოვანი ქსოვილი (70 %-მდე), შემდეგ ძვლოვანი ქსოვილი (16%-მდე), შემაერთებული ქსოვილი (9%-მდე) და ცხიმოვანი ქსოვილი (6%-მდე) [2].

კვებითი თვალსაზრისით ხორცში ყველაზე ღირებულია კუნთოვანი ქსოვილი, მისი რაოდენობა დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნე-ლოვანია ასაკი და ცხოველის ნაკვებობა. შემაერთებული ქსოვილი, რომელიც განაპირობებს ხორცის სიმარეს, ბოცვის ხორცში უმნიშვნელო რაოდენობითაა, ამიტომ ბოცვის ხორცი წვნიანი და ნაზია [1,2,3].

დიეტურ კვებაში ყველაზე უფრო მისაღებია 60 დღემდე ასაკის ბოცვის ხორცი, ვინაი-დან ასაკის მატებასთან ერთად ხდება კუნთოვანი ქსოვილის გაჯერება ცხიმით, რაც აქვეი-თებს მის ხარისხს.

ბოცვის სახორცე პროდუქტიულობა დამოკიდებულია მათ ასაკზე და ჯიშზე. ასაკის



მატებასთან ერთად იზრდება ბოცვის ცოცხალი წონა და ნაკლავის წონა, ასევე, ხორცის გამოსავალი [1,2,3].

ყველაზე მეტი რაოდენობით ხორცს შეიცავს წელ-გავის ნაწილი, შემდეგ თემო-ბარძაყის, კისერ-მკერდის და ბეჭის და მხრის ნაწილები. ამასთან დაკავშირებით არსებობს ცოცხალი ბოცვის ხორციანობის განსაზღვრის მეთოდი ცოცხალი წონისა და წელის სიგანის მიხედვით. რაც უფრო მეტია ცოცხალი წონა და წელის სიგანე, მით უფრო მეტია ხორცის გამოსავალი.

ჩვენს მიერ შესწავლილია საქართველოში გაშენებული ბოცვის შემდეგი ჯიშების - ვენური ცისფერის, შინშილას, ახალზელანდიური თეთრის და კალიფორნიულის - დაკვლის შედეგად მიღებული პროდუქტების ხვედრითი წილი, ბოცვის ნაკლავის ცალკეული ნაწილების გამოსავლიანობა და მორფოლოგიური შედგენილობა, ანატომიური ნაწილების ხორციანობის ინდექსი, ხორცის ტექნოლოგიური და ფიზიკურ-ქიმიური თვისებები, ხორცის ქიმიური შედგენილობა, ბიოლოგიური, კვებითი ღირებულება და კალორიულობა, ფარშის ფუნქციონალურ-ტექნოლოგიური თვისებები და სამაცივრო შენახვის დროს მიმდინარე პროცესები [4,5,6,7].

დავადგინეთ, რომ გამოსაკვლევ ბოცვის ხორცში ცილების შემცველობა შეადგენს 19,1-21,1%, ცხიმების - 7,1-8,7%, ენერგეტიკული ღირებულება ტოლია 128,5-160,8 კკალ; ის შეიცავს შეუცვლელი ამინომჟავების სრულ ნაკრებს და არ გააჩნია ლიმიტირებული ამინომჟავები. ცილის, მთელი რიგი მინერალური ნივთიერებისა და ვიტამინების მხრივ 100 გ ბოცვის ხორცი მნიშვნელოვნად აკმაყოფილებს მათზე ადამიანის დღიურ მოთხოვნებს.

ამრიგად, ლიტერატურაში არსებული და ჩვენს მიერ მიღებული მონაცემები მეტყველებს, რომ ბოცვის ხორცი შეიძლება ჩაითვალოს სრულფასოვანი ხორცის პერსპექტიულ წყაროდ. მისი გამოყენება ხელს შეუწყობს უსაფრთხო, კონკურენტუნარიანი, ორგანიზმისათვის სასარგებლო ჯანსაღი საკვები პროდუქტების წარმოებას და გაფართოებს სამამულო ხორცპროდუქტების, მათ შორის, დიეტური და სამკურნალო-პროფილაქტიკური დანიშნულების ნაწარმის ასორტიმენტს.

ლიტერატურა

1. Александров С. Н., Косова Т. И. Кролики: Разведение, выращивание, кормление. АСТ, Сталкер; Москва; 2004. ISBN 966-696-643-3
2. Житникова Ю. Ж 74 Кролики: породы, разведение, содержание, уход/Серия «Подворье». —Ростов н/Д: «Феникс». 2004. — 256 с. ISBN 5-222-05603-1.
3. Улихина Л. И. Справочник кролиководы от А до Я. Москва, Россия: Аквариум-Принт, 2009. 256 с. ISBN: 978-5-9934-0221-5.
4. Tavdidishvili, D., Khutsidze, T., Tsagareishvili, D. 2018. A study of the quality and biological value of meat of different breeds of rabbit bread in Georgia. Potravinarstvo Slovak Journal of Food Sciences, vol. 12, 2018, no. 1, p. 563-559. <https://doi.org/10.5219/934>
5. Tavdidishvili D., Khutsidze T., Tsagareishvili D., Mamrikishvili-Okreshidze L. Studing the impact of non-traditional suppliments on the quality of the minced rabbit meat products. Potravinarstvo Slovak Journal of Food Sciences, vol. 12, 2018, no. 1, p. 806-814. [doi: https://doi.org/10.5219/982](https://doi.org/10.5219/982)
6. Tavdidishvili D., Khutsidze T., Tortladze L., Pkhakadze M., Tsagareishvili D., Kvirikashvili L. The studies of technological and physical-chemical properties of rabbit meat. J. Annals of Agrarian Science. 2019. Vol.17, no. 4, p.450-457 <http://journals.org.ge/index.php>
7. Tavdidishvili D., Tsagareishvili D., Khutsidze T., Pkhakadze M., Kvirikashvili L. The impact of freezing methods on functional and technological properties of semi-finished rabbit meat products. Potravinarstvo Slovak Journal of Food Sciences, vol. 13, 2019, no. 1, p. 665-674. <https://doi.org/10.5219/1142>



Rabbit - a promising source of high-grade meat
D. Tavdidishvili, Ts. Khutsidze, M. Pkhakadze
Akaki Tsereteli State University

Summary

Rabbit breeding is one of the most promising sectors of animal husbandry, especially in Georgia amid a decrease in the number of animals and a sharp shortage of domestic meat raw materials. The rabbit is characterized by high fecundity, early maturity, and its meat is well absorbed and has a positive physiological effect on the organism. The classification of rabbit breeds is presented, the Useful properties of rabbit meat, the requirements for processing, storage and quality of carcasses are discussed.

ნაშრომი შესრულებულია შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (SRNSFG) მხარდაჭერით, გრანტის FR17 - 353 "ჯანმრთელი საკვები პროდუქტების წარმოებისა და შენახვის ტექნოლოგიების შემუშავება ბოცვრის ხორცის გამოყენებით" ფარგლებში.

საქართველოში მოშენებული ბოცვრის ჯიშების კვებითი ღირებულების გამოკვლევა

**თავდიდიშვილი დ., ხუციძე ც., მამრიკიშვილი-ოყრეშიძე ლ.,
კვირიკაშვილი ლ.
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

სტატიაში განხილულია საქართველოში მოშენებული ბოცვრის ხორცის სასარგებლო თვისებები და მათი დადებითი გავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე. შესწავლილია ქიმიური შედგენილობა და კვებითი ღირებულება. განსაზღვრულია ადამიანის დღიური მოხმარების დაკმაყოფილების დონე. მიღებული მონაცემები მიუთითებს ბოცვრის ხორცის გამოყენების მიზანშეწონილობაზე დიეტურ და სამკურნალო-პროფილაქტიკურ კვებაში.

ხორცპროდუქტებიდან მაღალი მაღალი კვებითი ღირებულებითა და სასარგებლო თვისებებით გამოირჩევა ბოცვრის ხორცი.

საქონლის, ღორისა და ფრინველის ხორცთან შედარებით მისი მორფოლოგიური მახასიათებლები, ტექნოლოგიური თვისებები, კვებითი და ბიოლოგიური ღირებულება უფრო მაღალია, რბილობის პროცენტული შემცველობა - საკმაოდ მეტი, შემაერთებელი ქსოვილის - მნიშვნელოვნად ნაკლები, ხოლო ცხიმების, ქოლესტერინის, პურინული ნაერთებისა და ნატრიუმის რაოდენობა უფრო მცირე, თვით ხორცის კონსისტენცია წვრილბოჭკოვანია და ნაზი. მისი ცილა ორგანიზმის მიერ 95%-ით შეითვისება, მაშინ როდესაც საქონლის ხორცის ცილა 75%-ით ითვისება, ცხვრის ხორცის 70%-ისა, ღორის ხორცში - 90% [5, 6].

ამ თვისებების გამო ბოცვრის ხორცი აღიარებულია ძვირფას დიეტურ პროდუქტად, რომელსაც არ გააჩნია უკუჩვენებები სხვადასხვა დაავადებების მიმართ.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა ბოცვრის ხორცის ქიმიური შედგენილობისა და კვებითი ღირებულების განსაზღვრა.

კვლევის ობიექტები იყო საქართველოში მოშენებული ბოცვრის შემდეგი ჯიშები: ვენური ცისფერი, შინშილა, კალიფორნიული და ახალზელანდიური თეთრი. მათი ქიმიური შედგენილობა წარმოდგენილია ცხრილში 1.



ცხრილი 1. ბოცვრის ხორცის საერთო ქიმიური შედგენილობა და ენერგეტიკული ღირებულება

ნივთიერებები	ბოცვრის ჯიშები			
	ვენური ცისფერი	შინშილა	კალიფორნიული*	ახალზელანდიური თეთრი*
ტენი, %	71,4	70,6	71,2	69,2
ცილა, %	22,1	21,8	21,1	20,4
ცხიმი, %	6,7	6,9	7,1	7,4
ნაცარი, %	1,0	1,0	1,22	1,2
თანაფარდობა ცხიმი:ცილა	0,3	0,3	0,33	0,36
ენერგეტიკული ღირებულება, კჯ	623,1	625,6	621,4	620,9


* ამ ჯიშების ქიმიური შედგენილობა ჩვენს მიერ ადრე იყო შესწავლილი [1].

ცხრილის ანალიზი მეტყველებს, რომ, გამოსაკვლევნი ჯიშების ბოცვრის ხორცში ცილის შემცველობა მაღალია და ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად არ განსხვავდება, ხოლო 100 გ ბოცვრის ცილა 23,7 %-ით აკმაყოფილება მასზედ ადამიანის დღიურ მოთხოვნილებას.

ამავე დროს ცხიმის შემცველობა ბოცვრის ხორცში საკმაოდ დაბალია, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მის კალორიულობაზე.

ცხიმისა და ცილის თანაფარდობა ყველა შერჩეული ჯიშის ბოცვრის ხორცში თითქმის ერთნაირია.

ნახაზზე 1 წარმოდგენილია ჩვენს მიერ მიღებული მონაცემები ბოცვრის ხორცის კალორიულობაზე და ლიტერატურაში არსებული მონაცემები საქონლისა და ქათმის ხორცის კალორიულობის შესახებ [2, 3, 4]



1 - ვენური ცისფერი ჯიშის ბოცვრის ხორცი; 2 - შინშილა ჯიშის ბოცვრის ხორცი;
3 - კალიფორნიული ჯიშის ბოცვრის ხორცი; 4 - ახალზელანდიური თეთრი ჯიშის ბოცვრის ხორცი; 5 - საქონლის ხორცი; 6 - ქათმის ხორცი

ნახ. 1 ბოცვრის, საქონლისა და ქათმის ხორცის კალორიულობა, კჯ



ნახაზიდან ჩანს, რომ ბოცვრის სხვადასხვა ჯიშების ხორცის კალორიულობა გაცილებით ნაკლებია საქონლისა და ქათმის ხორცთან შედარებით საშუალოდ, შესაბამისად 23,4 %-ით და 26,8 %-ით.

მინერალური ნივთიერებების შემცველობის ანალიზი (ცხრ. 2) გვაჩვენებს, რომ ის საკმარისი რაოდენობით შეიცავს ისეთ ელემენტებს, რომელთა შემცველობა დადებით გავლენას ახდენს პროდუქტების ბიოლოგიურ ღირებულებაზე.

ადამიანის დღიურ მოთხოვნილებას ფოსფორზე 100 გ ბოცვრის ხორცი 28,8%-ით აკმაყოფილებს, კალიუმზე - 14,4 %-ით, რკინაზე -18,2 %-ით, სპილენძზე - 12,9 %-ით, თუთიაზე - 10,2 %-ით, მაგნიუმზე - 10,2%-ით.

მონაცემები ვიტამინების შემცველობაზე წარმოდგენილია ცხრილში 3.

ცხრილი 2. მინერალური ნივთიერებების შემცველობა სხვადასხვა ჯიშის ბოცვრის ხორცში

მაჩვენებელი	ბოცვრის ჯიშები			
	ვენური ცისფერი	შინშილა	კალიფორნიული	ახალზელანდიური თეთრი
მაკროელემენტი, მგ/100გ:				
კალციუმი	20,6	20,8	20,5	21,0
ფოსფორი	230,4	230,7	229,3	231,2
კალიუმი	360,7	362,3	363,4	362,8
ნატრიუმი	51,3	50,9	48,4	55,4
მაგნიუმი	35,8	34,6	35,5	35,3
მიკროელემენტები, მგ/100გ:				
რკინა	3,28	3,29	3,28	3,29
მანგანუმი	0,019	0,019	0,018	0,019
სპილენძი	0,129	0,127	0,128	0,125
თუთია	1,98	2,07	2,16	1,82

ცხრილი 3. ვიტამინების შემცველობა სხვადასხვა ჯიშის ბოცვრის ხორცში

დასახელება	ბოცვრის ჯიშები			
	ვენური ცისფერი	შინშილა	კალიფორნიული	ახალზელანდიური თეთრი
ვიტამინები მგ/100გ:				
A	0,017	0,014	0,012	0,015
E	0,5	0,47	0,48	0,52
B1	0,1	0,13	0,09	0,11
B 2	0,17	0,16	0,17	0,18
PP	5,9	6,18	5,78	6,51
B6	0,46	0,50	0,45	0,47
B12, მკგ	4,3	4,5	4,23	4,31
ნიაცინი, მგ/100გ	6,4	6,3	6,30	6,27
ფოლაცინი, მკგ/100გ	7,8	7,6	7,56	7,63
ქოლინი, მგ/100გ	115,6	115,2	113,8	114,5

როგორც ცხრილიდან ჩანს, ბოცვრის ხორცი შეიცავს, A და E და B ჯგუფის ვიტამინებს. ამავე დროს დღიური მოთხოვნილების დაკმაყოფილების მაღალი დონით გამოირჩევა B



ჯგუფის ვიტამინები და ქოლინი. ეს მაჩვენებელი, 100 გ ბოცვრის მოხმარებისას შეადგენს: %-ს; B12 ვიტამინისათვის - 71,7 %-ს; B6 ვიტამინისათვის - 23,5 %-ს; B2 ვიტამინისათვის - 9,4 %-ს; B1 ვიტამინისათვის 7,3 %-ს; ქოლინისათვის - 15,3 %-ს.

ამრიგად, ცილის, მთელი რიგი მინერალური ნივთიერებისა და ვიტამინების მხრივ ბოცვრის ხორცი შეიძლება ჩაითვალოს ფუნქციონალური კვების პროდუქტად.

მიღებული მონაცემების ერთობლიობა მიუთითებს საქართველოში მოშენებული ბოცვრის სხვადასხვა ჯიშის ხორცის სასიამოვნო გემოვნურ თვისებებზე, მდიდარ ქიმიურ შედგენილობაზე და მაღალ კვებით ღირებულებაზე. აღნიშნული ადასტურებს, რომ ბოცვრის ხორცი, როგორც დაბალკალორიული ნედლეული, შეიძლება გამოყენებული იქნას დიეტურ და სამკურნალო-პროფილაქტიკურ კვებაში.

ლიტერატურა

1. Tavdidishvili, D., Khutsidze, T., Tsagareishvili, D. A study of the quality and biological value of meat of different breeds of rabbit bread in Georgia. *Potravinarstvo Slovak Journal of Food Sciences*, 2018, vol. 12, no. 1, p. 563-559. <https://doi.org/10.5219/934>
2. Nistor, E., Bampidis, V. A., Păcală, N., Pentea, M., Tozer, J., Prundeanu H. Nutrient Content of Rabbit Meat as Compared to Chicken, Beef and Pork Meat. *Journal of Animal Production Advances*, 2013, vol. 3, no.4, p. 172-176. <https://doi.org/10.5455/japa.20130411110313>
3. Pla, M., Pascual, M., Ariño, B. Protein, fat and moisture content of retail cuts of rabbit meat evaluated with the NIRS methodology. *World Rabbit Science*, 2004, vol. 12, no. 3, p.149-158. Available at: <https://riunet.upv.es/bitstream/handle/10251/9784/574-077-1-SM.pdf>
4. Василенко О.А. Разработка технологий производства мясных продуктов на основе рациональной разделки тушек кроликов, Автореферат диссертаций на соискание ученой степени кандидата технических наук. 2004. Россия, 22 с.
5. M. Cullere, A. Dalle Zotte - Rabbit meat production and consumption: State of knowledge and future perspectives. *J. Meat Science*, 2018, no. 143 pp. 137-146 <https://doi.org/10.1016/j.meatsci.2018.04.029>
6. Улихина Л. И. Справочник кролиководы от А до Я. Москва, Россия: Аквариум-Принт, 2009. 256 с. ISBN: 978-5-9934-0221-5.

Research of Nutritional Value of Rabbit Breeds Bred in Georgia

D.Tavdidishvili, Ts. Khutsidze, L. Mamrikishvili-Okreshidze

Akaki Tsereteli State University

Summary

The article discusses the beneficial properties of rabbits bred in Georgia and their positive impact on human health. The chemical composition and nutritional value have been studied. Is determined the level of satisfaction with daily human consumption . The obtained data indicate the feasibility of using rabbit meat in dietary and therapeutic nutrition.

ნაშრომი შესრულდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (SRNSFG) მხარდაჭერით, გრანტის FR17 - 353 "ჯანმრთელი საკვები პროდუქტების წარმოებისა და შენახვის ტექნოლოგიების შემუშავება ბოცვრის ხორცის გამოყენებით" ფარგლებში.



საკითხი, რომელიც საუკუნეების მანძილზე საქართველოში რჩება პასუხის გარეშე

თორთლაძე ლ.

სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი,
საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი

საქართველოში უძველესი დროიდან არის ცნობილი შავი ფერის ძროხის და ქათამის ხორცის განსაკუთრებული კულინარული, საგემოვნო და ენერგეტიკული თვისებების შესახებ. ჰიპოთეზა, რომელიც საჭიროებს მეცნიერულ გადამოწმებას, მდგომარეობს მათ ხორცში კარნოზინის დიდი შემცველობის არსებობაში. ჩვენი მიზანია ამ იდეისა და კონცეფციის ექსპერიმენტული კვლევა-ანალიზის განხორციელება, რაც ხელს შეუწყობს ახალი მეცნიერული ცოდნის შექმნას. მიღებული მონაცემები საფუძველს დაუდებს ცოდნის იმ დონეს, რომელიც ახალი სიტყვა იქნება დიეტოლოგიისა და ნუტრიციოლოგიის სფეროში.

შესავალი

ხორცი, როგორც ცხოველური წარმოშობის საკვები პროდუქტი, რძესა და კვერცხთან ერთად, მოსახლეობის ფაქტიურ კვებაში ერთ-ერთ წამყვან ადგილზეა.

საქართველოში უძველესი დროიდან არის ცნობილი შავი ფერის ცხოველთა და ფრინველთა აბორიგენული ჯიშების პროდუქციის განსაკუთრებული კულინარული, საგემოვნო და ენერგეტიკული თვისებების შესახებ. შავი ფერის ყოჩების ხორცის ხარისხზე ჯერ კიდევ ავიცენა მიუთითებდა. დღესაც, ისლამის მიმდევარ ხალხს, განსაკუთრებული მოთხოვნილება აქვს შავი ფერის მოზერების ხორცზე.

ჰიპოთეზა, რომელიც საჭიროებს მეცნიერულ გადამოწმებას, მდგომარეობს საქართველოს მთის საქონლისა და ქათმის ადგილობრივი ჯიშების (ყურადღება გამახვილებულია შავი ფერის ინდივიდებზე) ხორცში კარნოზინის დიდი შემცველობის არსებობაში. ამ ჰიპოთეზამ მრავალი მეცნიერის ყურადღება მიიქცია.

ძირითადი ნაწილი

ეს ნივთიერება, პირველად, აღმოჩენილ იქნა მოსკოვის მ. ლომონოსოვის სახ. უნივერსიტეტის მეცნიერების ვლადიმერ სერგის ძე გულევიჩისა და სიმონ სარდიონის ძე ამირეჯიბის მიერ კუნთის უცილო ექსტრაქტში 1900 წელს და მიიღო ლათინური სახელწოდება carocaznis - ხორცი [1]. (სიმონ სარდიონის ძე ამირეჯიბი - ექიმი, ბიოლოგი, პროფესორი, ბაქტერიოლოგიის და საერთო ჰიგიენის კათედრის დამფუძნებელი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. საქართველოში ვაქცინების და შრატების წარმოების დამფუძნებელი)[2].

დღეისათვის, სულ უფრო იზრდება ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების გამოყენება, როგორც სურსათის ფორტიფიცირების, ასევე ფარმაცევტული პრეპარატების „ნუტრიცევტიკების“ და „პარაფარმაცევტიკების“ სახით. სამეცნიერო ლიტერატურაში საკმაოდ ხშირია მონაცემები კარნოზინის ბიორეგულატორული თვისებების შესახებ. სამეცნიერო კვლევებზე დაყრდნობით ამ ნივთიერების მიღება სასურველია ასაკობრივი ცვლილებების, სხვადასხვა დაავადებების (შაქრიანი დიაბეტის, კატარაქტის, გულის დაავადებების), ფსიქიკური და ნერვული დარღვევების (ალც-ჰეიმერის, პარკინსონის დაავადების და სხვა) და ორგანიზმის სხვადასხვა პრობლემების დროს, რომლებიც უკავშირდება „ცივილიზაციის დაავადებებს“. ეს ნივთიერება ძალიან სწრაფად სწევს დაბლა სისხლში გლუკოზის დონეს ჭამის შემდეგ, რად-



გან თვითონ შედის გლუკოზასთან რეაქციაში და ანეიტრალებს მას, ასევე ანეიტრალებს გლიკოლიზის პროცესში გამოყოფილ მავნე ნივთიერებებს, რადგან ხასიათდება გამორჩეული ანტიოქსიდანტური თვისებებით, ბოჭავს და ორგანიზმიდან გამოყავს მძიმე ლითონები, რომელთა სიჭარბე გარემოში და შესაბამისად ორგანიზმში დღეისათვის სულ უფრო აქტიურად განიხილება. ეს ნივთიერება არის საუკეთესო პროტექტორი და რეგულატორი.



Fig.1. Georgian Mountain Cattle



Fig.2. Black bird of local breed in Georg

კარნოზინი არის დიპეპტიდი, რომლის მოლეკულა შესდგება ორი ამინომჟავისაგან (ბეტა ალანინი და ჰისტიდინი), ერთმანეთთან დაკავშირებული პეპტიდური კავშირით. კარნოზინის მნიშვნელობა ქსოვილების აღმშრელი ფუნქციისათვის გამოჩნდა აკადემიკოს ს. სევერინისა (1901-1993) და მისი მოსწავლეების სამუშაოებიდან. სევერინმა პირველმა აღმოაჩინა, რომ კარნოზინი არის კუნთოვანი აქტიურობის ბუნებრივი სტიმულატორი და მისი შეტანა არეში, რომელშიც არის დაღლილი კუნთი, სწრაფად აღადგენს მისი კუმშვადობის გააქტიურებას. ამ ცდამ მეცნიერებაში მიიღო სახელწოდება სევერინის ფენომენი. სევერინისა და მისი თანამშრომლების მიერ ნაჩვენები იყო, რომ კარნოზინი მჭიდრო კავშირშია კუნთოვანი ქსოვილის ფუნქციონალურ აქტიურობასთან: იგი წარმოიშობა ონტოგენეზში ნერვულ-კუნთოვანი კავშირის ფორმირების პერიოდში. მისი შემცველობა ესატყვისება კუნთოვანი ფუნქციის ინტენსიურობას. კუნთოვანი პათოლოგიის დროს მისი დაგროვება შესამჩნევად მცირდება [3].

თემატიკის კონტექსტში ყურადღებას იქცევს ჩინური აბრეშუმის ქათამი, რომელსაც კანი, ხორცი, ძვლები და შინაგანი ორგანოები შავი აქვს. შავი ქათამის ხორცში სისხლის შრატის გლობულინის და Y-გლობულინის შემცველობა ჩვეულებრივზე მაღალია. ამ ქათამის ხორცის გამოყენება ახანგრძლივებს ახალგაზრდობას, ამაგრებს კუნთებს და ძვალს. იგი მნიშვნელოვან ეფექტს ახდენს ოსტეოპორეზის, რახიტის, რკინისდეფიციტის ანემიის (ქალების) და ა.შ. პროფილაქტიკაში, ამაგრებს კიბოთი დაავადებული ადამიანების ორგანიზმს, ამალღებს იმუნიტეტს, ადიდებს სიცოცხლის ხანგრძლივობას. მეცნიერებმა დაადგინეს ჩინური ქათამის ხორცის უნიკალური სამკურნალო თვისებები, რაც გამოწვეულია მასში **კარნოზინის** მაღალი შემცველობით[4].

ორგანიზმის ცხოველმყოფელობის პროცესში უჯრედოვანი გამოთანაბრება ექვემდებარება სხვადასხვა ფაქტორების მავნე ზემოქმედებას, როგორც ეგზოგენური, ისე ენდოგენური წარმოშობის. უჯრედში არის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ ორგანიზმის შიგა სტაბილურობას და შეიძლება განიხილებოდეს როგორც ენდოეკოლოგიურები. მსგავსი ფაქტორები წარმოადგენენ ენდოეკოლოგიური სენსორების გომოესტაზის მდგომარეობას. აღმოჩენილია კარნოზინის დამცველობითი მოქმედება ბიოლოგიურ სტრუქტურებზე ენდოეკო-



ლოგიური ფაქტორების ზემოქმედებით დაზიანება in vitro და in vivo [5].

სიბერის შიში ყოველთვის იძულებულს ხდისა მოემბნათ ცხოვრების გაგრძელების გზები.



Fig.3. Chinese silk chicken

თქმულებები გრაალის ძიების, ფილოსოფიური ქვის, და სხვა უკვდავების ელიქსირების შესახებ, განიცადა ფიასკო; მაგრამ დიდხანს ცხოვრების იდეა უკვე ეფემერულად არ ეჩვენებათ. კარნოზინი ითვლება გაახალგაზრდავების ყველაზე ეფექტურ აგენტად სხვა თანამედროვე საშუალებებთან შედარებით. ის გავლენას ახდენს ჩონჩხის კუნთების გლიკოდაჟანგვის პროცესზე in vivo და in vitro და შეიძლება ჩაითვალოს სიბერის საწინააღმდეგო სამკურნალო პრეპარატების შემუშავების საფუძვლად [6].

ძალიან ცოტაა ნივთიერებები, რომლებიც შეიძლება შეუდარდეს კარნოზინს ბიოლოგიური და ფარმაცოლოგიური აქტიურობით. ანტიოქსიდანტი, ანტიგლიკოციური აგენტი, მძიმე მეტალების ხალათი, ნეიროპროტექტორები, სტრეს და აქტ პროტექტორები და სხვა. ფაქტიურად ის მოიცავს ციტოპროტექციის ყველა ძირითად მექანიზმს, თანაც ნებისმიერი უჯრედისას და ქსოვილისას [7, 8,9].

განსაკუთრებით საინტერესოა, რომ კარნოზინი და მისი წარმონაქმნები აღმოჩენილია ცხოველთა ქსოვილებში, რომლებიც ხშირად განიცდიან არასასიამოვნო ზემოქმედებას აქტიური ფორმებიდან O_2 ან იძულებული არიან განიცადონ ჟანგბადის ნაკლებობა ქსოვილებში. კონტექსტში აუცილებელია აღინიშნოს ქართული მთის ძროხის მკაცრი პირობებისადმი შეგუების მაღალი უნარი ზაფხულის ალპური სამოვრებისადმი (2800 მ -ზე მეტ სიმაღლეზე ზღვის დონიდან), სადაც მსუბუქად იტანენ გიპოქსიას. დიდი ხანია თავისი ჯანმრთელობით და სიცოცხლისხანგრძლივობით სახელი გაითქვეს მაღალ- მთიან რაიონებში მაცხოვრებელმა მოსახლეობამაც. ამ ადგილებში წარმატებით აშენებენ ქართულ მთის საქონელს და შავ ქათამს.

დასკვნა. დღეისათვის, სულ უფრო იზრდება ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების გამოყენება, როგორც სურსათის ფორტიფიცირების გზით, ასევე ფარმაცევტული პრეპარატების სახით. თუმცა, ხელოვნურად სინთეზირებულ ნივთიერებასთან შედარებით, კარნოზინის ბუნებრივ წყაროს აშკარა უპირატესობა გააჩნია, ხელოვნურ კარნოზინთან დაკავშირებული პოტენციური საფრთხეების გათვალისწინების ფონზე.



ჩვენი მიზანია ამ იდეისა და კონცეფციის ექსპერიმენტული კვლევა-ანალიზის განხორციელება, რაც ხელს შეუწყობს ახალი მეცნიერული ცოდნის შექმნას. მიღებული მონაცემები საფუძველს დაუდებს ცოდნის იმ დონეს, რომელიც ახალი სიტყვა იქნება დიეტოლოგიისა და ნუტრიციოლოგიის სფეროში.

ლიტერატურა

1. Gulewitsch W.S., and Amiradzibi S. (1900) Berlin. Deutsch. Chem. Ges., 33, 1902–1903
2. <http://nobility.pro/ru/statya/153-amiredzhibi-simon-sardionovich>
3. <http://www.carnosine.ru/st-nauka.htm>
4. animalfotos.ru/kitayyskaya-yshelkovaya-kuriytsa-foto.html
5. Беляев М.С. Карнозин как фактор эндо экологической защиты организма повреждений, вызванных окислительным стрессом. Автореф. дис. М. 2008
6. Залесова З.С. Влияние карнозина на гликоокислительную модификацию актина скелетных мышц. Автореф. дис. СПб, 2001.
7. Горбунов Н.А., Ерин А.Н. // Бюлл. эксп. биол. мед. 1991. Т. 112. № 5. с. 477-478
8. Мурина Е. Kosmetikinternational. 2013, N 2. С. 80-81
9. <http://www.vivasanlife.ru/index.php>

The question that has remained unanswered for centuries in Georgia

L. Tortladze

Agricultural Research Center, Agrarian University of Georgia

Summary

From time immemorial in Georgia there is a popular opinion about the special culinary, taste and energy qualities of meat of native breeds of animals and poultry of black color. The author puts forward a scientific hypothesis about the possibly high content of **carnosine** in meat of Georgian mountain cattle and local black hens. The author’s goal is to conduct experimental research and analysis of this idea and concept, which will contribute to the creation of new scientific knowledge that will become a new word in the field of nutrition.

ბიოლოგიურად აქტიური დანამატების გამოყენების რადიობიოლოგიური ასპექტები

**ივანიშვილი ნ., გოგებაშვილი მ., ორმოცაძე გ.
ივ. ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის რადიაციული უსაფრთხოების პრობლემათა ლაბორატორია**

სტატიის მიზანია განხილულია ბიოლოგიურად აქტიური დანამატების (ბად) რადიოპროტექტორების სახით გამოყენების პრობლემები. ნაჩვენებია, ბად-ების ანტიოქსიდანტური და რადიოპროტექტორული მოქმედების გაიგივებასთან დაკავშირებული რისკები. რადიოპროტექტორების მოქმედების მექანიზმების თეორიული წანამდგომების საფუძველზე გაკეთებულია დასკვნა, ახალი ბიოლოგიურად აქტიური დანამატების რეკლამირებისას, ტერმინის „რადიოპროტექტორი“ გამოყენების მიუღებლობის შესახებ, მათი რადიოდამცავი ეფექტის-დოზის ცვლილების ფაქტორის მითითების გარეშე.

ბიოლოგიურად აქტიური დანამატები (ბად) წარმოადგენენ ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებსა და მათ კომპოზიციებს, რომლებიც განკუთვნილია უშუალოდ საკვებთან ერთად მიღებისთვის, ან საკვებ პროდუქტებში შეტანისთვის. ისინი გამოიყენება, როგორც დამა-



ტებითი წყარო: ნივთიერებათა ცვლის ოპტიმიზაციისთვის, სისტემათა და ორგანოთა ნორმალიზაციისა და ფუნქციური მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის, დაავადებათა რისკის შემცირებისთვის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მიკროფლორის დარეგულირებისა და ენტეროსორბენტების სახით. საქართველოში, ჯერჯერობით, არ არის ჩამოყალიბებული ბად-ების ბრუნვასთან დაკავშირებული მთლიანი სისტემა და ნორმატიული ბაზა, რის გამოც ხშირად ისინი სამკურნალო საშუალებებად მოიაზრება. აღსანიშნავია, რომ ბიოლოგიურად აქტიური დანამატების უმრავლესობა მცენარეული წარმოშობის ნივთიერებებს წარმოადგენენ, რომლებიც, თავისთავად, მაღალი ანტიოქსიდანტური აქტივობით ხასიათდებიან. თავის მხრივ, ანტიოქსიდანტები ახდენენ რა თავისუფალი რადიკალების ინაქტივაციას, გარემოს არახელსაყრელი პირობების ზემოქმედების თავიდან აცილების საშუალებას იძლევიან. არახელსაყრელ ფაქტორთა შორის კი ყველაზე დიდ საშიშროებას ქმნის მაიონიზებული რადიაცია. ამ უკანასკნელს მთელი რიგი ისეთი თავისებურებანი გააჩნია, რომელთა დადგენა და უვნებელყოფა დიდ სირთულეებს წარმოადგენს. ადამიანის ჯანმრთელობასთან მიმართებაში რადიაციული დაზიანება თავის გამოხატულებას პოვებს როგორც ტიპური, მკაფიოდ გამოვლენილი სინდრომების სახით, ისე ფარული გენეტიკური ცვლილებებით, რომელთა გამოვლენას ხშირად თაობებიც კი სჭირდება [1,2]. მოსახლეობას კარგად აქვს რა გაცნობიერებული ეს საფრთხე, დიდია მოთხოვნილება იმ პრეპარატებზე, რომლებიც საგრძნობლად შეამცირებენ რადიაციული ფაქტორის მავნე ზემოქმედებას. დღეს ძალიან ბევრი სამედიცინო პრეპარატისა და კვებითი დანამატის მოხმარების ინსტრუქციაში ხშირად გვხვდება სარეკლამო წარწერა - „ხასიათდება რადიოპროტექტორული თვისებებით“. თუ გავითვალისწინებთ, რომ რადიოპროტექტორების მოქმედების მექანიზმის კვლევა ზოგადი რადიობიოლოგიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს, ცხადი გახდება, რომ საჭიროა აღნიშნულ მოვლენას მიეცეს სათანადო სამეცნიერო ფორმულირება და ამის საფუძველზე ჩამოყალიბდეს პრეპარატების დახასიათების აუცილებელი წესები.

ცნობილია, რომ რადიოპროტექტორები (რადიოდამცავი პრეპარატები)-ეს არის ქიმიური შენაერთები, რომლებსაც ორგანიზმზე მაიონიზებული რადიაციის მავნე ზემოქმედების შესუსტების უნარი შესწევთ. რადიოპროტექტორები ამსუბუქებენ სხივური დაავადების მიმდინარეობას. სხივური დაავადების შემდეგ ორგანიზმში რადიოპროტექტორების შეყვანა გარკვეულ რისკებთან არის დაკავშირებული. პირობითად რადიოპროტექტორები შეიძლება ორ ჯგუფად დაიყოს: 1) ხანმოკლე, მყისიერი მოქმედების რადიოპროტექტორები, რომელთა ორგანიზმში შეყვანა ხორციელდება დროის მოკლე შუალედში დასხივებამდე და 2) პროლონგირებული მოქმედების რადიოპროტექტორები, რომელთა შეყვანა ორგანიზმში მიმდინარეობს მრავალჯერადად, ჩვეულებისამებრ, მცირე დოზებით სხივურ ზემოქმედებამდე. სწორედ ამ სქემით მიმდინარეობს თანამედროვე სამეცნიერო კვლევები ახალი რადიოპროტექტორების მოძიებისთვის [3,4,5].

პირველი ჯგუფის რადიოპროტექტორებს მიეკუთვნება ცნობილი რადიოდამცავი შენაერთების უმრავლესობა: სხვადასხვა ამინოთიოლები (მერკამინი, პროპამინი, ამინოეთილიოთიოურანი და სხვა), ამინომჟავები (ცისტეინი, ცისტამინი), ზოგიერთი ბიოგენური ამინი, რომლებიც არ შეიცავენ სულფიჰიდრულ ჯგუფებს, ციანოფორები, ამინოფენონები, ზოგიერთი სპირტი, ნახშირწყლების ცალკეული წარმომადგენლები და სხვა. ამ ჯგუფის რადიოპროტექტორების მოქმედების მექანიზმების შესახებ რამდენიმე ძირითადი ჰიპოთეზა არსებობს:



1) ჰიპოთეზა, რომლის მიხედვითაც რადიოპროტექტორები განხილულია როგორც ქსოვილებში ჟანგბადის კონცენტრაციის დროებითი დაქვეითების გამომწვევი ნივთიერებები. სავარაუდოდ, ამ დროს მცირდება ჟანგვითი რადიკალებისა და ზეჟანგების წარმოქმნის შესაძლებლობა დასხივების პროცესში. საბოლოო ჯამში, ეს იწვევს რადიოგამძლეობის ამაღლებას;

2) მეორე ჰიპოთეზა რადიოპროტექტორების მოქმედების მექანიზმს ხსნის თავისუფალი რადიკალების ინაქტივაციით. ამ შეხედულების თანახმად, გოგირდშემცველ რადიოპროტექტორებს რადიაციული ზემოქმედების დროს წარმოქმნილი რადიკალების შეკავშირების უნარი შესწევთ. აღნიშნული პროცესის გამო ჟანგვითი რადიკალები არ აზიანებენ უჯრედის მოლეკულებს;

3) რადიოპროტექტორები წარმოდგენილია როგორც ქიმიური ნაერთები, რომლებიც იცავენ უჯრედის “კრიტიკულ” მოლეკულებს. ჰიპოთეზა ვარაუდობს, რომ ქიმიური რეაქციების შედეგად გოგირდშემცველი რადიოპროტექტორები რეაგირებენ ბიოლოგიურად მნიშვნელოვანი მოლეკულების სულფიჰიდრულ ჯგუფებთან და ამგვარად, “იფარავენ” მათ მაიონიზებული რადიაციის მოქმედებისაგან;

4) რადიოპროტექტორები განიხილება როგორც შენაერთები, რომლებიც იწვევენ ბიოქიმიური სისტემის რადიომდგრადობის მატებას. ეს ჰიპოთეზა ემყარება იმ ფაქტს, რომ მყისიერი მოქმედების რადიოპროტექტორების აბსოლუტური უმრავლესობა რადიოდამცავ ეფექტს ავლენს მხოლოდ სუბტოქსიკური დოზებით შეყვანის შემთხვევაში, რის გამოც ფერხდება სხვადასხვა რადიომგრძობიარე ბიოქიმიური სისტემის ფუნქციონირება, მაგალითად, დნმ-ის ბიოსინთეზი, უჯრედების მიკროსტრუქტურებში ჟანგვითი ფოსფორილირება, ბირთვში მაკროერგული ნაერთების წარმოქმნა და ა. შ. ბიოქიმიური სისტემის დროებითი შეფერხების მექანიზმი, თავის მხრივ, აიხსნება ფერმენტების მოლეკულებთან რადიოპროტექტორების ქიმიურ კავშირში შესვლის უნარით. ამ დროს არსებით როლს თამაშობს რადიოპროტექტორებსა და სულფიჰიდრული ჯგუფების შემცველი ცილა-ფერმენტების მოლეკულებს შორის დროებითი შერეული დისულფიდური კავშირების წარმოქმნა.

დღესდღეობით ზოგიერთი რადიოპროტექტორი გვევლინება ფარმაკოლოგიურ საშუალებად (მაგალითად, მერკამინი, ცისტამინი). ამასთანავე, ფარმაკოლოგიურ ბაზარზე გამოსულია ბუნებრივი წარმოშობის მრავალი პრეპარატი და კვებითი დანამატი, რომლებიც რადიოპროტექტორებად იწოდებიან, თუმცა მათი უმრავლესობის მონაცემებში ნახსენები არ არის დოზის შემცირების კოეფიციენტის მაჩვენებელი, რომლის გარეშე შეუძლებელია ამა თუ იმ პრეპარატის რადიოდამცავი თვისების შეფასება. ამ ფენომენის გარეშე წარმოუდგენელია ზემოაღნიშნულ პრეპარატებს რადიოპროტექტორები ვუწოდოთ. ეს განსაკუთრებით შეეხება სხვადასხვა ბიოლოგიური ობიექტებიდან გამოყოფილი ექსტრაქტების გამოყენებას რადიოპროტექტორების სახით იმ დროს, როდესაც მათი სრული ქიმიური შემადგენლობაც კი არ არის განსაზღვრული და დამცავი თვისების მინიჭება პრეპარატისთვის აპრიორულ ხასიათს ატარებს.

არანაკლებ მნიშვნელოვანია იმ მთავარი რადიობიოლოგიური პოსტულატის დაცვა, რომ რადიოპროტექტორებს მიეკუთვნებიან ის პრეპარატები, რომლებიც ორგანიზმში შეიყვანება პრერადიაციულ პერიოდში და იგი დასხივების დროს უკვე არის უჯრედის სტრუქტურების შემადგენელი კომპონენტი. ეს ფაქტი საყურადღებოა იმდენად, რამდენადაც პოსტრადიაციულ პერიოდში იგივე პრეპარატის შეყვანა ორგანიზმში, ხშირ შემთხვევაში, შეიძლება უარყოფითი რეაქციის გამომწვევად მოგვევლინოს. ამ მიმართებაში მკაფიოდ უნდა გაიმიჯნოს რა-



დიოპროტექტორები და რადიოპროფილაქტიკური ნაერთები. რადიოპროფილაქტიკური ნაერთების ფუნქციაში შედის რადიაციული დაზიანებით გამოწვეული დასუსტებული ორგანიზმის აღდგენით პროცესებზე ზემოქმედება და აქედან გამომდინარე, მათი გამოყენება მიზანშეწონილია პოსტრადიაციულ პერიოდში.

მთლიანობაში, ფარმაკოლოგიური პრეპარატების ან ბიოლოგიურად აქტიური დანამატების შექმნისა და მათი გამოცდის დროს დაცული უნდა იყოს ტერმინოლოგიური სიზუსტე და თუ პრეპარატი რადიოპროტექტორებს მიეკუთვნება, თან უნდა ახლდეს მისი ტოქსიკურობის დახასიათება და კონკრეტული მონაცემი დოზის შემცირების კოეფიციენტის შესახებ.

ლიტერატურა

1. Manjit Dosanjh, Bledyn Jones, Jörg Pawelke, Martin Pruschy, Brita Singers Sørensen. Overview of research and therapy facilities for radiobiological experimental work in particle therapy. Report from the European Particle Therapy Network radiobiology group. Radiotherapy and Oncology, Volume 128, Issue 1, 2018, Pages 14-18
2. Москалев Ю.И. Отдаленные последствия воздействия ионизирующих излучений. М. «Медицина», 1991.
3. Caroline Prouillac, Patricia Vicendo, Jean-Christophe Garrigues, Romuald Poteau, Ghassoub Rima. Evaluation of new thiazoles and benzothiazoles as potential radioprotectors: Free radical scavenging activity in vitro and theoretical studies (QSAR, DFT). Free Radical Biology and Medicine, Volume 46, Issue 8, 15, 2009.
4. D. Thotala, D.E. Hallahan, E.M. Yazlovitskaya. Glycogen Synthase Kinase-3 Beta (GSK-3 β) Inhibitors as Radioprotectors of Hippocampal Neurons in the Developing Brain. International Journal of Radiation Oncology/Biology/Physics, Volume 69, Issue 3, Supplement 1, 1, 2007.
5. Dinesh K. Thotala, Ling Geng, Amy K. Dickey, Dennis E. Hallahan, Eugenia M. Yazlovitskaya A New Class of Molecular Targeted Radioprotectors: GSK-3 β Inhibitors Original Research Article.. International Journal of Radiation Oncology/Biology/Physics, Volume 76, Issue 2, 1, 2010.

Radiobiological aspects of using biologically active supplements

Ivanishili N.I, Gogebashvili M.E., Ormocadze G.L.

Laboratory of Radiation Safety Problems, I.Beritashvili Center of Experimental Biomedicine

Summary

The article discusses the problems of using biologically active supplements (BAS) as radioprotectors, shows the risks associated with equalization the antioxidant and radioprotective actions of BAS. On the basis of the theoretical underpinnings of the mechanisms of action of radioprotectors, a conclusion has been drawn, when advertising new biologically active additives, that the term "radioprotector" is unacceptable, without specifying factor of their radioprotective effect-dose change.

კუნელის კვებითი ღირებულება

კაიშაური გ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიოტექნოლოგიის ცენტრი

ნაშრომში მოცემულია დუშეთის რაიონში გავრცელებული წითელი კუნელის ხარისხის განმსაზღვრელი ძირითადი ქიმიური მაჩვენებლების კვლევის შედეგები. განსაზღვრულია კუნელის კვებითი ღირებულების ინტეგრალური მაჩვენებელი.

განგარიშებულია ცალკეულ საკვებ ნივთიერებებსა და ენერგიაზე ადამიანის ორგანიზმის დღიური მოთხოვნილების დაკმაყოფილების პროცენტი.

შესავალი. კენკროვნებს მიიჩნევენ ფუნქციონალური თვისებების მქონე ნივთიერებების უმდიდრეს წყაროდ. ისინი ხელს უწყობენ საკვების შეთვისებას, აუმჯობესებენ ორგანიზმში



ნივთიერებათა ცვლას და სხვ., ამიტომ მათ აქვთ დიეტური და სამკურნალო მნიშვნელობა. ამასთან, კენკროვნები გამოირჩევიან ეკოლოგიური სისუფთავით. ნედლეულს ახასიათებს მწიფობის სხვადასხვა პერიოდი.

საქართველოს ტყეები მდიდარია კენკროვნებით. ამის მიუხედავად, მათი კვების მრეწველობაში გამოყენების საკითხი დღემდე არ გადაწყვეტილა.

კვლევის ძირითადი მიზანი იყო ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებით მდიდარი ზოგიერთი გარეული კენკრის შერჩევა და მისი შეფასება კვებითი ღირებულების თვალსაზრისით. საქართველოში გავრცელებულ ასეთ კენკრას კუნელი წარმოადგენს.

სახეობებისაგან დამოკიდებულებით კუნელის ნაყოფი შეიცავს 4-12% შაქრებს, 2-6% პექტინს, 14,95-16,4% ფენოლურ ნაერთებს (ტანინი), 0,75% ეთერზეთებს, ვიტამინებს (30-108 მგ% C ვიტამინს, 330-680 მგ% P ვიტამინს, 0,5-14 მგ% კაროტინსა და სხვ.), მინერალურ ნივთიერებებს (1310 მგ/100გ K, 300 მგ/100გ Ca, 100 მგ/100გ Mg, 4 მგ/100გ Fe და სხვ.), ასევე სახამებელს, უჯრედანას, ფიტოსტერინებს, ქოლინსა და სხვ. ფლავონოიდებიდან გვხვდება: კვერციტინი /1- 3/.

ნაყოფის მჟავიანობა 2,5 %-მდეა. იგი ძირითადად შეიცავს: კოფეინის, ვაშლის, ლიმონის, ღვინისა და სხვ. მჟავებს. თესლი მდიდარია ცხიმით (27,5 _ 39,2 %).

კუნელის ნაყოფისა და ყვავილისგან დამზადებული პრეპარატები გამოიყენება გულის დაავადებების, ნერვული სისტემის, ლიპიდების ცვლის, ჰიპერტირეოზის დროს და სხვ.

კუნელისაგან ამზადებენ: კისელს, პოვიდლოს, ჯემს, წვენებს, ჩაის, მარმელადს, ბურახს, ღვინოს და სხვ. /1, 3 - 5/.

მიუხედავად იმისა, რომ კუნელის კალორიულობა დაბალია 52კკალ, მას აქვს მაღალი კვებითი ღირებულება. 200გ კენკრას შეუძლია 10 %-ით დააკმაყოფილოს ნახშირწყლებზე ადამიანის დღიური ნორმა.

კვლევის ობიექტი და მეთოდები. კვლევის ობიექტად შერჩეული იყო წითელი კუნელი კურკოს ტყიდან, რომელიც ქ. დუშეთს აღმოსავლეთითა და ჩრდილოეთით ერტყმის გარს.

კვლევის სტანდარტული მეთოდებით შესწავლილია კუნელის ხარისხის განმსაზღვრელი ძირითადი ქიმიური მაჩვენებლები /6-8/.

კვლევები ტარდებოდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიოტექნოლოგიის ცენტრის სამეცნიერო ლაბორატორიაში.

კვლევის შედეგები. დასახული მიზნის მისაღწევად გამოკვლეულია ნაყოფების ხარისხის განმსაზღვრელი ძირითადი ქიმიური მაჩვენებლები. კვლევამ გვიჩვენა, რომ ნაყოფი გამოირჩეოდა მშრალი ნივთიერების დიდი შემცველობით 26,8 %. ნაყოფებში შაქრებიდან ჭარბობს საქაროზა. მასში ბევრია C ვიტამინი ($53 \cdot 10^{-3}$ %), ფენოლური ნაერთები (9,5 %). ნაყოფი შეიცავდა 0,7 % პექტინოვან ნივთიერებებს, 0,2 % სახამებელს. ნაყოფის მჟავიანობა (pH) იყო 4,0.

ცნობილია, რომ პროდუქტის კვებითი ღირებულება გამოხატავს პროდუქტის სასარგებლო თვისებების ერთობლიობას, რომელიც დაკავშირებულია პროდუქტში შემცველი ნივთიერებების შეფასებასთან, თუ რამდენად აკმაყოფილებს ადამიანის ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებებს და უზრუნველყოფს ორგანიზმს ენერჯითა და ძირითადი საკვები ნივთიერებებით /9, 10/.



პროდუქტის კვებითი ღირებულება იანგარიშება როგორც პროდუქციის მასაზე, ასევე განსაზღვრულ კალორიულობაზე, კერძოდ 300 კკალ ან 1255 კჯ, რაც საშუალოდ დღიური ენერგეტიკული ხარჯის დაახლოებით 10%-ს შეადგენს.

ნაყოფების ქიმიური შემადგენლობიდან გამომდინარე ვსაზღვრავდით კუნელის ინტეგრალურ მაჩვენებელს.

კუნელის კვებითი ღირებულების ინტეგრალური მაჩვენებლები, რომლებიც გამოსახავენ კუნელში შემცველი ცალკეული ქიმიური ნაერთების რაოდენობას 1255კჯ-ზე (300 კკალ-ზე) გადაანგარიშებით, შემდეგი იყო: 51,96 % საერთო შაქრები, 3,00 % ორგანული მჟავები, $305,28 \cdot 10^{-3}$ % ასკორბინის მჟავა, 4,03 % ბალასტი ნივთიერებები.

ცალკეულ საკვებ ნივთიერებებსა და ენერგიაზე ადამიანის ორგანიზმის დღიური მოთხოვნილების დაკმაყოფილების პროცენტის განსაზღვრად ჩვენს მიერ მიღებულ შედეგებს ვადარებდით დაბალანსებული კვების ფორმულის შესაბამის მაჩვენებლებს და ვსაზღვრავდით კუნელის შემცველობის შესაბამისობას დაბალანსებული კვების ფორმულის მოთხოვნებთან.

კუნელის სარგებლიანობის განსაზღვრისას კვებითი ღირებულების უმნიშვნელოვანეს მაჩვენებლად შეიძლება ჩაითვალოს C ვიტამინი.

ამგვარად, ჩვენს მიერ როგორც მასურ, ასევე ენერგეტიკულ ერთეულებში გამოთვლილი კუნელის ინტეგრალური მაჩვენებლების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ მას აქვს უნარი დააკმაყოფილოს ადამიანის ორგანიზმის მოთხოვნილება ცალკეულ საკვებ ნივთიერებებზე.

ლიტერატურა

1. გ. თურმანაული/ ი. თურმანაული ფიტო-ფარმაკო-თერაპიული საშუალებები. სამკურნალო მცენარეები. ფიტოპრეპარატები. გამომც. "საბჭოთა აჭარა". 1985.
2. მ. ფრუიძე, ე. ბენდელიანი, შ. ჩაკვეტაძე საქართველოში გავრცელებული ჩაისა და ზოგიერთი კენკროვანი მცენარეებიდან ფენოლური ნაერთების გამოკვლევა და მათი გავლენა ხარისხზე. პირველი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „ახალი ინიციატივები“. ქუთაისი. 2019. გვ. 295-302.
3. გ. კაიშაური, თ. ბარათაშვილი კუნელის სახეების შედარებითი დახასიათება //მეცნიერება და ტექნოლოგიები. თბ. 2019. N1 (730). გვ. 107-116.
4. გ. გოგიჩაძე სამედიცინო ტერმინოლოგიის ქართულ-ინგლისურ-რუსულ-ლათინური განმარტებითი ლექსიკონი /გ. გოგიჩაძე, ა. გედენიძე, ჯ. ჭუმბურიძე; თბ. : მერიდიანი, 2009. გვ. 394-395.
5. გ. მირზაშვილი ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. თბ.1983. ტ. 6, გვ. 72.
6. Методические указания по химико-технологическому сортоиспытанию овощей, плодов и ягод для консервной промышленности. М. 1977.
7. Плешков В.П. Практикум по биохимии растений. Колос. М.: 1976.
8. სახელმწიფოთაშორისი სტანდარტები.
9. Химический состав пищевых продуктов Справочные таблицы содержания основных пищевых веществ и энергетической ценности пищевых продуктов. Под ред. А. А. Покровского. М.: Пищевая промышленность. 1977. с. 9 -13.
10. საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 ივლისის N301 დადგენილებით მიღებული ტექნიკური რეგლამენტი „მომზადებლისათვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების-სურსათის ეტიკეტირების წესის შესახებ“.



HAWTHORN FRUIT NUTRITION VALUE

G. Kaishauri

Biotechnological Center of Georgian Technical University

Summary

This work contains data on wild berries, in particular hawthorn. There is determined the data on red types of hawthorn; data on the botanical and chemical characteristics, the use and medicinal properties of this fruit.

The biochemical composition of hawthorn fruit, cultivated in the Dusheti region of Georgia, was investigated by us. Nutrition value of the investigated hawthorn fruit and the degree of accordance with the Formula of balanced feeding was established. Integral indices of hawthorn nutritional value is determined and was calculated percentage of daily body demand for individual food substances and energy.

საკვებდანამატი გარეული კენკრისაგან

კაიშაური გ. ნ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიოტექნოლოგიის ცენტრი

ნაშრომში მოცემულია გარეული კენკრის (კუნელი) ქიმიური შედგენილობის კვლევის შედეგები. ნაყოფისგან დამზადებულია ფეხილი. შესწავლილია მიღებული პროდუქციის ძირითადი სტანდარტული ხარისხობრივი მაჩვენებლები. დადგენილია, რომ მზა პროდუქცია აკმაყოფილებდა ანალოგიური სახის პროდუქციაზე მოქმედი ნორმატიული დოკუმენტის მოთხოვნებს.

შესავალი. კაცობრიობის წინაშე მდგარ ერთერთ ყველაზე აქტუალურ პრობლემას კვების პროდუქტებით დედამიწის მოსახლეობის უზრუნველყოფა წარმოადგენს.

მსოფლიოს ქვეყნებში თანდათან იკრძალება კვების პროდუქტებში სინთეზური დანამატების გამოყენება და მკვეთრად იზრდება მოთხოვნილება ნატურალურ ბიოაქტიურ საკვებ დანამატებზე. ისინი დადებითად მოქმედებენ ორგანიზმზე, აუმჯობესებენ ნივთიერებათა ცვლას.

დეფიციტური მდგომარეობის აღმოფხვრისა და გარემომცველი არეს არასასურველი ფაქტორებისადმი ორგანიზმის რეზისტენტობის ამაღლების ერთერთი საშუალებაა თერაპიული მოქმედების ფართო სპექტრის მქონე საკვები პროდუქტების გამოყენება.

რადგანაც სრულფასოვანი საკვები რაციონი დაბალანსებული უნდა იყოს როგორც კალორიებით, ასევე ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებით, ამიტომ მეცნიერები კვების რაციონში ვიტამინებით მდიდარი პროდუქტების ჩართვის რეკომენდაციას იძლევიან.

ასეთ ნედლეულს კუნელი წარმოადგენს. საქართველოს ტყეები მდიდარია ბუნებრივად მზარდი ამ ნედლეულით, თუმცა საქართველოს კვების მრეწველობის საწარმოების მიერ ის ნაკლებად გამოიყენება.

კვლევითი სამუშაოს ჩატარების ძირითად მიზანს წარმოადგენდა მაღალი კვებითი ღირებულების მქონე გარეული კენკრის გამოყენებით მცენარეული საკვებდანამატების დამზადება.

სახეობებისაგან დამოკიდებულებით კუნელის ნაყოფი შეიცავს: შაქრებს, პექტინოვან ნივთიერებებს, სახამებელს, ფიტოსტერინებს, ფენოლურ ნაერთებს, ეთერზეთებს, ვიტამინებს (განსაკითრებით P (330–680 მგ%) და C (30–108 მგ%), მინერალურ ნივთიერებებსა (K, Ca,



Mg, Co, Fe და სხვ.) და სხვ.

ნაყოფის მჟავიანობას (2,5 %) ძირითადად განაპირობებენ: ვაშლის, ლიმონის, ღვინისა და სხვ. მჟავები. კუნელის თესლი მდიდარია ცხიმით.

კუნელს იყენებენ სხვადასხვა პრეპარატების დასამზადებლად. იგი გამოიყენება გულის, ნერვული სისტემის, ლიპიდების ცვლის, ჰიპერთირეოზის და სხვ. დაავადებების დროს. კუნელი დაბალკალორიულია (52კკალ), თუმცა აქვს მაღალი კვებითი ღირებულება. 200გ კუნელს შეუძლია 10 %-ით დააკმაყოფილოს ნახშირწყლებზე ადამიანის დღიური ნორმა.

კუნელისაგან ამზადებენ: ჩაის, ბურახს, კისელს, ჯემს, წვენებს, მარმელადს, ღვინოსა და სხვ. /1- 5/.

კვლევის ობიექტი და კვლევის მეთოდები. კვლევის ობიექტი იყო წითელი კუნელი დუშეთის რაიონის კურკოს ტყიდან.

კვლევის სტანდარტული მეთოდებით შესწავლილია კუნელისა და მისი გადამუშავების პროდუქტის ხარისხის განმსაზღვრელი ძირითადი სტანდარტული მაჩვენებლები /6 - 9/.

კვლევები ტარდებოდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიოტექნოლოგიის ცენტრის სამეცნიერო ლაბორატორიაში.

კვლევის შედეგები. დასახული მიზნის მისაღწევად გამოკვლეულია ნაყოფის სასაქონლო და ტექნოლოგიური მაჩვენებლები. კვლევამ გვიჩვენა, რომ ნაყოფი შეიცავდა 26,8 % მშრალ ნივთიერებას, 9,02 % შაქრებს, 0,7 % პექტინოვან ნივთიერებებს, 0,2 % სახამებელს. მასში ბევრია C ვიტამინი ($53 \cdot 10^{-3}$ %). ნაყოფის აქტიური მჟავიანობა იყო 4,0.

განგარიშებულ იქნა კუნელის კვებითი ღირებულება. კუნელის სარგებლიანობის განსაზღვრისას კვებითი ღირებულების უმნიშვნელოვანეს მაჩვენებლად შეიძლება ჩაითვალოს C ვიტამინი.

კვებითი ღირებულების განგარიშების შემდეგ ნაყოფები დაექვემდებარა ტექნოლოგიურ გამოცდას, კერძოდ ნედლეულისაგან არსებული ტექნოლოგიით ლაბორატორიულ პირობებში დამზადდა პროდუქცია (ფქვილი). შერჩეულ იქნა შრობის რეჟიმი.

მზა პროდუქციაში განისაზღვრა ძირითადი სტანდარტული ხარისხობრივი (ორგანოლექტიკური და ფიზიკურ-ქიმიური) მაჩვენებლები. ორგანოლექტიკური მაჩვენებლების შესწავლამ ცხადყო, რომ ფქვილს ჰქონდა ერთგვაროვანი, ფხვიერი კონსისტენცია და კუნელისათვის დამახასიათებელი გემო და სუნი.

პროდუქციის მშრალი ნივთიერების 34 %-ს შეადგენდა შაქრები. შრობისას თერმოჰიდროლიზის გამო პროდუქციაში შემცირდა სახამებლის ნაწილის, ასევე საქაროზის შემცველობაც, თუმცა გაიზარდა მონოსაქარიდებისა და საკვები ბოჭკოების შემცველობა. C ვიტამინი დაახლოებით 60% იქნა შენარჩუნებული.

უნდა აღინიშნოს, რომ დამზადებული პროდუქცია (ფქვილი) აკმაყოფილებდა ანალოგიური სახის პროდუქციაზე მოქმედი ნორმატიული დოკუმენტის მოთხოვნებს.

ჩატარებული სამუშაოების შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კუნელის ფქვილი დანამატის სახით შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვა ნაწარმის ხარისხის გასაუმჯობესებლად და კვებითი ღირებულების გასაზრდელად.



ლიტერატურა

1. გ. თურმანაული, ი. თურმანაული ფიტო-ფარმაცო-თერაპიული საშუალებები. სამკურნალო მცენარეები. ფიტოპრეპარატები. გამომც. "საბჭოთა აჭარა". 1985.
2. მ. ფრუიძე, ე. ბენდელიანი, შ. ჩაკვეტაძე საქართველოში გავრცელებული ჩაისა და ზოგიერთი კენკროვანი მცენარეებიდან ფენოლური ნაერთების გამოკვლევა და მათი გავლენა ხარისხზე. პირველი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „ახალი ინიციატივები“. ქუთაისი. 2019. გვ. 295-302.
3. გ. კაიშაური, თ. ბარათაშვილი კუნელის სახეების შედარებითი დახასიათება //მეცნიერება და ტექნოლოგიები. თბ. 2019. N1 (730). გვ. 107-116.
4. გ. გოგიჩაძე სამედიცინო ტერმინოლოგიის ქართულ-ინგლისურ-რუსულ-ლათინური ლექსიკონი /გ. გოგიჩაძე, ა. გედენიძე, ჯ. ჭუმბურიძე; თბ. : მერიდიანი, 2009. გვ. 394-395.
5. ვ. მირზაშვილი ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. თბ.1983. ტ. 6, გვ. 72.
6. Методические указания по химико-технологическому сортоиспытанию овощей, плодов и ягод для консервной промышленности. М. 1977. 198 с.
7. Марх А. Т., Кржевова Р.В. Химико-технический контроль консервного производства. М.: Пищепромиздат, 1962, 435 с.
8. სახელმწიფოთაშორისი სტანდარტები.
9. Химический состав пищевых продуктов Справочные таблицы содержания основных пищевых веществ и энергетической ценности пищевых продуктов. Под ред. А. А. Покровского. М.: Пищевая промышленность. 1977. с. 9 -13.

Dietary supplements from wild berries

G. Kaishauri

Biotechnological Center of Georgian Technical University

Summary

This work contains the results of a research of the studying chemical substances of wild-growing berries (hawthorn). The flour is made from the berries. The main qualitative indices of the received products were studied.

It has been established that hawthorn berry flour meets the requirements of the current regulatory and technical documentation for similar products. The flour derived from wild hawthorn fruits is rich with the biologically active substances.

**სურსათის უვნებლობის გავლენა ადამიანური კაპიტალის
ჯანმრთელობაზე**

კაკაურიძე ნ.

საქართველოს ტურიზმის მეცნიერებათა აკადემია

დღეისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მოსახლეობის უზრუნველყოფას სათანადო რაოდენობისა და ხარისხის სასურსათო პროდუქციით. სასურსათო პროდუქტების შექმნისა და მოხმარების პროცესში ძირითად ამოცანას წარმოადგენს მომხმარებელთა ჯანმრთელობის დაცვა საშიში პროდუქტებისგან. საქართველოს მთავრობამ სურსათის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მოამზადა და დამტკიცა შესაბამისი ნორმატიული აქტები, რომლებიც სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფის თითქმის ყველა საკითხს მოიცავს. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია მარკირებისა და მომხმარებელთა ინფორმაციით უზრუნველყოფის საკითხებზე. გაანალიზებულია სურსათის უვნებლობის გავლენა ადამიანური კაპიტალის ჯანმრთელობაზე.

სურსათის რეგულირების ძირითადი ამოცანაა მომხმარებელთა ჯანმრთელობის დაცვა საშიში პროდუქტებისგან. ჯანმრთელობა გავლენას ახდენს ადამიანის კეთილდღეობაზე. იგი



როგორც სამომხმარებლო, ასევე ინვესტიციური საქონელია. ჯანმრთელობა, როგორც მოხმარების საქონელი, გულისხმობს, რომ ჯანმრთელობა ადამიანს სიამოვნებას ანიჭებს, შესაბამისად, ჯანმრთელობაზე, როგორც სამომხმარებლო საქონელზე არის მოთხოვნა. ჯანმრთელობა, როგორც საინვესტიციო სიკეთე, გულისხმობს, რომ იგი ადამიანს მუშაობის და შესაბამისად, შემოსავლების გამომუშავების საშუალებას აძლევს. ჯანმრთელობის საინვესტიციო სიკეთე განისაზღვრება მოცემული სიკეთის მეშვეობით მიღებული სარგებლის ღირებულებით. სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდა ნიშნავს შრომითი საქმიანობის დამატებით წლებს, რომლის განმავლობაში ადამიანი ღებულობს შემოსავალს და ახდენს ინვესტირებას საკუთარ კაპიტალში. შეზრდული შესაძლებლობა, ავადობა განიხილება, როგორც საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დანაკარგები, რაც იწვევს მნიშვნელოვან ეკონომიკურ ზარალს. ინვესტიციები ჯანმრთელობაში ხელს უწყობს შრომისუნარიანი მოსახლეობის ზრდას, ავადობის შემცირებას, რაც დადებითად ზემოქმედებს ადამიანურ კაპიტალზე. ჯანმრთელმა ადამიანმა ნაკლებად სავარაუდოა გააცდინოს სამუშაო, შესაბამისად იგი უფრო პროდუქტიულია, რაც აისახება შემოსავლების ზრდაში.

ჯანმრთელობის სტატუსი ადამიანური კაპიტალის მნიშვნელოვანი ნაწილია. ადამიანს მემკვიდრეობით აქვს მირებული ჯანმრთელობის თავდაპირველი მარაგი, მაგრამ, როგორც ფიზიკური კაპიტალი, განიცდის ამორტიზაციას და შეიძლება გაუფასურდეს დროთა განმავლობაში. ამიტომ, ჯანმრთელობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ადამიანები ახდენენ მასში ინვესტირებას. შეიძლება ითქვას, რომ ადამიანური კაპიტალის ჯანმრთელობას აქვს როგორც ინდივიდუალური, ასევე საზოგადოებრივი მნიშვნელობა, რადგანაც ჯანმრთელობას სარგებელი აქვს როგორც ადამიანისათვის, ასევე საზოგადოებისათვის.

სასურსათო პროდუქტების შეზენისა და მოხმარების პროცესში მომხმარებელთა დაცვის მიზნით მოქმედებს შესაბამისი კანონმდებლობა. ბოლო პერიოდში სურსათის უვნებლობის, მარკირებისა და მომხმარებელთა დაცვის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა. საქართველოს მთავრობამ სურსათის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მოამზადა და დაამტკიცა ნორმატიული აქტები, რომელთა რეგულირების სფეროს წარმოადგენს სურსათთან დაკავშირებული ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები როგორცაა: სურსათის ჰიგიენა, სურსათის მიკრობიოლოგიური მაჩვენებლები, ცალკეული სახის სურსათის ეტიკეტირება და ა.შ.

საქართველოში მიღებულ და დღეს მოქმედ სურსათის კანონმდებლობაში შემავალი ნორმატიული აქტები სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფის თითქმის ყველა საკითხს მოიცავს. ზოგადი მიდგომები პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსშია ჩამოყალიბებული, შემდეგ კი ისინი დაწვრილებით არის გაწერილი შესაბამის საკანონმდებლო აქტებში.

პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში აღნიშნულია, რომ კოდექსის მიზანია ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, საკუთრებისა და გარემოს დაცვა, ასევე უსაფრთხო პროდუქტის ბაზარზე განთავსება. კოდექსი განმარტავს, თუ რა არის უსაფრთხო ან სახიფათო პროდუქტი. კოდექსის მიხედვით, უსაფრთხოთ ითვლება „პროდუქტი, რომელიც დანიშნულებისამებრ, გონივრული გამოყენებისას და ვარგისიანობის ვადის დაცვისას არ შეიცავს რისკს, ან შეიცავს მხოლოდ ადამიანის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის გათვალისწინებით დასაშვებად მიჩნეულ მინიმალურ რისკს“ (3, მუხლი



4, პუნქტი 2). კოდექსის მეორე თავი მიზნად ისახავს მომხმარებლის დაცვას, განსაზღვრავს მწარმოებლის პასუხისმგებლობის საკითხებს წუნდებული პროდუქტის ბაზარზე განთავსებისთვის. მესამე თავში ბაზარზე განთავსებული პროდუქტის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში მწარმოებლისა და დისტრიბუტორის ვალდებულებები, პროდუქტის უსაფრთხოების შეფასებისას გასათვალისწინებელი ფაქტორები, პროდუქტის მოხმარებისას მოსალოდნელი რისკების შესახებ მწარმოებლისა და დისტრიბუტორის მოვალეობი არის ჩამოყალიბებული. ყურადღებაა გამახვილებული პროდუქტის შესახებ მწარმოებლის/დისტრიბუტორის მიერ მომხმარებლის ინფორმირებაზე. აღნიშნულია, რომ „მწარმოებელი/ დისტრიბუტორი ვალდებულია მომხმარებელს მიაწოდოს აუცილებელი, უტყუარი და სრული ინფორმაცია, რაც მას სწორი არჩევანის შესაძლებლობას მისცემს“ (3, მუხლი 12, პუნქტი 1).

პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი ყურადღებას ამახვილებს პროდუქტის ნიშანდებაზეც (მარკირებაზე), რადგან ის ეხმარება მომხმარებელს პროდუქტების შესყიდვასთან დაკავშირებით არჩევანის სწორად გაკეთებაში. კოდექსში ნიშანდების შესახებ აღნიშნულია: „პროდუქტის ნიშანდება არის პასუხისმგებელი პირის მიერ იმის დეკლარირება, რომ ა) პროდუქტი შეესაბამება ახალი მიდგომის ტექნიკურ რეგლამენტებს და საფრთხეს არ უქმნის ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან / და საკუთრებას; ბ) პროდუქტს გავლილი აქვს შესაბამისობის შეფასების პროცედურები“ (3, მუხლი 94, პუნქტი 1).

ტექნიკურ რეგლამენტში - სურსათის ეტიკეტირებისადმი დამატებითი მოთხოვნების შესახებ - ვრცლად არის წარმოდგენილი ის მოთხოვნები, რომელთაც ეტიკეტი უნდა აკმაყოფილებდეს. ნორმატიული აქტი მომხმარებელზე სარეალიზაციოდ განკუთვნილი სურსათის ეტიკეტს უყენებს შემდეგ მოთხოვნებს: სურსათის ეტიკეტი შეფუთულ ერთეულზე უნდა მიემაროს ან განთავსდეს ისე, რომ ადვილად არ სცილდებოდეს; ეტიკეტზე განთავსებული სავალდებულო ინფორმაცია მომხმარებლისთვის უნდა იყოს სრული, გასაგები, შესამჩნევი, ადვილად წასაკითხი; დასაშვებია ეტიკეტზე წერილობითი, ბეჭდური ან გრაფიკული გამოსახულებების განთავსება; ეტიკეტზე სურსათის დასახელება და შემადგენლობა განთავსებული უნდა იქნეს გამოსაჩენ ადგილას, ხედვის ერთ არეალში; სურსათში გამოყენებული ინგრედიენტების ჩამონათვალი მოცემული უნდა იქნეს სათაურით - „შემადგენლობა“, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სურსათი შეიცავს მხოლოდ ერთ ინგრედიენტს; სურსათის ეტიკეტზე ინფორმაცია უნდა განთავსდეს ქართულ ენაზე (4, მუხლი 3, ქვეპუნქტები 1-7).

მომხმარებლისთვის ეტიკეტის მიმართ წაყენებული ყველა მოთხოვნა მნიშვნელოვანია და ბიზნესის სფეროს წარმომადგენლები ვალდებულნი არიან დაიცვან ეს მოთხოვნები. მათი მეშვეობით მომხმარებელი სწორად ახდენს პროდუქტის იდენტიფიკაციას, რაც უადვილებს ყიდვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებას. სურსათის ეტიკეტზე განთავსებული ინფორმაციის სახეობები უფრო დაწვრილებით გაიწერა ტექნიკურ რეგლამენტში - მომხმარებლისთვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების თაობაზე, რომელიც 2018 წლიდან ამოქმედდა.

ყველა სახის სურსათზე ორიენტირებულ ნორმატიულ აქტებთან ერთად საქართველოში მიმდინარეობს მუშაობა ცალკეული სახის სურსათის მიხედვით (ვერტიკალური კანონმდებლობა) ნორმატიული აქტების დამუშავებისა და დამტკიცების მიმართულებითაც. მათ შორისაა ტექნიკური რეგლამენტები რძისა და რძის ნაწარმის, საქონლის ხორცისა და საქონლის ხორცის პროდუქტების ეტიკეტირების წესის შესახებ.



რძისა და რძის ნაწარმის შესახებ ტექნიკურ რეგლამენტში დაწვრილებით არის ჩამოყალიბებული მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს რძის წარმოების ადგილი და ამ დროს გამოყენებული აღჭურვილობები. რძის შესანახად გამოყენებულ ადგილთან დაკავშირებით რეგლამენტში ნათქვამია, რომ ის უნდა იყოს: „მავნებლებისგან დაცული; ცხოველის სადგომისგან გამოცალკევებული; აღჭურვილი შესაბამისი რძის გასაცივებელი საშუალებებით“ (5, მუხლი 8, პუნქტი 2). რეგლამენტი ადგენს რძისა და რძის ნაწარმის იდენტიფიცირების (საიდენტიფიკაციო ნიშნის) მინიჭების წესსაც (5, მუხლი 9).

ტექნიკური რეგლამენტის - საქონლის ხორცისა და საქონლის ხორცის პროდუქტების ეტიკეტირების წესი - მიზანი ასეა განსაზღვრული: „ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და მომხმარებელთა ეკონომიკური ინტერესების დაცვა და საქონლის ტექნიკური რეგლამენტები რძისა და რძის ნაწარმის, საქონლის ხორცისა და საქონლის ხორცის პროდუქტების წარმოების, გადამამუშავების, დისტრიბუციის ეტაპებზე ეტიკეტირების ერთიანი პრინციპების განსაზღვრა“ (6, მუხლი 2, პუნქტი 1). რეგლამენტში ცალკეა ჩამოყალიბებული ეტიკეტირების მიმართ წაყენებული მოთხოვნები ხორცის, გატარებული ხორცის, ხორცის ანაჭერის, დაჭრილი შეფუთული ხორცის და შეუფუთავი ხორცის მიხედვით.

სურსათის ეროვნული კანონმდებლობის შექმნის მიმართულებით საქართველოში ჩატარებულია მნიშვნელოვანი სამუშაოები ევროკავშირის სურსათის კანონმდებლობის შესწავლის საფუძველზე. სურსათის კანონმდებლობა საქართველოში თანდათანობით იხვეწება და სულ უფრო სრულყოფილი ხდება.

ლიტერატურა

1. Todua N., Gogitidze T., Phutkaradze J. Georgian Consumer Attitudes Towards Genetically Modified Products. International Journal of Management and Economics. Vol. 46/2015, Issue 1. pp. 120-133.
2. Mghebrishvili B., Urotadze E. (2016). Characteristics of Food Products Labeling in Georgia. Proceedings of International Scientific Symposium “Economics, Business & Finance”, Jurmala, Latvia, pp. 135-138.
3. საქართველოს კანონი (2012) პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი <https://matsne.gov.ge/ka/dokument/view/1659419>.
4. ტექნიკური რეგლამენტი (2013) სურსათის ეტიკეტირებისადმი დამატებითი მოთხოვნების შესახებ <https://matsne.gov.ge/ka/dokument/view/2187143>.
5. ტექნიკური რეგლამენტი (2015) რძისა და რძის ნაწარმის შესახებ <https://matsne.gov.ge/ka/dokument/view/2803085>.
6. ტექნიკური რეგლამენტი (2016) საქონლის ხორცისა და საქონლის ხორცის პროდუქტების ეტიკეტირების წესის შესახებ <https://nfa.gov.ge/uploads/other/5/5024.pdf>.

The Impact of Food Safety on Human Capital Health

N. Kakauridze

Georgian Academy of Tourism Sciences

Summary

The paper discusses the current condition of food market in the world and in Georgia and reveals the ongoing processes in the field. It depicts and evaluates the export and import issues and agricultural potential of our country. The paper discusses the ongoing processes on the world food market, current global challenges and their effective usage for the development and future competitiveness of Georgia in the global market. Research reveals characteristics and modern tendencies in global food market which is obligatory to be taken into account for using the agricultural potential and for the future development of agriculture in the country. The papers proves that correct regulations from the government will make the country more attractive for investors in this field. All mentioned above is a part of long-term strategy concerning food safety of the country.

Some important result of implementing European standards in the field of food regulation have been discussed. The process of creation and enforcing of the laws of food legislation and technical regulations have been analyzed. The contents of main legal acts have been studied. Labeling and providing customers with information have been emphasized.



სურსათის უვნებლობა და რეგულირების ზოგადი პრინციპები

კამკამიძე ნ.

ასაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სტატიაში განხილულია სურსათის უვნებლობისა და რეგულირების ზოგადი პრინციპები, რომელიც შემუშავებულია ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ და სურსათის უვნებლობის პოლიტიკა საქართველოში, რომლის მიხედვითაც, აქცენტი საბოლოო პროდუქტის სერთიფიცირებიდან გადადის სურსათის წარმოების პროცესის კონტროლზე, განსაზღვრულია პასუხისმგებლობები სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფისათვის და სახელმწიფო კონტროლის მექანიზმებისათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ სურსათი ადამიანის სიცოცხლისათვის აუცილებელ ფიზიოლოგიურ მოთხოვნებს აკმაყოფილებს და უზრუნველყოფს სხვადასხვა დავადებების თავიდან აცილებასა და პროფილაქტიკას, მაგრამ ასევე სურსათიდან ადამიანის ორგანიზმში ტოქსიკური ნივთიერებების 70 % ხვდება და ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, ყოველწლიურად 600 მილიონი ადამიანი ავადდება, მათგან 2 მილიონი იღუპება, აქედან 125 000-მდე 5 წლამდე ასაკის ბავშვია.

თანამედროვე ეტაპზე აუცილებელი გახდა შექმნილყო სურსათის უვნებლობის სამართლებრივი მოთხოვნები, რომელს უზრუნველყოფს ადამიანის ჯანმრთელობის და სიცოცხლის დაცვას. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ შემუშავებული იქნა “უვნებელი კვების ხუთი მნიშვნელოვანი პრინციპი” :

1. დაიცავით სისუფთავე;
2. განაცალკავეთ უმი ანუ დაუმუშავებელი და მზა სურსათი;
3. მომზადებისას პროდუქტებმა უნდა გაიარონ სათანადო თერმული დამუშავება;
4. სურსათის შენახვის დროს დაიცავით უვნებელი ტემპერატურული რეჟიმი;
5. გამოიყენეთ უვნებელი წყალი და სასურსათო ნედლეული.

ავსტრია-უნგრეთის იმპერიაში, 1897-1911 წლებში, მოქმედებდა “Codex Alimentarius Austriacus” –ით დადგენილი წესები, რომელშიც განსაზღვრული იყო სურსათის ხარისხისა და უვნებლობის მოთხოვნები.

აღნიშნული დოკუმენტის დასახელება გახდა თანამედროვე “Codex Alimentarius”-ის სტანდარტების საფუძველი, რომელსაც დღეისათვის შეიმუშავებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) მიერ შექმნილი Codex Alimentarius — კომისია.

სურსათის უვნებლობა უკვე იქცა გლობალურ ფენომენად, საერთაშორისო მასშტაბით ვაჭრობისა და ტურიზმის განვითარება, მოსახლეობის დიდ ქალაქებში მიგრაცია, გარემოს დაბინძურება, სიღარიბე, ინტენსიური სოფლის მეურნეობა და მეცხოველეობა, სურსათის გადამუშავება და განაწილება – დისტრიბუციის ჯაჭვი, ისეთი ვირულენტური მიკროორგანიზმების გაჩენა, რომლებიც ზოგიერთი ანტიბიოტიკების მიმართ დიდ რეზისტენტობით ხასიათდება სურსათის უზრუნველყოფისათვის დიდ გამოწვევად იქცა.

ჩვენი შესწავლის საგანი კი არის სურსათის უვნებლობის პოლიტიკა საქართველოში და ამ კუთხით სახელმწიფო კონტროლის მექანიზმები. როგორც აღმოჩნდა საქართველოს და მსგავსი გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნისათვის სურსათის უვნებლობა განსაკუთრებით რთული და კომპლექსური საკითხია, რომელიც მრავალმხრივ გადაწყვეტას მოითხოვს.



საქართველოში ტერმინი „სურსათის უვნებლობა“ იგი ძირითადად სურსათის ხარისხსა და უსაფრთხოებასთან არის გაიგავებული. გვახსოვდეს, რომ სურსათის უვნებლობა ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებების — ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა და, შესაბამისად, სურსათის მოხმარებით გამოწვეული რისკებისაგან დაცვას გულისხმობს, ხოლო „სასურსათო უსაფრთხოება — ეს არის ნებისმიერი ქვეყნის ყველა ფენის მოსახლეობის ფიზიკური და ეკონომიკური ხელმისაწვდომობა აქტიური და ჯანმრთელი ცხოვრების შენარჩუნებისათვის საჭირო რაოდენობისა და კვებითი ღირებულების მქონე უვნებელ სურსათზე“

სურსათის უვნებლობის პოლიტიკამ საქართველოში ძირეული რეფორმები განიცადა 2001 წლის შემდეგ, როდესაც ქვეყნის პოლიტიკურ პრიორიტეტად ევროკავშირში ინტეგრაცია განისაზღვრა. 2004 წელს დამტკიცდა საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის ეროვნული პროგრამა, რომელიც საფუძვლად დაედო საქართველოს პარლამენტის მიერ 2005 წლის დეკემბერში მიღებულ კანონს „სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ“. ეს კანონი იყო სიახლე. (1)

ქართულ საკანონმდებლობა სივრცეში შემოვიდა რისკის ანალიზზე დამყარებული მიდგომა, რაც გულისხმობს იმას, რომ სურსათის უვნებლობის სფეროში მიღებული გადაწყვეტლება და გატარებული ქმედება რისკებს უნდა ეფუძვნებოდეს.

აღიარებულია მიდგომა“ მინდვრიდან მაგიდამდე“, რაც ნიშნავს აქცენტი საბოლოო პროდუქციის სერთიფიცირებიდან გადადის სურსათის წარმოების პროცესზე. განისაზღვრა პასუხისმგებლობები სურსათის ხარისხის უზრუნველყოფისა და სახელმწიფო კონტროლის სფეროში. (1)

სურსათი სანამდე ჩვენს სუფრაზე აღმოჩნდება, ის გადის დიდ გზას, რა დროსაც შესაძლა მოხდეს დაზინძურება ან შენახვის პირობების დარღვევა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით (WHO) მონაცემებით, მსოფლიოში ყოველწლიურად 10 ადამიანიდან 1 სურსათისმიერი დაავადებით ავადდება. სწორედ ამიტომ, აუცილებელია არსებობდეს გარკვეული რეგულაციები, რომლებიც უზრუნველყოფს უვნებელი სურსათის მიწოდებას და ამ საგანგაშო სტატისტიკის მინიმუმამდე დაყვანას. (2)

ვის ეკისრება პასუხისმგებლობა სურსათის უვნებლობაზე?

უნდა აღინიშნოს, რომ სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფის დიდ ჭაჭვში მონაწილე ყველა რგოლს-ფერმებიდან დაწყებული, ბიზნესოპერატორით და მყიდველით დამთავრებული თავისი პასუხისმგებლობა აკისრია. ბიზნესოპერატორი ვალდებულია უზრუნველყოს სურსათის შესაბამისობა კანონმდებლობასთან მის წარმოების, გადამამუშავების და დისტრიბუციის ეტაპებზე. (3)

სურსათის უვნებლობის ძირითადი პრინციპებია:

- ა) მომხმარებელთა ინტერესების დაცვა;
- ბ) რისკის ანალიზი;
- გ) გამჭვირვალობა;
- დ) პრევენცია

ამრიგად სტატიაში შევისწავლეთ სურსათის უვნებლობისა და რეგულირების ზოგადი პრინციპები, ახალი სამართლებრივი მოთხოვნები რომელიც შეიმუშავა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციამ. განხილულია ასევე სურსათის უვნებლობის პოლიტიკა სა-



ქართველოში, როდესაც ქვეყნის პოლიტიკურ პრიორიტეტად ევროკავშირში ინტეგრაცია განისაზღვრა. აღიარებულ იქნა ინტეგრირებული მიდგომა „მინდვრიდან მაგიდამდე“. ეს იმას ნიშნავს, რომ აქცენტი საბოლოო პროდუქტის სერტიფიცირებიდან გადადის სურსათის წარმოების პროცესის კონტროლზე, დამკვიდრდა სურსათის უვნებლობის მართვის თანამედროვე სისტემები, ძირითადი პრინციპები, განისაზღვრა პასუხისმგებლობები სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფისათვის და სახელმწიფო კონტროლის მექანიზმები.

ლიტერატურა

1. ქ. ლაფერაშვილი, „სურსათის უვნებლობა — მეცნიერული საფუძვლები, თანამედროვე პრინციპები და სამართლებრივი რეგულირების ზოგადი დებულებები“ — ISSN 1512-0813., საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, 2008 წ;
2. ქ. ლაფერაშვილი, ზ. ქუჩუკაშვილი, „სურსათის უვნებლობა და ხარისხი“ — სახელმძღვანელო, ISBN 978-9941-0-3995 -9 (120 გვ); 2011 წ;
3. ინტერნეტ მასალა <https://www.isoconsulting.ge/single-post>

Food safety and general principles of regulation

N. Kamkamidze

Akaki Tsereteli State University

Summary

The article discusses the general principles of food safety and regulation developed by the World Health Organization. It also discusses food safety policy in Georgia, according to which the focus shifts from end-product certification to control of the food production process, responsibilities for ensuring food safety and state control mechanisms.

**დაბინძურებული ნიადაგების კულტურული
მცენარეებით გასუფთავება**

კამკამიძე ნ., კვანტიძე ვ.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სტატიაში განხილულია სხვადასხვა ჯიშის მცენარეების შესწავლა მძიმე ლითონების ფიტომიგრაციის კუთხით და ბიოტექნოლოგიის შემუშავება, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი გახდება საქართველოში დაბინძურებულ ნიადაგებზე ეკოლოგიურად სუფთა, საერთაშორისო ბაზრისთვის სრულფასოვანი საკვები პროდუქციის წარმოება.

საქართველოს ტექნოგენურად დაბინძურებული ნიადაგების მძიმე ლითონებისგან გაწმენდა მეტად აქტუალურ პრობლემად გვევლინება. ფიტორემედიაციული მეთოდი წარმოადგენს გარკვეული სახეობის მცენარეებით მსხვილი საწარმოო ქარხნების მიმდებარე ნიადაგების გაწმენდას იაფი და მომგებიანი ტექნოლოგიით, ასეთი საწარმოებია: ოქროს, სპილენძის, ქვანახშირის, მანგანუმის და სხვა წიაღისეულის მომპოვებელი ქარხნები, რომლებიც მნიშვნელოვნად აბინძურებენ ნიადაგებს, როგორც სიღრმეში, ასევე ზედაპირზე.

ფიტოტექნოლოგია ფართოდ გამოიყენება ნიადაგის ისეთი დამაბინძურებლების გაწმენდის მიზნით, როგორებიცაა: მძიმე ლითონები, პესტიციდები, ნავთობი, ქლორიდები,



სხვადასხვა შენაერთები და რადიონუკლიდები. ფიტორემედიაციის დანერგვა საქართველოს დაბინძურებულ რეგიონებში ძალზედ აქტუალური საკითხია ჩვენი ქვეყნის განვითარებისთვის.

ჩვენი კვლევის მიზანია სხვადასხვა ჯიშის მცენარეების შესწავლა მძიმე ლითონების ფიტომიგრაციის კუთხით.

რადგან მნიშვნელოვანია ისეთი ბიოტექნოლოგიის შემუშავება, რომლის მეშვეობითაც საქართველოში დაბინძურებულ ნიადაგებზე შესაძლებელი გახდება ეკოლოგიურად სუფთა და საერთაშორისო ბაზრისთვის სრულფასოვანი საკვები პროდუქციის წარმოება. საქართველოში ზოგიერთ რაიონებში საუკეთესოა სოფლის მეურნეობის აღორძინების თვალსაზრისით, რადგან წელიწადში შესაძლოა სამჯერ მოვიყვანოთ მოსავალი ერთსა და იმავე სასოფლო სამეურნეო სავარგულზე, მაგრამ აქ, ნიადაგების მძიმე ლითონებით დაბინძურება ძალიან მაღალია, ხოლო მოყვანილი კვების პროდუქტები ადგილობრივ, თუ საერთაშორისო ბაზარზე საწარმოებლად ნაკლებად კონკურენტუნარიანია და დიდ საფრთხეს უქმნის ადამიანთა ჯანმრთელობას.

ფიტორემედიაციული კვლევები საზღვარგარეთ 1970-იანი წლებიდან დაიწყო. დღესდღეობით უამრავი კვლევაა ჩატარებული ამ ტექნოლოგიის გაუმჯობესების კუთხით. გერმანიაში, საფრანგეთში, ინგლისში, ჩინეთში, იაპონიაში, თურქეთში და სხვა წამყვან ქვეყნებში არაერთი მეცნიერთა ჯგუფი იკვლევს ნიადაგის გაწმენდას ფიტორემედიაციის გამოყენებით. აშშ-ში ფიტორემედიაციული მეცნიერებების სულის ჩამდგმელები გახლავთ დომი ადრიანო, ჯონ სიემენი, გარი მილსი და ა.შ., რომლებიც მსოფლიოში წამყვან სპეციალისტებად ითვლებიან და არაერთი წიგნის, თუ სამეცნიერო პუბლიკაციის ავტორები არიან.

დღეისათვის მსოფლიოში დაახლოებით 400 სახეობაზე მეტი მცენარეა გამოკვლეული, რომელთაც შესწევთ ნიადაგიდან მძიმე ლითონების შთანთქმის უნარი. კვლევების შედეგად დასტურდება, რომ არსებობენ ჰიპერაკუმულატორი მცენარეები, რომლებსაც ნიადაგიდან შეუძლიათ სხვადასხვა ლითონის შებოჭვა. აღნიშნული მეთოდის სიიაფისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების გამო მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში იყენებენ გაწმენდის ამ მეთოდს.[1]

მაგალითად იაპონიაში ჯინზუს მდინარის ხეობაში დაბინძურებული ნიადაგების რემედიაციისას გამოიყენეს შემდეგი მეთოდი, რაც გულისხმობდა ნიადაგის ზედაპირიდან დაბინძურებული ფენის მოხსნას და ახალი ნიადაგით ჩანაცვლებას, რომლის ფასმაც 1 ჰექტარზე 2.5 მილიონი ამერიკული დოლარი შეადგინა. ნიადაგის ინვერსია შესაძლოა იყოს წარმატებული ბრინჯისთვის, რადგან ბრინჯის მცენარე კადმიუმს ითვისებს ნიადაგის ზედაპირიდან. თუმცა იგივე მეთოდი არ არის მიზანშეწონილი სხვა კულტურული მცენარეებისთვის. ბრინჯში კადმიუმის შემცველობის მაქსიმალური ზღვარი 0.4 მგ/კგ შეადგენს, როცა ნიადაგი შეიცავს 1.5 მგ/კგ კადმიუმს.

კვლევების განვითარებისა და სრულყოფის შედეგად მეცნიერებმა დაადგინეს მცენარის რამდენიმე სახეობა, რომლებიც საუკეთესო შედეგს იძლევიან კადმიუმის ფიტოექსტრაქციისას. ამ მცენარეებიდან რამდენიმე მათგანი საუკეთესო თვისებებს ავლენს ისეთ ნიადაგებში, სადაც ბრინჯი მოჰყავთ. ტაილანდში დაბინძურებულ ნიადაგებზე რამდენიმე მცენარე იყო გამოცდილი, რომლებმაც ეფექტურად ამოიღეს კადმიუმი. თუმცა კლიმატური პირობები მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს მცენარის ზრდა-განვითარებაზე. მუსონური წვიმები და ასევე გვალვები დიდ ზიანს აყენებენ მცენარის პირველად განვითარებას. მკვლევარებმა ასევე



დაადგინეს, რომ ბრინჯის გამოყენებით ნიადაგის გაწმენდისათვის დაახლოებით 2 წელია საჭირო. აგრეთვე აღნიშნული მეთოდი საუკეთესო აღმოჩნდა იმ ნიადაგებისათვის, სადაც კადმიუმის კონცენტრაცია 1.63 მგ/კგ, ხოლო თუთიის 137 მგ/კგ შეადგენს.

წარმოდგენილი მეთოდის შემთხვევაში გამოყენებული იყო „ჩოკოლეტოკუ“-ს ბრინჯის სახეობა. მეცნიერებმა კვლევების შედეგად დაადგინეს, რომ ივლისის თვეში მცენარე შეიცავდა 0.42 მგ/კგ კადმიუმს. მაგრამ ოქტომბრის თვეში, როდესაც ნიადაგი გამოშრა და მცენარემ დაისრულა ყვავილობა, მასში კადმიუმის შემცველობამ 70 მგ/კგ-ს მიაღწია. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ნიადაგის გამოშრობით კადმიუმის აკუმულაცია ბრინჯში იზრდება, რაც იძლევა წარმატებული ექსტრაქციის საშუალებას.

იაპონელი მეცნიერი მურაკამი გვიჩვენებს მსგავს კვლევებს სოიოს მაგალითზე, რადგან იაპონიაში მოყვანილ ბრინჯში კადმიუმის შემცველობა 1 მგ/კგ-ს აჭარბებდა, ხოლო სტანდარტებით მოთხოვნილი მაქსიმალური დასაშვები ნორმა 0.4 მგ/კგ-ს შეადგენდა. მურაკამის კვლევების მიხედვით იაპონიაში დაახლოებით 40 000 ჰექტარი დაბინძურებული ნიადაგია, სადაც ბრინჯის წარმოებას ეწევიან. ამიტომ იაპონია ითხოვს ასეთი ნიადაგების კადმიუმისგან გაწმენდას.

აგრეთვე მცენარე კარამბოლა აღმოჩნდა საუკეთესო აკუმულაციური თვისებების მქონე, რომელიც დიდი რაოდენობით ითვისებს კადმიუმს ღეროებში, ფოთლებსა და ნაყოფში. მეცნიერების აზრით კარამბოლას გამოყენება დაბინძურებული ნიადაგიდან კადმიუმის ამოღების საუკეთესო ფიტორემედიაციული მეთოდია, რის შედეგადაც მცენარეების ბიომასისაგან ხდება ბიოენერჯის წარმოება.[2].

რუდგერის უნივერსიტეტის მეცნიერებმა გამოსცადეს ზოგიერთი მცენარეები ტყვიის აკუმულაციაზე. აღმოჩნდა, რომ ტყვიის ამოღება მიმდინარეობდა ნელი ტემპით, მაგრამ ხელატური აგენტების დანამატებით იზრდებოდა ტყვიის ფიტოექსტრაცია. მცენარეები ფესვისა და მასზე არსებული მიკრობების საშუალებით ხდიან ტყვიას ნაკლებ შელწევადს, მცენარეების მიერ ტყვიის ამოღება მერყეობს 10 მგ/კგ-დან 1000 მგ/კგ-მდე.

ნიადაგში დარიშხანის დიდი რაოდენობა ყველაზე მავნე ბავშვების და სხვა ასაკის წარმომადგენლების ჯანმრთელობისათვის. ამერიკის შეერთებულ შტატების გარემოს დაცვის სააგენტომ დაიანგარიშა ინდიკატორები, რომლის საფუძველზეც დაასკვნა, რომ ნიადაგში დარიშხანს მაქსიმალური ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია შეიძლება იყოს 4.3 მგ/კგ. ურბანულ დასახლებაში და მის მიმდებარე ტერიტორიებზე იმდენად არის გაზრდილი ნიადაგში დარიშხანის შემცველობა, რომ ხშირ შემთხვევაში 20 მგ/კგ-ს აჭარბებს.

გაწმენდის მიზანია შემცირდეს დარიშხანის დონე ნიადაგის ზედაპირზე და უარყოფითი რისკფაქტორები ბავშვებსა და ადამიანებზე. ფიტორემედიაციის გამოყენებისას რამდენიმე წელია საჭირო, რომ შემცირდეს დარიშხანის დონე ნიადაგში [2]. მცენარე გვიმრა, როგორც დარიშხანის ჰიპერაკუმულატორი აღმოაჩინა იაპონელმა მეცნიერმა მამ. მან უამრავი მცენარის სახეობა შეისწავლა, რომლებიც იზრდებოდნენ დარიშხანით დაბინძურებულ ნიადაგზე. საბოლოოდ კი ეს ტექნოლოგია განავითარა მას შემდეგ, რაც შეისწავლა დარიშხანის ყველა შესაძლო ფორმაცია, რომლებსაც იგი ქმნიდა ნიადაგში, სასუქების და ნიადაგის pH მიხედვით.

სამხრეთ ჩინეთში შეაგროვეს დარიშხანის შემცველი გვიმრა, რის შედეგადაც აღმოაჩინეს რომ რიზობატერია, რომელიც არის გვიმრის მცენარეზე ახდენს ზეგავლენას დარიშხანის



შეთვისებაზე, მაგრამ ეს პროცესი არ ხორციელდება სტერილურ და სასუქებით გაჯერებულ ნიადაგებში.

ამრიგად კულტურული მცენარეებით ფიტორემედიაციის შემოთავაზებული მეთოდის პრაქტიკული მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ ფერმერებს შესაძლებლობა აქვთ გაწმინდონ დაბინძურებული ნიადაგები და მოიყვანონ ასეთ რაიონებში უსაფრთხო პროდუქცია, ასეთი პრაქტიკა საზღვარგარეთ სოფლის მეურნეობაში დამკვიდრებულია და პრაქტიკაში გამოიყენება.

ლიტერატურა

1. გურანდა ავქოფაშვილი. ტექნოგენურად დაბინძურებულ ნიადაგებზე მძიმე ლითონთა ფიტომიგრაცია. თბილისი 2018წ
2. რ. გახოკიძე. 2008. უხვი მოსავლის საწინდარი. თბილისი, გამომც. „ჯი-სი-აი“. 150 გვ. 68
3. რ. გახოკიძე. 2014. „მწვანე ბიორეგანული რეველუციის“ საწყისებთან. თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. 112 გვ.

Purification of contaminated soils by culture plants.

N. Kamkamidze, V. Kvantidze

Akaki Tsereteli State University

Summary

The article discusses the study of various plant species in the field of phytomigration of heavy metals and the development of biotechnology to enable the production of ecologically clean, fully nutritious food for the international market in polluted soils in Georgia

ქლორით დაბინძურებული აგროკულტურების ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტა

კამკამიძე ნ.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სტატიაში განხილულია ქლორის და მისი მარილების მაღალი კონცენტრაციის მავნე ზემოქმედება მცენარეთა სამყაროზე, ამ პრობლემის მოგვარების ნიადაგის ბიოლოგიური რემედაციის მეთოდი, რომელიც დაფუძნებულია დამლაშებულ ნიადაგში მარილისმოყვარული ბაქტერიისა და კომპოსტის ერთობლივ შეტანაზე.

ქლორი მცენარეებისათვის აუცილებელი ელემენტია, მაგრამ დიდი კონცენტრაციით მისი მარილების ზემოქმედებას სხვა ცოცხალი ორგანიზმების მსგავსად მაღალი ხარისხით განიცდის.

ჩვენი კვლევის მიზანია ქლორის და მისი მარილების მაღალი კონცენტრაციის მავნე ზემოქმედების შესწავლა მცენარეთა სამყაროზე და ნიადაგის გაწმენდის ბიოლოგიური მეთოდის გამოყენება.

ვარაუდობენ, რომ ქლორი მცენარეებისათვის ინფექციებისაგან დაცვის ფუნქციას ასრულებს, რადგან იგი ხელს უშლის ნიადაგიდან ნიტრატების შთანთქმას. ქლორის იონების დეფიციტი გამოიხატება მცენარის ჭკნობით, პატარა ფესვთა სისტემით და ზოგიერთი მცენარე ამ დროს სუნსაც კარგავს.

მცენარისთვის მისაწვდომი ქლორიდები ნიადაგში, ძირითადად, მინერალური სასუქე-



ბიდან, პესტიციდებიდან ან ლიპოინულის საწინააღმდეგოდ განხორციელებული ღონისძიებებიდან ხვდება. მაგალითად გერმანიაში ზამთარში ავტომაგისტრალის ქუჩის 1 მ2-ზე 0,6 - დან 2,7 კგ მარილი ხვდება, ამიტომ ტროტუარების ახლოს ნახევარი მეტრის სიღრმეზე, 100 გრ მიწაზე ხშირად 0,6 გრ მარილი მოდის.

ქლორის სიჭარბემ, თავის მხრივ, შეიძლება, ნიადაგის ქლორიდული დამლაშება გამოიწვიოს. ფესვით შთანთქმული ქლორის მარილები გადაადგილდება ღეროსა და ფოთლებში და იქ აკუმულირდება. ამის პასუხად, მცენარე იწყებს თესლის დაცვას ქლორის შეღწევისგან. ამ ჰალოგენის მაღალი კონცენტრაციის პირობებში ნერგები სუსტად ფესვიანდება, თესლი შეიძლება, საერთოდ არც განვითარდეს, ფოთლები ღებულობს მოყვითალო ელფერს და მცენარის ზრდა განვითარების ტემპი მკვეთრად ფერხდება. დადგენილია, რომ ლიპოინულის წინააღმდეგ ბრძოლით გამოწვეული გზისპირა უბნების დამლაშება ძლიერ აზიანებს ხე-მცენარეებსა და ბუჩქებს, განსაკუთრებით ყლორტის წვერებს (აპიკალურ ნაწილებს), რასაც მცენარის სრულ განადგურებამდე მიყვავართ.

ამიტომ ნიადაგების დამლაშებისგან მცენარეების დასაცავად რეკომენდებულია ნატრიუმისა და ქლორის მიმართ მდგრადი ბუჩქებისა და ხე-მცენარეების განაშენება, ან მარილის (ნატრიუმის ქლორიდის) შერევა სხვადასხვა დანამატებთან.

ექსპერიმენტულად დადგენილია, რომ ნიადაგის ქუჩის 1 მ2-ზე ფართობზე 0,75 მგ ქლორის 10წთ-იანი ზემოქმედება გარკვეულ წილად ასუსტებს ფოტოსინთეზის პროცესს მცენარეებში. ქლორწყალბადი უარყოფითად მოქმედებს ბოლოკის, პომიდვრის, კიტრის, სტაფილოს, კარტოფილის, ცხენის წაბლის, ისპანახის და მრავალი მცენარის მოსავალზე.

მეცნიერებები ამტკიცებენ, რომ ფიტოტოქსინის მაღალი კონცენტრაციები აჩქარებენ მცენარეთა დაბერებას, ქლორის მოქმედებით წარმოიქმნება ნეკროზული ლაქები, ნაძვისა და ფიჭვის წიწვები კარგავენ ელფერს, ხმება და ცვივა. ავოკადო და ყურძენი იმდენად მგრძნობიარე აღმოჩნდა ქლორის მიმართ, რომ მცირე კონცენტრაციამ შეიძლება გამოიწვიოს მცენარეების მოწამლვა.

ქლორის მარილების კონცენტრაციის ზემოქმედებით ირღვევა წრებრუნვა, გროვდება ამიაკი და მცენარეული სამყაროსათვის ტოქსიკური სხვადასხვა ნაერთები. არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ ქლორის მაგნი გავლენით სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა მცირდება. გამსაკუთრებით იჩაგრება კარტოფილი და წიწიბურა

უნდა აღნიშნოს, რომ ქლორიდული დამლაშებით, მცენარეთა სამყარო სტრესულ მდგომარეობაში აღმოჩნდა და მიწა უსარგებლო გახდა აგროკულტივაციისათვის, ქვეყნის აგრარული სექტორის წინაშე მწვავედ დადგა ნიადაგის რემედიაციის საკითხი.

არსებობს რიკუმენტაკატას გაწმენდის ორი ალტერნატივა: ქიმიური ან ბიოლოგიური. არჩევანი შეიძლება შევაჩეროთ თანამედროვე ბიოტექნოლოგიის მეთოდზე, რომელიც დაფუძნებულია დამლაშებულ ნიადაგში მარილისმოყვარული ბაქტერიისა. არჩევანი შეიძლება შევარჩიოთ ბიოტექნოლოგიის მეთოდზე, რომელიც დაფუძნებულია დამლაშებულ ნიადაგში მარილისმოყვარული ბაქტერიის (ჰალოფილური ბაქტერია) და კომპოსტის ერთობლივ შეტანაზე. კომპოსტი დაამზადეს ძალიან მარტივად და იაფად: ბრინჯის ქატოს დაუმატეს ცოტაოდენი წყალი, ჰალობაქტერია და 48°C-ზე დააყოვნეს 2 დღის განმავლობაში. დროდადრო კომპოსტის მოცულობას ზრდიდნენ სხვადასხვა იაფი საკვები ნარჩენებით (თევზის ძვლები; დაპრესილი ზეთიანი ორცხობილა და ა.შ.). მას შემდეგ, რაც ჰალობაქტერია კარგად გამ-



რავლდა და მომძლავრდა, კომპოსტი მოაფრქვეს რიკუპენტაკატას ნიადაგებში. ხელოვნურად შეტანილი (ქატოს და ა.შ.) საკვების ათვისებით, მარილისმოყვარე ბაქტერიამ მიწის ნაწილაკებიდან გამოიტანა მარილი და ნიადაგი გაიწმინდა დამაბინძურებლისგან.

მარილისმოყვარულ მიკროორგანიზმებსა და მცენარეებზე დამყარებული ბიორემედიაციული ტექნოლოგიების გამოყენება შესაძლებელია მსოფლიოს იმ ადგილებში, სადაც სახანავ-სათესი მიწების დეფიციტია და ბუნებრივი მლაშობების სიჭარბეა. ნიადაგის დამლაშებისას, ფერმერებმა, სახლის პირობებში შეიძლება იაფად დაამზადონ კომპოსტი, მათ მხოლოდ ჰალობაქტერიის პრეპარატის შექმნა მოუწევთ.

ბიორემედიაციის ტექნოლოგიის უპირატესობა მის სიახლეში მდგომარეობს. საქართველოში დამლაშებული ნიადაგების საერთო ფართობი 112 600 ჰა-ს შეადგენს. ეს ნიადაგები ფართოდაა გავრცელებულ აღმოსავლეთ საქართველოს, შუა ქართლის და იმერეთის ვაკეებზე.

ამრიგად როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, საჭიროა ბიოტექნოლოგიური ინდუსტრიის ჩამოყალიბება და ამ კუთხით მოსახლეობის ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლება, რადგან მხოლოდ ამ მხრივ განსწავლულ ხალხს, შეუძლია, გონივრულად მართოს თავისი მოღვაწეობა და გამოასწოროს საარსებო გარემოსთვის მიყენებული ზიანი. მიწოდებული ინფორმაციით, დააფიქროს საზოგადოება ბოლო დროს საქართველოში პროგრესულად მზარდ ონკოლოგიური დაავადებების, ინსულტების, ათეროსკლეროზების, ენდოკრინული სისტემისა და სხვა პათოლოგიების განვითარების მიზეზებზე.

ლიტერატურა

1. ბაკურაძე ა., კვესიტაძე ე., ლაღანიძე დ. თანამედროვე ბიოტექნოლოგიის შესავალი: თბილისი 2009
2. გორდეზიანი მ., კვესიტაძე გ. ეკოლოგიის ქიმიური საფუძვლები, თბილისი 2000
3. კვესიტაძე გ., კვესიტაძე ე., ბიოტექნოლოგია. თბილისი. ს.პ.ს „ეტრეტი“ 2000
4. Abraham Esteve-Núñez, Antonio Caballero, and Juan L. Ramos. Biological Degradation of 2,4,6- Trinitrotoluene. Microbiology and Molecular Biology Reviews, September 2000, Vol. 65, No. 3, p. 335-352

Chlorine contamination of soils and environmental problems of agro-cultures

N. Kamkamidze

Akaki Tsereteli State University

Summary

The article discusses the harmful effects of high concentrations of chlorine and its salts on the plant world, a method of biological soil remediation to address this problem, based on the co-deposition of salt-loving bacteria and compost in saline soils

საკვები ნედლეულისა და მზა საკვების ტოქსიკური ელემენტები

კანდელაკი მ., დიდბარიძე ი.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ადამიანის ორგანიზმში ტოქსიკური ელემენტების შეღწევის ძირითადი გზაა ჩვენი საკვები და სასმელები. დადგენილია, რომ ადამიანის ჯანმრთელობის რეალურ საფრთხეს, განსაკუთრებული კონცენტრაციების პირობებში წარმოადგენენ ელემენტები: ვერცხლისწყალი, ტყვია, კალა, კადმიუმი, სპილენძი, თუთია, რკინა, დარიშხანი.



ექსპერიმენტულად დადგენილია, რომ ზოგიერთი ლითონი ტოქსიკურია მცირე დოზებითაც კი (მაგ. ვერცხლისწყალი), ხოლო სხვები აღწევენ ტოქსიკურობის ზღვარს, როდესაც მათი შედგენილობა მიაღწევს განსაზღვრულ დონეს (მაგ. სპილენძი).

კვების პროდუქტების წარმოება ყველა ქვეყნისა და ყველა დროის მუდმივად განვითარებადი დარგია. მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდა, ამასთანავე მათი მოთხოვნების სტრუქტურული ცვლილებებისა და გაფართოების პირობებში იზრდება ის რისკ-ფაქტორები, რომლებიც თან ახლავს საკვები ნედლეულისა და მზა საკვების სულ უფრო და უფრო ინტენსიურ გადამუშავებასა და მოხმარებას. რისკ-ფაქტორების ერთ-ერთ მიმართულებად ითვლება მძიმე ლითონების ტოქსიკური მოქმედება ადამიანის ორგანიზმზე, რომელიც მუდმივად ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ყურადღების ცენტრშია.

ამჟამად დადასტურებულად ითვლება, რომ ადამიანის ორგანიზმში ტოქსიკური ელემენტების შეღწევის ძირითადი გზაა ჩვენი საკვები და სასმელები. საქართველოში საბაზრო-ეკონომიკური ურთიერთობების გაფართოების პირობებში, აქტიურდება აგრეთვე მოსახლეობის მიერ საკუთარი მოხმარებისათვის სხვადასხვა კვების პროდუქტების დამზადება, ხოლო სრულიად განსხვავებული ტექნოლოგიები არაიშვიათად გულისხმობს სხვადასხვა ქიმიური საშუალებებისა და ზოგჯერ სამედიცინო პრეპარატების გამოყენებასაც კი (1). ამიტომაც ხშირია ფაქტი მოწამვლისა თუ სხვა ნეგატიური შედეგისა (ზოგჯერ ფატალური).

დღესდღეობით არსებული ნორმატიული დოკუმენტების საფუძველზე, როგორც იმპორტული, ასევე საექსპორტო საკვები პროდუქციის საკონტროლო ინდექსებად ითვლება ისეთი ტოქსიკური ელემენტები, როგორებიცაა ვერცხლისწყალი, ტყვია, კალა, კადმიუმი, სპილენძი, თუთია, რკინა, დარიშხანი. ისინი განზავებული კონცენტრაციის ფარგლებში, წარმოადგენენ ადამიანის ჯანმრთელობის რეალურ საფრთხეს.

ზემოთ აღნიშნული მძიმე ლითონების ჩამონათვალი არ ნიშნავს, რომ სხვა ელემენტები სრულიად უვნებელი არიან. მრავალრიცხოვანი ექსპერიმენტებით დადგენილია, რომ ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციის ზევით, გარკვეული ტოქსიკურობით გამოირჩევიან აგრეთვე ელემენტები: ბისმუტი, სელენი, ბერილიუმი, სტრონციუმი, ქრომი, ალუმინი, ნიკელი.

თუ ვიმსჯელებთ თანამედროვე კულინარული სტანდარტების მიხედვით, ადამიანის ორგანიზმი ტრადიციულად ყოველთვის მოიხმარს ცილებს, ცხიმებს, ნახშირწყლებს, მინერალურ მარილებს და ვიტამინებს. თუმცა უკანასკნელ პერიოდში იმატა საკვები დანამატების გამოყენებამაც. ცნობილია, რომ კომპლექსური დანამატების წარმოება მოიცავს ტოქსიკური ელემენტების შემცველ სხვადასხვა საღებავებს, ემულგატორებს, კონსერვანტებს, და ა. შ. ამავე დროს მსოფლიო ბაზარზე მათი წარმოების ნამდვილი ბუმი. ამიტომ ჯანმრთელობის დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციაში შექმნილია საკვები დანამატების ექსპერტთა გაერთიანებული კომიტეტი, რომლის მიზანია შეიმუშაოს სტანდარტები მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის კუთხით. უკანასკნელი მონაცემებით, რძის პროდუქტებში ტოქსიკური ელემენტების ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციებია: კადმიუმი - 0.01 მგ/კგ; ვერცხლისწყალი - 0.005მგ/კგ; ტყვია - 0.05 მგ/კგ.

ტოქსიკური ელემენტების ადამიანის ორგანიზმში შეღწევის ერთ-ერთი გზაა ნიადაგის დაბინძურება, რომელზეც განთავსებულია საკვები მცენარეული საფარი. ქვემოთ მოგვყავს ნიადაგში ტოქსიკური ელემენტების შემცველობის საშუალო მონაცემები, როდესაც ნიადაგი



სეზონურად დაბინძურებული იყო სამრეწველო მტვერითა და საავტომობილო ტრანსპორტის გამონაბოლქვით (ცხრილი 1).

საკვები ნედლეულის გადამუშავების და მზა საკვების მომზადების პროცესში ადგილი აქვს აგრეთვე არასასურველი ფერების წარმოქმნას. ასე, მაგალითად, სპილენძის კომპლექსური მარილები ორგანულ პიგმენტებთან გვადლევენ მოლურჯო-მომწვანო ფერს, ხოლო რკინის იონები სხვადასხვა კვებით საღებავებთან იძლევიან შავ ფერს. გამოკვლეულია აგრეთვე სპილენძის, რკინის და სხვა მძიმე ლითონების კატალიზური მოქმედება ლიპიდებთან, რის შედეგადაც მიიღება ერთობ არასასურველი შეფერილობა უჯერი ბმების ჟანგვის შედეგად.

ცხრილი 1. ზოგიერთი ელემენტების საშუალო კონცენტრაცია ნიადაგში

N	ელემენტი	C მგ/კგ	ელემენტი	C მგ/კგ
1	რკინა	5500-მდე	ტყვია	10-15
2	თუთია	50-100	დარიშხანი	6-7
3	სპილენძი	10-100	ვერცხლისწყალი	0.3-0.5
4	კალა	10-15	კადმიუმი	0.05-0.07

ზოგიერთი ნაკლებტოქსიკური ლითონი (მაგ. სპილენძი) მავნე ზემოქმედებით ხასიათდება მაშინ, როდესაც ვაზი და სხვა სასოფლო-სამეურნეო სავარგულები შეიფრქვევა ხოლმე ბორდოს სითხის გადაჭარბებული რაოდენობით. საქმე იმაში მდგომარეობს, რომ ბორდოს სითხის კონცენტრაცია არ უნდა აღემატებოდეს 1% ანუ 1 წილ შაბიამანზე ($\text{CuSO}_4 \cdot 5\text{H}_2\text{O}$) უნდა მოდიოდეს 0.75 წილი ჩაუმქრალი კირი, რომელთა თანაფარდობა უმეტეს შემთხვევაში ირღვევა ხოლმე. შესაბამისად, ადგილი აქვს უზომოდრეალიზებადი სპილენძის ხელოვნურ გადატანას საკვებ ნედლეულში.

უკანასკნელ ხანებში შეიმჩნევა აგრეთვე ლანთანოიდების თანდათანობითი შეჭრა სასურსათო ტექნოლოგიების სფეროში. შემდგომი სამეცნიერო გამოკვლევები ტრანსურანული ელემენტების ორგანიზმზე მავნე მოქმედების კუთხით საშუალებას მოგვცემს დავაზუსტოთ მათი სხვადასხვა როლი, როგორც მცენარეული, ასევე ცხოველური სამყაროს ნივთიერებათა ცვლის პროცესში.

ლიტერატურა

1. Рогов И.А., Антипова Л. В., Дубченко Н.И. Химия пищи. М., Колос, 2007г.
2. Канделаки М.А, Дидбаридзе И.С. Токсичные элементы в пищевых цепях. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „ბიოუსაფრთხო კვების პროდუქტთა პრობლემები და ბიზნეს გარემო“ - შრომები, ქუთაისი, 2010 წ.

Toxic Elements in the Food material and ready meal

M. Kandelaki, I. Didbaridze.

Akaki Tsereteli State University

Summary

It is obviously proved that toxic elements penetrate into human body through our food and drinks. Mercury (hydrargirum), lead, pewter, cadmium, copper, zinc, iron, arsenic are the elements that make real threat to our health within certain concentration limits.

Numerous experiments have shown that some metals are toxic even with small doses (eg., Mercury). But other metals reach toxic values at certain concentration (for example, copper).



მცენარეული დანამატით გამდიდრებული უსაფრთხო პროდუქტების წარმოება

კახნიაშვილი ე. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სტატიაში განხილულია დღეისათვის აქტუალური საკითხი, როგორცაა უსაფრთხო და მცენარეული ნედლეულის საფუძველზე დამზადებული კვების პროდუქტები. მათ შორისაა ერთჯერადი მოხმარების პაკეტური ჩაი, რომლის გამამდიდრებელ საშუალებად შერჩეულ იქნა სუბტროპიკული მცენარის - ბროწეულის ფოთლები გამშრალ-დაქუცმაცებული სახით. ბროწეულის ფოთლის 10-15% რაოდენობით დამატებისას მიიღება საუკეთესო ხარისხობრივ მაჩვენებლებიანი მზა პროდუქტი, რომელიც გათვლილია იმ მომხმარებელზე, რომელიც ეძებს ახალ გემოს და არომატს, სასარგებლო თვისებებით გამდიდრებულ პროდუქტს და მის მიერ აღნიშნული სასმელის გამოყენება შესაძლოა უსაფრთხოა.

დღეისათვის ფართოდ გავრცელებული მეთოდი - მცენარეული ნედლეულის სხვადასხვა ნაწილების გამოყენება კვების პროდუქტების წარმოებაში ხელს უწყობს მათი რეცეპტურის გამრავალფეროვანებას, მიღებული ასორტიმენტის გამდიდრებას, ხარისხის გაუმჯობესებას, ფალსიფიცირებული პროდუქტების რაოდენობის შემცირებას, მომხმარებლის ინფორმირებულობას, მათში თვითმეფასების ამალღებას და ასეთ პროდუქტებზე მოთხოვნილების ზრდას.

საქართველოს მცენარეული ნედლეულის მრავალფეროვანი სპექტრი საშუალებას იძლევა შესწავლილ იქნას ესა თუ ის მცენარე მისი დანიშნულებისა და კვების პროდუქტებში გამოყენების გათვალისწინებით. ასევე, გასათვალისწინებელია ბაზრის მოთხოვნილება, რამდენად შეესაბამება ბაზარზე არსებული პროდუქტები მათზე არსებულ სტანდარტულ მოთხოვნებს, რაც ხშირად დარღვეულია ან რთულად შესამოწმებელია უბრალო მომხმარებლისათვის. კვების პროდუქტებში ფართოდ გამოყენებული სხვადასხვა კვებითი დანამატები სხვადასხვა დანიშნულებას ასრულებენ და უდაოდ მისაღებია პროდუქტის გემოვნური მაჩვენებლების ამალღების, შენახვის ვადის გახანგრძლივების, ტრანსპორტირებადობის ამალღების თუ სხვა მხრივ. თუმცა, ხშირ შემთხვევაში ასე გაჯერებული პროდუქტები უაყოფითად მოქმედებენ ადამიანის ჯანმრთელობაზე, იწვევენ სხვადასხვა ალერგიულ რეაქციებს, მით უფრო თუ ეს დანამატები სინთეტიკური წარმოშობისაა. მათგან განსხვავებით კი მცენარეული ნედლეული წარმოადგენს სასარგებლო ქიმიური ნაერთებით, ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებით მდიდარ გამამდიდრებელ საშუალებას კვების პროდუქტების წარმოებისათვის, განსაკუთრებით დაბალხარისხოვანი პროდუქციის გაკეთილშობილების მიზნით.

მომხმარებელში ხშირად მოხმარებად პროდუქტთა სიაში გამორჩეული ადგილი უკავია მარტივად მოსამზადებელ საკვებს, მათ შორისაა ერთჯერადი მოხმარების პაკეტური ჩაი, რომელიც ხშირ შემთხვევაში დამზადებულია დაბალხარისხოვანი მასალისგან მღებავი ნივთიერებების გამოყენებით, რაც ძალზე მარტივად ჩანს მზა პროდუქტის მოხმარებისას. ამდენად, აღნიშნული პროდუქტის ამ ნაკლის გამოსწორება შესაძლებელია მცენარეული ნედლეულის გამოყენებით.

მცენარეულ ნედლეულად შერჩეულ იქნა საქართველოში ფართოდ გავრცელებული კულტურა - ბროწეული.

ბროწეული სუბტროპიკულ რაიონებში ფართოდ გავრცელებული მცენარეა, ეკუთვნის



ბროწეულისებრთა ოჯახს. იგი მრავალწლიანი ფოთოლმცვენი პატარა ზომის ხეა 3-5მ. სიმალ-
ლით; ფოთლები ოვალური ფორმისაა; ყვავილები კამკაშა წითელი; ნაყოფი თესლიანი კენ-
კრაა, მომრგვალო ფორმის, შემოკრულია წითელი ფერის, წვნიანი, მჟავე და ტკბილი რბილო-
ბით; ყვავის მას-აგვისტომი; ნაყოფი მწიფდება სექტემბერ-ოქტომბერში. [1, 2]

ლიტერატურული წყაროებიდან ცნობილია, რომ ბროწეულის თითქმის ყველა ნაწილი
მდიდარია ქიმიური კომპონენტებით, ძირითადად, მთრიმლავი ნივთიერებებით. თუმცა
ჩვენს მიერ დანამატად შერჩეულ იქნა ფოთლები, რომლებიც შეიცავენ: ტრიტერპენოვან მჟა-
ვებს (ურსულის - 0,45%, ბეტულინის - 0,2%), სტეროიდებს - β სიტორტერონს, ფენილკარბო-
ნის მჟავებს და მათ წარმოებულებს, მთრიმლავ ნივთიერებებს - 10,2%. [1, 2]

ერთჯერადი მოხმარების პაკეტური მწვანე ჩაის მისაღებად გამოვიყენეთ მწვანე ჩაის გამო-
ნაცერი, რომელიც შეადგენს საწარმოში გამომუშავებული ჩაის პროდუქტის მთლიანი რაო-
დენობის 12-15%. იგი წარმოადგენს სრულფასოვან პროდუქტს ადამიანის ჯანმრთელობი-
სათვის მნიშვნელოვანი ქიმიური ნივთიერებების შემცველობის მიხედვით. მასში ბროწეუ-
ლის დანამატად გამოყენებით შესაძლებელია მისი კიდევ უფრო გამდიდრება ქიმიური კომ-
პონენტებით, განსაკუთრებით, მთრიმლავი ნივთიერებებით.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა:

- ბროწეულის ფოთლის და გამონაცერის კუპაჟირების გზით ერთჯერადი გამოხარშვის
პაკეტური ჩაის დამზადების რეგლამენტის დადგენა;
- დანამატით მიღებული ჩაის პროდუქტის ორგანოლექტიკური და ძირითადი ქიმიური
მაჩვენებლების შესწავლა.

დანამატი - ბროწეულის ფოთლები მოვამზადეთ წინასწარ შერჩეული ტექნოლოგიური
რეგლამენტით: ბროწეულის ნაზი ფოთლები - 67% ტენშემცველობით \rightarrow დაორთქვლა - 4-5
წამის განმავლობაში ორთქლწარმომქმნელ ჭურჭელში \rightarrow შემრობა - თხელი ფენით, ოთახის
ტემპერატურაზე, 61-62% ნარჩენ ტენიანობამდე * დაქუცმაცება - ხორცსაკეპ მანქანაში გატა-
რებით ფოთლის დანაწილების და უჯრედის მაქსიმალურად დაშლის მიზნით \rightarrow გამოშრობა
- ორთქლის კალორიფერში 90-95 °C ტემპერატურაზე, 10-15 წუთის ხანგრძლივობით, 5-6%
ნარჩენ ტენშემცველობამდე \rightarrow დახარისხება - №32 საცერზე გატარებით, წვრილი ფრაქციის
მიღებით.

ერთჯერადი მოხმარების პაკეტური მწვანე ჩაის მიღების ტექნოლოგიური რეგლამენტის
დადგენის მიზნით ვაწარმოეთ დანამატის და გამონაცერის შერევა დანამატის სხვადასხვა
დოზების გამოყენებით. საკონტროლოდ აღებული მწვანე ჩაის გამონაცერის პარალელურად
ავიღეთ ოთხ ტოლ ნაწილად დაყოფილი მწვანე ჩაის გამონაცერი, რომლის პირველ ნაწილს
დავამატეთ ბროწეულის ფოთლების წვრილი ფრაქცია ჩაის წონის 5% რაოდენობით (საცდე-
ლი 1), მეორე ნაწილში - 10% (საცდელი 2), მესამე ნაწილში - 15% (საცდელი 3) და მეოთხე ნა-
წილში - 20% (საცდელი 4).

კუპაჟირების შედეგად მიღებულ ვარიანტებში განვსაზღვრეთ ძირითადი ქიმიური კომპო-
ნენტები (ექსტრაქტული ნივთიერებები - პროფ. ვორონცოვის მეთოდით, ფენოლური ნაერ-
თები - ლევენტალის მეთოდით) [3] და ორგანოლექტიკური მაჩვენებლები (ნაყენის ფერი,
არომატი, გემო, გარეგანი სახე). [4]

მიღებული შედეგები მოცემულია ცხრილში 1.

როგორც შედეგებიდან ჩანს, პროდუქტის ხარისხობრივი მაჩვენებელი უმჯობესდება ბრო-



წეულის ფოთლის 10-15%-ის რაოდენობით დამატებისას, როდესაც მიიღება ყვითელი, მოწითალო ელფერის პროდუქტი, ექსტრაქტული ნივთიერებების რაოდენობა მატულობს 0,7%-დან 2,7%-მდე, ფენოლური ნაერთები - 0,7%-დან 1,3%-მდე.

ამდენად, მიღებული პროდუქტი წარმოადგენს უსაფრთხო, არაფალსიფიცირებულ პროდუქტს, რომელიც იძლევა ჩაის პროდუქტის გამრავალფეროვნების საშუალებას და მცენარეული ნედლეულის ათვისებას და აგრეთვე, გათვლილია იმ მომხმარებელზე, რომელიც ეძებს ახალ გემოს და არომატს, სასარგებლო თვისებებით გამდიდრებულ პროდუქტს.

ცხრილი 1. ბროწეულის ფოთლების და მწვანე ჩაის გამონაცერის კუპაჟით მიღებული პროდუქტის ძირითადი ხარისხობრივი მაჩვენებლები

ცდის ვარიანტი	ნაყენის ფერი	არომატი ბალი	გემო ბალი	გარეგანი სახე ბალი	ექსტრაქტული ნივთიერება %	ფენოლური ნაერთები %
მწვანე ჩაის გამონაცერი (საკონტროლო)	ყვითელი არასკმარისად გამჭვირვალე	3,00	3,00	ერთგვაროვანი 2,25	32,5	13,5
საცდელი 1 დოზა - 5%	ყვითელი მოწითალო ელფერით	3,12	3,00	ერთგვაროვანი 2,25	33,2	14,2
საცდელი 2 დოზა - 10%	ყვითელი მოწითალო ელფერით	3,25	3,25	ერთგვაროვანი 2,25	33,8	14,6
საცდელი 3 დოზა - 15%	ყვითელი მოწითალო ელფერით არასკმარისად გამჭვირვალე	3,25	3,25	ერთგვაროვანი 2,25	34,9	14,8
საცდელი 4 დოზა - 20%	მუქი ყვითელი მოწითალო ელფერით სიმკვრივით	3,00	2,75	ერთგვაროვანი 2,25	35,2	14,95

ლიტერატურა

1. ლასარეიშვილი ს., ტრაპაიძე ჩ. - ბროწეული, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1982წ. გვ.32;
2. ჩხაიძე გ. - სუბტროპიკული კულტურები, თბილისი, 1996წ. გვ.510;
3. ჯინჯოლია რ., გულუა კ., ჩიქოვანი ნ. - ჩაის ქიმიის პრატიკუმი, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1983წ. გვ.158;
4. Цоциашвили И.И., Бокучава М.М. – Химия и технология чая. Москва, издательство «Агропромиздат», 1989г. стр.390.

Manufacture of safe products enriched with herbal supplement

E. Kakhniashvili

Akaki Tsereteli State University

Summary

The article discusses current issues such as food products made from safe and herbal raw materials. These include disposable burst teas, which often do not coincide the standard indexes and contain coloring substances and non-standard raw materials. A wide range of herbal raw material makes it possible to choose an enriched tea-based implement, in particular a subtropical plant-pomegranate.

We have additionally selected leaves. For single-use burst green tea use. Using it as a pomegranate implement, it



can be further more enriched with chemical components, especially with tanning substances.

To determine the technological regulation of single-use burst green tea intake, we performed a mixture of supplements and extracts using different doses of the implements.

The best results are obtained when adding 10-15% of pomegranate leaf while getting yellow-reddish product, quantity of extract substances increase from 0,7% to 2,7%, phenolic compounds – 0,7% - up to 1,3%.

Thus, the product obtained, is a safe, non-falsifying product that allows for the diversification of the tea product and the utilization of herbal raw materials, and is also intended for the consumer seeking a new flavor and aroma product, enriched with useful properties.

სოფლის მეურნეობის ბიომეურნეობა მაღალმთიან რეგიონში და მისი განვითარების პერსპექტივები (ლეჩხუმის მაგალითზე)

კოპალიანი ლ., კაპანაძე შ., კოპალიანი თ., ქანთარია ი.,

*მუშკუდიანი ა.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნაშრომში განხილულია სურსათის უსაფრთხოების პრობლემები. კერძოდ, მთიანი რეგიონების სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა დიდ გავლენას იქონიებს სოფლებიდან მოსახლეობის გადინებაზე, რაც ბიომეურნეობის წარმოების ხელშეწყობაც იქნება, ეს კი თავის მხრივ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოების საწინდარია. ხელისუფლების მხრდაჭერით და აგრარული მიმართულების მეცნიერთა კონსულტაციით შესაძლებელია ქვეყნის მოსახლეობის დაცვა საფრთხისშემცველი იმპორტირებული პროდუქტისაგან, რომელსაც ჩაანაცვლებს მთაში და მთისწინეთში მოყვანილი ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი.

სურსათის უვნებლობა აღარ განიხილება რომელიმე ერთი ქვეყნის ან თუნდაც რეგიონის კონტექსტში.

სურსათის უვნებლობა განსაკუთრებულად აქტუალური საკითხია როგორც განვითარებული, ასევე ნაკლებად განვითარებული ქვეყნებისთვის; განვითარებულ ქვეყნებში აღნიშნული საკითხის გააქტიურება ნაწილობრივ სურსათით გამოწვეული დაავადებების ზრდამ და მათით საზოგადოებისა და მედიის ყურადღებამ განაპირობა, ნაწილობრივ კი – მომხმარებელთა მუდმივად მზარდმა დაინტერესებამ იმ შესაძლო გავლენით, რაც ამა თუ იმ სასურსათო პროდუქტმა შეიძლება იქონიოს მათ ჯანმრთელობაზე როგორც მოკლე, ასევე გრძელვადიან პერსპექტივაში. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით გამოკვეთილია ისეთ ქვეყნებში, სადაც საკმარისად მაღალია მოსახლეობის კეთილდღეობისა და ტექნოლოგიური განვითარების დონე.

სურსათის უვნებლობის რისკების შეფასებისას მრავალი ფაქტორი მიიღება მხედველობაში, რაც მიუთითებს იმაზე, რომ სურსათის უვნებლობა ბიოუსაფრთხოების ფართო კონტექსტში უნდა იქნეს განხილული. გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის განმარტებით, “ბიოუსაფრთხოება წარმოადგენს იმ ერთიან პოლიტიკურ და მარეგულირებელ ჩარჩოს, რომელიც გამოიყენება სურსათთან და სოფლის მეურნეობასთან ასოცირებული რისკების სამართავად. ბიოუსაფრთხოება სამ სექტორს მოიცავს – სურსათის უვნებ-



ლობას, მცენარეთა და ცხოველთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, და ფარავს სურსათის წარმოებას, მცენარეთა მავნებლების გავრცელებას, ცხოველთა დაავადებებისა და ზოონოზების გავრცელებას, გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმებისა და მათი პროდუქტების შემოტანა-გავრცელებას, და ინვაზიური უცხო სახეობებისა და გენოტიპების შემოტანასა და მათ უსაფრთხო მართვას”. ამრიგად, ბიოუსაფრთხოება პირდაპირ უკავშირდება სურსათის უვნებლობას, გარემოსა და სოფლის მეურნეობის მდგრადობას შესაბამისად, ადვილად დასაწახი და გასაგებია ის მსგავსებები, რაც შეინიშნება იმ მიდგომებში, რაც გასდევს სურსათის უვნებლობისა და მცენარეთა და ცხოველთა ჯანმრთელობის სფეროებს. უფრო მეტიც, ბევრი საფრთხე გამჭოლია ამ სფეროებისთვის (მაგ., ტუბერკულოზი, ბრუცელოზი და სხვა).

აღნიშნულიდან გამომდინარე, დღეს ერთადერთი გამოსავალი ბიომეურნეობაა, ის თავს უყრის ძველ, უკვე ნაცად გამოცდილებას, უახლეს მეცნიერულ ცოდნას და გლეხურ მეურნეობას. ადამიანს მოჰყავს მცენარე, რომლითაც კვებას ცხოველს, ხოლო ცხოველიდან მიღებული ნაკელით ანოყიერებს ნიადაგს. ამ თეორიით და პრაქტიკით ხელმძღვანელობდნენ ჩვენი წინაპრები და აწარმოებდნენ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციას.

საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ სერიოზულ პრობლემად ითვლება მთის რეგიონში პროდუქციის წარმოების გადიდება. ცნობილია, რომ მთის და მთისწინეთის ტერიტორია რესპუბლიკის საერთო ფართობის 60%-ს შეადგენს და ის დიდი რეზერვია მეცხოველეობის და ძვირფასი კულტურების განვითარებისათვის. უკანასკნელი ათეული წლის მანძილზე ადგილი აქვს ამ ზონიდან მოსახლეობის მნიშვნელოვან მიგრაციას. თუ გადავხედავთ საქართველოს მოსახლეობის მიგრაციის პროცესს, დავინახავთ, რომ მთიან რეგიონებში მოსახლეობა კატასტროფულად მცირდება. თუ მე-20 საუკუნის 50-60-იან წლებში, მთიან რეგიონში ცხოვრობდა მოსახლეობის 60%-ზე მეტი, დღეს ეს მაჩვენებელი 15%-მდე შემცირებული, და იქ მაცხოვრებელი თითქმის ყველა ხანდაზმული ადამიანები არიან. შესაბამისად, მატება არ მიმდინარეობს. აღნიშნული პროცესის გაგრძელების შემთხვევაში, რამდენიმე წელიწადში მთიანი რეგიონები მოსახლეობიდან მთლიანად დაიცლება. რასაც ბევრი ნეგატიური მოვლენა მოჰყვება ეკონომიკური და ეკოლოგიური თვალსაზრისით.

ბუნებრივ-ეკოლოგიური პირობების მიხედვით მთის რაიონებს ბევრი რამ საერთო აქვთ. მაგრამ რაიონის შიგნითაც ბევრი არის არსებითი განსხვავებები, რელიეფის ნიადაგურ-კლიმატური, სამეურნეო ორგანიზაციული პირობების და აგრეთვე მიწათმოქმედების კულტურის კუთხითაც. მთის რელიეფური სირთულის პირობებში-ფერდობებზე ისეთსავე აგროტექნიკას იყენებენ როგორც ვაკე ადგილებისათვისაა მიღებული, არ არის მთის პირობებში მომუშავე ტექნიკა, რის გამოც წყლისმიერი ეროზიის შედეგად სახნავი მიწების ზედაპირიდან ყოველწლიურად გადაირეცხა ნაყოფიერი ფენა, რის შედეგადაც სავარგული მიწები დაბალ სავარგულებში გადავიდა ან სრულიად გამოვიდა მწყობრიდან. როგორც ცნობილია, მიწა ყველა სიმდიდრის წყაროა, ის აძლევს ადამიანს სასურსათო რესურსების 90%. მიწის ფართობის დაკარგვა ისეთი მცირემიწიანი ქვეყნისათვის, როგორც ჩვენია, დიდ ეკონომიკურ კრიზისს ნიშნავს.

საკანონმდებლო ორგანოებმა მიიღეს რიგი კანონები მთიანი რეგიონების სოციალურ-კულტურული და ეკონომიკური განვითარების შესახებ, მაგრამ საზოგადოებამ ვერ მიიღო შესაბამისი ეფექტი. კანონი დარჩა ქაღალდზე, მთიანი რეგიონის მოსახლეობა გაღარიბდა, დაიწყო მთიანი ეკოსისტემის დაშლის შეუქცევადი პროცესი. შემცირდა შრომის ნაყოფი-



ერება, რამაც მნიშვნელოვნად დააქვეითა ცხოვრების დონე, გაღარიბდა მოსახლეობა, ხოლო ეს უკანასკნელი მოსახლეობის ქალაქში მასიური მიგრაციის წინაპირობაა. გაკეთდა ყველაფერი სასოფლო-სამეურნეო წარმოების დასაკნინებლად და მოსახლეობის დიდი მასების ძირძველი ადგილებიდან ასაყრელად.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ 2013 წელს მიღებული იქნა მრავალი ღონისძიება და დახმარება სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების შესახებ, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა განსაკუთრებით მთიანი ზონის მოსახლეობისათვის. დიდი მუშაობა ჩატარდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლებისათვის, სრულიად ახალი ეტაპი დაიწყო საქართველოს სოფლის მეურნეობისათვის, რამაც ხელი შეუწყო შრომის ნაყოფიერების გადიდებას და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას. ასევე დამხმარე სოფლის მეურნეობის განვითარებას. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება სოფლის მეურნეობას სერიოზულ ყურადღებას აქცევს ჯერ-ჯერობით მთისაკენ დაბრუნებას არავინ ცდილობს.

2014 წელს დაიწყო „მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტი“ რომლის მიზანი იყო მცირემიწიანი ფერმერების მაქსიმალური ხელშეწყობა, სახელმწიფო ენერგოტევად ყველაზე მნიშვნელოვან სამუშაოებში - ხვნის პროცესში ეხმარებოდა მათ. ასევე აქტიურად მიმდინარეობს სასოფლო-სამეურნეო „კოოპერატივების“ შექმნა.

აღნიშნული ღონისძიებები საკმარისი არ არის, საჭიროა განსაკუთრებით მთიანი რეგიონისათვის განხორციელდეს გრძელვადიანი პროგრამები სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის. ასევე გაუმჯობესდეს, მოსახლეობისაგან სოფლის მეურნეობის ნამატი პროდუქციის შესყიდვის ორგანიზაცია. მთიანი სოფლების შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ხელისუფლების მხრიდან აუცილებელია განხორციელდეს რიგი ღონისძიებები ბიოლოგიურად სუფთა უსაფრთხო პროდუქციის უზრუნველსაყოფად. კერძოდ, აუცილებელია შემუშავებული და განხორციელებული იქნას შესაბამისი მართველი ორგანოების მიერ პროექტები, მთიან რეგიონში სოფლის მეურნეობის დარგის განვითარების, ახალი თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის გზით, სამთო მიწათმოქმედებისათვის მისაღები, ეკონომიკურად გამართლებული და მოსახლეობისათვის საჭირო პროდუქციის წარმოებისათვის, რომლის დროსაც გათვალისწინებული იქნება გარემოს დაცვის და ეკოლოგიური პირობები. მთიანი რეგიონისათვის გამოსადეგი თესლის, ნერგის შემოტანა, თანამედროვე აგროტექნიკური მეთოდების დანერგვის ხელშეწყობა, ფინანსური უზრუნველყოფა, ინვესტორების მოძიება, სასოფლო-სამეურნეო კულტურების სწორი შერჩევა, მომგებიანი პრიორიტეტული კულტურების დადგენა და მიღებული პროდუქციის რეალიზაციის პერსპექტივები. შესაბამისად, შენარჩუნდება მთიანი სოფლების სიცოცხლისუნარიანობა, ამალდება მოსახლეობის ცხოვრების დონე, გაიზრდება შრომისნაყოფიერება სოფლის მეურნეობის საზოგადოებრივ სექტორში, ამ სფეროში დასაქმებული მუშაკები საწარმოო ფონდებიდან აღიჭურვებიან სამთო პირობებში გამოსაყენებელი ტექნიკით, ელექტროენერგიით და მისასვლელი გზებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ მთიანი რეგიონების სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა დიდ გავლენას იქონიებს სოფლებიდან მოსახლეობის გადინებაზე, რაც ბიომეურნეობის წარმოების ხელშეწყობაც იქნება, ეს კი თავის მხრივ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოების საწინდარია. ხელისუფლების მხრდაჭერით და აგრარული მიმართულების მეცნიერთა კონსულტაციით შესაძლებელია ქვეყნის მოსახლეობის დაცვა საფ-



რთხისშემცველი იმპორტირებული პროდუქტისაგან, რომელსაც ჩაანაცვლებს მთაში და მთისწინეთში მოყვანილი ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი.

გამოყენებული ლიტერატურა;

1. კოპალიანი ლია- „ლეჩხუმის ბიომრავალფეროვნება და ტურიზმის განვითარების პერსპექტივები“ აგრო NEWS N 3 ქუთაისი N 3 2017წ. გვ. 37-41
2. კოპალიანი ლ. კაპანაძე შ. – „სოფლის მეურნეობის პრობლემები ლეჩხუმის მთიან ზონაში და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები“. „ნოვაცია“ # 17 ქუთაისი 2016 გვ 73-76.
3. კოპალიანი ლ. კაპანაძე შ. – „სტიქიური მოვლენები ლეჩხუმის მთიან ზონაში და მათი პრობლემები“ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალური დათბობა და აგრობიომრავალფეროვნება“ 4-5-6 ნოემბერი 2015 წ. თბილისი. გვ. 178-180

Agricultural bio-farming in the highlands and prospects for its development (on the example of Lechkhumi)

L. Kopaliani, Sh. Kapanadze, T. Kopaliani, I. Qantaria, * A. Mushkudiani

Akaki Tsereteli State University

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Summary

The paper discusses food safety problems. In particular, promoting agriculture in mountainous regions will have a major impact on the outflow of population from villages, This will promote the production of environmentally friendly products. Which will replace the environmentally friendly produce grown in the mountains and foothills.

**კეთილშობილი დაფნის მაღალზეთიანი სადედე მცენარეების
შერჩევა საქართველოს მასშტაბით**

**კოპალიანი ლ., კოპალიანი რ., კაპანაძე შ., კოპალიანი თ.,
ქანთარია ი.**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნაშრომში მოცემულია საქართველოს მასშტაბით დაფნის მაღალზეთიანი ფორმების შერჩევის და მისგან მიღებული ნედლეულიდან, გინზბერგის მეთოდის გამოყენებით, ეთერზეთის მიღების ოპტიმალური პარამეტრების დადგენა. ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევები იძლევა დაფნის კულტურის წარმოების რენტაბელობის გაზრდის შესაძლებლობების დადგენას პლანტაციების ფართობების გაზრდის გარეშე. საქართველოს სუბტროპიკებში აღნიშნული ჯიშის ფართოდ დანერგვა გამოიწვევს დაფნის კულტურის წარმოებით მიღებული ეკონომიკური ეფექტის მნიშვნელოვან გაზრდას. მაღალზეთიანი ჯიშის დანერგვა საქართველოს სუბტროპიკების უკიდურეს ჩრდილო საზღვრების მიმდებარე რეგიონებში ხელს შეუწყობს ამ რეგიონების კლიმატური პირობების გაჯანსაღებას, ეროზიული მოვლენების მნიშვნელოვან შემცირება-აღმოფხვრას, ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას და სიღარიბის პრობლემის დაძლევას.

დაფნა – *Laurus nobilis L.* – სუბტროპიკული, მრავალწლიანი, მარადმწვანე ეთერზეთოვანი მცენარეა. მისგან მიღებული სასაქონლო პროდუქტები, მშრალი ფოთოლი და ეთეროვანი ზეთი ფართოდ გამოყენებას პოულობს სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში. პირველ რიგში კვების მრეწველობაში, მედიცინაში, პარფიუმერიაში და კოსმეტიკაში. დაფნის ეთეროვანი ზეთი აუცილებელი და ამავე დროს შეუცვლელი კომპონენტია სხვადასხვა სახის კონ-



სერვების დასამზადებლად, როგორც ძვირფასი არომატიზატორი და ამავე დროს ძლიერი კონსერვანტი. ასეთი მრავალმხრივი გამოყენების გამო დაფნის პროდუქტებზე მოთხოვნილება, მსოფლიო მასშტაბით, დიდია და დღეისათვის მთლიანად ვერ კმაყოფილდება, ამასთან ის ყოველწლიურად იზრდება. აღნიშნული პრობლემის გადაჭრის ორი გზა არსებობს, ერთი – დაფნის კულტურით დაკავებული ფართობების მნიშვნელოვნად გაზრდა, რაც თავის მხრივ დიდი მატერიალური და შრომითი რესურსების დანახარჯებთანაა დაკავშირებული და მეორე – რადიკალური, დაფნის მაღალპროდუქტიული ჯიშების გამოყვანა და წარმოებაში დაწერვა, რომელიც ყოველგვარი დამატებითი დანახარჯების გარეშე დაფნის პროდუქტების საჭირო რაოდენობით წარმოების შესაძლებლობას მოგვცემს.

დაფნის მასისგან მიღებული სასიამოვნო სურნელების ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების შემცველი ეთერზეთები ფართოდ გამოიყენება სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში, ამიტომ მოთხოვნილება მათზე დიდია და ყოველწლიურად იზრდება.

უნდა აღინიშნოს, რომ დღეისათვის მსოფლიოში დაფნის ეთეროვანი ზეთის წარმოება ვერ აკმაყოფილებს მასზე მოთხოვნას, რაც აუცილებელს ხდის დაფნის კულტურით დაკავებული ფართობების გაზრდას, ამ პრობლემის გადაჭრის სხვა გზაც არსებობს, რაც დაფნის მაღალპროდუქტიული ფორმების შერჩევაში გამოიხატება, ამით მნიშვნელოვნად ამაღლება დაფნის კულტურის წარმოების რენტაბელობა შესაბამისად დაფნის ეთერზეთზე მზარდი მოთხოვნა დაკმაყოფილდება დაფნის პლანტაციების ფართობების მნიშვნელოვნად გაზრდის გარეშე, კეთილშობილი დაფნის სახეობა-პოპულაცია ფორმათა დიდი მრავალფეროვნებით ხასიათდება და შეიცავს მეტწილად დაბალპროდუქტიულ ფორმებს, რაც მაღალპროდუქტიული ფორმის შერჩევის საშუალებას იძლევა. ჩვენი კვლევების თანახმად, ზეთშემცველობის მიხედვით დაფნის სახეობა-პოპულაციები მრავალფეროვანია ზეთშემცველობა და ეს მაჩვენებელი 0,8%-დან 3% -მდე მერყეობს.

კვლევის მიზანს წარმოადგენს დაფნის მაღალზეთიანი ფორმების შერჩევა საქართველოს მასშტაბით და ვიზუალურად შერჩეული ნედლეულიდან გინზბერგის მეთოდის გამოყენებით, ეთერზეთის შემცველობის დადგენა. კვლევებს ვაწარმოებთ დაფნის კულტურაზე 2009 წლიდან და ამჟამად გრძელდება მუშაობა ეთერზეთის მიღებასა და მის გამოყენებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

კვლევის მთავარ ობიექტს წარმოადგენდა საქართველოში გავრცელებული დაფნის კულტურის ფორმები.

ეთეროვანი ზეთის შემცველობის განსაზღვრისათვის გამოყენებული იქნა დაფნის ნედლი ფოთლები. ეთეროვანი ზეთის შემცველობის განსაზღვრა წარმოებდა ძირითადად გინზბურგის მიკრომეთოდით აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ ფაკულტეტის სუბტროპიკული კულტურების დეპარტამენტის ლაბორატორიაში.

პარარელურად გამოიყენება მიკროსკოპული ანალიზის მეთოდი.

ჩვენს მიერ ჩატარებული უამრავი ანალიზების შედეგად აღმოჩნდა რომ ყველა მაღალზეთიანი მცენარე ივითარებს თხელ ფოთოლებს, აქედან გამომდინარე სპეციალურად ჩავატარეთ ეთეროვანი ზეთის შემცველობაზე მრავალჯერადი ანალიზები თხელფოთლიან და სქელფოთლიან მცენარეებზე. ზოგიერთი მონაცემი აღნიშნულია ცხრილში 1



ცხრილი 1. ეთეროვანი ზეთის შემცველობის დამოკიდებულება ფოთლის სისქეზე

მცენარის	ფოთლის მორფოლოგიური თავისებურებანი	ზეთის შემცველობა ფოთოლში, %
ზუგდიდი	მამრობითი მცენარე თხელი, ღია მწვანე, ფართე ფოთლებით	1,75
ქობულეთი	მამრობითი მცენარე საშუალო სისქის ფოთლებით	0,624
ლანჩხუთი- შუხუთი	მამრობითი მცენარე თხელი ფოთლებით	1,712
ნოჯიხევი	მამრობითი მცენარე თხელი ფოთლებით	0,450
ოზურგეთი	მდედრობითი მცენარე სქელი, საშუალო სიდიდის ფოთლებით	0,381
ქობულეთი	მდედრობითი მცენარე სქელი, ოდნავ კიდდატალღული, საშუალო ზომის, ლანცეტისებური ფოთლებით	0,52
ქუთაისი, ბოტანიკური ბაღი	მდედრობითი მცენარე სქელი ფოთლებით	0,385
ხელვაჩაური	მდედრობითი მცენარე სქელი ფოთლებით	0,72

როგორც ცხრილიდან ჩანს თხელფოთლიანი ფორმა ყველა შემთხვევაში მნიშვნელოვნად მეტ ეთერზეთს შეიცავს.

შერჩეული იქნა დაფნის მაღალპროდუქტიული ფორმები, მაგრამ კვლევები ისევ გრძელდება საქართველოს მასშტაბით, რაც უფრო მეტად პროდუქტიული ფორმების გამორჩევის საშუალებას მოგვცემს.

საქართველოში მაღალზეთიანი ჯიშის დაფნის ფართოდ დანერგვა ხელს შეუწყობს შრომით ბაზარზე დღეისათვის უმუშევრად დარჩენილი პროფესიული კადრების დასაქმებას, საფინანსო ბაზარზე კი, რიგ ქვეყნებთან მიმართებაში, მათი ეკონომიკის სპეციფიკიდან გამომდინარე, დაფნის ეთეროვანი ზეთი და ასევე მშრალი ფოთოლი გახდება ბარტერის მნიშვნელოვანი საგანი.

მაღალზეთიანი ჯიშის წარმოებაში დანერგვის ეფექტი უაღრესად გრძელვადიანია, ვინაიდან დაფნის ეთეროვან ზეთზე მოთხოვნილება ყოველწლიურად მზარდია, ამასთან დაფნა ხანგრძლივი (300 და მეტი წელი) სიცოცხლის მცენარეა და დაფნის მაღალპროდუქტიული ჯიშით ერთხელ გაშენებული პლანტაცია, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, ყოველწლიურად მაღალი ეკონომიკური ეფექტის მომცემი იქნება.

ლიტერატურა:

1. გეწაძე გივი, კოპალიანი ლია, კაპანაძე შორენა - „დაფნის მაღალპროდუქტიული ჯიშის „სილვერის“ *Laurus nobilis* წარმოებაში დანერგვის პერსპექტივები“. მეცნიერთა კვლევის შედეგების კომერციალიზაცია. აწსუ ქუთაისი 2018. წ გვ.98-101
2. კოპალიანი ლია-„მაღალპროდუქტიული კეთილშობილი დაფნის *Laurus nodilis* წარმოების ინტესიფიკაცია და ეფექტიანობა“. მეცნიერება და ცხოვრება თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი. თბილისი N 2 {16}2017. გვ. 123-125
3. კოპალიანი ლ. კაპანაძე შ. „ კეთილშობილი დაფნის *Laurus nodilis* L პოპულაციების შესწავლის შედეგები და სამეურნეო შეფასება დასავლეთ საქართველოს პირობებში“ ქუთაისის სამეცნიერო ცენტრი „ნოვაცია“ N 12 2013წ. გვ. 158-161



4. პროფ. გ. გეწაძე, პროფ. ნ. ებანოძე, ასოც. პროფ. ლ. კოპალიანი, ასისტენტ პროფესორი შ. კაპანაძე. გრანტ # 511 „კეთილშობილი დაფნის მაღალპროდუქტიული, მექანიზირებული წესით მოვლა-- მოყვანისათვის გამოსადეგი ფორმის შერჩევა და წარმოებაში გადაცემა“ სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია; ქუთაისი 2011 წ. გვ. 1-68

Selection of noble laurel of high oil mother plants throughout Georgia

L. Kopaliani, R. Kopaliani, Sh. Kapanadze, T. Kopaliani, I. Qantaria

Akaki Tsereteli State University

Summary

The paper presents the optimal parameters for the selection of essential oils from Georgia and the raw materials obtained from it, using the Ginsberg method. Our research provides opportunities to increase the profitability of bay crop production without increasing plantation areas. The widespread introduction of the aforementioned variety into the Georgian subtropics will lead to a significant increase in the economic impact of bay leaf production. The introduction of the high-altitude variety in the regions adjacent to the extreme northern boundaries of the Georgian subtropics will help to improve climate conditions in these regions, reduce or eliminate erosive events, employ local people, and alleviate poverty.

**ფერადი ყურძნის ანტოციანებით
მდიდარი სამკურნალო-პრევენციული კონცენტრატი**

**მამრიკიშვილი-ოყრეშიძე ლ., ღვინიაძე თ., ყიფიანი ა.
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

მართალია ფერადი ვაზის კლონებისა და ჰიბრიდების ყურძნის ნედლეულს წითელი წესით დამზადებული ნატურალური ღვინოების წარმოებაში ნაკლებად იყენებენ, მაგრამ მათგან მიღებული ტკბილი შესაძლებელია გამოყენებული იქნას სპეციალური ღვინოების წარმოებაში, ხოლო წიპწისა და კანის შესქელებული ეთანოლიანი ექსტრაქტები კი სამკურნალო-პროფილაქტიკური დანიშნულების საკვები დანამატებისა და მედიკამენტოზური საშუალებების წარმოებისათვის. მით უმეტეს, რომ ფერადი უწყამლო ყურძნის (ამერიკული და ჰიბრიდული ჯიშების) ნედლეული გაცილებით მეტი რაოდენობით შეიცავს ანტოციანების, როგორც მონოგლიკოზიდურ, ასევე დიგლიკოზიდურ ფორმებს ვიდრე კულტურული ვაზის თეთრი და ფერადი ყურძნის ნედლეული.


ფერადი ყურძნის წიპწისა და კანის ფენოლური ნაერთები გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან მეცნიერების განსაკუთრებულ და მნიშვნელოვან კვლევის ობიექტს წარმოადგენს და ზედმეტია იმის მტკიცება თუ რამდენად დიდია მათი როლი ბიოლოგიურად აქტიური საკვები დანამატებისა და მაღალეფექტური პოლიფენოლური პრეპარატების წარმოების საქმეში.

უკანასკნელ პეროდში ჩვენი ქვეყნის ფარმაცევტულ ბაზარზე გამოჩნდა დიდი რაოდენობით მცენარეული წარმოშობის სამკურნალო-პრევენციული საშუალებები და ბიოლოგიურად აქტიური საკვები დანამატები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული სახელმწიფო ფარმაცოპიით, მაგრამ ხასიათდებიან გამოხატული ბიოლოგიურად აქტიური თვისებებით და ადამიანის ორგანიზმზე სასარგებლო ზეგავლენის მაღალი ეფექტებით.

უკანასკნელ წლებში მეცნიერების დაინტერესება უწყამლო კლონებისა და ჰიბრიდების ყურძნის ნედლეულის ფენოლური ნაერთებისა და მათ შორის ანტოციანების მიმართ მნიშვნელოვნად გაიზარდა. რიბეირო-გაიონის კვლევებით [3], ანტოციანების დიგლიკოზიდური



და მონოგლიკოზიდური ფორმების შემცველობით ანსხვავებენ ყურძნის ნედლეული ევროპული, ამერიკული თუ ჰიბრიდული ვაზიდანაა მიღებული. ქართველი მეცნიერების [2] კვლევებით კი დადგენილია, რომ ანტოციანების დიგლიკოზიდური ფორმების მომეტებული შემცველობა არ შეიძლება განხილული იყოს ვაზის წარმოშობის ტაქსონიმურ ნიშნად, რადგანაც ისეთი ჰიბრიდი, როგორც ზეიბელ-5455-ია (მას იმერეთში „ზეიმბერს“ უწოდებენ) თითქმის არ შეიცავს ანტოციანების დიგლიკოზიდურ ფორმებს.



ნახ.1. ანტოციანების შემცველობა ყურძნის მარცვალში, მგ/კგ [1].

1-მონოგლუკოზიდები და 2- დიგლუკოზიდები ევროპულ ჯიშებში,

3-მონოგლუკოზიდები და 4-დიგლუკოზიდები კლონებსა და ჰიბრიდებში.


კიშკოვსკისა და სკურიხინის კვლევებით [1], ფერადი უწყამლი-ჰიბრიდული ყურძნის ნედლეული ჯერადად მეტი რაოდენობით შეიცავენ ანტოციანების, როგორც მონოგლიკოზიდურ ასევე დიგლიკოზიდურ ფორმებს (ნახ. 1).

განხილული ცხრილიდან ჩანს, რომ ვაზის კულტურული ფორმების ყურძნის ნედლეულში ანტოციანები ძირითადად წარმოდგენილია მალვიდინის მონოგლიკოზიდის სახით (დაახლოებით 30%), ხოლო უწყამლ კლონებსა ჰიბრიდებში ჭარბობს დიგლიკოზიდური ფორმები, რომელთა შემცველობა ზოგიერთ შემთხვევაში ანტოციანების საერთო რაოდენობის 84-90%-ს აღწევს.

ანტოციანებს საერთაშორისო კლასიფიკაციით E 163 იდექსი აქვთ მინიჭებული. ისინი საუკეთესო თვისებების, სუნისა და გემოს არმქონე ბუნებრივი საღებარებია და დიდი გამოყენება აქვთ ფარმაცევტულ და კვების მრეწველობაში. ისეთი ძლიერი ანტიოქსიდანტური თვისებების მქონე საკვები დანამატი, რომლის სავაჭრო დასახელება „ანტოციან ფორტა“ და მხედველობის ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო წამალთა საშუალებაა, იტალიასა და საფრანგეთში ფერადი უწყამლი კლონებისა და ჰიბრიდების ყურძნის ნედლეულის კანისა და წიპწის შესქელებული ექსტრაქტების კომპოზიციისაგან მზადდება და ანტოციანების მთლიანი შედგენილობის ძირითად ნაწილს ანუ 57-72%-ს დიგლიკოზიდური ფორმები წარმოადგენს.

ჩვენს მიერ, იმერეთის რეგიონში კულტივირებული ფერადი ყურძნის უწყამლი კლონების („ჯვარისულა“, „ზეიმბერი“) ნედლეულიდან შემუშავებული იქნა სპეციალური, ლიქიორული ტიპის ღვინო „ნიკალას“ ინოვაციური ტექნოლოგია, სადაც მადულარ დურდოს დუღილის პროცესში ემატება წიპწისა და კანის ღვინო-სპირტიანი ექსტრაქტების კომპოზიცია, რაც მნიშვნელოვნად ზრდის ანტოციანების და საერთოდ პოლიფენოლური კომპლექსის გამოწვლილვის პროცესს მტევნის მყარი ნაწილებიდან.


უწყამლი ფერადი ყურძნის ახლადგამოწეხილი კანი და წიპწა საუკეთესო ნედლეულია მაღალეფექტური პოლიფენოლური პრეპარატების წარმოებისათვის.



ნახ.2. ანტოციანებით გამდიდრებული ღვინის ქრომატოგრამა

ფერადი უწყამლი ყურძნის თეთრი წესით მიღებული ტკბილი ნილოვისა და სკურიხინის [4] მიხედვით ფაქტიურად არ შეიცავს ანტოციანების დიგლუკოზიდურ ფორმებს, ამიტომ იგი შესაძლებელია გამოყენებული იქნას როგორც ნატურალური ასევე სპეციალური ღვინოების დასამზადებლად ან წვენებისა და კონცენტრატების წარმოებისათვის. ხოლო დარჩენილი ტკბილი ჭაჭა კი ანტოციანური პრეპარატების დამზადების წინ ექვემდებარება შემდეგი სქემით გადამუშავებას (ნახ.3).

5-6% ტენიანობამდე გამომშრალი ფერადი ყურძნის წიპწა და 4-5% ტენიანობამდე გამომშრალი ფერადი ყურძნის კანი, მომდევნო ეტაპზე ექვემდებარება ექსტრაქციას 70%-იანი ეთანოლით, რომელიც შემყავებულია 1%-მდე ლიმონის სიმჟავით. ექსტრაგენტისა და ნედლეულის თანაფარდობა წიპწის შემთხვევაში 3:1-თან, ხოლო კანის შემთხვევაში 5:1-თან.



ნახ.3. ახლადგამოწნებილი ტკბილი ჭაჭის მომზადება ექსტრაქციისათვის

ექსპერიმენტულად დადგინდა იქნა ექსტრაქციის პარამეტრები: ტემპერატურა - 50--55 °C, ხანგრძლივობა - 120 წთ და საექსტრაქციო მასის პულსაციის რეჟიმი: რხევათა სიხშირე - 4 წ⁻¹; ამპლიტუდა - 2 მმ.



მიღებული ექსტრაქტი ექვემდებარება ფილტრაციას ჯერ დალექვით, შემდეგ ცენტრიფუგირებით. ამგვარად მომზადებული ხსნარი დაკონცენტრირდება ვაკუუმ-ამაორთქლებელ აპარატში 65 % კონცენტრაციამდე არაუმეტეს 50-55 °C ტემპერატურაზე.

ჩატარებული კვლევების ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ: ფერადი უწყამლი ყურძნის კანი, რომელიც ჯერადად მეტი რაოდენობით შეიცავს ანტოციანების დიგლიკოზიდურ და მონოგლიკოზიდურ ფორმებს, საუკეთესო, ეკოლოგიურად სუფთა ნედლეულს წარმოადგენს მაღალი ანტიოქსიდანტური და ანტირადიანტული ანტოციანური ბუნების მედიკამენტოზური საშუალებებისა და საკვები დანამატების წარმოებისათვის.

ლიტერატურა

1. Кишковский Э.Н., Скурихин И.М. Химия вина, Пищевая промышленность. Москва. 1976 г.
2. ს.დურმიშიძე, ო. ხაჩიძე ყურძნის ქიმიური შედგენილობა. თბილისი „მეცნიერება“ 1979.
3. Риборо-Гайон, 1956. Виноделие, преобразование вина и его обработка. Пищепромиздат, М.
4. В.И.Нилов, И.М.Скурихин. 1967. Химия виноделия. Пищепромиздат, М.

Treatment and prophylactic concentrate rich in grape anthocyanins

L. Mamrikishvili-Okreshidze, T. Gvinianidze, A. Kipiani

Akaki Tsereteli State University

Summary

Despite fact that grape raw materials of colored vine clones and hybrids are rarely used in natural wine production made by using red wine technology, the must obtained from it can be used in the production of special wines, but the grape-seed and grape skin concentrated extracts with ethanol can be used for producing therapeutic-purpose nutrient additives and medicamentous means. Especially since raw materials of colored grapes (American and hybrid varieties) contain many more amount of both mono-glucoside and diglucoside forms of anthocyanins, than raw materials of white and colored grape cultural vine.

მომხმარებელთა დამოკიდებულების მარკეტინგული კვლევა ბოცვრის ხორცის მიმართ

მამრიკიშვილი-ოყრეშიძე ლ., ცაგარეიშვილი დ., კვირიკაშვილი ლ.
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შესწავლილია მომხმარებელთა დამოკიდებულება ბოცვრის ხორცისა და მისგან დამზადებული ნაწარმის მიმართ. გაანალიზებულია მონიტორინგის შედეგები. გამოიკვეთა, რომ მომხმარებელთა უმრავლესობა ბოცვრის ხორცს თვლის სასარგებლო საკვებ პროდუქტად. რერსპოდენტებს ასევე მიზანშეწონილად მიაჩნია მისგან დამზადებული დაკეპილი ნაწარმის გამდიდრება ორგანიზმისათვის აუცილებელი დეფიციტური ვიტამინებით, მინერალური ნივთიერებებითა და საკვები ბოჭკოებით, ზემოთ აღნიშნულის განხორციელება მოითხოვს ბოცვრის ხორცისაგან დამზადებული ჯანსაღი კვების პროდუქტების მეცნიერულად დასაბუთებული ტექნოლოგიებისა და რეცეპტურების შემუშავებას

მოსახლეობის მოთხოვნილებების დაკმაყოფილება მაღალხარისხოვან და უსაფრთხო კვების პროდუქტებზე თანამედროვეობის მეტად მნიშვნელოვანი ამოცანაა. მისი გადაწყვეტა დაკავშირებულია კვების სტრუქტურის გაუმჯობესებასთან და გულისხმობს ადამიანის კვების რაციონში ისეთი საკვები პროდუქტების შეტანას, რომელებიც გამოირჩევა სასარგებლო



თვისებებით, უზრუნველყოფს ორგანიზმის დამცავი ფუნქციების გააქტიურებას, იმუნური სისტემის გაძლიერებას და ამცირებს დაავადებათა განვითარების რისკს [1,2,3].

ჩვენი კვლევის მიზანს შეადგენდა გამოგვევლინა მომხმარებელთა დამოკიდებულება ბოცვრის ხორცისაგან დამზადებული ნაწარმის მიმართ ქ. ქუთაისში.


აქედან გამომდინარე ჩავატარეთ ქ. ქუთაისის მოსახლეობის სხვადასხვა ფენების გამოკითხვა. ინფორმაციას ვაგროვებდით ინტერვიუს სახით ანკეტირების მეთოდით. გამოკითხულ იქნა 500 ადამიანი. გამოკითხულთა 67,3%-ს შეადგენდნენ ქალები, ხოლო 32,7%-ს - მამაკაცები.

შეკითხვაზე: „გაქვთ თუ არა საკმარისი ინფორმაცია ბოცვრის ხორცის თვისებების შესახებ“ რესპოდენტთა 60,8%-მა უპასუხა უარყოფითად.

ამასთან ერთად შეკითხვაზე: „საკმარისი იქნება თუ არა თქვენთვის მწარმოებლის ინფორმაცია ბოცვრის ხორცის ან მისგან დამზადებული ნაწარმის სასარგებლო თვისებების შესახებ?“, გამოკითხულთა 22%-მა დადებითად უპასუხა, ხოლო 78% კი თვლის, რომ საჭიროა უფრო სრული ინფორმაცია.


აღნიშნული შეკითხვებიდან გამომდინარე ჩანს, რომ საჭიროა მოსახლეობის უფრო სრული ინფორმირება ბოცვრის ხორცის შესახებ.

შეკითხვაზე „თქვენი დამოკიდებულება ბოცვრის ხორცისაგან დამზადებული ნაწარმისადმი (ძეხვი, სოსისი, მსხვილნაჭროვანი, საულუფე, დაკეპილი ნახევარფაბრიკატები, მზაკერძები) რესპოდენტთა 67,5%-მა უპასუხა დადებითად, აქედან მათი უმრავლესობა უპირატესობას ანიჭებს დაკეპილი ხორცის კერძებს, შემდეგ მოდის სოსისი, ძეხვი და საულუფე კერძები (ნახ.1).



ნახ. 1. რესპოდენტთა დამოკიდებულება ბოცვრის ხორცისაგან დამზადებული ნაწარმისადმი


შეკითხვაზე: „რომელი წყაროდან მიღებულ ინფორმაციას ენდობოდით ბოცვრის ხორცზე ან მისგან დამზადებულ ნაწარმზე?“ გამოკითხულთა უმრავლესობა ენდობა ექიმისაგან მიღებულ ინფორმაციას, შემდეგ - კოლეგებისა და მეგობრებისაგან, მასმედიისაგან, გამოცემებისაგან და სხვ. (ნახ.2).



ნახ. 6. პასუხების განაწილება კითხვაზე: „რომელი წყაროდან მიღებულ ინფორმაციას ენდობოდით ბოცვრის ხორცზე ან მისგან დამზადებულ ნაწარმზე?“

შეკითხვაზე: „თქვენი აზრით, ბოცვრის ხორცისაგან დამზადებული ნაწარმის გამოყენება აუცილებელია ყოველდღიურად თუ ექიმის რეკომენდაციით?“, პასუხები შემდეგნაირად განაწილდა: ყოველდღიურად ბოცვრის ხორცისაგან დამზადებული ნაწარმის გამოყენება აუცილებლად მიაჩნია რესპოდენტთა 18,7%-ს, ექიმის რეკომენდაციით – 30,7%-ს, პასუხის გაცემა კი გაუჭირდა 50,6%-ს.

კითხვაზე „რომელი დანამატით გამდიდრებულ ბოცვრის ხორცისაგან დამზადებულ ნაწარმს იყიდდით?“ რესპოდენტთა აზრი შემდეგნაირად განაწილდა: გამოკითხულთა 35% ირჩევს ვიტამინებს, 13% – იოდს, 16% - რკინას, 16% - კალციუმს, 12% - საკვებ ბოჭკოებს და 8% - ბიოლოგიურად აქტიურ დანამატებს (ბად) (ნახ.3) აქედან ჩანს, რომ მოსახლეობის უმრავლესობა პროდუქტების შემდენისას უპირატესობას ანიჭებს ზემოთ ჩამოთვლილ დანამატებს.




ნახ. 3. გამოკითხულთა დამოკიდებულება სხვადასხვა დანამატებით ნაწარმის გამდიდრების მიმართ

რესპოდენტების გამოკითხვისას გამოვლინდა, რომ გამოკითხულთა 68% იყიდა ბოცვრის ხორცის ნაწარმს მათი სასარგებლო თვისებების გამო, მიუხედავად იმისა, რომ ისინი სხვა სახის ხორცისაგან დამზადებულ ანალოგიურ ნაწარმზე ძვირია, 32% კი - არ იყიდა



(ნახ. 4). გამოკითხვის შედეგები ცხადყოფს მოსახლეობის კეთილგანწყობას ბოცვრის ხორცის ნაწარმის მიმართ და მიუხედავად სიძვირისა, მზადაა შეიძინოს აღნიშნული პროდუქცია.



ნახ. 4. პასუხების განაწილება კითხვაზე: „იყიდდით ბოცვრის ხორცის ნაწარმს მათი სასარგებლო თვისებების გამო, მიუხედავად იმისა, რომ ისინი სხვა სახის ხორცისაგან დამზადებულ ანალოგიურ ნაწარმზე ძვირია?“

მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შეიძლება გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები:

- საჭიროა მომხმარებლის უფრო სრული ინფორმირება ბოცვრის ხორცის სასარგებლო თვისებების შესახებ; მიზანშეწონილია ბოცვრის ხორცისა და მისგან დამზადებული პროდუქციის (ძეხვი, სოსისი, მსხვილნაჭროვანი, საულუფე და დაკეპილი ნეხევარფაბრიკატები) კვებითი და სამკურნალო-პროფილაქტიკური თვისებების გაცნობა დიეტოლოგების მიერ ტელევიზიის, რადიოსა და სხვა საინფორმაციო საშუალებით; ნაწარმის პრეზენტაცია-დეგუსტაციების ჩატარება;
- ანიჭებს რა მოსახლეობა უპირატესობას დაკეპილი ბოცვრის ხორცისაგან დამზადებულ ნაწარმს, მიზანშეწონილია მისი გამდიდრება ვიტამინებით, მინერალური ნივთიერებებითა და საკვები ბოჭკოებით, რაც უზრუნველყოფს ორგანიზმის დამცავი ფუნქციების გააქტიურებას, იმუნური სისტემის გაძლიერებას, შრომისუნარიანობის ამღლებას, შეამცირებს დაავადებათა განვითარების რისკს და მკურნალობის ღირებულებას;
- ზემოთ აღნიშნულის განხორციელება მოითხოვს ბოცვრის ხორცისაგან დამზადებული ჯანსაღი კვების პროდუქტების მეცნიერულად დასაბუთებული ტექნოლოგიებისა და რეცეპტურების შემუშავებას;
- ახალი სახის ნაწარმის დანერგვა გააფართოებს დღესდღეობით საქართველოში შეზღუდული ფუნქციური დანიშნულების ნაწარმის ასორტიმენტს.

ლიტერატურა

1. Hernández P., Gondret F. Rabbit meat quality. In: Maertens L., Coudert P. (Eds.). Recent Advances in Rabbit Sciences. ILVO, Merelbeke, Belgium, 2006. p. 269-290.
2. Cullere M., Dalle Zotte A. Rabbit meat production and consumption: State of knowledge and future perspectives J. Meat Science, 143, 2018, pp. 137-146.
3. Petracci M., Cavani, C. Rabbit meat processing: historical perspective to future directions. World Rabbit Science. vol. 21, no. 4. 2013. p. 217-226.



Marketing research attitudes of consumers towards rabbit meat
L. Mamrikishvili-Okreshidze, D. Tsagareishvili, L. Kvirikashvili
Akaki Tsereteli State University

Summary

Is studied the attitude of consumers to rabbit meat and its products . The monitoring results were analyzed. It has been found that most consumers find rabbit meat as healthy food. Respondents also consider it appropriate to enrich products made from it with deficient vitamins, minerals and dietary fiber. To implement the above, it is important to develop scientifically based technologies and recipes of healthy rabbit meat foods.

ნაშრომი შესრულებულია შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (SRNSFG) მხარდაჭერით, გრანტის - FR17 - 353 "ჯანმრთელი საკვები პროდუქტების წარმოებისა და შენახვის ტექნოლოგიების შემუშავება ბოცვრის ხორცის გამოყენებით" - ფარგლებში.

**ნიადაგის თვისებები და აგროტექნიკურ ღონისძიებათა სისტემა
ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციასთან დაკავშირებით**

მამულაიშვილი ი., ლომინაძე შ.*

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ჩაის, სუბტროპიკულ კულტურათა
და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტი,

*შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შესწავლილია ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის პროცესში აგროტექნიკურ ღონისძიებათა სისტემა: გასხვლა-ფორმირება, ნიადაგის დამულჩვა, ნახლავი მასის დატოვება, მცენარის ჯიშობრივი შემადგენლობა და სიხშირე-გაადგილების გავლენა ნიადაგში საკვები ელემენტების შემცველობაზე. ნიადაგში საკვები ელემენტების შემცველობაზე გავლენას ახდენს ორგანულ-მინერალური სასუქები, ჩაის ჯიში და აგროტექნიკურ ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც მაღალ მოსავლთან ერთად უზრუნველყოფენ ჩაის პლანტაციებში დიდი რაოდენობით ენერგეტიკული მასის დატოვებას, რითაც ხელს უწყობს ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლებას და მისი ბიოეკოლოგიური პოტენციალის შენარჩუნებას.

მეჩაიობის უმნიშვნელოვანეს ამოცანას მეცნიერული გამოკვლევების საფუძველზე არსებული პლანტაციების რეაბილიტაცია და მათი ექსპლოატაციაში ჩაყენება წარმოადგენს.

არსებული მონაცემებით ჩაის პლანტაციების ნიადაგებში საკვები ელემენტების შემცველობაზე გავლენას ახდენს ორგანულ-მინერალური სასუქები და აგროტექნიკური ღონისძიებები: ჩაის ბუჩქის გასხვლა, რიგთაშორისებში ნიადაგის დამუშავება, დამულჩვა, სიდერატების თესვა, მაღალპროდუქტიული ჩაის ჯიშების და კლონების გაშენება [1-4].

ჩატარებული კვლევის მიზანს წარმოადგენს სარეაბილიტაციო სხვადასხვა ჯიშის ჩაის პლანტაციის გასხვლის სახეების გავლენის შესწავლა საკვები ელემენტების შემცველობაზე. ცდები ტარდებოდა 70 წლიანი ასაკის ჩაის პლანტაციებში ტიპიურ წითელმიწა ნიადაგზე. ცდის სართო ფართობი - 600 მ², დანაყოფი შედგება 4 სააღრიცხვო და 2 საფარი რიგისგან, განმეორება 3-ჯერადია, ნიადაგის ნიმუშების აღება ხდებოდა სამ სიღრმეზე: 0-15 სმ; 15-30 სმ; 30-45 სმ. საანალიზო ნიმუშებში განისაზღვრა ძირითადი საკვები ელემენტები (ცხრილი 1).

ცხრილის 1 მონაცემებიდან ჩანს, რომ დაკნინებული მცენარეების მძიმე გასხვლები (განსაკუთრებით ფესვის ყელზე აჭრა) ბიოლოგიური და ეკონომიკური თვალსაზრისით დიდად



ეფექტური არ არის. ბუჩქები ვეგეტაციაში ძნელად შედიან, მნიშვნელოვნად ფერხდება ვარჯის ფორმირების პროცესი და ადგილი აქვს ბუჩქების ხმობას (4-5%). დაკნინებული ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის პროცესში უპირატესობა ნახევრად მძიმე (40-450) და მძიმე (18-20 სმ) გასხვლის სახეებს უნდა მიეცეს, რაც რამდენადმე დააჩქარებს ბუჩქების რეგენერაციის პროცესებს და კომპაქტური ვარჯის ფორმირების პროცესს.

ცხრილი 1. საკვები ელემენტების შემცველობა გატყევიანებულ ჩაის პლანტაციაში გასხვლის სახეებთან დაკავშირებით

ვარიანტები	ნიმუშის ალების სიღრმე, სმ	pH სუსპენზიაში		გაცვლითი მუავიანობა მგ.ექვ. 100 გ ნიადაგში	მგ. 100 გ ნიადაგში				%ში	
		KCl	H ₂ O		P ₂ O ₅	K ₂ O	CaO	MgO	ჰუმუსი	აზოტი
გასხვლა ფესვის ყელზე (ნასხლავის გატანით)	0-15	4,0	5,0	11,4	10,5	11,3	21,0	18,6	4,2	0,320
	15-30	4,0	5,0	10,6	11,6	9,1	19,6	16,5	3,62	0,280
	30-45	3,9	4,92	9,5	8,05	6,8	13,5	11,7	2,61	0,218
საშ.	0-45	3,96	4,97	10,5	10,71	9,23	17,7	15,6	3,47	0,272
გასხვლა 20 სმ სიმაღლეზე (ნასხლავის გატანით)	0-15	3,8	4,9	10,9	12,9	13,0	25,2	24,0	5,7	0,432
	15-30	3,75	4,75	10,8	10,8	10,3	19,0	16,0	4,5	0,360
	30-45	3,67	4,55	9,33	7,67	7,62	14,7	13,23	3,7	0,296
საშ.	0-45	3,74	4,73	10,3	10,46	10,31	19,31	17,74	4,63	0,363
გასხვლა 45 სმ სიმაღლეზე(-ნასხლავის გატანით)	0-15	4,2	5,21	10,6	15,0	23,0	47,0	14,5	5,5	0,440
	15-30	4,15	5,2	9,6	8,75	9,2	18,2	13,2	4,5	0,360
	30-45	4,1	5,1	8,6	7,91	8,0	15,5	9,25	3,61	0,288
საშ.	0-45	4,15	5,17	9,6	10,55	13,4	26,9	12,32	4,45	0,363
გასხვლა 80 სმ სიმაღლეზე (ნასხლავის გატანით)	0-15	4,0	5,0	9,0	25,0	13,0	23,0	20,6	5,7	0,366
	15-30	4,0	5,0	8,7	12,5	12,0	18,5	12,0	4,58	0,456
	30-45	3,95	4,9	7,5	10,2	8,2	13,9	10,2	3,42	0,274
საშ.	0-45	3,98	4,97	8,4	15,9	11,1	18,5	14,27	4,57	0,365
გასხვლა 45 სმ სიმაღლეზე (ნასხლავის დატოვებით)	0-15	4,0	5,15	9,3	10,5	16,0	31,5	29,2	5,9	0,472
	15-30	3,8	4,8	8,5	8,0	14,2	27,3	21,5	5,1	0,408
	30-45	3,65	4,7	8,0	6,72	9,0	19,6	16,9	4,21	0,337

მაღალპროდუქტიული ჯიში მეტ მოთხოვნილებას უყენებს საკვებ ელემენტებს, გარემო კლიმატურ მაჩვენებლებსა და აგროტექნიკურ ღონისძიებათა სისტემას. კაპიტალური მრავალწლიანი ცდა დაყენებულია 1986 წ. შემდეგი სქემით: 1 - ჯიში „კოლხიდა“ ვეგეტატიურად გამრავლებული, 2 - კლონი №3823 ვეგეტატიურად გამრავლებული, 3 -კლონი №855 ვეგეტატიურად გამრავლებული, 4- ჯიში „კოლხიდა“ გენერაციულად (თესლი) გამრავლებული. თითოეული ვარიანტისთვის იცდებოდა სამი სიხშირე 0,5775 მ², 0,4375 მ², 0,8075მ² ანუ ერთ ჰექტარზე - 17 000, 23 000, 11 400 მცენარე. 25 წლიან პლანტაციაში სამ სიღრმეზე აღებულ ნიმუშებში განისაზღვრა საერთო ჰუმუსი, აზოტი, მოძრავი ფოსფორი, კალიუმი და მაგნიუმი.



ცდის შედეგები საშუალებას გვაძლევს ავლენიშნოთ, რომ ჯიში კოლხიდას ვეგეტატიურად გამრავლებულ ვარიანტში თითქმის ყველა საკვები ელემენტის შემცველობა მეტია, ვიდრე იგივე ჯიშის თესლიდან გამრავლებულ ვარიანტში. შესწავლილი ვარიანტებიდან ჩანს, რაც ნაკლებია კვების არე, მით მეტია ნიადაგში საკვები ელემენტების შემცველობა. ოპტიმალური რაოდენობის ნარგაობა გაცილებით უკეთეს პირობებს ქმნის მოსავლიანობის და მცენარეთა ბიოპროდუქტიულობის გადიდების თვალსაზრისით.

შევისწავლეთ ნიადაგში მიმდინარე ცვლილებები სიღრმეების მიხედვით მიმოქცევიდან გამოსული ჩაის პლანტაციების სამანქანო ტექნოლოგიებით აღდგენის პროცესში. კვლევის შედეგები წარმოდგენილია ცხრილში 2.

სრილი 2. ჩაის და ჯაგნარის მცენარეების ნასხლავი დაქუცმაცებული მასის გავლენა ნიადაგის აგროქიმიურ მაჩვენებლებზე (გასხვლის მე-2 წელი)

ცდის ვარიანტი	ნიმუშის ალების სიღრმე, სმ	pH სუსპენზიაში		მგ/ექვ 100 გ ნიადაგში	მგ 100 გ ნიადაგში				%			
		H ₂ O	KCL		გაცვლითი მჟავიანობა	P ₂ O ₅	K ₂ O	CaO	MgO	საერთო აზოტი	ჰუმუსი	C
I ვარიანტი	0-15	5,0	4,0	9,8	40	25,7	28	20	0,283	4,720	2,74	9,69
	15-30	5,2	4,2	10,4	30	15,9	25,9	10,2	0,267	4,012	2,33	8,73
	30-45	5,2	4,2	11,0	10	10,5	14	5,0	0,253	3,802	2,21	8,74
II ვარიანტი	0-15	5,2	4,3	10,5	27,5	17,5	49	8	0,27	4,25	2,47	9,15
	15-30	5,2	4,2	10,5	16,3	10	21,3	7,2	0,260	4,12	2,39	9,20
	30-45	5,2	4,2	12,0	10	7,2	18,9	5,0	0,167	2,510	1,46	8,75

შენიშვნა : I - ვარიანტი - გასხვლა ფესვის ყელთან სამანქანო ტექნოლოგიით, ანასხლავის დაქუცმაცება და დატოვება რიგთაშორისებში;
II - ვარიანტი-მიტოვებული და გადაზრდილი ჩაის პლანტაცია.

კვლევის შედეგებიდან დასტურდება რომ ნიადაგში საკვები ელემენტების დონე ოპტიმალურია (მოძრავი ფოსფორის, კალიუმის, მაგნიუმის შემცველობა). ამავდროულად, რიგთაშორისებში დაქუცმაცებული ნასხლავი მასა ენერგეტიკულ მარაგს, ნიადაგში ჰუმუსის და აზოტოვანი შენაერთების ზრდის წყაროს წარმოადგენს.

უნდა აღინიშნოს, რომ პლანტაციის რეაბილიტაციის პირველ წლებში, მულჩის სახით დაქუცმაცებული მასის რიგთაშორისებში დატოვება არ იძლევა შესამჩნევ ეფექტს მოსავლიანობის ზრდის თვალსაზრისით. მაგრამ წლების განმავლობაში ამ მასის დატოვება რიგთაშორისებში ქმნის ორგანულ საფარს, რომელიც ხელს უწყობს ნიადაგის ტენის და ტემპერატურული რეჟიმის რეგულირებას და ნაყოფიერების ძირითადი მაჩვენებლის - ჰუმუსის რაოდენობის ეტაპობრივ ზრდას.



ლიტერატურა

1. მ. ზზიავა. გაძლიერებულ კვების ფაქტორთა გავლენა ჩაის პლანტაციების მოსავლიანობაზე. //სუბტროპიკული კულტურები, #1, 1956. გვ. 9-14.
2. ს. ფირცხალაიშვილი, ე. ტრელიცკაია. ნახსლავი მასის ნაფენის გავლენა ჩაის პლანტაციების მოსავლიანობაზე, აზოტის დინამიკასა და ნიადაგის ჰიდროლოგიურ რეჟიმზე. //სუბტროპიკული კულტურები, #4, 1958წ. 30-46.
3. ი. მამულაიშვილი, გ. ბოლქვაძე და სხვა საკვები ელემენტების შემცველობა გატყევებული ჩაის პლანტაციის ნიადაგებში გასხვლის სახეებთან დაკავშირებით. //სუბტროპიკული კულტურები, #1-4, 2007წ. 8-63.
4. ზ. გაბრიჩიძე, ზ. სანიკიძე, ჯ. ლოლაძე. ჩაის ჯიშის კოლხიდას გაშენების სიხშირე გაადგილების გავლენა მცენარეთა ბიოპროდუქტიულობაზე. //სუბტროპიკული კულტურები, #1-2, 2003, 17-20.

Soil properties and agrotechnical measures system for the rehabilitation of tea plantations

Mamulaishvili I., Lominadze Sh.*

Institute of Tea, Subtropical Crops and Tea Industry of Agriculture University of Georgia,
Shota Rustaveli State University *

Summary

The study of agrotechnical measures in the process of rehabilitation of tea plantations such as tillage, soil fertilization, infiltration, plant variety, frequency-shifting effect on nutrient content in soil affects not only mineral and organic fertilizer use, but also tea agroforestry. The complex of habitats, which, along with high yields, ensure that a large amount of energy (anhydrous) is left behind in tea plantations, contributes to both soil fertility growth and preservation of its bio-ecological potential.

ბიოლოგიურად აქტიური საკვებდანამატების გავლენა პურის შენახვის ხანგრძლივობაზე

**მურვანიძე ხ., გარუჩავა მ., ქვარცხავა გ., ტყემალაძე გ.
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი**

Из анализа результатов исследования химического состава шампиньона следует, что в тканях плодового тела гриба количество заменимых и незаменимых аминокислот, а также клетчатки не одинаково. Содержание изученных незаменимых аминокислот увеличивается от ножки к мякоти шляпки и гименофор. Гимениальный слой обогащен всеми другими аминокислотами. Ножка в основном состоит из клетчатки и воды. Содержание клетчатки в ножке на 20-25% больше, чем в шляпке, последняя содержит влаги на 4-5% больше, чем ножка. Кроме того, структура тканей ножки и шляпки отличаются формой клеток: ткань ножки имеет призматическую структуру (состоит из призматических клеток), а шляпки - глобулярную текстуру, то есть ее клетки имеют шаровидную форму.

Биологическая ценность мицелия шампиньонов определяется индексом незаменимых аминокислот и колеблется в пределах от 72,9-98,6 (согласно EAA index). Лимитирующим аминокислотами считают метионин, цистин, лейцин, изолейцин. Биологическая ценность составляет 67,8-95,8 (согласно BV FAO) [1]. Аминокислотный указатель колеблется в пределах 36,0-90,0. Индекс питательности 22,2 (согласно N FAO).

Грибы - скоропортящийся продукт [2], потому что они содержат 90% воды и их не рекомендуется хранить более 5 дней. Однако продлить срок годности шампиньона можно в течение длительного времени, если приостановить деятельность микроорганизмов или задержать их развитие. Для этого грибы подвергают различным технологическим обработкам [3] - замораживание, изготовление грибного экстракта, соление, маринование, сушка.

Замороженные грибы. В настоящее время замораживание грибов, так же как и овощей, плодов и ягод, приобретает все большее распространение. Практика показывает, что для замораживания пригодны все виды съедобных грибов. Однако лучше для этой цели являются прочные, плотные, молодые зрелые грибы, подосиновики, подберезовики, опята, лисички и шампиньоны. Оптимальной для замораживания считается температура -18 ° C. Замороженные таким образом грибы можно хранить до 6-12 мес.

Грибной экстракт. Грибы тщательно очищают и моют, затем их нарезают и пропускают через мясорубку. Полученную массу проваривают в течение получаса в собственном соку. Образовавшийся грибной сок отцеживают, а грибную массу снова кладут в емкость, добавляют немного воды и еще раз проваривают, с тем чтобы вышел весь сок, его отцеживают так же, как и в первый раз. Полученную жидкость солят и кипятят давая испариться воде. Уваривают до тех пор, пока часть воды не испарится и отвар не загустеет, как сироп, который, собственно, и является грибным экстрактом. Экстракт горячим разливают в небольшие простерилизованные бутылки,



плотно закрывают и быстро охлаждают. В таком виде грибной экстракт может храниться в прохладном месте 2-3 года. Грибной экстракт имеет приятный грибной вкус и аромат и используется в качестве вкусовых добавок к супам, мясным и рыбным блюдам, соусам, подливам. Перед употреблением экстракт разбавляют водой.

Соленья. Для приготовления соленых грибов необходимо использовать свежие молодые или среднего возраста плодовые тела. На 100 кг грибов по рецептуре требуется 20 г лаврового листа, 10 г душистые перца, 30 г чеснока, 1 кг укропа, 1 кг листьев смородины и 4 кг соли. Добавлять соли более 4% не следует, так как при большей ее концентрации замедляется молочнокислое брожение и накопление молочной кислоты, а грибы становятся излишне соленым. Примерно через 40 дней после посола процесс ферментации грибов заканчивается.

Посол грибов холодным способом. Холодный посол заключается в том, что отсортированные, вымытые и вымоченные или невымоченные грибы укладывают в подготовленную тару, пересыпают солью или заливают соевым рассолом.

Приготовление соленых грибов горячим способом. Горячий способ посола состоит в том, что отсортированные вымытые или вымытые и вымоченные грибы подвергают бланшированию, укладывают в подготовленную тару и заливают соевым рассолом.

Маринование. При мариновании шампиньонов отбирают грибы, шляпки которых не превышают 1,5-3,5 см в диаметре. Грибы очищают, подрезают ножки, тщательно промывают холодной водой. Затем отваривают в маринаде, добавляют специи и закрывают в специально подготовленные емкости.

Оптимальной является сушка грибного сырья, направленная на создание полуфабриката, с новыми физическими, ароматическими и вкусовыми свойствами. После сушки уменьшается масса продукта, что позволяет использовать рациональную упаковку и упрощает хранение и транспортировку полуфабриката, повышается срок хранения, образуются новые физические, вкусовые и ароматические свойства. По содержанию белка сушеные грибы значительно богаче, чем маринованные или соленые. Так, в консервированных грибах содержание воды составляет примерно 88%, а белковых веществ - 5%; в сушеных соответственно 12% и 23%, а калорийность сушеных грибов примерно в 6 раз выше калорийности исходного сырья.

Специфический аромат сушеных грибов формирует сложная смесь производных фурана, пиразина, пиррола и метионаля. Метиональ - важнейший компонент грибного аромата, образуется при расщеплении аминокислоты метионина. Он очень пахучий - человек чувствует его запах даже в концентрации около 0,2 нг / л. Содержание метионаля в сушеных грибах в 6-10 раз больше, чем в свежих вареных. Еще два важных соединения, 2-метилфурантиол-3 и 2 метилдигидрофурантиол-3, вносят в запах сушеных грибов оттенок аромата приготовленного мяса.

Таким образом, благодаря малому содержанию количества сахаров шампиньоны можно употреблять при сахарном диабете и ожирении. Кроме этого, в них содержится достаточное количество аминокислот, обуславливающее чрезвычайную пользу этого гриба для спортсменов и вегетарианцев.

Литература

1. Вдовенко С. А. Выращивания съедобных грибов // учеб. пособ. - Винница: Рио ВНАУ, 2010. - 120 с.
2. Роман Т. А., Мазуренко О. Г., Дубівко А. С. Физико-биохимические изменения при старении гриба шампиньон // Журнал пищевая промышленность № 15, 2014г, с. 52-56.
3. Жук Ю.Т. Консервирование и хранение грибов (биохимические основы) - Москва: Легкая и пищевая промышленность, 1982г - 144 с.



**Diet enrichment with proteins
the cultivated champignon mushroom**

T.Roman , L.Deynichenko, M.Ivanchenko, Z.Burova

National University of Food Technology

*National University of Biological Resources and Nature Management of Ukraine

Summary

The article describes the benefits and safety of eating cultured champagne mushrooms. Their chemical composition and content of vitamins and minerals in this product are described in detail. Technologies of processing mushrooms are presented. The article contains recommendations for the use of cultivated champagne mushrooms.

**ტყვიის ჭარბი რაოდენობის გავლენა ცნს-ის ზოგიერთ ფუნქციურ
მაჩვენებელზე**

**საკანდელიძე რ., ლომსიანიძე ი., რუსაძე ხ., ჯულაყიძე ე.
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

ორგანიზმში მოხვედრილი ტყვია უჯრედში ჩაენაცვლება მიკროელემენტებს და იწვევს რიგ დაავადებებს. მისი ერთერთი სამიზნე არის ცენტრალური ნერვული სისტემა (ცნს).

მიზნად დავისახეთ ექსპერიმენტში შეგვესწავლა ტყვიის გავლენა „შფოთვითი ქცევის“ აქტივობაზე. ამ მიზნით ექსპერიმენტი განხორციელდა ლაბორატორიულ თეთრ ვირთაგვებზე. მიღებული შედეგების მიხედვით შფოთვითი ქცევის აქტივობა გაძლიერდა, მიზეზი შესაძლებელია დაკავშირებული იყოს ტყვიის გავლენით თავის ტვინის ქოლინერგულ სისტემაზე, რადგან იგი იწვევს კალციუმის შელწევადობის ბლოკირებას და ამით ამცირებს აცეტილქოლინის რეალიზებას.

მძიმე მეტალებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვან ზეგავლენას ადამიანის ორგანიზმზე ახდენს ტყვია(Pb). ბოლო წლების მონაცემებით, ტყვიის კონცენტრაცია ატმოსფერულ ჰაერში რამდენჯერმე აჭარბებს დასაშვებ (0.30მკგ/მ³) ნორმას . დაბინძურებული ატმოსფერული ჰაერი მავნე გავლენას ახდენს პირველ რიგში სასუნთქ, გულსისხლძარღვოვან და ნერვულ სისტემაზე.

უამრავმა კვლევამ აჩვენა, რომ ადამიანის ორგანიზმში მოხვედრილი ტოქსიკური ელემენტები, ისეთი, როგორცაა ტყვია, კადმიუმი, ვერცხლისწყალი, დარიშხანი, კალა და სხვა, ჩაენაცვლებიან სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ელემენტებს: კალციუმს, თუთიას, რკინას და იწვევენ სტრუქტურულ ცვლილებებს, რაც ვლინდება სხვადასხვა დაავადების სახით.

გარემოს დამაბინძურებელი 2 ძირითადი წყარო არსებობს: ანთროპოგენური და ბუნებრივი. ანთროპოგენური წყაროებიდან აღსანიშნავია: ავტოგამონაბოლქვი, საწარმოო ობიექტები, გათბობის მოწყობილობები, ნაგავსაწვავები, საღებავები, ქიმიკატები და სხვა. ბუნებრივ დამაბინძურებლებს მიეკუთვნება: მტვერი, ტყის ხანძარი, რადიაცია, ცხოველური ორგანიზმების მიერ გამოყოფილი სეკრეტი და სხვა.

ორგანიზმში ტყვიის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი დამაგროვებელი არის ძვალი. ტყვიის მაღალი კონცენტრაციისას ირღვევა გაძვლების პროცესი, ვიტამინ D-ს მეტაბოლიზმი, აღინიშნება ძვლების დეკალციფიკაცია და მტვერეადობის გაზრდა. ასაკოვან ადამიანებში ძვლების დაავადებისას, ხდება ტყვიის გამოთავისუფლება და სისხლში მისი კონცენტრაციის გაზრდა, რაც კიდევ უფრო აძლიერებს მის ტოქსიკურ ეფექტს.



აღსანიშნავია, რომ ტყვიის არსებობა მაგარ ქსოვილებში არც ისე საზიანოა ორგანიზმისთვის, მისი ტოქსიკურობის ეფექტი ვლინდება ტყვიის გადასვლისას მაგარი ქსოვილებიდან სისხლში.

ქსოვილებში მოხვედრისას ტყვია ძირითადად ჩაენაცვლება ისეთ ელემენტებს, როგორცაა Ca, Zn და Mg. არსებობს ანტაგონიზმი ტყვიასა და ისეთ ქიმიურ ელემენტებს შორის, როგორცაა კალციუმი (Ca), თუთია (Zn), სპილენძი (Cu), მაგნიუმი (Mg), რკინა (Fe) და კადმიუმი (Cd), ბისმუტი (Bi). დადგენილია, რომ ტყვია ამცირებს აღნიშნული ელემენტების შეთვისებას კუჭ-ნაწლავის სისტემის მიერ, მაგრამ ამ ელემენტებით მდიდარი საკვების მიღება ამცირებს ტყვიის შეთვისებას და შესაბამისად, მის ტოქსიკურ ზემოქმედებას ორგანიზმზე.

ტყვია წარმოქმნის ორგანულ და არაორგანულ ფორმებს. გარემოში ტყვიის არაორგანული ნაერთები უფრო დომინირებს, ვიდრე მისი ორგანული ნაერთები. ორგანული ტყვიის ნაერთებია 3-ალკილ-ტყვია და ტეტრაალკილ-ტყვია არიან უფრო ტოქსიკურები, ვიდრე მისი არაორგანული ფორმები. ადამიანის და ცხოველების ორგანიზმში ორგანული ტყვიის ნაერთები მეტაბოლიზმს განიცდის და გარდაიქმნება ტყვიის არაორგანულ ფორმებად და იწვევს ძვლების დემინერალიზაციას ტყვიის მავნე ეფექტი ვრცელდება ადამიანის ორგანიზმის თითქმის ყველა სისტემაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ ტყვიისთვის მნიშვნელოვანი სამიზნე მაინც ცენტრალური ნერვული სისტემაა. მისი დაბალი კონცენტრაციის დონეც კი უარყოფითად აისახება ტვინის ნორმალურ ფუნქციონირებაზე, რაც გამოიხატება იმაში, რომ მოზარდებსა და ბავშვებში ძნელდება კოგნიტური განვითარება და ქვეითდება ინტელექტუალური შედეგების უნარი.

ამჟამად ითვლება, რომ არ არსებობს ტყვიის ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო დონე. თუმცა, აშშ დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრების და ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციების შესაბამისად, უნდა დაიგეგმოს გარკვეული ღონისძიებები, თუ ვენურ სისხლში ტყვიის შემცველობა ტოლია ან აღემატება 5 მკგ/დლ-ს (მიკროგრამი დეცილიტრზე).

ორგანიზმში ტყვიის მოხვედრის ორი მთარი გზა არსებობს ინჰალაციური (35%) და ენტერული(55%). ტყვია აღმოჩენილია სხვადაცხვა სახის საკვებ პროდუქტში: პური, ორცხობილა, სასმელი წყალი, უალკოჰოლო და ალკოჰოლიანი სასმელები, შაქარი, ბურღულეული, ხილი და ბოსტნეული, მარილი, სანელებლები, სოუსები და საწებლები, დამატკობლები, თაფლი და ტკბილეული, ხორცი და მისი პროდუქტები, რძე და რძის პროდუქტები, კვერცხი, მცენარეული ცხიმები. ტყვიის აბსორბცია კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მეშვეობით დამოკიდებულია აღნიშნული პროდუქტების სხვადასხვა მახასიათებლებზე და ნივთიერებების ფიზიკურ-ქიმიურ თვისებებზე. ტყვიას შეიცავს მეტალო-პროტეინები და პეპტიდები, რომელიც ტრანსფორმირდება და დროთა განმავლობაში აკუმულირდება რბილ ქსოვილებსა და ძვლებში. ორგანიზმიდან ტყვია პირველ რიგში გამოიყოფა შარდისა და განავლის მეშვეობით. მისი ნახევარდაშლის პერიოდი (ადამიანის სისხლში და ძვლებში მოხვედრის შემდეგ) შეადგენს დაახლოებით 30 დღეს. ორგანიზმიდან სრულ გამოდევნას სჭირდება პერიოდი 10-დან 30 წლამდე. საჭმლის მომნელებელი სისტემის მიერ ტყვიის აბსორბციაზე გავლენას ახდენს აგრეთვე სხადასხვა (მათ შორის ფიზიოლოგიური) ფაქტორები, როგორებიცაა: ასაკი, კვება, ნუტრიციული კალციუმის და რკინის არსებობა, ორსულობა, ნაწილაკების ფიზიკურ-ქიმიური მახასიათებლები (ზომა, ხსნადობა და ტყვიის სახეობები). ტყვიის აბსორბცია უფრო მაღა-



ლია ბავშვებში, ვიდრე მოზრდილებში. განსხვავებული კვებისას ტყვიის შთანთქმა მერყეობს 3%-დან 21%- მდე, ხოლო წყლის მეშვეობით ტყვიის მიღების შემთხვევაში ორგანიზმი შთანთქავს მის 63%. რკინის დაბალი შემცველობა და მისი დაბალი შეთვისების უნარი ბავშვების სისხლში ზრდის ტყვიის კონცენტრაციას. დიეტური კალციუმის მიღება გავლენას ახდენს ტყვიის შთანთქმაზე. ბავშვებში კალციუმის დეფიციტის დროს ტყვიის აბსორბცია უფრო მაღალია, ვიდრე კალციუმის სიჭარბის დროს. მოზრდილებში კალციუმი გავლენას ახდენს ტყვიის შთანთქმის უნარზე. რძე წარმოადგენს კალციუმის ერთ-ერთ ძირითად წყაროს და ტყვიის ტოქსიკურობის პროფილაქტიკის მიზნით რეკომენდირებულია მისი მიღება. თუმცა, იგი ზრდის ტყვიის შეთვისების მაჩვენებელსაც. რძეში შეიძლება ადგილი ჰქონდეს ტყვიის მარილებისა და ტყვიის აბსორბციის სხვადასხვა მექანიზმებს. კერძოდ, ლაქტოზა ხასიათდება შეზღუდული ეფექტით, თუმცა ლაქტოფერინი შესაძლოა ზრდიდეს ტყვიის და სხვა ორგანულენტიანი კათიონების (კადმიუმი, სპილენძი, მანგანუმი, თუთია) შეთვისების უნარს.

ინჰალაციური გზების მეშვეობით ტყვიის შთანთქმა დამოკიდებულია მისი შემცველი ნაწილაკების ზომასა და ხსნადობაზე. შედარებით დაბალი სიმკვრივის ნაწილაკები გვხვდება ტყვიის შემცველ ორთქლსა და მტვერში, რომლებსაც გააჩნია ოდნავ განსხვავებული დეპოზიცია, რესპირაციული ფრაქციის მახასიათებლებისთვის დაბალი აეროდინამიკური დიაპაზონი გააჩნია. 5-მიკრონი ზომის ნაწილაკები ლორწოვანი გარსის მეშვეობით გადაიტანება ტრაქეაში და ბრონქებში, ტრანსფორმირდება სასუნთქი გზების მეშვეობით, შეწოვა კი შესაძლებელია განხორციელდეს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მეშვეობით. შედარებით პატარა ნაწილაკები რესპირატორულ ტრაქტში მოხვედრისას აბსორბირდებიან ალვეოლარული მაკროფაგების მიერ. ინჰალაციურ გზებში აბსორბირდება მათში მოხვედრილი ტყვიის სუბმიკრონული ნაწილაკების 95%.

მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც ტყვია გადალახავს უჯრედულ მემბრანას არ არის სრულად ახსნილი და შესწავლილი. შესაძლებელია კალციუმი და ტყვია სარგებლობდნენ ერთი საერთო გამტარი არხით, რომელიც შესაძლებელია იყოს Ca^{2+} არხი. ტყვია ნაწილდება ერთროციტების მიერ აქტიური ტრანსპორტირების გზით. საყლაპავი გზით ტყვია გადადის კუჭ-ნაწლავის ტრაქტში, შემდეგ კი ღვიძლში, საიდანაც იგი ხვდება სისხლში. სისხლის მეშვეობით კი იწყება გრძელ მანძილზე მისი ტრანსპორტირება თირკმელებში, ძვალ-სახსროვან სისტემაში, ცენტრალურ ნერვულ სისტემაში, მათ შორის თავის ტვინში, რბილ ქსოვილებში და სხვ. სასუნთქი გზებიდან ტყვია ხვდება ფილტვებში, შემდეგ სისხლში, სისხლიდან კი ნაწილდება ღვიძლში, თირკმელებში, ძვლებში, თავის ტვინში, კანში, რბილ ქსოვილებში და ა.შ. ძვლებში ტყვიის კონცენტრაცია მიუთითებს ხანგრძლივი დროის განმავლობაში მისი ათვისების პროცესზე და მთლიანად ორგანიზმის „დატვირთვაზე“ ამ ნივთიერებით. ძვლოვან სისტემაში ტყვია ძირითადად ისაზღვრება კვირისტავში, ბარძაყის და ტერფის ძვლებში. ტყვია ასევე ფორმირდება კბილებში.

ყველაზე სერიოზული ჰემატოლოგიური ეფექტი არის ანემია. ტყვია ჰემოგლობინის ბიოსინთეზის პროცესში სამ ფერმენტს აინჰიბირებს. ესენია: δ-ამინოლევულინატსინთეტაზას (ALAS), δ-ამინოლევულინატდეჰიდრატაზას (ALAD) და ფეროქელატაზა. ტყვია სტიმულაციას ახდენს მიტოქონდრიულ ენზიმებზე. რომელიც ასრულებს კატალიზატორის ფუნქციას გლიცინისა და სუქცინილ-CoA-ს კონდენსირებაში. ე.ი. ტყვია ხელს უშლის ჰემის სინთეზს და შესაბამისად ამცირებს ჰემოგლობინის კონცენტრაციას სისხლში., ვითარდება ჰიპოქრო-



მული ანემია. ტყვიის ზემოქმედება ადამიანებში იწვევს ნეიროტოქსიურ ეფექტებს.

არაორგანულ ტყვიას შეუძლია უარყოფითი ეფექტი მოახდინოს ნერვულ სისტემაზე. ტყვიის ზემოქმედება ნერვულ სისტემაზე დამოკიდებულია კალციუმ-დამოკიდებულ რეაქციებზე და კალციუმის ჰომეოსტაზის დარღვევაზე. ეს პროცესი აქტიურდება ცილა კინაზას ზემოქმედების შედეგად. მას ასევე შეუძლია შეცვალოს სხვა მემბრანები და ეფექტი მოახდინოს სისხლისა და თავის ტვინის ბარიერზე და ტვინის უჯრედებზე. ტყვიის ზემოქმედება მიზეზია ლიპოსომებში კლასტერული ლიპიდების და რკინის ინიცირებული ლიპიდების დაჟანგვის მაჩვენებლის ზრდისა, რის შედეგადაც მიიღება მემბრანის დაზიანება. დოფამინერგული სისტემა მნიშვნელოვან როლს თამაშობს კოგნიტიურ ფუნქციონირებაში. ქოლინერგიული სისტემა დიდ როლს ასრულებს დასწავლისა და შემეცნების უნარზე. ტყვიის მცირე რაოდენობასაც შეუძლია ბავშვებში გამოიწვიოს ცენტრალური ნერვული სისტემის დაზიანება. სისხლში და რბილ ქსოვილებში ტყვიას გააჩნია მოკლე ნახევარ დაშლის პერიოდი, (20-დან 40 დღემდე), ხოლო ხანგრძლივი ნახევარ დაშლის პერიოდს ძირითადად ძვლოვან ქსოვილებში განიცდის რომელიც (მერყეობს 10-დან 30 წლამდე).

კვლევების შედეგად დადგინდა, რომ ის საცდელი ცხოველები, რომლებიც განიცდიდნენ ტყვიის დაბალი დოზის ქრონიკულად ზემოქმედებას ჰქონდათ დასწავლის შესაძლებლობის პრობლემა, ასევე დადგენილია, რომ ტყვიის მცირე კონცენტრაციები ბავშვებში იწვევს დასწავლის უარყოფით ეფექტებს, ფსიქომოციური მდგომარეობის მხრივ კი ვლინება ყურადღების კონცენტრაციის ნაკლებობა, ჰიპერაქტიურობა და იმპულსურობა.

ჩვენ მიზნად დავისახეთ ექსპერიმენტში შეგვესწავლა ტყვიის გავლენა ცნს-ის ერთერთ ფუნქციურ მაჩვენებელზე - „შფოთვითი ქცევის აქტივობაზე“ და მის ცვლილებაზე. ამ მიზნით ექსპერიმენტი განხორციელდა ცხოველებზე - ლაბორატორიულ თეთრ ვირთაგვებზე, ცხოველები დაყოფილი იყო სამ ჯგუფად თითოეულ ჯგუფში ცხოველთა რაოდენობა $n=4$. I ჯგუფი - საკონტროლო, II და III ჯგუფის საცდელი ცხოველების სასმელ წყალში დამატებული იყო ტყვიის თანაბარი რაოდენობა 10 მკგ/კგ წონაზე მისი ძმარმჟავა მარილის სახით. II ჯგუფს აღნიშნული დანამატით სასმელი წყალი ეძლეოდა 30 დღის ხანგრძლივობით, III ჯგუფს კი აღნიშნული დანამატით სასმელი წყალი ეძლეოდა 90 დღის ხანგრძლივობით. შფოთვითი ქცევის აქტივობის შესასწავლად გამოვიყენეთ ე.წ „წყლის დასჯადი სმის“ ტესტი (სკინერის ყუთი), რომელიც წარმოადგენს ე.წ. „პასიური განრიდების“ პირობით რეფლექსს.

მიღებული შედეგების მიხედვით შფოთვითი ქცევის მაჩვენებლის აქტივობა გაძლიერდა, მაგრამ ცხოველთა ჯგუფებს შორის იგი განსხვავებულად გამოვლინდა, კერძოდ: საკონტროლოსთან (I ჯგუფი) შედარებით II და III ჯგუფებში იგი მომატებული იყო არათანაბრად: II ჯგუფის ცხოველებში შფოთვითი ქცევის აქტივობამ მოიმატა საშუალოდ 4-5%-ით, ხოლო III ჯგუფში საშუალოდ 25-30%-ით.

მიღებული შედეგების მიზეზი შესაძლებელია დაკავშირებული იყოს ტყვიის გავლენით თავის ტვინის ქოლინერგულ სისტემაზე, რადგან ტყვია ამცირებს აცეტილქოლინის რეალიზებას კალციუმის შეღწევადობის ბლოკირების გამო.

ლიტერატურა

1 თომას მ. დევლინი ბიოქიმია კლინიკური კორელაციებით, საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, თბილისი, 2008 წ. გვ. 1208



2. EFSA Panel on Contaminants in the Food Chain (CONTAM), Scientific Opinion on Lead in Food, European Food Safety Authority (EFSA), Parma, Italy, EFSA Journal 2010; 8 (4): 1570. pp 11-101
3. European Food Safety Authority; Lead dietary exposure in the European population. EFSA Journal 2012; 10(7):2831. doi: 10.2903/j.efsa.2012.2831. Available online: www.efsa.europa.eu/efsaj
4. EDF Health; Lead in food: A hidden health threat; FDA and industry can and must do better; June 15, 2017.
5. Razinah Sharif, Elizabeth Chong, Chan Kok Meng, Human Health Risk Assessment of Heavy Metals in Shellfish from Kudat, Sabah, SHORT COMMUNICATION Mal J Nutr 22 (2): 301- 305, 2016.

Effect of lead overdose on some of the functional features of the central nervous system

R. Sakandelidze, I. Lomsianidze, kh. Rusadze, E. Julakidze

Akaki Tsereteli State University

Summary

Lead has a particularly significant impact on the human body from heavy metals. In the tissues, lead is mostly replaced and antagonized by important chemical elements such as calcium (Ca), Zinc (Zn), copper (Cu), magnesium (Mg), iron (Fe), cadmium (Cd), bismuth (Bi). The central nervous system is an important target for lead. The mechanism by which the lead crosses the cell membrane is not fully clear and studied yet. The lead may use calcium-permeable channels.

The aim of our research was to study the effect of lead on one of the functional feature of the central nervous system - " Activity of Anxiety behavior" and Its Changes. For this purpose an experiment was carried out on laboratory white rats, The amount of lead At a weight of 10 µg / kg in the form of acetic acid salt was added to the drinking water of the experimental animals. According to the results, the activity of anxiety behavior was increased, the cause may be related to the effect of lead on the cholinergic system of the brain, Because it blocks the penetration of the calcium in the system and thereby reduces the release of acetylcholine.

**სოფლის მეურნეობის ბიოლოგიური
საფრთხეები და აგროტერორიზმი**

სილაგაძე დ.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოფლის მეურნეობა როგორც წესი, ადვილი სამიზნეა ბიოტერორისტებისათვის, მისი ნაკლებად დაცულობის გამო. ამის მიზეზი მრავალგვარია. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ მზარდი ინდუსტრიალიზაციის პირობებში აგრარულ სექტორს ნაკლები ყურადღება ექცევა. საკვები პროდუქტების ადვილად მისაწვდომობა თითქოს თავისთავად იგულისხმება. ბიოტერორიზმი - ეს არის მიზანმიმართულად ისეთი ბიოლოგიური ტოქსინების ან ინფექციური აგენტების გამოყენება, როგორცაა ბაქტერიები, ვირუსები და სოკოები, რომელთაც უნდა გამოიწვიოს ადამიანთა, ცხოველთა თუ მცენარეთა განადგურება ან მათი ქმედუნარიანობის შეზღუდვა.

აქედან გამომდინარე მოსახლეობის ბიოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით სამინისტრო ატარებს ერთიან სახელმწიფო პოლიტიკას. სამინისტრო მოსახლეობის ჯანმრთელობის, დაავადების გამომწვევ პათოგენურ ბიოლოგიურ აგენტებთან კონტაქტში მყოფი პერსონალისა და გარემოს დაცვის მიზნით ატარებს კომპლექსურ – ორგანიზაციულ, სამედიცინო-ბიოლოგიურ და საინჟინრო-ტექნოლოგიურ ღონისძიებებს.

ტერორისტულ დაჯგუფებებს როგორც წესი, არ აქვთ საკმარისი ადამიანური რესურსები და იარაღი რათა წინ აღუდგნენ შეიარაღებულ არმიას. სამაგიეროდ, ისინი წარმატებით იყენებენ მცირე ზომის ეფექტურ რესურსებს შვიდობიანი მოსახლეობისა და ჯარის ნაწილების წინააღმდეგ. პარტიზანული ომებისა და აჯანყებების ძირითადი იარაღი სწორედ მოწინააღმდეგე ძალების სისუსტეზე თამაში იყო. ამას ე.წ. ასიმეტრიული იარაღი ეწოდება. ასიმეტ-



რიული იარაღის სამიზნე შეიძლება გახდეს კვებითი და აგრარული სექტორიც. აგროტერორიზმი ტერორისტების ერთ ერთი ყველაზე საყვარელი იარაღია. ამისათვის რამდენიმე მიზეზი არსებობს. პირველი, ეს დაავადებები ისედაც გვხვდებიან ბუნებრივ რეზერვუარებში; მხოლოდ მათი გამოყენების ან წარმოების ცოდნამ გახადა ისინი საშიში ადამიანებისათვის. მეორე, სოფლის მეურნეობა როგორც წესი, ადვილად მოწყვლადია. აგენტის ერთი შეყვანა შესაძლოა საკმარისი გახდეს იმისთვის, რომ დაავადება სწრაფად გავრცელდეს მცენარეებსა და ცხოველებში, ექსპორტის გზით კი გადაიტანოს სხვადასხვა რეგიონსა თუ კონტინენტზეც კი. მესამე, ბიოლოგიური აგენტების კულტურული მცენარეებისა და შინაური ცხოველების წინააღმდეგ გამოყენება განაპირობებს აგრესორის ინკოგნიტოდ დარჩენას. როგორც წესი დროა საჭირო აგენტის გაშვებიდან პირველი შედეგების გამოვლენამდე, საინკუბაციო პერიოდი კი თითქმის გამორიცხავს დამნაშავეს პოვნის შესაძლებლობას. მეოთხე, კულტურული მცენარეები და პირუტყვი ტერორისტების სასურველი სამიზნეა, რადგან მათზე დამოკიდებული ადამიანის კეთილდღეობა. მოსავალიც და საქონელიც მაღალი სიმჭიდროვით ინახება დახურულ სივრცეებში და განაპირობებს პათოგენის გავრცელების სისწრაფეს დაბოლოს, აგროტერორიზმი პირდაპირ ემუქრება ქვეყნის ეკონომიკას. მაგალითად, გამოთვლილია, რომ ქოთაოს ერთ აფეთქებას აშშ-ში შეუძლია გამოიწვიოს 12-20 მილიარდი დოლარის ზარალი.

აგრარული ბიოტერორიზმის ხუთი პოტენციური სამიზნე არსებობს: კულტურული მცენარეები ველზე; შინაური ცხოველები ფერმებში; საკვები პროდუქტები დისტრიბუციის პროცესში; საბითუმო, ან საცალო გაყიდვებისთვის გამზადებული საბაზრო პროდუქტი და აგრარული საცავები, რომლებიც მოიცავენ გადამამუშავებელ საწარმოებს, რესტორნების თანამშრომლებს და სტუმრებს; ხილ-ბოსტნეულის მაღაზიები, კვებით და აგრარულ ლაბორატორიების თანამშრომლები, შემფუთავი საამქროები.

აგროტერორიზმი შესაძლოა ისევე დამანგრეველი აღმოჩნდეს, როგორც ტერორიზმის ნებისმიერი სხვა სახე. კერძოდ. 1) ქვეყნის ეკონომიკის დაზარალება; 2) ბევრი ადამიანის სარჩოს განადგურება; 3) საკვები პროდუქტებით მომარაგების რისკქვეშ დაყენება შესაძლოა ხანგრძლივი ვადით; 4) სწრაფი გავრცელების უნარი მის აღმოჩენამდე და ამით შესაძლებლობა რომ მალე მიაღწიოს არაკონტროლირებად ზღვარს; 5) სამიზნე ობიექტების მაღალი სიკვდილიანობა; 6) შენახვა, გაწმენდა და დეზინფექცია მილიარდები ჯდება. მოკლედ რომ ითქვას, კვებითი სექტორის დაზიანებას დამანგრეველი გავლენა აქვს მთელ ეკონომიკაზე.

აგროტერორიზმის მიზანი როგორც წესი, არაა ცხოველების მოკვლა, არამედ ქვეყნის ეკონომიკის დაზარალება.

აგროტერორიზმი იწვევს სერიოზულ ეკონომიკურ ზარალს; აგროტერორიზმი ნაკლებად საშიშა აგრესორისათვის, ვიდრე ვთქვათ ადამიანის დაავადების გამომწვევი პათოგენის გავრცელება ან სხვა ქიმიური, ბიოლოგიური, ბირთვული, რადიოლოგიური ან ფეთქებადი იარაღის გამოყენება; აგროტერორიზმს ნაკლები აღშფოთება მოსდევს ხალხის მხრიდან, ვიდრე იარაღს, რომელიც ადამიანებს კლავს.

მცენარის ან ცხოველის პათოგენის გავრცელება ჰგავს ბუნებრივ აფეთქებას და ამიტომ ძნელია მისი წარმომავლობის გარჩევა; შედარებით ადვილია საჭირო მასალების მოპოვება. საჭიროა მათი მცირე რაოდენობა და შესაბამისად, ადვილია მათი ტრანსპორტირებაც დანიშნულების ადგილას. საკმარისი შეიძლება აღმოჩნდეს მხოლოდ ქოთაოთი დაავადებული საქონ-



ლის ენის ანაფხეკის მოთავსება ღორების ფერმის სავენტილაციო სისტემაში.

სოფლის მეურნეობა როგორც წესი, ადვილი სამიზნეა ბიოტერორისტებისათვის, მისი ნაკლებად დაცულობის გამო. ამის მიზეზი მრავალგვარია. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ მზარდი ინდუსტრიალიზაციის პირობებში აგრარულ სექტორს ნაკლები ყურადღება ექცევა. საკვები პროდუქტების ადვილად მისაწვდომობა თითქოს თავისთავად იგულისხმება.

სოფლის მეურნეობაში დომინირებენ მონოკულტურები, საქონლის სადგომები, მეფრინველეობის ფაბრიკები და საკვები პროდუქტების მწარმოებელი და გამანაწილებელი ცენტრები, რაც აადვილებს დაბინძურების ან პათოგენის სწრაფ გავრცელებას. როგორც წესი, ერთი მსხვილი კომპანია აკონტროლებს პროდუქტის წარმოებას, დამუშავებას და გავრცელებას. ეს სისტემა განაპირობებს პათოგენის გეოგრაფიულ გავრცელებასაც. პრობლემა გართულებულია იმ ფაქტით, რომ არ არსებობს სპეციალურად შემუშავებული ღონისძიებები რომელიც დაიცავდა საკვების უვნებლობას ტერორისტებისაგან. გარდა ამისა, როგორც აღვნიშნეთ, ძნელია განასხვავო ბუნებრივი დაბინძურება წინასწარ განზრახულისაგან.

გენური ინჟინერიის წინსვლამ შესაძლებელი გახადა დიდი რაოდენობით სასურველი თვისებების მქონე აგრარული პროდუქტის მიღება. შესაბამისად გაჩნდა ტრანსგენული პათოგენები, მავნებლები და სარეველებიც, რომლებიც რეზისტენტულნი არიან ბრძოლის სტანდარტული მეთოდების მიმართ. ანტიბიოტიკების ფართო გამოყენება კი ზრდის მათდამი მდგრადი პათოგენების რაოდენობას.

აგროტერორიზმის შედეგად მიღებული დანაკარგი შესაძლოა დაიყოს რამდენიმე პუნქტად:

- პირდაპირი დანაკარგები დაავადების შედეგად
- დიაგნოსტიკის და ზედამხედველობის ხარჯები
- დაბინძურებული კულტურების ან დაავადებული საქონლის განადგურება
- დაცენზუმული ან დაკლული საქონლის დამარხვის ხარჯები
- კარანტინის აუცილებლობა ინფიცირებულ ადგილებში
- ექსპორტისა და ვაჭრობის აკრძალვასთან დაკავშირებული დანაკარგები
- საბაზრო აკრძალვები

ამდენად, ბიოტერორიზმი- ეს არის მიზანმიმართულად ისეთი ბიოლოგიური ტოქსინების ან ინფექციური აგენტების გამოყენება, როგორცაა ბაქტერიები, ვირუსები და სოკოები, რომელებმაც უნდა გამოიწვიოს ადამიანთა, ცხოველთა თუ მცენარეთა განადგურება ან მათი ქმედუნარიანობის შეზღუდვა.

ბიოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა

1. მოსახლეობის ბიოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით სამინისტრო ატარებს ერთიან სახელმწიფო პოლიტიკას. სამინისტრო მოსახლეობის ჯანმრთელობის, დაავადების გამომწვევ პათოგენურ ბიოლოგიურ აგენტებთან კონტაქტში მყოფი პერსონალისა და გარემოს დაცვის მიზნით ატარებს კომპლექსურ – ორგანიზაციულ, სამედიცინო-ბიოლოგიურ და საინჟინრო-ტექნოლოგიურ ღონისძიებებს.

2. სამინისტრო ადგენს განსაკუთრებით საშიში ინფექციების გამომწვევების სიას. 3 წელიწადში ერთხელ, ასევე საჭიროების შემთხვევაში, სამინისტროს მიერ ხდება განსაკუთრებით საშიში ინფექციების გამომწვევების სიის გადახედვა.

3. აკრძალულია იმ სახეობის პათოგენური ბიოლოგიური აგენტების და ისეთი რაოდენობით ფლობა, რომელიც ვერ აიხსნება მათი დიაგნოსტიკური, კვლევითი ან სხვა სამშვიდო-



ბო მიზნებისათვის გამოყენებით.

4. სამინისტრო ადგენს განსაკუთრებით საშიში ინფექციების გამომწვევების ფლობის, გამოყენების, გადაცემის, გადატანისა და განადგურების წესებს, ნორმებს, მათი კვლევისა და კონტროლის მეთოდებს.

5. განსაკუთრებით საშიშ პათოგენურ ბიოლოგიურ აგენტებზე მომუშავე ლაბორატორიებისათვის სამინისტრო შეიმუშავებს სანიტარიულ-ჰიგიენურ წესებსა და ნორმებს, განსაზღვრავს პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს და მათ ჯანმრთელობაზე მეთვალყურეობის პრინციპებს.

ლიტერატურა

1. <http://ssg.gov.ge/page/info/international-cooperation>

2. სოფლის მეურნეობის სამინისტრო www.moa.gov.ge

Biological threats to agriculture and agroterrorism

D. Silagadze

Akaki Tsereteli State University

Summary

Agriculture is usually an easy target for bioterrorists because of its low security. The reason is many. First, it should be noted that in the face of increasing industrialization, the agrarian sector is less focused. Easy access to food seems to be the end in itself. Bioterrorism - is the deliberate use of biological toxins or infectious agents, such as bacteria, viruses and fungi, which may cause the destruction of humans, animals or plants or limit their ability to function. Therefore, the Ministry pursues a unified state policy to ensure the biological safety of the population. The Ministry conducts complex organizational, organizational, medical-biological and engineering-technological activities for the purpose of protecting the population in contact with the pathogenic biological agents of the population, causing disease.

ინოვაციური საკვები ადგილობრივი არატრადიციული ნედლეულის ფუძეზე

სილაგაძე მ., ფხაკაძე გ.*, ხურციძე მ., ბურჯალიანი ნ.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

*სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

*შემუშავებულია მაღალი ბიოლოგიური ღირებულების ზეთოვანი კომპოზიცია ომეგა-3 და ომეგა-6 ცხიმოვანი მჟავების ოპტიმალური თანაფარდობით. ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებლების ცვლილების კვლევის საფუძველზე დადგენილია ცხიმოვანი კომპოზიციის შენახვის ვადები. ცხიმის ხარისხის ხანგრძლივად შენარჩუნების მიზნით აპრობირებულია მწვანე ჩაის ფხვნილი, ტანინი და ყურძნის წიპწა. ცხიმოვანი კომპოზიციის ფუძეზე შემუშავებულია მაიონეზური პროდუქტის ახალი ასორტიმენტი საფირმო სახელწოდებით *იმერული*.*

კვლევის მიზანს წარმოადგენდა მაღალი ბიოლოგიური ღირებულების ცხიმოვანი პროდუქტის - მაიონეზის ახალი ასორტიმენტის შემუშავება ადგილობრივი ბიორესურსების ბაზაზე.

ცხიმი და ზეთი ადამიანის კვების რაციონის განუყოფელი ნაწილია, ისინი ამარაგებენ ორგანიზმს ენერგეტიკული და პლასტიკური მასალით, შეუცვლელი ფიზიოლოგიურად




ფუნქციონალური ინგრედიენტებით (უჯერი ცხიმოვანი მჟავებით, ფოსფოლიპიდებით, ცხიმში ხსნადი ვიტამინებით, სტერინებით და სხვა). ბუნებრივი ცხიმები და ზეთები თავიანთი შედგენილობით არ არიან იდეალური, ფიზიოლოგიურად სრულფასოვანი პროდუქტები, რამეთუ სხვადასხვა სახის ზეთებში შეინიშნება დეფიციტი ან სიჭარბე ერთი ან რამოდენიმე კომპონენტისა. ცხიმოვანი ფაზის ცხიმმჟავური შედგენილობის ოპტიმიზაცია მიიღწევა მარტივი და ტექნოლოგიურად ეკონომიური ხერხით - მცენარეული ზეთების კუპაჟირებით, რომელთა შემადგენლობაში გამოიყენება როგორც ტრადიციული მცენარეული ცხიმები (მზესუმზირას, სოიოს, სიმინდის და სხვა), ასევე არატრადიციული (ხორბლის ჩანასახის, გოგრას კაკლის, ყურძნის წიპწის და სხვა). მცენარეული ზეთების კუპაჟმა უნდა უზრუნველყოს ცხიმმჟავების საჭირო თანაფარდობა, პირველ რიგში ომეგა-3 და ომეგა-6-სა. რეკომენდაციების თანახმად, მათი შეფარდება უნდა იყოს 10:1, სამკურნალო-პროფილაქტიკური კვებისათვის 3:1-დან 5:1-მდე.

კვლევის ერთ ერთ მიზანს წარმოადგენდა ისეთი ცხიმოვანი კომპოზიციის შემუშავება, რომელშიც წარმოდგენილი იქნება სხვადასხვა ცხიმმჟავათა თანაფარდობა, ძირითადად ომეგა-3-ისა და ომეგა-6-ის მიხედვით. ამ თვალსაზრისით მცენარეული ნედლეულიდან აღსანიშნავია სელის ზეთი, რომელიც ამჟამად ფართოდ გამოიყენება მედიცინაში სხვადასხვა დაავადებების სამკურნალოდ. სელის ზეთი აღიარებულია ომეგა-3-ის უნიკალურ წყაროდ [1].


სელის ზეთის ცხიმმჟავური შედგენილობის ანალიზმა აჩვენა, რომ მასში ჭარბობენ ლინოლენისა და ლინოლის მჟავები. მაღალი ხარისხის ზეთუნის ზეთთან შედარებითმა ანალიზმა აჩვენა, რომ ლინოლის მჟავას შემცველობის მიხედვით სელის ზეთი აჭარბებს ზეთუნის ზეთს 2-ჯერ, ოლეინის მჟავას შემცველობით კი 4,7-ჯერ. სელის ზეთში დეფიციტური ლინოლენის მჟავას მაღალი შემცველობა 54,2% (საერთო მჟავების რაოდენობიდან) მიუთითებს მასზე, რომ ის შეიძლება ჩაითვალოს უნიკალურ პროდუქტად. ვინაიდან სამომხმარებლო ბაზარზე ფართოდ წარმოდგენილ მცენარეულ ზეთებში ლინოლენის მჟავას რაოდენობა საშუალოდ ვარირებს 0,1-9,2%-ის ფარგლებში, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ სელის ზეთის გათვალისწინება ცხიმოვანი კომპოზიციის პროექტირებისას.

მცენარეული ზეთების მოხმარების დღე-ღამური ნორმების ანალიზის საფუძველზე, ჩვენ შევადგინეთ სამ კომპონენტური კომპოზიცია, რომელშიც შედის წიფელის ზეთი-50 % , ზეთუნის ზეთი-40 % და სელის ზეთი-10 %. ზეთუნის ზეთი შეიცავს 85%-მდე ოლეინის მჟავას, სელის ზეთი კი ომეგა-3-ს -60%-მდე. აღსანიშნავია, რომ სელის ზეთი არამდგრადია, ჰაერის ჟანგბადის ზეგავლენით ადვილად მძაღდება და სქელდება ლინილენის მჟავას გამო, ამიტომ შემოვიფარგლეთ 10%-ით. ვინაიდან კუპაჟირებული ზეთოვანი კომპოზიცია არის სისტემა პოლიუჯერი ცხიმოვანი მჟავების მაღალი შემცველობით, ის ადვილად განიცდის ჟანგვით პროცესებს. ამ რეაქციის ძირითად სუბსტრატებს წარმოადგენს უჯერი ცხიმოვანი მჟავები ერთი ან მეტი ორმაგი კავშირებით, ამიტომ ადვილად იჟანგებიან ისინი (ნახ.1)

შესწავლილია ჰიდროლიზური და ჟანგვითი პროცესების ცვლილების დინამიკა ცხიმოვანი კომპოზიციის შენახვის დროს. მჟავური და ზეჟანგური რიცხვების ცვლილების მონიტორინგს ვატარებდით ყოველ ორ თვეში. ცხიმოვანი კომპოზიციის მდგრადობის ასამაღლებლად ექსპერიმენტებში გამოვიყენეთ ბუნებრივი ანტიოქსიდანტები და შევისწავლეთ მათი გავლენა ჟანგვით პროცესებზე. ამ მიზნით ჩვენს მიერ აპრობირებულია მწვანე ჩაი, ტანინი და



ნახ. 1. ზეთებისა და კუპაჟის ზეჟანგური (1) და მჯავური (2) რიცხვის ცვლილების დინამიკა შენახვის პროცესში.



ნახ. 2 ანტიოქსიდანტების გავლენა ცხიმოვანი კომპოზიციის მდგრადობაზე შენახვის პროცესში

- კონტროლი, ანტიოქსიდანტების გარეშე
- ტანინის დამატებით
- ფურმისწიპის დამატებით
- მწვანე ჩაის დამატებით



ყურძნის წიპწა. მოვახდინეთ მათი დოზირების ვარირება 0,5÷5,0% დიაპაზონში. ანტიოქსიდანტების რაოდენობა აღებულია %-ში ზეთის მასასთან შეფარდებით. კლევის შედეგები ასახულია ნახაზზე 3. დადგენილია, რომ ბუნებრივი ანტიოქსიდანტების გამოყენებით შესაძლებელია ცხიმოვანი კომპოზიციის შენახვა 18 თვემდე (ნახ.2)

კვლევის შემდგომ ეტაპზე მიღებული კომპოზიციის ფუძეზე შევიმუშავეთ მაღალი ბიოლოგიური ღირებულების პოპულარული ცხიმოვანი საკვები პროდუქტი მაიონეზი. ის წარმოადგენს 'ზეთი წყალში' ტიპის ემულსიას, აქვს საკმაოდ ბლანტი არაჟნისმაგვარი კონსისტენცია, ასევე თვისება არ განშრევდეს დამზადებისა და შენახვის პოცესში. ის არის ემულსიური სისტემა, რომელიც მიიღება ემულგირების შედეგად, სადაც ერთი სითხე წარმოქმნის დისპერსიულ არეს, მეორე კი იმყოფება დისპერგირებულ მდგომარეობაში. მაიონეზური პროდუქტის კონკრეტული სახეობის გათვალისწინებით, მის რეცეპტურაში შეიძლება იყოს მრავალი სხვადასხვა ქიმიური ბუნების ინგრედიენტები, რომლებიც გავლენას ახდენენ ემულსიის თვისებებსა და მდგრადობაზე. ემულგირების პროცესის გაიოლების მიზნით და შენახვის პროცესში სტაბილურობის უზრუნველსაყოფად პროდუქტის შემადგენლობაში ემატება სპეციალური ნივთიერებები - ემულგატორები, რომლებსაც შესწევთ დისპერსიულ ფაზაში ზღვრული ხსნადობისა და, მეორეს მხრივ, დისპერსიულ არეში მათი ერთმანეთთან შეკავშირების უნარი. ისინი ამცირებენ ზედაპირულ დაჭიმულობას და ხასიათდებიან ორი ფაზის გაყოფის საზღვარზე ადსორბციული შრეების წარმოქმნის უნარით. ტრადიციულად, ამ მიზნით, მაიონეზის მისაღებად იყენებენ ცხოველური წარმოშობის ცილებს, რომლებიც მიიღება რძისა და კვერცხის გადამუშავების პროდუქტებისაგან. ამჟამად, ახალი თაობის მაიონეზის მისაღებად დასაშვებია მცენარეული ცილების გამოყენებაც. ასეთ დანამატებად შემოთავაზებულია სხვა და სხვა მოდიფიკაციის სოიოს ცილები, ხორბლის ჩანასახის ფქვილი და სხვა [2,3,4,5,6].

მაიონეზის წარმოებაში გამოყენებული ინგრედიენტები უნდა ხასიათდებოდნენ სტრუქტურის წარმოქმნის, მაემულგირებელი თვისებებით და ანტიოქსიდანტური უნარით. დანამატების ცილურ ფრაქციას უნდა ჰქონდეს დაბალანსებული ამინომჟავური შედგენილობა, კარგი შეთვისების უნარი და ბიოლოგიური ღირებულებით უახლოვდებოდეს ხორცის, რძისა და კვერცხის ცილებს. ამ მიზნით ჩვენს მიერ გამოყენებულია კავკასიური წიფელის თხილისა და სელის გადამუშავების პროდუქტები - წიფელის გამონაწნეხი და სელის ცხიმგაცილილი ფქვილი, რომლებსაც ახასიათებთ მაღალი ხსნადობა, მაღალი წყლისა და ცხიმის შეკავშირების უნარი. მათი ცხიმის მაემულგირებელი თვისებები საკმაოდ მაღალია და შეადგენს 48÷51%-ს. ისინი გათვალისწინებულია ასევე როგორც ქაფისწარმომქმნელები, აქვთ ბალანსირებული ამინომჟავური შედგენილობა და ავლენენ მაემულგირებელ თვისებს.

დადგენილია, რომ მაიონეზის ემულსიის საჭირო სიბლანტე და მდგრადობა მიიღწევა 4÷6% დანამატების გამოყენებით. მათი წილის გაზრდით სისტემის სიბლანტე და მდგრადობა მატულობს უმნიშვნელოდ, ორგანოლეპტიკური მაჩვენებლები კი უარესდება. შეინიშნება გამონაწნეხის ნაწილაკები, რაც აუარესებს ვიზუალურად ემულსიის თვისებებს. ჩატარებულმა კვლევამ დაადასტურა აღნიშნული დანამატების გამოყენების შესაძლებლობა მაიონეზის ტექნოლოგიაში მცენარეული ემულგატორების სახით.

ცნობილია, რომ ოთახის ტემპერატურაზე შენახვის პირობებში მიმდინარეობს მაიონეზის სტრუქტურის დესტაბილიზაცია. ჩვენს მიერ მიღებული შედეგებიდან გამომდინარე



რეკომენდირებულია მაიონეზის შენახვა $5\pm 7^{\circ}\text{C}$ ტემპერატურაზე 30 დღის განმავლობაში.

კვლევის შემდეგ ეტაპზე შევისწავლეთ ზეთის კომპოზიციაზე მომზადებული მაიონეზის ემულსიის ხარისხის მაჩვენებლებს - მჟავური რიცხვისა და ზეჟანგური რიცხვის ცვლილება შენახვის პროცესში. მაიონეზს ვინახავდით $5\pm 7^{\circ}\text{C}$ ტემპერატურაზე მაცივარში 30 დღის განმავლობაში. მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე შემუშავებულია მაიონეზის ახალი ასორტივენტი საფირმო სახელწოდებით *იმერული*.

ლიტერატურა

1. Силагадзе М.А., Хецуриани Г.С., Хурцидзе М.Г., Пхакадзе Г.Н. Плоды кавказского бука из различных лесозон Западной Грузии и перспективы их использования в хлебопечении // Материалы международной научно-практической конференции «Достижения и перспективы развития хлебопекарной и кондитерской отраслей», Национальный университет пищевых технологий, Киев, 2017, с. 55-58.
2. Кулешова Н.И. Использование цельного семени льна в производстве инновационного продукта с заданными свойствами и его товароведная характеристика / Н.И. Кулешова, В.М. Позняковский // Технология и товароведение инновационных пищевых продуктов, №6 — Орел: Издательство Государственный университетский научно-учебный комплекс, 2011. — С.57-60.
3. Пахомова О.Н. Перспективность использования жмыхов и шротов масличных культур для повышения пищевой и биологической ценности продуктов питания / О.Н. Пахомова // Альманах «Научные записки Орел ГИЭТ» — Орел: Изд-во ГОУ ВПО «ОГИ ЭИТ», 2011. — №1.
4. Пашенко Л.П. Функциональные свойства семени масличного льна / Л.П.Пашенко, Л.А. Коваль, В.Л. Пашенко // Успехи современного естествознания № 10 — Пенза: Издательство «Академия Естествознания», 2006.— С.98-99.
5. Mazza G. Functional Foods: Biochemical and Processing Aspects / Technomic Publishing Company, Inc., 1998— p. 459.
6. Process for preparation of flax protein isolate. United States Patent 7309773

Innovative Nutrition Based on Local Raw Materials
M.Silagadze, G.Pkhakadze*, M.Khurtsidze, N.Burjaliani.
Akaki Tsereteli State University
*San Diego State University
Summary

An oily composition of high biological value with optimal ratio of omega-3 and omega-6 fatty acids has been developed. The shelf-life was determined by studying physical and chemical changes of fatty components. Green tea powder, tannin and grape seeds are proven to help maintain long-term fat storage. Based on fats, a new assortment of mayonnaise products was developed with the name "Imeruli".

საქართველოში გავრცელებული ველური კენკრის - ჩიტიაშლას (*Cotoneaster pyracantha* L.) ფიზიკურ - ქიმიური მაჩვენებლების გამოკვლევა

ფრუიძე მ., ბენდელიანი ე., ჩაკვეტაძე შ.
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

*ჩვენს მიერ შესწავლილი იქნა, დასავლეთ საქართველოში ველურად მზარდი ჩიტიაშლას (*Cotoneaster pyracantha* L) საქართველოში მრავლად გავრცელებული, ველურად მზარდი მცენარის ჩიტიაშლას ფიზიკურ- ქიმიური მაჩვენებლების - ექსტრაქტულობის, ფენოლოური ნაერთების ჯამური რაოდენობის, მისი შედგენილობისა და ანტიოქსიდანტური თვისებების შესწავლა, მათი მედიცინასა და კვების მრეწველობაში გამოყენების შესაძლებლობები.*




ჩიტვაშლა (*Cotoneaster pyracantha* L.) - მიეკუთვნება ვარდისებრთა ოჯახს. არის მარადმწვანე, ზოგჯერ ფოთოლმცვენიც, ხშირად დატოტვილი, ბუჩქნარი, სიმაღლით 2-3მ, მაქსიმუმ 5მ, გამლილი ვარჯით და მოწითალო, შინდისფერი ეკლიანი ტოტებით. ყვავილედი და ახალგაზრდა ნაზარდებით დაშვებული, ფოთლები, ელიფსური ან კვერცხისებრი 2-3სმ სიგრძით, მეტნაკლებად წამახვილებული, კიდე დაკბილული, პრიალა მსუბუქად დაშვებული. ყვავილედი მჭიდრო, მეტ-ნაკლებად ფუშფუშა. ყვავილები აქვს წვრილი, თეთრი ან მოყვითალო - წითელი, ძაბრისებრი, სამკუთხა ჯამის ფოთოლაკებით, წითელი მტვრიანებით. ნაყოფი - კენკროვანი, 5-7 მმ ზომით, შეფერილობით ღია წითლიდან - ყვითლამდე (რაც განპირობებულია კაროტინოიდებით), დიდხანს რჩება მცენარეზე, ზამთარში მას არც თუ იშვიათად ეტანება ფრინველები, თესლები, მსუბუქად შხამიანია ციანგლიკოზიდების შემცველობის გამო (სურ.1).

ნაყოფის და მცენარის დანარჩენი ნაწილები ამ ნივთიერებებს არ შეიცავენ. ყვავილობს ივნისში, ნაყოფები მწიფდება სექტემბერში. მრავლდება ვეგეტატიურად, დაფესვიანებით. გავრცელებულია სამხრეთ ევროპაში, მცირე აზიასა და კავკასიაში. მეჩვიდმეტე საუკუნეში ის ინტროდუცირებული იქნა ცენტრალურ ევროპაში, ასევე ჩრდილო ამერიკაში. ხარობს მშრალ, მძიმე, მზიან ნიადაგებზე.

ჩიტვაშლა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში შეტანილია წითელ წიგნში. მიზანშეწონილია მისი გამოიყენება სამრეწველო რეგიონებისათვის, როგორც დეკორაციული მცენარე. ჩიტვაშლას ნაყენი სახალხო მედიცინაში გამოიყენება მწვავე და ქრონიკული გასტრიტის და კუჭნაწლავის სხვადასხვა დაავადებების სამკურნალოდ. სამკურნალოდ გამოიყენება მცენარის ყველა ორგანო [1].

ჩვენი კვლევის მიზანს შეადგენდა საქართველოში მრავლად გავრცელებული, ველურად მზარდი მცენარის ჩიტვაშლას ფიზიკურ- ქიმიური მაჩვენებლების - ექსტრაქტულობის, ფენოლური ნაერთების ჯამური რაოდენობის, მისი შედგენილობისა და ანტიოქსიდანტური თვისებების, მათი სამედიცინო სფეროსა და კვების მრეწველობაში გამოყენების შესაძლებლობების შესწავლა.

ანტიოქსიდანტები წარმოადგენენ სხვადასხვა ქიმიური ნივთიერებების ჯგუფს, რომლებსაც გააჩნიათ თავისუფალი რადიკალების შებოჭვისა და ორგანიზმში ჟანგვითი პროცესების ინტენსივობის შემცირების უნარი, შესაბამისად, შეუძლიათ უარყოფითი ზემოქმედების ნეიტრალიზაცია.



სურ.1. ჩიტვაშლა



ანტიოქსიდანტი – ეს არის ნებისმიერი ნივთიერება, რომელიც მცირე კონცენტრაციით სუბსტანტთან შედარებით მნიშვნელოვნად აკავებს ან აინჰიბირებს მის თავისუფალ რადიკალურ დაჟანგვას [2].

ანტიოქსიდანტებს შორის ანტაგონიზმი შეინიშნება ნაკლებად ეფექტური ანტიოქსიდანტის მეტად ეფექტური ანტიოქსიდანტით აღდგენის დროს. ასევე მეტად ეფექტური ანტიოქსიდანტის, ნაკლებად ეფექტური რადიკალებით ჟანგვისას. ანტაგონიზმი შეინიშნება - ტოკოფეროლისა და როზმარინის ან კოფეინის მჟავებს შორის, კატეხინსა და კოფეინის მჟავას შორის, ასევე კოფეინის მჟავასა და კვერცეტინს შორის. პოლიფენოლებით მდიდარი მცენარეული ექსტრაქტები ავლენენ ძლიერ ანტაგონიზმს ტოკოფეროლთან ცხიმების ჟანგვისას, კერძოდ, მზესუმზირის ზეთი [3, 4].

ნედლეულში და მზა პროდუქტებში ანტიოქსიდანტების შეყვანა უზრუნველყოფს მათი ვარგისიანობის ვადის გახანგრძლივებას, ამცირებს ფუჭებადობას და შესაბამისად, დანაკარგს.

ანტიოქსიდანტებად გამოიყენებიან მხოლოდ ნაკლებად ტოქსიკური ნივთიერებები, რომელთა შეყვანა კვებით პროდუქტებში მკაცრად რეგლამენტირებული რაოდენობით არ ახდენს უარყოფით ზეგავლენას ადამიანის ორგანიზმზე [5].

ანალიზისათვის შერჩეული იქნა, დასავლეთ საქართველოში ენდემური წარმოშობის ბურქოვანი მცენარის ჩიტვიშლას ნაყოფები. შესწავლილი იქნა მისი ექსტრაქტულობა, ანტიოქსიდანტური აქტივობა, ფენოლური ნაერთების ჯამური რაოდენობა, მათი ქიმიური შედგენილობა, კერძოდ, ფლავანოიდები, კატეხინები და ფენოლკარბონ მჟავები, რომლებიც მოცემულია ცხრილებში 1-2. ჩიტვიშლას ნაყოფები შეიცავს რბილობის 65% და თესლს 35% რაოდენობით. შეისწავლებოდა ნაყოფის მხოლოდ რბილობი.

ცხრილი 1. ჩიტვიშლას ნაყოფების ექსტრაქტულობა და ანტიოქსიდანტური აქტივობა

ჩიტვიშლას რბილობი	ექსტრაქტული ნივთიერებები %	ანტიოქსიდანტური აქტივობა	
		In - %	განზავების ფაქტორი F
წყლიანი ექსტრაქტი	37,68	68,46	25
ექსტრაგენტი 40% ეთანოლი	39,54	63,7	50
ექსტრაგენტი 80% ეთანოლი	37,4	56,38	2

ცხრილებიდან 1-2 ჩანს, რომ ჩიტვიშლას ეთანოლის 40% ექსტრაგენტი გამოირჩევა ექსტრაქტული ნივთიერებების როგორც რაოდენობრივი, ასევე მასში შემავალი ნივთიერებების მაღალი ანტიოქსიდანტური თვისებებით.

ჩიტვიშლას ნივთიერებების ფენოლური ნაერთების ხსნადობა წყალში (22,69გ/კგ) ნაკლებია, ვიდრე ეთანოლის 40-80% ხსნარებში (68,8გ/კგ; 45,28გ/კგ). ჩიტვიშლას ფენოლური ნაერთების სამივე ექსტრაქტი შეიცავს ფლავანოიდებს, კატეხინებს და ფენოლკარბონმჟავებს, შესაბამისად, შემდეგი რაოდენობებით: წყლიანი ექსტრაქტში - 15,86; 4,56; 2,55; 40% ეთანოლიანი ექსტრაგენტი - 37,45; 7,85; 5,37; 80% ეთანოლიანი ექსტრაგენტი - 14,23; 6,01; 4,05.



ცხრილი 2. ჩიტვაშლას რბილობის ქიმიური შედეგნილობა (მშრალ მასაზე გადაანგარიშებით, გ/კგ)

ჩიტვაშლას რბილობი	ფენოლური ნაერთები	ფლავონოიდები	კატეხინები	ფენოლ კარბომჟავები
წყლიანი ექსტრაქტი	22.69	15.86	4,56	2,55
ექსტრაგენტი 40% ეთანოლი	68.8	37.45	7,85	5,37
ექსტრაგენტი 80% ეთანოლი	45.28	14.23	6,01	4,05

ჩიტვაშლას რბილობში, შესწავლილი იქნა, კაროტინოიდები - β კაროტინი, ლიკოპენი და ქლოროფილის საერთო რაოდენობა, რომელთა შედეგები მოცემულია ცხრილში 3-ში.

ცხრილი 3-დან ჩანს, რომ ქლოროფილის საერთო რაოდენობა ჩიტვაშლას რბილობში არის 135,63; β - კაროტინი - 254,11 და ლიკოპენი - 91,66.

ცხრილი 3. ჩიტვაშლას რბილობში კაროტინოიდების განსაზღვრა (მგ/100 გ მშრალ მასაზე გადაანგარიშებით)

ნიმუში	საერთო ქლოროფლი	β კაროტინი	ლიკოპენი
ჩიტვაშლას რბილობი (ჰექსანი : აცეტონი)	135,63	254,11	91,66

ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჩიტვაშლა გამოირჩევა მაღალი ექსტრაქტულობით, ფენოლური ნაერთების საკმაო რაოდენობით და მათი ანტიოქსიდანტური აქტივობით.

ამდენად, სასურველი და მიზანშეწონილია მისი გამოყენება სამკურნალო საშუალებების დასამზადებლად, და როგორც დანამატი კვების პროდუქტების (ჩაი, პური და ა.შ.) გამდიდრების მიზნით.

ლიტერატურა

- <https://www.ambioni.ge>
- Haid A. A., Aiyelaagbe O.O., Usman L. A., Ameen O. M. and Lawal A. Antioxidants: - Its medicinal and pharmacological applications- African Journal of Pure and Applied Chemistry Vol. 4(8), pp. 142-151, August 2010
- Peyrat Maillard, M. N., Cuvelier, M.E., & Berset, C. - antioxidant activity of prenolic compounds in 2,2-azobis (2- amidinopropane)dihydrochloride (AAPH) –induced oxidation: Synergistic and antagonistic effects. Journal of the American Oil Chemists Society, 2003, 80(10), 1007-1012.
- Lopez-Alarcon, C., & Denikola, A. - Evaluating capacity of natural products: A review on chemical and cellular-based assays. Analytica Acta, 2013, 763, 1-10.
- Yang S. C. - Are captor for greentepoluphenolEGGG[Tekst] /S.C.Yang // Nature.-1997.-Vol .389 .-P. 134-135.
- <https://www.ambioni.ge>
- Haid A. A., Aiyelaagbe O.O., Usman L. A., Ameen O. M. and Lawal A. Antioxidants: - Its medicinal and pharmacological applications- African Journal of Pure and Applied Chemistry Vol. 4(8), pp. 142-151, August 2010



8. PeyratMaillard, M. N., Cuvelier, M.E., &Berset, C. - antioxidant activity of prenolic compounds in 2,2- azobis (2- amidinopropane)dihydrochloride (AAPH) –inducedoxidation: Synergistic and antagonistic effects. Journal of the American Oil Chemists Society, 2003, 80(10), 1007-1012.
9. Lopez-Alarcon, C., &Denikola, A. - Evaluatind capacity of natural products: A review on chemical and cellular-based assaus. AnalyticaActa, 2013, 763, 1-10.
10. YangS. C. - Are captor forgreenteapoluphenolEGGG[Tekst] /S.C.Yang // Nature.-1997.-Vol .389 .-P. 134-135.

Investigation of physical-chemikal parameters of berry-Cotoneaster pyracantha L common in Georgia

M. Pruidze, E. Bendeliani, Sh. Chakvetadze

Akaki Tsereteli State University

Summary

40% of Cotoneaster pyracantha L. ethanol extract is characterized by both quantitative and high antioxidant properties of the extracts. The solubility of phenolic compounds of Cotoneaster pyracantha L. in water (22.69 g / kg) is less than in 40-80% ethanol solutions (68,8g/kg; 45,28g/kg). All three extracts of Cotoneaster pyracantha L. phenolic compounds contain flavonoids, catechins and phenolcarbonic acids, respectively, in the following amounts; In aqueous extract – 15,86; 4,56; 2,55; 40% in ethanol extract – 37,45; 7,85; 5,37; 80% in ethanol extract – 14,23; 6,01; 4,05. Cotoneaster pyracantha L. pulp contains carotenoids in the following amounts: β-carotene – 254,11, lycopene - 91.66 and total chlorophyll – 135,63. Cotoneaster pyracantha L. is distinguished by its high extractivity, abundant amounts of phenolic compounds and their antioxidant activity. It is desirable and advisable to use it for the preparation of medicinal products, and as a supplement to enrich food products (tea, bread, etc.).

ბერგამოტის წარმოება და გამოყენების პერსპექტივები

ქაშაკაშვილი ც., გოლიაძე ვ., აფხაზავა დ.

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ჩაის, სუბტროპიკული კულტურების და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტი

ნაშრომში განხილულია ბერგამოტის წარმოშობის, ინტროდუქციის, მისი ეთერზეთების შედგენილობის და სხვადასხვა სფეროში გამოყენების მონაცემები. ამასთანავე ნაყოფის მცირენარჩენიანი გადამუშავების ტექნოლოგიები. ხასგასმულია საქართველოს სუბტროპიკებში მისი, როგორც სელექციური, ასევე სამრეწველო-კომერციული მიზნით გაშენების მიზანშეწონილობა.

ბერგამოტი (ბერგამია) (*Citrus bergamia* Risso Poit) ჰიბრიდული წარმოშობის ჯიშია - მეცნიერთა ერთი ჯგუფი მას ნარინჯისა (*Citrus aurantium* L) და ლიმონის (*Citrus Limon* (L) burm.f) ჰიბრიდად, მეორე კი ლაიმისა (*Citrus aurantifolia* (Chistm panzer) Swingl) და ნარინჯის (*Citrus aurantium* L), ან ლიმონისა (*Citrus Limon* (L) Burm f) და ფორთოხლის (*Citrus sinensis* (L) osbeck) ჰიბრიდად მიიჩნევს. 2000 წელს კალიფორნიის უნივერსიტეტის მეცნიერებმა ბერგამოტის დნმ-ის შესწავლით დაადგინეს, რომ იგი ნარინჯისა (*Citrus aurantium* L.) და ლიმეტას (*Citrus Limetta*) ჰიბრიდია. მიეკუთვნება მჟავნაყოფიანი ნარინჯოვნების ჯგუფს, მისი სინონიმებია: ბერგამია, ლიმეტა, ლუმია ბერგამია, ბეიჯია-მათ ჩენგი.

ბერგამოტის სამშობლო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაა, საიდანადა მოხდა მისი კულტივირება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში (ჩინეთი, ინდოეთი, აშშ, ბრაზილია, არგენტინა). საქართველოში პირველად 1840 წელს შემოიტანეს და დარგეს სოხუმის ბოტანიკურ ბაღში. 1935 წელს კი-ბათუმის ბოტანიკურ ბაღში. თუმცა დაბალი ყინვაგამძლეობის გამო, ამ მცენარის სამრეწველო გავრცელება ჩვენთან ვერ მოხერხდა, მხოლოდ რამდენიმე ეგზემპლარი გადარჩა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის, წვერმაღალის (ნატანები) საკოლექციო ნაკვეთზე.



სურათი 1. ბერგამოტის ნაყოფები



სურათი 2. მსხმოიარე ტოტი

ბერგამოტის სამრეწველო მოშენება და გაყიდვა იტალიურ ქალაქ ბერგამოში დაიწყო, საიდანაც მომდინარეობს მცენარის სახელწოდება, თუმცა არსებობს ლეგენდა, რომ ბერგამოტი წარმოიშვა ლიმონის მცნობით მსხალ „ბერგამოტზე“. „Berg-ermudi“ (არაბული) - ნიშნავს „მსხლების დედოფალს“.

ცნობილია ბერგამოტის ოთხი სახეობა: ჩვეულებრივი ბერგამოტი (ბერგამია), მელაროზა, ტოლუროზა და პიკოლა. მათგან მხოლოდ ჩვეულებრივ ბერგამოტს აქვს სამრეწველო კომერციული მნიშვნელობა - იყენებენ სასიამოვნო, პიკანტური არომატის მქონე ძვირადღირებული (10 მლ-8,8-9,0\$) ეთეროვანი ზეთის მისაღებად. ეთერზეთს დებულობენ ნაყოფის კანის, აგრეთვე ფოთლებისა და ყვავილებისგან. ნაყოფის კანისგან მაღალხარისხიანი ეთერზეთის მიღება შესაძლებელია ე.წ. ცივად დაწნების მეთოდით. გამოსავლიანობა 1-3 %-ია. მისი ძირითადი შემადგენელი კომპონენტია L-ლინალილაცეტატი (35-50%), შეიცავს აგრეთვე ბერგაპტოლს, ბერგაპტენს, ლინალოლს, D - ლიმონენს, ნეროლს, ტერპინეოლს, ციტრალს და სხვ. ფოთლებიდან ეთერზეთის გამოსავლიანობა 0,15-0,35 %-ის ფარგლებშია. მასში დიდი რაოდენობითაა ლინალოლი (55%-მდე), არის აგრეთვე ტერპინეოლი (6%), გერანიოლი და ნეროლი (6%), სესკვიტერპენული სპირტები (0,3%) და სხვ. სპეციფიკური სასიამოვნო არომატი, ძირითადად, ლინალოლისა და ლინალილაცეტატის შემცველობითაა განპირობებული.

ბერგამოტის ეთერზეთის გამოყენების არეალი საკმაოდ ფართოა, იგი მრავალი პარფიუმერული თუ კულინარიული ნაწარმის ძვირფასი კომპონენტია, იყენებენ მედიცინაშიც. იგი წარმოადგენს 1676 წელს, იტალიელი პაოლო ფემინის მიერ შექმნილი და 1709 წელს დამზადებული პირველი სუნამოს „Eau de Cologne – 4711“-ის ძირითად კომპონენტს. ბერგამოტის ეთერზეთს შეუძლია სუნის განეიტრალება, ამიტომაც მისი არომატი მკვეთრად იკვეთება სხვა არომატებს შორის. გამოიყენება სხვადასხვა პარფიუმერული ნაწარმის არომატიზებისათვის. პოპულარულია კულინარიაშიც, როგორც არომატიზატორი სხვადასხვა კერძების, ლიქიორების, მარმელადების, კანფეტების, საკონდიტრო ნაწარმების, ჩაისა და ჩაისმაგვარი სასმელების არომატის გასაუმჯობესებლად.

ბერგამოტის ეთერზეთი ადამიანის ორგანიზმზე მრავალმხრივ სამკურნალო-პროფილაქტიკურ ზემოქმედებასაც ახდენს: ხსნის დეპრესიას, სტრესსა და დამაბულობას; ამაღლებს შრომისუნარიანობას, აძლიერებს იმუნიტეტს, ასტიმულირებს კუჭ-ნაწლავის ფუნქციას, აქვს



ანტისეპტიკური მოქმედების უნარი; არეგულირებს ცხიმოვანი ჯირკვლების ფუნქციას - ავიწროებს ფორებს და ავლენს ანტიბაქტერიულ მოქმედებას.

ბერგამოტი, ძირითადად ძვირადღირებული ეთეროვანი ზეთის გამო მოჰყავთ, თუმცა, როგორც დამატებით პროდუქტებს, იყენებენ მისი ნაყოფის კანსა და რბილობსაც. კანისაგან ამზადებენ მურაბას, ცუკატებს, ნაყენებს. რბილობი მდიდარია ბიოლოგიურად აქტიური სასარგებლო ნივთიერებებით, როგორიცაა პოლიფენოლები, ვიტამინ C, ორგანული მჟავები, ფოსფატები, პექტინები, ფლავონოიდები, კალიუმი, მაგნიუმი, კალციუმი და სხვ. ამიტომაც ახასიათებს ადამიანის ორგანიზმზე მრავალმხვრივი ბენეფიკური ზემოქმედების უნარი, მაგრამ მომეტებული სიმჟავის გამო უშუალოდ ხილის სახით საჭმელად არ იყენებენ, თუმცა შესაძლებელია მისგან მიღებული წვენების შეკუპაჟება სხვადასხვა ნაკლებად არომატული წვენებისა და ნაყენების არომატის გასაძლიერებლად.

თანამედროვე ტექნოლოგიები, ისეთი ძვირფასი ნივთიერებების მაქსიმალურად შესანარჩუნებლად, როგორიცაა პოლიფენოლები, ითვალისწინებენ მიკროენკაფსულაციის ე.წ. "Spray drying" ტექნიკას, რაც უზრუნველყოფს ნედლეულის ქიმიური შედგენილობის მაქსიმალურად იდენტური, ხანგრძლივი შენახვის უნარიანი, კომპაქტური, ტრანსპორტაბელური პროდუქტის წარმოებას.

ამგვარი პროდუქტები მიიღება ბერგამოტის კანის, რბილობის, გამონაწნებისა და წვენისაგან კრიოგენული სუბლიმაციური შრობისა და კრიოდაქუცმაცების ტექნოლოგიით, მაცივარ-აგენტად თხევადი აზოტის გამოყენებით. აღნიშნული ტექნოლოგია, ეთერზეთის გამოყოფის მეთოდთან ერთად უზრუნველყოფს ძვირფასი ნედლეულის მაქსიმალურად მცირენარჩენიან გადამუშავებას მიკრობიოლოგიურად სუფთა, მოხმარებისათვის უსაფრთხო, შენახვისუნარიანი პროდუქტის - მშრალი ფხვნილის მიღებას, ნედლეულის საწყისი ქიმიური და ორგანოლექტიკური მახასიათებლების შენარჩუნებით. შეიძლება მისი შემდგომი ტაბლეტირებაც.

გარდა იმისა, რომ ბერგამოტი მნიშვნელოვანია სამრეწველო-კომერციული თვალსაზრისით - იძლევა ძვირფას ეთეროვან ზეთს. შესაძლებელია ნაყოფის სხვადასხვა სასარგებლო პროდუქტად თითქმის უნარჩენო გადამუშავება, იგი საინტერესო კულტურაა სელექციური თვალსაზრისითაც: კვლევებმა აჩვენა, რომ ბერგამოტი სრულ იმუნურობას ამჟღავნებს დაავადება მალსეკოს მიმართ. რის გამოც შესაძლებელია მისი გამოყენება ლიმონის სელექციაში, ლიმონის მალსეკოგამძლე ფორმების მისაღებად.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, აგრეთვე გლობალური დათბობით გამოწვეული კლიმატის განუხრელი შერბილების გათვალისწინებით, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ამ ძვირფასი ეთერზეთოვანი კულტურის სამრეწველო პლანტაციების გაშენება დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკული ზონის შედარებით თბილ ადგილებში.

ლიტერატურა

1. ვ. შანიძე - ლიმონები და მჟავენაყოფიანი ნარინჯოვანები. აჭარის ასსრ სახელმწიფო გამომცემლობა. ბათუმი 1949. გვ. 95-98.
2. ვ. პ. ალექსევი - ბერგამოტი. ჟ. სუბტროპიკული კულტურები, #1, 1978. გვ. 37-39.
3. დ. ბარათაშვილი, ნ. ხალვაში - ნარინჯოვანთა ბიოლოგიური მრავალ-ფეროვნება და გენეტიკური რესურსები საქართველოში. გამომცემლობა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ბათუმი 2016, გვ. 318-320.



**Production and use perspectives of bergamot
C. Qashakashvili, V. Goliadze, D. Apkhazava**

Institute of Tea, Subtropical Crops and Tea Industry of Agriculture University of Georgia

Summary

This paper discusses the origins, introductions, essence composition of bergamot and its use in various fields. Also, small-scale residual recycling technologies of its fruit. In addition, There is underlined the feasibility of cultivating bergamot in the subtropics of Georgia, both for selective and manufacturing-commercial purposes.

**გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმების უსაფრთხოების
კონტროლის თანამედროვე სისტემა**

ქობალაია ვ., ყიფიანი ნ.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ექვგარეშა, რომ გენეტიკურ-ინჟინერული ტექნოლოგიების განვითარება წარმოადგენს მოლეკულური ბიოლოგიის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვან მიღწევას, რომელიც კაცობრიობას სთავაზობს კოლოსალურ პერსპექტივებს. მაგრამ დღემდე არ წყდება გენმოდიფიცირებული ორგანიზმების (გმო-ს) მოწინააღმდეგეთა პროტესტები მათ გამოყენებასთან დაკავშირებული შესაძლო პოტენციური რისკების გამო. განხილულია ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე გმო-ს უარყოფითი ზემოქმედების შესაძლო პოტენციური რისკები და უსაფრთხოების თანამედროვე კონტროლის სისტემები. ნაჩვენებია, რომ სანამ არსებობს გენეტიკურ-ინჟინერული საქმიანობის შესაძლო რისკები, მათი რეგულირება უნდა მოხდეს სახელმწიფოებრივ დონეზე განხილული სისტემის შესაბამისად. ყოველთვის აუცილებელია ამ მიმართულებით ადამიანების მუდმივი ფიქრი, სიფრთხილე გადაწყვეტილებებში და ბრძოლა უსაფრთხოებისათვის.

პირველი გენმოდიფიცირებული მცენარეების წარმოებაში დანერგვიდან 25 წელზე მეტი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში მათი როგორც ფართობები, ისე სახეობათა მრავალფეროვნება და წარმოებული პროდუქციის მოცულობა არსებითად გაიზარდა. მიუხედავად ამისა, დღემდე არ წყდება გმო-ს მოწინააღმდეგეთა პროტესტები, მათ გამოყენებასთან დაკავშირებული შესაძლო პოტენციური რისკების შესახებ. ჩვენი მიზანია ამ პოტენციური რისკების გათვალისწინებით გმო-ს უსაფრთხოების კონტროლის თანამედროვე სისტემების მიმოხილვა არაინფორმირებული ადამიანების მიერ სათანადო დასკვნების გასაკეთებლად.

გმო-ს გამოყენებასთან დაკავშირებულ ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე პოტენციურ რისკებს შორის მნიშვნელოვანია შემდეგი: 1. რეციპიენტის ორგანიზმისათვის ახალი ცილების - ტრანსგენების პროდუქტების სინთეზი, რომლებიც შეიძლება იყოს ტოქსიკური და/ან ალერგიული; 2. ჩაშენებული უცხო დნმ-ს გავლენით ცოცხალი ორგანიზმების ცალკეული გენების აქტიურობის შეცვლა, რომლის შედეგად შეიძლება მოხდეს ამ ორგანიზმებიდან მიღებულ კვების პროდუქტებში სამომხმარებლო თვისებების გაუარესება; 3. ტრანსგენების ჰორიზონტალური გადაცემა სხვა ორგანიზმებისათვის, კერძოდ ანტიბიოტიკებისადმი გამძლეობის მარკერული გენების გადაცემა გმო-დან საჭმლის მომწელებელი ტრაქტის მიკროორგანიზმებისათვის; 4. ბიოლოგიურ თანასაზოგადოებაზე დამანგრეველი მოქმედება და ძვირფასი ბიოლოგიური რესურსების დაკარგვა, გენმოდიფიცირებული ორგანიზმებიდან გადატანილი გენებით ადგილობრივი ჯიშების დაბინძურების შედეგად; 5. ახალი პარაზიტე-



ბის, პირველ რიგში სარეველების შექმნა და არსებულების მავნებლობის უნარის გაძლიერება გმო-ს საშუალებით ან ტრანსგენების სხვა სახეობებში გადატანის შედეგად; 6. ტრანსგენური მცენარეების მიერ გამოყოფილი ტოქსიკური ნივთიერებების უარყოფითი მოქმედება ამ მცენარეებზე მცხოვრებ, ან ამ მცენარეებით მკვებავ, ტრანსგენური ნიშნების „არასამიზნე“ ორგანიზმებზე (მაგ. ფუტკარი, სხვა სასარგებლო ან დაცული სახეობები); 7. ტოქსიკური ნივთიერებების (მაგ. ჰერბიციდების) უარყოფითი მოქმედება ეკოსისტემაზე, ტოლერანტული ტრანსგენური მცენარეების ქვეშ გადიდებული დოზების გამოყენების გამო [1,2,4].

გენმოდიფიცირებული ორგანიზმების ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოსათვის უსაფრთხოების კონტროლის სისტემის შექმნისას დიდი მნიშვნელობა აქვს რისკების მეცნიერულ და არა ვარაუდების დონეზე გამოვლენას, მათ შეფასებას თითოეული (ინდივიდუალური) ტრანსგენური ორგანიზმისათვის, ამ სფეროში ყველა ხელმისაწვდომი ინფორმაციის განხილვას და სხვა.

გმო-ს უსაფრთხოების ყველაზე თანამედროვე კონტროლის სისტემა გულისხმობს შემდეგს: გმო-ს უსაფრთხოებას ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ატარებს სამი—ოთხი ორგანო – კვების პროდუქტების კონტროლის ორგანო, გარემოს დაცვის ორგანო, მემცენარეობის ანუ გმო—ჯიშების შესწავლის ორგანო და პოსტრეგისტრაციული მონიტორინგის ორგანო. კვების პროდუქტების კონტროლის ორგანო (კომისია) პასუხისმგებელია მოსახლეობის კვების უსაფრთხოებაზე, გენმოდიფიცირებულ პროდუქტებს სწავლობს 3-5 წლის განმავლობაში გაძლიერებული რეგლამენტით; გარემოს დაცვის ორგანო (სააგენტო) აკონტროლებს გმო-დან ბიოცენოზის ცოცხალ ორგანიზმებში ჰერბიციდების, მავნებლების და დაავადებებისადმი გამძლეობის გენების გავრცელებას; მემცენარეობის ანუ გმო—ჯიშების შესწავლის ორგანო პასუხისმგებელია იმაზე, რომ ნებისმიერმა ახალმა გმო—ჯიშმა არ მოახდინოს მავნე გავლენა სხვა მცენარეებზე და მთლიანად სასოფლო-სამეურნეო პროცესზე. პოსტრეგისტრაციული მონიტორინგი აკონტროლებს რეგისტრირებული, ანუ ნებადართული გმო-ს დანერგვისა და გამოყენების პროცესს.

კვების პროდუქტების კონტროლის ორგანოს (კომისიის) მიერ გენმოდიფიცირებულ პროდუქტების კვლევა მოიცავს: 1) არსებითი ექვივალენტობის დადგენას, რომლის დროსაც ფასდება არა კვების ახალი პროდუქტის როგორც ასეთის უსაფრთხოების დონე, არამედ მისი განსხვავება, უსაფრთხო გამოყენების მრავალწლიანი ისტორიის მქონე, ტრადიციული კვების ანალოგებთან შედარებით; 2) ახალი ცილის თვისებების დადგენას, რომლის დროსაც ხდება კვების პროდუქტების მედიკო-გენეტიკური და მედიკო-ბიოლოგიური შეფასება. მედიკო-გენეტიკური შეფასება დაფუძნებულია პოლიმერაზულ ჯაჭვურ რეაქციასა და დნმ-ს სექვენირებაზე და აფასებს გადატანილი დნმ-კონსტრუქციას, თანმხლებ მარკერულ გენებს, მათ საკუთარ მუტაბელობას, მუტაგენურ აქტიურობას გარემომცველ გენომზე. მედიკო-ბიოლოგიური შეფასების დროს სპეციალური კვლევებით დგინდება ჩაშენებული კონსტრუქციის გავლენა იმუნურ სტატუსზე, ახალი გმო-ს მუტაგენური, კანცეროგენური, გენოტოქსიკური, ნეიროტოქსიკური მოქმედება; 3) გამოცდას ცხოველებზე, რომლის დროსაც კვების პროდუქტის ტოქსიკურობა ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფასდება ლაბორატორიულ ცხოველებზე (თაგვები, წიწილები, თევზები, მეწველი ძროხები), რაციონში გამოსაკვლევი პროდუქტის მაქსიმალურად შესაძლებელი დოზის დამატებით. დინამიკაში დგინდება ცხოველების ბიოქიმიური, ფიზიოლოგიური, მორფოლო-გიური პარამეტრები, მათ შორის რეპროდუქციული



ფუნქციები.

ამ სამუშაოების პარალელურად გარემოს დაცვის ორგანო (სააგენტო) ატარებს თავისი გამოკვლევებს. იგი ამოწმებს შემდეგ სავარაუდო რისკებს: 1. გადატანილი გენები შესაძლებელია დამტვერიანების გზით გადაეცეს ახლონათესაურ გარეულ ფორმებს და მათი ჰიბრიდული თაობა შეიძენს ახალ თვისებებსა და სხვა მცენარეებთან კონკურენციის უნარს (ინვაზია); 2. ტრანსგენური მცენარეები შეიძლება გახდნენ სარეველები და შეიძლება გამოდევნონ ირგვლივ არსებული სხვა მცენარეები; 3. გენმოდიფიცირებული მცენარეების პროდუქტები მოხვდებიან ველური ბუნების წრებრუნვაში ბაქტერიების საშუალებით და ა.შ. 4. გენმოდიფიცირებული მცენარეების პროდუქტები მოხვდებიან ბალახმჭამელი ცხოველების (მაგ. ძროხების) საჭმლის მომწელებელი ტრაქტის მიკროფლორაში. ასეთი კვლევების მაგალითებია: 1. ინვაზიის შეფასების მიზნით, აშშ-ში ერთმანეთს შეადარეს რაფსის სამი ჯიში: საკონტროლო, მისი კანამიცინგამძლე და ჰერბიციდგამძლე ანალოგები. მცენარეებს ზრდიდნენ იზოლირებულ ფართობებზე სხვადასხვა ადგილებში და სხვადასხვა კლიმატურ პირობებში. შედეგები მიიღეს ასეთი: საკონტროლოსთან შედარებით გენმოდიფიცირებულ ანალოგებში ინვაზია სტატისტიკურად არ იყო მეტი. ასევე მათი თესლების გადარჩენის უნარიც არ იყო მეტი; 2. ეკოსისტემაზე გმო-ს გავლენის შეფასების მიზნით პროტეაზების მაინჰიბირებელი გენების მატარებელი თამბაქოს ფოთლების ნიადაგში ჩაბარვიდან 5-7 დღის შემდეგ ფოთლებში პროტეაზების ინჰიბიტორების შემცველობა იყო 0.05%, ხოლო 14 დღის შემდეგ საერთოდ არ იყო. მწერების რაოდენობა არ შეცვლილა, ნემატოდები გაიზარდა. შედეგად ენტომოფაუნის ცვლილება შეფასდა არაკრიტიკულად; 3. ცხოველების საჭმლის მომწელებელი ტრაქტის მიკროფლორაში ტრანსგენების მოხვედრის ალბათობის დადგენის ექსპერიმენტით გაირკვა, რომ გენმოდიფიცირებული საკვებით ცხოველის გამოკვებისას, კუჭის ბაქტერიების გენომში მოდიფიცირებული მონაკვეთის გადატანის ალბათობა შეადგენს $2 \cdot 10^{-17}$. ტუმუმწოვრების გენომში რეკომბინანტული დნმ-ს მონაკვეთის ჩაშენება პრინციპულად შეუძლებელია, ვინაიდან მათ უჯრედებს გააჩნიათ ასეთი ჩაშენებისგან თავდაცვის მძლავრი მექანიზმი [3,4].

მესამე შემოწმებელიც - მემცენარეობის ანუ გმო-ჯიშების შესწავლის ორგანო პარალელურ რეჟიმში ასრულებს თავის ფუნქციას. ამის საილუსტრაციო ცდების მაგალითებია: 1) ჰერბიციდ ბასტასადმი გამძლების გენის გენმო-დიფიცირებული რაფსიდან მის ჩვეულებრივ ანალოგზე გადატანის დასადგენად იზოლირებულ 1 ჰა (100X100 მ) ფართობზე დათესეს ჩვეულებრივი რაფსი და ცენტრში წრიულად 9მ დიამეტრის ფართობზე დათესეს გენმოდიფიცირებული ანალოგი. ჯვარედინი დამტვერვის ხელშეწყობისათვის განალაგეს ფუტკრის სკები. დამტვერვის შემდეგ ჩატარდა გამოწასკვნილი თესლების ანალიზი. ჰიბრიდული მცენარეების რაოდენობა წრიდან 1 მეტრის დაცილებით იყო - 1.4%, 3 მეტრის მანძილზე - 0.4%, 12 მეტრის მანძილზე - 0.01%, ხოლო 47 მეტრის მანძილზე - 0.0003%, ანუ სამი მცენარე მილიონი მცენარიდან, რაც უმნიშვნელოა; 2) იგივე მიზნით ერთმანეთის გვერდით დარგეს ჩვეულებრივი კარტოფილი და მისი გენმოდიფიცირებული ანალოგი. ჯვარედინი დამტვერვა მათი საზღვრიდან 1 მეტრში შეადგენდა 24%-ს, 10 მეტრში - 0.017%-ს, ხოლო 20 მეტრში ჰიბრიდული მცენარეები არ აღმოჩნდა.

ბოლოს გვინდა აღვნიშნოთ, რომ ანალოგიური წესით აქვს გავლილი შემოწმება დღეისათვის წარმოებაში რეკომენდირებულ გენმოდიფიცირებულ ჯიშებს. რა თქმა უნდა ყველა გენმოდიფიცირებული მცენარე უსაფრთხო არ არის. მათი უდიდესი ნაწილის წუნდება ხდება



თვით შემქმნელების მიერ, კიდევ დიდი ნაწილი ვერ გადის რეგისტრაციის ტესტს, დარჩენილებიდან ბევრი ვერ უძლებს პოსტრეგისტრაციულ მონიტორინგს და მხოლოდ ერთეულები აღწევენ წარმოებამდე.

დასკვნა. 1. სანამ არსებობს გენეტიკურ-ინჟინრული საქმიანობის შესაძლო რისკები ადამიანისა და გარემოს უსაფრთხოებაზე, მათი რეგულირება უნდა მოხდეს სახელმწიფოებრივ დონეზე ზემოთ განხილული სისტემის შესაბამისად.

2. გენმოდიფიცირებული ორგანიზმების შესაძლო უარყოფითი მოქმედებების მიმართულებით ადამიანების მუდმივი ფიქრი, სიფრთხილე გადაწყვეტილებებში და ბრძოლა უსაფრთხოებისათვის ყოველთვის აუცილებელია, ვინაიდან მის გარეშე ამ საქმეში შემდგომი განვითარება ვერ იქნება.

ლიტერატურა

1. ვ. კობალია. „ტრანსგენური მცენარეების გამოყენებასთან დაკავშირებული რისკ-ფაქტორების შეფასება“. მესამე საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ინტერნეტ-კონფერენციის შრომების კრებული, ქუთაისი, 2013, გვ. 34-39.
2. Генетически модифицированные организмы и проблемы биобезопасности. Минск, 2011, -72 с.
3. Ермишин А.П. Генетически модифицированные организмы: мифы и реальность. Минск,Тэхналогія, 2004, -118 с.
4. Першин А. Ф. ГМО: возможные риски и оценка безопасности. <http://www.ussr-2.ru/index.php/brigada/vojna-na-unichtozhenie>

Modern Safety Control System of Genetically Modified Organisms

V. Kobalia, N. kipiani

Akaki Tsereteli State University

Summary

There is no doubt that development of genetic and engineering technologies is one of the most important achievements of molecular biology, which offers colossal perspectives to humanity. But the protests of opponents of genetically modified organisms are still not resolved due to the possible potential risks associated with their usage. The article presents a brief analysis of existing literary data on potential health risks, the environment and the modern safety control system related to the use of genetically modified organisms. It is shown that while there are potential risks for genetic engineering activity, they should be regulated in accordance with the state system. It is always necessary to keep people constantly in this direction, caution in decisions and fight for security.

Использование нетрадиционного растительного сырья в технологиях сладких блюд

Шамшур А.Г., Кравчук Н.Н, Корецкая И.Л., Полевик В.В.
Национальный университет пищевых технологий, Киев, Украина

В работе рассмотрены данные о химическом составе сельдерея, семян льна и их влияние на биологическую ценность сладких блюд. Разработано усовершенствованную технологию сладкого сбивного блюда - десерта «Самбук яблочно-сельдерейный» оздоровительного назначения. Исследовано влияние купажной смеси торе яблочного и торе из сельдерея и семян льна на структуру десерта. Определена пищевая и энергетическая ценность блюда, исследованы органолептические показатели качества. Обосновано соотношение сельдерея и семян льна, а также других рецептурных ингредиентов.



Вступление. Одним из современных направлений разработки десертных изделий есть повышение микронутриентного состава и снижение калорийности. Наиболее важным во всем мире является дефицит витаминов, что нарушает обмен веществ и в результате производит к возникновению заболеваний. Здоровое питание среднестатистического жителя планеты, предусматривает поступление к организму нутриентов, необходимых для жизнедеятельности организма, защиту от вредных веществ, оздоровительное влияние на самочувствие человека. В современных экономических условиях состояние здоровья населения Украины ухудшается, что обусловлено обеспечением организма в энергии, через потребление жиру-углеводной компонентов, что, в свою очередь, приводит к потере организмом необходимых микронутриентов [1].

Приоритетным направлением балансирования продукции питания выступает растительное сырье, которое является низкокалорийным, содержит натуральные витамины, пищевые волокна и микроэлементы. Также, растительное сырье содержит значительное количество веществ, которые владеют поверхностно-активными свойствами, способных к пенообразованию и активно используются в сбивных десертах [5, 3, 2].

Актуальной проблемой настоящего времени является обеспечение населения высококачественными продуктами питания повышенной пищевой и биологической ценности. В связи с этим все большее значение приобретает концепция создания новых, сбалансированных за химическим составом, обогащенных функциональными компонентами пищевых продуктов [4].

Объекты и методы исследования: показатели качества десерта «Самбук» с использованием пюре из сельдерея, семян льна, глюкозно-фруктозного сиропа, сухой молочной сыворотки и сухого яичного белка.

При проведении физико-химических и технологических исследований использовали традиционные методы определения органолептических, физико-химических показателей, и математически статистические методы исследований [4, 6].

Результаты исследований. Сельдерей богат эфирными маслами, стимулирующими выделение желудочного сока и органическими кислотами. Сельдерей, как и лимон содержит много витамина С, а также витамин Е и группы В, кальций, натрий, фосфор, пурин и фолиевую кислоту. По мнению ученых, этот овощ является одним из наиболее важных и безопасных культурных растений для организма человека. В овоще содержится уникальное вещество, названное лутеолином, что предоставляет не только противовоспалительный, но и значительный омолаживающий эффект [7].

Процентное содержание эфирного масла в корнях сельдерея редко превышает 0,1%, зато корнеплод богат другими, куда более ценными компонентами, в том числе витаминами (аскорбиновой кислотой, провитаминами А, В₁ и В₂, Р), макро и микроэлементами (фосфором, калием, магнием). Особенный акцент следует сделать на наличии аминокислот (около десяти видов), в том числе и незаменимых.

Сравнительная характеристика химического состава корнеплодов представлена в табл. 1.

Таблица 1. Химический состав пряно ароматических корнеплодов

Название корнеплода	Массовая часть веществ, %					
	Влаги	Белка	Золи	Жиров	Клетчатки	Сахаров
Пастернак	71-75	1,8-3,1	1-1,6	0,38	1,2 - 3,6	7,4-12
Петрушка	64-88	1,5-3,2	1,6-1,8	0,8	1,4 - 3,7	0,7-10,1
Редька	80 - 88,6	1,6 - 2,5	1 - 1,2	0,2	1,5 - 2,1	1,5 - 6,4
Сельдерей	80 - 90	1 - 2,5	0,8 - 1,2	0,2 - 0,3	0,6 - 1,3	1,8 - 4,3
Имбирь	85 - 90	1,7 - 2,8	0,8 - 5,6	5,9	2,0 - 3,1	1,7 - 2,8
Хрен	70 - 77	2,7 - 4,5	1,4 - 1,8	0,35	2,5 - 5,6	6 - 13

(Источник – информация собрана и обработана авторами)

Целью исследования было исследование возможности снижения калорийности десертов



типу «самбук», при этом сохранение необходимых для показателей качества десерта и обогащение блюда макро - и микронутриентами.

Анализ химического состава изученных корнеплодов показал, что сельдерей наиболее удачно подходит для выполнения поставленной задачи: богат эфирными маслами, стимулирующими выделение желудочного сока и органическими кислотами. Сельдерей, как и лимон содержит много витамина С, а также Е и группы В. Кроме того, содержит кальций, натрий, фосфор, пурин и фолиевую кислоту.

Традиционно, при приготовлении самбука используют яблочное пюре с содержанием сухих веществ 13-14%. В качестве нетрадиционного сырья мы предлагаем использование купажную смесь из яблочного пюре и корня сельдерея [3, 5].

В технологиях приготовления десертов, муссов и самбуков, основными структурно-механическими показателями является консистенция и текстура.

Нами разработаны модельные образцы: МЗ-1 (контрольный образец - самбук яблочный); МЗ-2 (самбук яблочный с введением 10% пюре сельдерея и 1% семян льна); МЗ-3 (самбук яблочный с введением 20% пюре сельдерея и 2% семян льна) и МЗ-4 (самбук яблочный с введением 30% пюре сельдерея и 3% семян льна). Для придания сладкого вкуса десертам использовали глюкозно-фруктозный сироп (ДЕ-42) [5].




Рис. 1. Содержание сухих веществ в исследуемых образцах




Рис. 2 Удельный объем инновационных десертов

(Источник – информация получена и обработана и авторами)

После проведенного эксперимента и проведения математического и статистического обсчета результатов исследований, было проведено анализ полученных результатов.

Из рис.1 видно, что наибольшее количество сухих веществ имеет опытный образец МЗ-4, которое объясняется, содержанием пектиновых веществ в пюре сельдерея.

Именно присутствие в модельной композиции пектиновых веществ (МЗ-4 - 30% пюре сельдерея) показывает наибольший, среди опытных образцов, устойчивый удельный объем структуры образца.

Образец с яблочным пюре имеет более плотную консистенцию, а экспериментальный - более пышную. Таким образом, можно констатировать, что использование пищевой композиции на основе яблочно-сельдерея пюре с добавлением семян льна целесообразно при создании новой сбитой десертной продукции, и позволяет получить пышную пенную, нежную массу и обеспеченной стабильностью пены.

Используя полученные результаты, нами были разработаны технологические карты на изготовления десерта «Самбук» и добавлением купажного пюре (яблоко-сельдерея) различных концентраций. Сенсорное оценивание, проводилось по 10 бальной шкале высококвалифицированными экспертами – преподавателями кафедры технологии ресторанной и аюрведической продукции НУПТ. Дискрепторы разработаны согласно технологических требований



к десертам. Коэффициенты весомости рассчитаны по шкале 10. Критический лимит установили как 6 баллов [4, 6, 7].




Рис. 6 – Профилограммы органолептических показателей блюд.

А – контрольный образец, Б – десерт с 20% пюре сельдерея

1 - внешний вид; 2 - состояние поверхности; 3 - однородность поверхности; 4 - цвет; 5 - чистота; 6 - однородность цвету; 7 - интенсивность; 8 - вкус; 9 - сладость; 10 - интенсивность вкуса; 11 - запах; 12 - чистый; 13 - выразительный; 14 - консистенция; 15 - плотность; 16 - мягкость; 17 - однородность.

(Источник – информация получена и обработана и авторами)

Органолептическая оценка модельных образцов десертов показала, что наивысший балл имеет образец с добавлением 20% пюре сельдерея, в сравнении с контрольным образцом [12]. Результаты объективно репродуцированы и статистически проработаны в профилограммах.

Расчет критерия качества [7] показал значительное преимущество опытного образца над контрольным. Так у контрольного образца критерий качества составил 434,9 бала², а у образца с 30% пюре сельдерея 453,5 бала².

Так, как целью работы было уменьшение калорийности десерта, провели сравнительную характеристику пищевой ценности инновационных десертов.




Рис. 5 Химический состав десертов

А - контрольный образец; Б - опытный образец (М3-3)

(Источник – информация получена и обработана и авторами)

Следует отметить повышение общего количества белков в 2,87 раза и жиров в 2,5 раза в опытном образце по сравнению с контролем. И уменьшение углеводов в 1,54 раза, соответственно. Снижение энергетической ценности составило с 95,4 до 85,14 ккал.



Выводы. Проведенные исследования позволили определиться, что добавление пюре из сельдерея в технологии десертов целесообразно. В наших исследованиях была избрана рациональная рецептурная композиция. Установлено, что наилучшие физико - химические показатели качества дает рецептурная композиция из глюкозно-фруктозного сиропа и купажной смеси пюре яблочного и пюре сельдерея, что позволяет улучшить органолептические свойства блюда. В работе подана разработанная концепция использования в сладком блюде «Самбук яблочный» (№ 969, Сборник рецептур, в 1982 г.), новых видов сырья и сахарозаменителей с целью обеспечения лечебно-профилактических свойств данного десерта, повышения его качества, усовершенствования структуры, расширения ассортимента, снижения калорийности. Изучены технологические свойства сырья, что позволяет сформулировать теоретические аспекты ее использования в изготовленных сладких блюд, которые базируются на полифункциональных свойствах сырья.

Литература

1. West, J. Getting clear about communities in open innovation / J. West, K. Lakhani // Industry and Innovation. – 2008. – No 15. – P. 223-228
2. Донченко, Н.И., Структурообразование в дисперсных пищевых системах. Донченко Н.И., Родионова Н.С., Асмолова Е.В., Кузнецова Е.В., Савенкова И.П. Воронеж. гос. технол. акад. Воронеж, 2004. 216 с.
3. Карпик Г.В. Харчові волокна фруктів і овочів / Г.В. Карпик, Н.Б. Сіржант //Актуальні задачі сучасних технологій: тези доп. V Міжнародної наук.-тех. Конф. Мол. учених та студентів 17-18 листопада 2016 р. / Тернопільський національний технічний університет імені Івана Пулюя; М-во освіти і науки України – С. 233.
4. Технология и лабораторный практикум кондитерских изделий и пищевых концентратов: учебн. пос. / за ред. проф. А.Н. Дорохович и проф. В.Н. Ковбаси. - К.: Фірма «ІНКОС», 2015. - 632 с.
5. Левкун К. Ю. Використання нетрадиційної сировини при виготовленні десертів / Левкун К. Ю., Польовик В. В., Бондар Н. П., Корецька І. Л. // Овочівництво і баштанництво: історичні аспекти, сучасний стан, проблеми і перспективи розвитку: Матеріали III Міжнародної науково-практичної конференції (у рамках II наукового форуму «Науковий тиждень у Крутах - 2017», 13-14 березня 2017 р., с. Крути, Чернігівська обл.) / ДС «Маяк» ІОБ НААН: у 2 т. - Ніжин: Видавець Лисенко М. М., 2017. - Т. I. - 296 с.
6. Трасковська, О.І. Методи оцінювання якості кулінарної продукції. О.І. Трасковська, О.В. Кузьмін. Якість і безпека харчових продуктів: тези доп. III Міжнар. наук.-практ. конф., 16-17 листопада 2017 р. / Національний університет харчових технологій; М-во освіти і науки України. — К. : НУХТ, 2017. — 363 с.
7. Корецька, И.Л. Лит. твір «Рекомендации к использованию профилограмм для оценивания качества изделий» ©. И.Л. Корецька, Т. В. Зінченко. Свідоцтво про реєстрацію авторського права на твір № 74803, від 17.11.2017.

Use of vegetable raw materials in technology of sweet dishes

A. Shamshur, N. Kravchuk, I. Koretskaya, V. Polevik

National University of Food Technology, Kiev, Ukraine

Summary

The comprehensive assessment of the possibilities of creating new, chemical-balanced and functionally enriched dessert components was presented in this article. It also includes analysis of the chemical composition of celery, flax seeds and their influence on the biological value of sweet foods. Development of the advanced technology of the sweet whipped food - sambuk apple-celery dessert. The main aim is to reduce calories and increase nutrients. Researches gave the opportunity to determine that it is appropriate to add the celery puree in dessert technology. The rational prescription composition was selected during the researches. It is established that the best physicochemical indicators of quality are given by the recipe composition of glucose-fructose syrup and dried egg white, and the use of celery puree allows to improve the organoleptic properties of the dish. Technological properties of raw materials allowed us to formulate the theoretical aspects of the use of celery in made sweet dishes, based on the polyfunctional properties of raw materials.



Отдельные аспекты обеспечения продовольственной безопасности Республики Беларусь

Шелегова Н.А., Болотько А.Ю.,* Захаров Д.С.

Могилевский институт Министерства внутренних дел Республики Беларусь,

* Могилевский государственный университет продовольствия

В работе рассматривается научная проблема, которая направлена на рассмотрение некоторых вопросов экспертизы подлинности пищевой продукции. Решение данной проблемы способствует обеспечению продовольственной безопасности Республики Беларусь.

Тенденция роста производства различных видов продовольственных товаров и расширение их ассортимента в условиях современного рынка часто не может гарантировать их соответствие строго установленным нормативам и спецификации производства этих продуктов, а их качество – принятым санитарно-гигиеническим нормам. Фальсификация пищевых продуктов – это выпуск и продажа пищевых продуктов, ингредиентный состав которых не соответствует своему назначению и рецептуре.

Современное развитие различных отраслей пищевой промышленности, расширение сети предприятий гостинично-ресторанного бизнеса и торговли требуют усиления и совершенствования контроля за качеством пищевого сырья и готовых к употреблению продуктов питания.

Цель научной работы состоит в изучении теоретических и практических основ осуществления экспертизы качества пищевых продуктов – одного из инструментов обеспечения продовольственной безопасности Республики Беларусь.

Последствия приобретения контрафактных товаров потребителем могут быть различными по видам и степени проявления. Это не только экономический ущерб, который выражается в потере денежных средств, потраченных на приобретение контрафактной продукции, которая из-за ее дефекта качества (безопасности) не может быть использована по назначению. Вред здоровью потребителя проявляется в физиологических страданиях, как правило, это отравления различной степени тяжести, как минимум, и смерть в худшем проявлении последствий вреда здоровью. Кроме того, нарушение прав потребителей при условии их обнаружения (осознания) безусловно влечет за собой причинение морального вреда [1, 2].

Законодательно-правовая база в Республике Беларусь по обеспечению качества и безопасности продовольственных товаров в области экспертной деятельности представлена следующими документами:

- Конституция Республики Беларусь [3];
- Закон Республики Беларусь «О техническом нормировании и стандартизации» [4];
- Закон Республики Беларусь «О государственном регулировании торговли и общественного питания» [5];
- Закон Республики Беларусь «О качестве и безопасности продовольственного сырья и пищевых продуктов для жизни и здоровья человека» [6];
- Закон Республики Беларусь «О защите прав потребителей» [2].
- Закон Республики Беларусь «О радиационной безопасности населения» [7].

В перечисленных выше документах указаны права и обязанности экспертов в области товарной экспертизы. Прописаны этапы проведения той или иной экспертизы, приведены формы итоговых документов экспертизы и указаны правила заполнения данных документов.

В Республике Беларусь осуществляют свою деятельность следующие системы экспертных



учреждений:

- государственная служба природных ресурсов и охраны окружающей среды Республике Беларусь (экологическая экспертиза);
- центры гигиены и эпидемиологии (санитарно-гигиеническая экспертиза);
- главная государственная инспекция по семеноводству, карантину и защите растений (карантинная экспертиза и фитосанитарный контроль);
- научно-исследовательский институт проблем криминалистики, криминологии и судебной экспертизы Министерства юстиции Республики Беларусь (судебная товарная экспертиза);
- научно-исследовательский институт пожарной безопасности и проблем чрезвычайных ситуаций МЧС Республики Беларусь (товароведные и экологические экспертизы);
- государственный таможенный комитет Республики Беларусь (товароведные таможенные экспертизы);
- ветеринарные центры и лаборатории (ветеринарные экспертизы);
- белорусская торгово-промышленная палата (все виды товароведных экспертиз);
- госстандарт РБ (товароведные комплексные экспертизы);
- общество защиты прав потребителей (товароведные потребительские экспертизы).

Закон Республики Беларусь «О качестве и безопасности продовольственного сырья и пищевых продуктов для жизни и здоровья человека» от 29 июля 2003г. № 217-3 (ст.9) [6] обязывает юридических лиц и индивидуальных предпринимателей, осуществляющих производство и оборот продовольственного сырья и пищевых продуктов обеспечивать соблюдения установленных требований к производству и обороту пищевых продуктов, а также обеспечивать производственный контроль качества и безопасности выпускаемой продукции.

В соответствии с Кодексом республики Беларусь об административных правонарушениях (ст.16.7), выпуск на товарный рынок либо реализация потребителям недоброкачественной продукции, заведомо способной повлечь заболевания или отравления людей или заведомо загрязненной радионуклидами сверх допустимых уровней (выпуск либо реализация недоброкачественной продукции) влекут за собой наложение соответствующего штрафа с конфискацией этой продукции [8, 9].

Для обеспечения безопасности пищевой продукции необходим строгий контроль содержания токсичных элементов, воздействие которых заключается как в общетоксическом влиянии на организм, так и в проявлении мутагенного, канцерогенного, эмбриотоксического и аллергенного действия.

Государственный контроль и надзор в области обеспечения качества и безопасности пищевых продуктов в Республике Беларусь осуществляются Министерством здравоохранения, Министерством сельского хозяйства и продовольствия, Министерством торговли, Комитетом государственного контроля и другими государственными органами в пределах их компетенции.

В тоже время, несомненно, что постоянный и правильно организованный контроль качества и безопасности пищевых продуктов является основной задачей производителя и позволяет обеспечить выпуск продукции, отвечающей требованиям государственных стандартов.

Качество пищевой продукции должно отвечать требованиям, установленным санитарными нормами, правилами и гигиеническими нормативами «Гигиенические требования к качеству и безопасности продовольственного сырья и пищевых продуктов». Например, в плодах и овощах, представленных на товарном рынке г.Могилева, нормируется содержание радионуклидов и следующих токсичных элементов: свинца, меди, цинка, мышьяка, кадмия, ртути и олова.

В исследуемых плодах и овощах были обнаружены такие токсичные элементы, как цинк, медь и кадмий в количествах, не превышающих предельно допустимые значения. Такие токсичные элементы, как свинец, ртуть, мышьяк и олово в исследуемых образцах не найдены или



обнаружены в ничтожных количествах, не превышающих предельно допустимые концентрации (ПДК).

Литература

- 1 Читалкина, И. В. Фальсификация продуктов питания как нарушение прав потребителей / И. В. Читалкина // Молодой ученый. – 2009. – №6. – С. 113-116.
- 2 О защите прав потребителей: Закон Республики Беларусь от 9 января 2002 года, 90-3 (с изм. и доп.) № 313-3) [Электронный ресурс] // Консультант Плюс / Национальный центр правовой информации Республики Беларусь. – Минск, 2020.
- 3 Конституция Республики Беларусь 1994 года (с изменениями и дополнениями, принятыми на республиканских референдумах 24 ноября 1996 г. и 17 октября 2004 г.). – Минск, 2005. – 48 с.
- 4 О техническом нормировании и стандартизации: Закон Республики Беларусь от 24.10.2016 № 437-3 [Электронный ресурс] // Консультант Плюс / Национальный центр правовой информации, Республика Беларусь. – Минск, 2020.
- 5 О государственном регулировании торговли и общественного питания в Республике Беларусь: Закон Республики Беларусь от 08.01.2014 № 128-3 (с изм. и доп.) [Электронный ресурс] // Консультант Плюс / Национальный центр правовой информации, Республика Беларусь. – Минск, 2020.
- 6 О качестве и безопасности продовольственного сырья и пищевых продуктов для жизни и здоровья человека: Закон Респ. Беларусь, 29 июля 2003 г., 217-3 [Электронный ресурс] // Консультант Плюс / Нац. центр правовой информ. Респ. Беларусь. – Минск, 2020.
- 7 О радиационной безопасности населения: Закон Республики Беларусь от 05.01.1998 № 122-3 (с изм. и доп.) [Электронный ресурс] // Консультант Плюс / Национальный центр правовой информации, Республика Беларусь. – Минск, 2019.
- 8 Кодекс Республики Беларусь об административных правонарушениях: 21 апреля 2003г., № 194-3; в ред. Закона Респ. Беларусь от 17.07.2018 г. [Электронный ресурс] // Консультант Плюс / Нац. центр правовой информ. Респ. Беларусь. – Минск, 2019.
- 9 Процессуально-исполнительный кодекс Республики Беларусь об административных правонарушениях: 20 декабря 2006г., № 194-3; в ред. Закона Респ. Беларусь от 17.07.2018 г. [Электронный ресурс] // Консультант Плюс / Нац. центр правовой информ. Респ. Беларусь. – Минск, 2019.

Certain aspects of food security in the Republic of Belarus

N. Shelegova, A. Bolotko, * D. Zakharov

Mogilev Institute of the Ministry of Internal Affairs of the Republic of Belarus,

* Mogilev State University of Food, Mogilev, Republic of Belarus

Summary

The article deals with the legislative basis for ensuring the good quality of food products, in accordance with which proceedings on administrative violations related to the release and sale of poor-quality products are carried out in accordance with the procedural and executive code of the Republic of Belarus on administrative offenses. In addition, the statistics of product quality relative to the content of toxic elements in it is given.

**ლიმონის სხვადასხვა პოლიდობის თესლებზე ფიტოჰორმონ
ჰიბერელინის მჟავას ზემოქმედების შედეგი**

ჩიკაშუა ქ., გობრონიძე ე.

**საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ჩაის, სუბტროპიკული კულტურების
და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტი**

ნაშრომში მოცემულია ლიმონ მონაკელის დიპლოიდურ და პოლიპლოიდურ თესლებზე ფიტო-ჰორმონ ჰიბერელინის მჟავას ზემოქმედების შედეგები. დადგენილია გამოყენებული სტიმულატორის მასური წილი, მცენარეთა აღმოცენების და აღმოცენებული მცენარეების სიცოცხლისუნარიანობა.



მშრალი და გაღვივებული სუბტროპიკული მცენარეების თესლების აღმოცენების ეფექტიანობა იზრდება სტიმულიტორი ნივთიერებების გამოყენებით, რომლებიც აძლიერებენ მცენარის საერთო განვითარებას და აწელებენ უარყოფით, დამაკნინებელ ზემოქმედებას. ახალწარმონაქმნების მიღების პროცესში სტიმულიტორების გამოყენების შედეგად მცენარეთა განსხვავებული ფორმები ყალიბდება [1-4].

წინამდებარე კვლევის მიზანს შეადგენს ლიმონის სხვადასხვა პლოიდების თესლებზე ფიტოჰორმონ ჰიბერელინის მქავეს ზემოქმედების დადებითი შედეგის დადგენა.

კვლევის ობიექტად გამოყენებულია ლიმონ მონაკელოს დიპლოიდური და ბუნებრივი ტეტრაპლოიდური ფორმა #4 -ის პირველი თაობის თესლები, რომლებიც დამუშავდა ფიტოჰორმონ ჰიბერელინის მქავეს 0,06%, 0,08%, 0,1% - იანი კონცენტრაციით, 8 საათიანი ექსპოზიციის პირობებში. ნაყოფებიდან გამორჩეული თესლები სამი დღის განმავლობაში შრებოდა ოთახის პირობებში. საკონტროლო ვარიანტი მუშავდებოდა გამომხდელი წყლით. ცდის მიმდინარეობის დროს ვსწავლობდით მცენარეთა აღმოცენების უნარს და აღმოცენებული მცენარეების სიცოცხლისუნარიანობას. ვეგეტაციის დამთავრების შემდეგ ტარდებოდა ბიომეტრიული გაზომვები და ისწავლებოდა ცვალებადი ფორმების წარმოქმნის სიხშირე.

ცხრილში 1 მოცემულია ფიტოჰორმონ ჰიბერელინის მქავეს ზემოქმედების შედეგი ლიმონ მონაკელოს დიპლოიდურ და ტეტრაპლოიდურ ლიმონ მონაკელო #4 თაობაზე. ჩატარებული კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ დიპლოიდური ლიმონ მონაკელოს ნათესარეები ტეტრაპლოიდურ მონაკელო #4-ის პირველ თაობასთან შედარებით აღმოცენებას იგვიანებენ.

ვეგეტაციის ბოლოს გადარჩენილი მცენარეების სიცოცხლისუნარიანობაზე დაკვირვებით დადგინდა, რომ შედარებით მაღალი კონცენტრაციის ხსნარით დამუშავებისას დიპლოიდურ მცენარეთა სიცოცხლისუნარიანობა კლებულობს, ხოლო ტეტრაპლოიდ ლიმონ მონაკელოს #4 პირველ თაობაში ფიტოჰორმონის მოქმედებამ მასტიმულირებელი გავლენა მოახდინა, კერძოდ, იზრდება როგორც დიპლოიდურ, ასევე ტეტრაპლოიდურ მონაკელო #4-ის პირველი თაობის შემთხვევაში აღმოცენებული მცენარეების რაოდენობა.

გამოსავლიანობის შესაფასებლად გამოიყო ნორმალური ფენოტიპიდან განსხვავებულ მცენარეები. აღრიცხვის დროს გამოვლინდა, რომ დიპლოიდური ლიმონ მონაკელოს შემთხვევაში ცვალებადი ფორმებისას სიხშირე 50%-ს აღწევს, ხოლო ტეტრაპლოიდური ლიმონ მონაკელოს შემთხვევაში 21,7%-მდე მერყეობს. კვლევის შედეგებიდან ჩანს, რომ დიპლოიდური ლიმონ მონაკელო უფრო მგრძობიარეა სტიმულიტორებისადმი, ვიდრე ტეტრაპლოიდი #4-ის პირველი თაობა. ფიტოჰორმონ ჰიბერელინის მქავეს ზემოქმედებით გამოვლინდა შეცვლელი ფორმების წარმოქმნის სტიმულირება.

ცხრილში 2 წარმოდგენილი ბიომეტრიული ანალიზის შედეგებიდან ჩანს, რომ ლიმონ მონაკელოს დიპლოიდურ და ტეტრაპლოიდურ მონაკელო #4-ის პირველი თაობის ნათესარეებში ზრდის და შეფოთვლის ინტენსივობას (ფოთლების რაოდენობა ერთ მცენარეზე) შორის განსხვავება უმნიშვნელოა, რიგ შემთხვევაში კონცენტრაციის გადიდებით იზრდება შეფოთვლის ინტენსივობა.



ცხრილი 1. ფიტოჰორმონ ჰიბერელინის მჟავას ზემოქმედების შედეგი ლიმონ მონაკე-
ლოს დიპლოიდურ და ტეტრაპლოიდურ ლიმონ მონაკელო #4 თაობაზე

მცენარის ფორმა	ცდის ვარიანტი	ფიტოჰორმონის კონცენტრაცია, %	აღმოცენების დაწყება, დღე	აღმოცენებული მცენარეების რაოდენობა, %	სიცოცხლისუნარიანი მცენარეების რაოდენობა, %	შეცვლილი ფორმების რაოდენობა, %
ლიმონ მონაკელო დიპლოიდი	საკონტროლო (წყალი)	-	25	50	75	-
	ჰიბერელინის მჟავა	0,06	24	62,0	77,4	8,3
		0,08	30	54,0	74,1	10,0
	0,1	31	50,0	50,0	50,0	
ლიმონ მონაკელო ტეტრაპლოიდი	საკონტროლო (წყალი)	-	17	62,0	71,8	3,3
	ჰიბერელინის მჟავა	0,06	20	66,0	89,9	4,0
		0,08	20	64,0	80,6	21,7
0,1		23	64,0	80,6	6,6	

ცხრილი 2. დიპლოიდური ლიმონ მონაკელოს და ტეტრაპლოიდური მონაკელო #4-ის F₁ თაობის ბიომეტრიული გაზომვის შედეგები

მცენარის ფორმა	ცდის ვარიანტი	ფიტოჰორმონის კონცენტრაცია, %	მცენარის სიმაღლე, სმ	ფოთლების რაოდენობა, (საშუალო)
ლიმონ მონაკელოს დიპლოიდი	საკონტროლო (წყალი)	-	3,0	4,3
	ჰიბერელინის მჟავა	0,06	2,4	4,6
		0,08	2,4	5,6
0,1		3,5	7,5	
ლიმონ F ₁ მონაკელოს ტეტრაპლოიდი	საკონტროლო (წყალი)	-	3,2	3,5
	ჰიბერელინის მჟავა	0,06	3,7	5,4
		0,08	3,8	5,8
0,1		4,1	4,6	

ჩატარებული კვლევის შედეგებიდან გამომდინარე შესაძლებელია შემდეგი ძირითადი დასკვნების გაკეთება:

1. ლიმონ მონაკელოს დიპლოიდური და მონაკელო #4-ის ტეტრაპლოიდური ფორმის პირველი თაობის თესლების ფიტოჰორმონით დამუშავების შედეგად, კონცენტრაციის გადიდებით მცენარეთა აღმოცენების უნარი კლებულობს, რაც მკვეთრად ვლინდება დიპლოიდურ ლიმონ მონაკელოს შემთხვევაში;
2. სტიმულატორის 0,8%-იანი კონცენტრაციით ზემოქმედება ეფექტიანი აღმოჩნდა სხვადასხვა პლოიდობის მცენარის გამოსავლიანობის ზრდისთვის;
3. ლიმონ მონაკელოს დიპლოიდური და მონაკელო #4-ის ტეტრაპლოიდური ფორმების ფიტოჰორმონ ჰიბერელინის მჟავათი დამუშავება მასტიმულირებელ გავლენას ახდენს თესლების აღმოცენების უნარზე და ახალი ფორმების წარმოქმნაზე.



ლიტერატურა

1. ქ. ჩიკაშუა, მ. ტაკიძე. ლიმონ მონაკელის ტეტრაპლოიდურ ფორმებზე მუტაგენ ნიტროზომეთილ შარდოვანას ზემოქმედების შედეგი. "სუბტროპიკული კულტურები" 2008, #1-4 (259-262). გვ. 7-11.
2. მ. ტაკიძე, მ. წილოსანი. ლიმონ მონაკელის ტეტრაპლოიდური ფორმების ჰომოლოგიური დახასიათება. "სუბტროპიკული კულტურები"-1985. #6 (200), გვ. 116-123.
3. მ. ტაკიძე. ლიმონ მეიერის კოლხიციანიერების შედეგები ფიტოჰორმონებთან კომბინაციაში. „სუბტროპიკული კულტურები“-1990. #5 (230), გვ. 63-69.

Effect of phytohormone hyberlinic acid on the seeds of different ploidy of lemons

Q. Chikashua, E. Gobronidze

Institute of Tea, Subtropical Crops and Tea Industry of Agriculture University of Georgia

Summary

The article describes the effects of phytochrome Hibberlinic acid on diploid seeds of Lemon Monaco. It contains acid content, viability of plants and viability of emerging plant.

პესტიციდების ზეგავლენა ზოგიერთი მცენარის კვებით ღირებულებებზე

ჩუბინიძე ა., ენდელაძე ნ., კორძაძე ნ.*, ხვიჩია ლ.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

***ს. დურმიშიძის სახელობის ბიოქიმიისა და ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტი**

ნაჩვენებია, რომ პესტიციდები (ფუნგიციდები) - ბაილეტონი და რიდონეტი ვაზზე და ზოგიერთ ბოსტნულზე ზემოქმედების პროცესში აქტიურებენ მცენარეთა მჟანგველ ფერმენტებს - პეროქსიდაზას და ფენოლოქსიდაზას, ამასთან, ზრდიან მცენარეში ცილის ჯამურ შემცველობას, ხოლო თვით ფუნგიციდები ფერმენტების ზემოქმედებით ქიმიურად გარდაიქმნებიან. შედეგად, უარყოფითი მიმართულებით იცვლება მცენარის კვებით ღირებულება.

სამუშაო შესრულებულია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტსა (ქუთაისი) და ს.დურმიშიძის სახელობის ბიოქიმიისა და ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტში პროფესორ გაია ხატისაშვილის ხელმძღვანელობით (ბიოქიმიური ნაწილი). იგი ეხება პესტიციდების (ფუნგიციდების) მცენარეებში გარდაქმნის, აკუმულირებისა და ზოგიერთ მცენარეზე ზემოქმედების გამოკვლევის მცდელობას. შევნიშნავთ, რომ ნაშრომი არის ამ მიმართულებით წარმოებული კვლევის გაგრძელება.

თანამედროვე ეტაპზე მიჩნეულია, რომ მცენარეთა დაცვის საშუალებებს შორის უფრო ეფექტურია ქიმიური მეთოდი. აქ უმთავრესად იგულისხმება პესტიციდების გამოყენება. დღესდღეობით, ქიმიური ნაერთებით გარემოს დაბინძურება იმდენად სერიოზულ გლობალურ ეკოლოგიურ პრობლემას წარმოადგენს, რომ ის განიხილება /ან უნდა განიხილებოდეს/ სახელმწიფოთა ეროვნული უსაფრთხოების საკითხთა დონეზე.


ამჯერად ჩვენი კვლევის საგანს, როგორც პესტიციდებს, წარმოადგენენ სისტემური ფუნგიციდები - ბაილეტონი და რიდონეტი.

ბაილეტონი მიეკუთვნება ტრიაზოლის რიგის პრეპარატებს. მისი ძირითადი კომპონენტია ტრიადიმეფონი ან 1-(4-ქლოროფენოქსი)-3, 3-დიმეთილ-1-(1H-1,2,4-ტრიაზოლ-1-



ილ)-2-ბუტანონი.

გარდა ნაჩვენები კეტონური ფორმისა, ბაილეტონს გააჩნია სპირტული ჯგუფის შემცველი ტაუტომერიც.



ვარაუდობთ, რომ ადამიანის ორგანიზმზე ბაილეტონის ტოქსიკური ზემოქმედების ქიმიზმი დაკავშირებული უნდა იყოს მის სტრუქტურაში არომატული ბირთვის არსებობასთან, რაც (ქიმიზმი) კონკრეტულად უნდა რეალიზდებოდეს აგრეთვე, მოლეკულის შემადგენლობაში მყოფი არადამაკავშირებელი ელექტრონების შესაბამის ქიმიურ რეაქციაში ჩამბით. ვფიქრობთ, რომ ბაილეტონის, როგორც შხამქიმიკატის გამოყენებაც მნიშვნელოვანწილად ამავე ქიმიური პროცესით არის განპირობებული.

რიდონეტი ორი სხვადასხვა ქიმიური კლასის ფუნგიციდების ნარევი: თიოკარბამატისა და მეტალაქსილისა.

წარმოვადგენთ რიდონეტის და ბაილეტონის ზოგიერთ მცენარეზე ზემოქმედების კვლევის შედეგებს და ექსპერიმენტის მსვლელობის ძირითად მომენტებს.

მცენარეთა ნიმუშების დამუშავება ხდებოდა პესტიციდების შემდეგი კონცენტრაციების ხსნარებით: 0,4 და 2 მგ/ლ - ბაილეტონისათვის და 1,0 და 5,0 მგ/ლ-რიდონეტისათვის. წინასწარ მომზადებულ მასალას ემატება 0,17M ფოსფატის (KH₂PO₄-Na₂HPO₄) ბუფერი (pH=7,4) მასური თანაფარდობით 1:1.

მიღებული ჰომოგენატი გადაიწურებოდა და ისაზღვრებოდა ცილის შემცველობა. ცილის კონცენტრაციებს შორის განსხვავების შემთხვევაში ხდებოდა მათი გათანაბრება განზავების საშუალებით.

ცილის რაოდენობრივი განსაზღვრა ხდებოდა ბრედფორდის [1] მეთოდით.

პეროქსიდაზული აქტივობა ისაზღვრებოდა სპექტროფოტომეტრულად, გვიაკოლის ჟანგის ინტენსივობის მიხედვით [2]. 3 მლ. მოცულობის საინკუბაციო არე შეიცავდა ფოსფატის ბუფერს - pH=7,4; 2mM გვიაკოლს; 3mM წყალბადის პეროქსიდს. რეაქციის მსვლელობის რეგისტრირება ხდებოდა 450 ნმ-ზე.

ფენოლოქსიდაზური აქტივობა ისაზღვრებოდა სპექტროფოტომეტრულად, პიროკატეხინის ჟანგის სიჩქარის მიხედვით [3].

საინკუბაციო არე მოცულობით 3 მლ. შეიცავდა 0,067mM ფოსფატის ბუფერს (pH=7,4); 2mM პიროკატეხინს; 0,03 მგ/ლ ცილოვან ფრაქციას. პიროკატეხინის ჟანგის პროდუქტების წარმოქმნის რეგისტრირება ხდებოდა 420 ნმ-ზე.

კვლევებისათვის გამოყენებული იყო თერმოსტატირებული კარადა (უნგრეთი); სპექტროფოტომეტრი „Specord 400” (გერმანია); ულტრათერმოსტატი (გერმანია).


ნახ.1-2-ზე მოცემულია პესტიციდების - რიდონეტისა და ბაილეტონის გავლენა მცენარეებში ცილის ჯამურ შემცველობასა და ფერმენტების (პეროქსიდაზა, ფენოლოქსიდაზა) ხვედრით აქტივობაზე.

ირკვევა, რომ რიდონეტის გავლენა უფრო მკვეთრია, ვიდრე ბაილეტონისა. ეს მიუ-




თითებს, საცდელი ქიმიური ნითიერებების (პესტიციდების) ზემოქმედებისას ცილის სინთეზის უფრო გააქტიურებას რიდონეტში.

შემდგომი ანალიზი გვიჩვენებს, რომ ფერმენტი ფენოლოქსიდაზა უფრო ინტენსიურად ინდუცირდება რიდონეტით; როგორც ჩანს, ასეთი განსხვავება გამოწვეულია თვით ფუნგიციდების ქიმიური სტრუქტურით: რიდონეტის ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტი - მეტალაქსინი შეიცავს არომატულ ბირთვს, რომელიც კარგი „სამიზნეა“ ფენოლოქსიდაზას ტიპის ფერმენტებისათვის. რაც შეეხება ბაილეტონს, მის ქიმიურ საწყისს - ტრიადიმეფონს ქლორირებული არომატული ბირთვი აქვს. რაც, როგორც წესი, ამნელებს მის ფერმენტულ ჟანგვას.



ნახ. 1 რიდონეტის გალენა საცდელ მცენარეებში ცილის ჯამურ შემცველობაზე და მჟანგველი ფერმენტების - პეროქსიდაზისა და ფენოლოქსიდაზის ხვედრით აქტივობებზე.



ნახ.2 ბაილეტონის გავლენა საცდელ მცენარეებში ცილის ჯამურ შემცველობაზე და მჟანგველი ფერმენტების - პეროქსიდაზისა და ფენოლოქსიდაზის ხვედრით აქტივობებზე.



ჩატარებული სამუშაოს შედეგად შეიძლება დავასკვნათ:

კვლევაში გამოყენებული ფუნგიციდები - რიდონეტი და ბაილეტონი მცენარეებში ექვემდებარებიან ფერმენტულ გარდაქმნას პეროქსიდაზისა და ფენოლოქსიდაზის მონაწილეობით.

ფუნგიციდები მითითებული ოქსიდაზების ინდუქტორებს წარმოადგენენ და ინდუქციის ხარისხი მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მცენარეში ფერმენტის შემცველობასა და ტოქსიკანტის ტრანსფორმაციის პროდუქტთა ქიმიურ ბუნებაზე.

პესტიციდების მონაწილეობით მიმდინარე ქიმიური გარდაქმნები ხდება საფუძველი მცენარეთა კვებითი ღირებულების გაუარესებისა.

ლიტერატურა

1. Bradford M.M., A rapid and Sensitive method for the quantitation of microgram quantities of protein utilizing the principle of protein dye binding. Anal. Biochem., 1974, 59,244-282.
2. Gregory R., Bendall D., The purification and some properties of the polyphenol oxidase from tea. Biochem I., 1996,101,569,581.
3. Lanzarini G., Pifferi P., Samozani A., Specificity of an o-difenol oxidase Phytochemistry, 1972,11,89-94.

The influences of pesticides on nutrition value of some plants

A.Chubidze, N. Endeladze, N. Kordzadze*, L. Khvihia

Akaki Tsereteli State University

*S.Durmishidze Institute of Biochemistry and Biotechnology

Summary

The influences of pesticides fungicides Bailetone and Ridonete on the peroxidase and phenoloxidase activities and general content of protein in leaves of vegetables and various plants has been given. As concerns fungicides, they are transformed chemically by participation of enzymes.

As a result, we can conclude, that nutrition value of plants is changed negatively.

საკვები დანამატების კლასიფიკაცია და ბალბის, როგორც საკვები დანამატის გამოყენების პერსპექტივები

ცუცქირიძე ნ.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მსოფლიოს ჯერ კიდევ ბევრი გლობალური პრობლემის წინაშე დგას, ასეთი პრობლემები არის პირველი ადამიანების მაღალხარისხოვანი ჯანსაღი საკვებით უზრუნველყოფა. თუ გამოიყენებთ საკვები დანამატის სახით სამკურნალო მცენარე ბალბას რომლის შემადგენლობაში შედის სხვადასხვა სასარგებლო ნივთიერებები და ასევე ანტოციანურ გლიკოზიდ მალვინი, როგორც ყველა ანტიოქსიდანტი, მალვინიც გამოირჩევა თავისი სამკურნალო თვისებებით. მას შეუძლია თავიდან აიცილოს უჯრედის დაზიანება და მას იყენებენ აგრეთვე ღვიძლის დაავადებების მკურნალობისთვის.

მსოფლიოს ჯერ კიდევ ბევრი გლობალური პრობლემის წინაშე დგას, ასეთი პრობლემები არის პირველი ადამიანების მაღალხარისხოვანი ჯანსაღი საკვებით უზრუნველყოფა, მეორე უზრუნველყოფა ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებით დაავადებების პროფილაქტიკისა და მკურნალობისათვის და მესამე ადგილი უჭირავს გარემოს დაცვას. ამიტომ აუცილებელია შეიქმნას მრავალფეროვანი ჯანსაღი ეკოლოგიურად სუფთა საკვები პროდუქტები, რომლებიც გამდიდრებული იქნებიან ბიოლოგიურად აქტიური დანამატებით. რაც დაგვეხმა-



რება ადამიანების უზრუნველყოფაში სრულფასოვანი საკვები რაციონით, რომლებიც დაბალანსებული იქნება როგორც მაკრონუტრინებით (ცილებით, ცხიმებით, ნახშირწყლებით) ასევე, მიკრონუტრინებით (ვიტამინებით, ამინომჟავებით, ფერმენტებით, რკინით, თუთიის, მანგანუმის, და სხვა იონებით).

ადამიანები საკვებად იყენებს მცენარეული წარმოშობის უამრავ პროდუქტს, რომლებიც, შედგება ცნობილი ქიმიური ნივთიერებების ტრიადისაგან: ცილები, ცხიმები, ნახშირწყლები. ზოგი მათგანი შერეული აღნაგობისაა მაგალითად: გლიკოლიპიდები, ლიპოპროტეინები და ა.შ. საკვებ პროდუქტებს შედის აგრეთვე ისეთი ნივთიერებები რომლებსაც არ აქვს ენერგეტიკული ღირებულება, ასეთებია მაგალითად საგემოვნო და სურნელოვანი ნივთიერებები, სათებრები და სხვა. ასეთ ნივთიერებებს მიკრონუტრინებს უწოდებენ.

ისეთ ნივთიერებებს რომლებიც კანონდებლობით დადგენილია წარმოების ტექნოლოგიის გასაუმჯობესებლად გამოყენებული იქნას საკვებ პროდუქტებში ან ნახევარფაბრიკატებში, საკვებ დანამატებს უწოდებენ. მაგალითად შენახვის ვადის დადიდებისა, საგემოვნო თვისებების გაძლიერებისათვის, ფერი და გარეგნული სახის შესანარჩუნებლად. ეს ნივთიერებები საკვებად ან საკვების ჩვეულებრივ კომპონენტებად არ გამოიყენება. მსოფლიოში 600-ს გადააჭარბა საკვები დანამატების რიცხვმა, აქედან ჩვენს ქვეყანაში ნებადართულია ალბათ ნახევარი (ზუსტი მონაცემები არ არის ცნობილი). ყველა საკვებ პროდუქტს აქვს თავისი მახასიათებლები: ფერი, გემო, კონსისტენცია, რომლებიც დამოკიდებულია მათში ბუნებრივი ან ხელოვნურად დამატებული ნივთიერებების შემცველობაზე. მათი გამოყენება აძლევს საკვებ პროდუქტებს მეტ ესთეტიურობას და მიმზიდველობას.

ოცდამეერთე საუკუნეში მკვეთრად გაიზარდა ქიმიური და ბიოქიმიური წარმოების ყველა სახის საკვები დანამატების ასორტიმენტი, აგრეთვე მაშტაბები, მათ შორის ამინომჟავები, ცილები, ორგანული ნაჯერი და უჯერი მჟავები, ვიტამინების, ფერმენტების და სხვათა წარმოება, რომელიც უფრო სწრაფად კლავს მადას, მაგრამ უზრუნველყოფს სხვადასხვა დავადებების გამოწვევის რისკს.

ძველთაგანვე ადამიანები იყენებდა საკვებში ტკბიკ მლაშე და მწარე ნივთიერებებს რომლებიც შეიცავს ხილი, ბოსტნეული, თაფლი, სხვადასხვა ხილის წვენები, მცენარის ქერქი, ფესვებში შემავალ სურნელოვან ნივთიერებებს. აგრეთვე ცნობილია გემოსა და არომატის გამძლიერებელი ნივთიერებებიც

ცხრილი 1. გემოსა და არომატის გამაძლიერებელი მცენარეული საწარმოები

№	დასახელება
1.	წიწაკა
2.	მიხაკი
3.	კამა
4.	დარიჩინის ქერქი
5.	ილის თესლი
6.	ჯანჯაფილის თესლები

ყველა საკვები დანამატი შეიძლება დავაჯგუფოდ სამ ნიშნის მიხედვით:

1. ფუნქციური დანიშნულების,
2. მიღების წყაროს,



3. ქიმიური აღნაგობის მიხედვით.
ფუნქციური დანიშნულების მიხედვით საკვები დანამატები იყოფა აგრეთვე ხუთ ძირი-
ად ჯგუფად:

პირველი ჯგუფში შედის მათეთრებლები, საღებრები და შეფერილობის სტაბილიზატორები.

მეორე ჯგუფში შედის გემოს რეგულატორები.

მესამე ჯგუფი აერთიანებს არომატიზატორებს

მეოთხე ჯგუფი მოიცავს კოსისტენციის და ტექსტურის რეგულატორებს.

მეხუთე ჯგუფში გაერთიანებულია ბიოლოგიურად აქტიური დანამატები: ანტიბაქტერიული, და ფუნგიციდური მოქმედების კონსერვანტები, ანტიოქსიდანტები, ვიტამინები, ამინომჟავები და სხვები.

საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებულია ციფრული კოდების სისტემა E-კოდი

მაგალითად:

ცხრილი 2. აკვები დანამატების კოდები

№	დანამატის დასახელება	კოდის ნომერი
1.	საღებრები	E100 – E182
2.	კონსერვანტები	E200 და შემდეგ
3.	ანტიოქსიდანტები	E300 და შემდეგ
4.	სტაბილიზატორები და შემასქელებლები	E400 –E430
5.	ემულგატორები	E430 –E500
6.	გამაფხვიერებლები	E501 – E585
7.	გემოს და არომატის გამამდიერებლები	E620 – E642
8.	სათადარიგო ინდექსები	E643 – E899
9.	ქაფწარმომქმნის შემამცირებლები	E900 – E1521

განასხვავებენ საშიშ, ნეიტრალურ (უვნებელი მაგრამ არა სასარგებლო) და სასარგებლო დანამატებს:

სასიშს დანამატებს მიეკუთვნება: ციტრუსის წითელი E121, ბენზომჟავა E210, კალიუმის ბენზონატი E212, კალციუმის ბენზონატი E213 და სხვა.

ნეიტრალურ (უვნებელი მაგრამ არა სასარგებლო) დანამატებს მიეკუთვნება: ლიმონმჟავა E330, ძმარმჟავა E260, საჭმლის სოდა E500, კალციუმის იოდიდი E916 და სხვა.

სასარგებლო დანამატებს მიეკუთვნება: კაროტინი E160, რიბოფლავანი E101, რძემჟავა E270, ასკორბინის მჟავა E300, აგარი E406, პექტინები E440

თანამედროვე საკვებ დანამატებს მიეკუთვნება ვიტამინები, მინერალები, სხვადასხვა მცენარეული საშუალებები, მათ ბიოლოგიურად აქტიურ დანამატებსაც უწოდებენ. ისინი შეიძლება შეგვხვდეს ტრადიციული აბების, ტაბლეტების, კაფსულების, წვეთების, საკვებში შესარევი პუდრის და სასმელების სახით. ყველაზე პოპულარული დანამატების რიცხვშია D ვიტამინი, კალციუმი, რკინა, თევზის ქონი, ომეგა 3. ვიტამინებისა და მინერალების დანამატის სახით მიღება ხშირად მართლა აუცილებელია, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ “ბევრი” არ ნიშნავს “უკეთესს”. არასწორმა დოზირებამ ორგანიზმს შესაძლოა სერიოზული საფრთხე შეუქმნას. განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო ცხიმში ხსნადი – A, D, E და K – ვიტამინების მიმართ. მაგალითად, ჭარბი A ვიტამინი ღვიძლში აკუმულირდება და შესაძლოა, ძლიერ დააზიანოს. ორგანიზმში აკუმულირებისა და ტოქსიკური დონის მიღწევის უნარი



ცხიმში ხსნად დანარჩენ ვიტამინებსაც შესწევს. წყალში ხსნადი ვიტამინები, მაგალითად, B და C, ამ მხრივ საშიში არ არის – ისინი ორგანიზმში არ გროვდება, მათი ჭარბი რაოდენობა შარდთან ერთად ისევ გარეთ გამოიდევენება სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ მინერალბ-საც. მაგალითად, კალციუმისა და რკინის დოზის გადაჭარბებამ შესაძლოა ცუდი შედეგი გამოიღოს.

სასურველია მიიღონ მცენერეულ ექსტრაქტზე დამზადებული საკვები დანამატების შემცველი პროდუქტები. მაგალითად თუ გამოიყენებთ საკვები დანამატის სახით სამკურნალო მცენარე ბალბას რომლის შემადგენლობაში შედის ისეთ ქიმიურ კომპონენტები, როგორცაა C ვიტამინს, A ვიტამინს, კაროტინს, ლორწოვან ნივთიერებებს, ცხიმოვან მჟავებს და ასევე ანტოციანურ გლიკოზიდ მალვინს. ორგანიზმის ზრდას და ჯანმრთელობის შენარჩუნებაში ვიტამინი C დიდ გავლენას ახდენს. ვიტამინი C იცავს და ეხმარება ორგანიზმს ორგანიზმს ტოქსინებისაგან, „სტრესული“ ჰორმონების გამოყოფისაგან რომლების მეტაბოლიზმის პროცესში წარმოიქმნება. იგი მონაწილეობს ორგანიზმის სხვადასხვა ფუნქციებში მაგალითად: ცხიმების და ცილების შეთვისებაში, სისხლძარღვების კედლის გამაგრებაში, ჭრილობების შეხორცებაში.

სამკურნალო მცენარე ბალბა, ასევე შეიცავს ცხიმოვან მჟავებს :

1. მარტივ ლიპიდებს, რომელიც იყოფა:
 - ა. ნაჯერი ცხიმები მაგ: ლიმონმჟავა,
 - ბ. პოლინაჯერი მჟავები მაგ: ომეგა VI და ომეგა III,
 - გ. მონოუჯერი ცხიმები მაგ: ოლეინის მჟავა

რომლებიც წარმოადგენს ადამიანის ორგანიზმის ფუნქციონირებისათვის აუცილებელ ცხიმებს.

2. გლიცერიდები: მონო, დი და ტრიგლიცერიდები. ისინი ადამიანის ორგანიზმში ენერჯის წყაროს წარმოადგენს.

3. ფოსფოლიპიდი - რომელიც ბიოლოგიური მემბრანის მთავარი შემადგენელი ნაწილია.

4. სფინგოლიპიდი - რომელიც წარმოადგენს უჯრედშორისი ლიპიდური ცემენტის ნაწილს.

5. გლიკოლიპიდი -რომელიც მდებარეობს უჯრედის მემბრანის ზედაპირზე.

6. სტეროლი-რომელიც შედიან ბიოლოგიური მემბრანების შემადგენლობაში.

7. ქოლინი- ქოლინი B ჯგუფის ვიტამინია,

8. ტანიდები.

როგორც ყველა ანტიოქსიდანტი, მალვინიც გამოირჩევა თავისი სამკურნალო თვისებებით. მას შეუძლია თავიდან აიცილოს უჯრედის დაზიანება, რასაც იწვევს ქიმიკატების შეხება ჟანგბადთან. ანტიოქსიდანტ მალვინს შეუძლია კიბოს თავიდან აცილება. რადგანაც ძლიერი ანტიოქსიდანტია. ის აგრეთვე გამოიყენება ოფთალმოლოგიაში მკურნალობის მიზნით და კოსმეტოლოგიაში, როგორც დამატენიანებელი, ე.წ ლიპინგის მიზნით. მალვა სილვერიტი ტრადიციულად გამოიყენება ღვიძლის დაავადებების მკურნალობისთვის.

სანამ რომელიმე დაავადების პრევენციის ან ჯანმრთელობის განმტკიცების მიზნით ხელოვნური საკვები დანამატების მიღებას დაიწყებდეთ, სასურველია, მათი რეალური საჭიროებისა და თანხლები რისკის შესახებ კარგად გავერკვეთ. სასურველია მიიღოთ არატოქსიკუ-



რი და ჯანსაღი პროდუქტები, რომლებიც დამზადებულია ეკოლოგიურად სუფთა გარემოსა და მცენარეებით.

ლიტერატურა

1. რ. გაფრინდაშვილი „კვების პროდუქტების დანამატები„ ტექნიკური უნივერსიტეტი. თბილისი 2007 ქელი.
2. ნ. ცუცქერიძე „ბალბა (Malva sylvestris)-ის ქიმიური შედგენილობის შესწავლა“ ნოვაცია №24 გვ 41
3. Принципы оценки безопасности пищевых добавок и загрязнителей в продуктах питания. Гигиенические критерии состояния окружающей среды. – Выпуск 70.- ВОЗ, Женева, 1991.
4. Оценка некоторых пищевых добавок (Тридцать седьмой доклад Объединенного комитета экспертов ФАО/ВОЗ по пищевым добавкам). Серия технических докладов ВОЗ. № 806, Женева, 1994.
5. Пищевые продукты и пищевые добавки. Определение безопасности и эффективности биологически активных добавок к пище. Указание Министерства здравоохранения РФ. 15 октября 1998 г. № МУК 2.3.2. 751-98.
6. А. Т. Солдатов, Н. М. Колядина, Ле Туан Ань, В. Н. Буянов. Основы органической химии пищевых, кормовых и биологически активных добавок.

Nutritional Supplements Classification and nutrition as prospects for nutritional supplement use

N. Tsutskiridze

Akaki Tsereteli State University

Summary

There are still many global problems facing the world, such as providing high quality healthy food to the first people. If you use a nutritional supplement called medicinal herb Balb, which contains various beneficial substances and also anthocyanin glycoside Malvin, as all antioxidants, Malvin is also known for its medicinal properties. It can prevent cell damage and is also used to treat liver diseases.

Studying the influence of planting material on strawberry production using the example of llc “adina” greenhouse facility

N. Tskitishvili, R. Kopaliani

Akaki Tsereteli Stare University

The article describes the factors affecting the increase in the yields of common garden strawberry, depending on the kinds of seedlings. The role of the composition of a substrate in growing of the tray (try) seedlings is shown. The individual components of the substrate are also described. Using the example of the studies of wild strawberries of the varieties of the Eliana and Sweet Charlie varieties grown in LLC Adina, there is shown feasibility of using "frigo" plants of the categories A+ and WB for crop planning in the first year of planting, and plants of the categories A- and A are preferable for finishing growing. It has been established that the best substrate for growing the tray (try) seedlings is a mixture of coconut with perlite and peat

Common garden strawberry (*Fragaria Ananassa Duch*) is a very popular berry in the world, owing to its gustatory qualities, healing properties and nutritional value.

Strawberry is one of the most economically viable berries. When applying the intensive agricultural technology, and with competent selection of the varieties, the level of its profitability can be very high. Yield potential in strawberry in open ground is usually 25-30 t/ha. However, in Georgia, the yield indicator is 4-5 t/ha that can be explained by the lack of seedlings of high-yielding varieties in the local market and the use of poor-quality planting material.

In this regard, in order to achieve higher yield and expand the range of berries, including strawberries, in Georgia, during the period of 2015-2019, with the support of the Ministry of Agriculture, the state program for supporting farmers “Plant the future” was actively implemented.



One of the important factors in increasing the yield of strawberries is the selection and use of high-quality planting material. In our country, there are mostly used the “fresh bare rooted plants”. Planting of such seedlings in the ground should be carried out immediately after removing them from the soil in autumn or early spring. Autumn planting of fresh bare rooted plants is more preferable, because owing to high humidity in autumn, they are taking root better.

It should be noted that both autumn and spring fresh bare rooted strawberries have a number of shortcomings.

For example, for autumn planting, seedlings should be dug up already in early autumn. By this time, the root system is fairly well-developed, and an acceptable diameter of the crown is seen only in plants in the first three internodes of the stolon. This reduces the number of seedlings ready for replantation. Also, the need for taking the roots, draws energy from the plant, which weakens the reproductive bud set and the accumulation of carbohydrates. Therefore, the yield in the first year of planting is very low. The massive fructification begins in the second year of planting, and for farmers this means a waste of time.

During spring planting, the root system of fresh seedlings is better developed than in autumn, but stress during planting combined with a possible lack of moisture, also prevents achieving high yields in the first year of planting

The reason for poor acclimatization of this type of seedlings consists in a brief period of time for digging, sorting, pre-plant treatment and planting, which results in a delay in planting and poor acclimatization of seedlings [1].

The introduction of intensive technologies in strawberry growing involves the use of frozen (frigo) seedlings. Making of frigo seedlings begins in the second half of November, at a temperature of +14 °C and lower. At this time, plant moves into a state of dormancy: metabolism of plants slows down and carbon outflows into a rhizome, and a low temperature and short daylight hours contribute to the differentiation of generative buds from 1 to 5, depending on the variety of strawberries.

For the production of "frigo" plants, the dug-out plants are completely cleaned of leaves, sorted, treated and stored in the fridges at a temperature of + 2 °C. At this temperature, the vegetative growth of plant completely stops and the reproductive bud set are completely stunted. If all storage conditions were fulfilled, the frozen roots can survive for up to nine months. When it's time to plant, they are defrosting and planting in the soil.

After planting in ground, and until complete rooting, plants must be moistened abundantly. A few days after planting, the first leaves appear, and after 2-2.5 months, fructification begins.

Frigo plants take root and grow the leaf mass faster than “fresh bare rooted plants”, because large reserves of nutrients in frozen plants allow for faster starting life-sustaining activities after planting. These qualities of frigo plants make it easier for farmers to plan the production of fresh berries.

Depending on a diameter of the crown, Frigo plants are usually divided into 4 categories as follows: (A-), (A), (A+), (WB).

The crown diameter of plants of the category (A-) is 6-8 mm. Plants of this category form only one flower-bearing stem, and they are used mostly for achieving the yields in the following years after planting. For this, the flower-bearing stems are regularly removed at the beginning of planting.

The crown diameter of plants of the category (A) is 8-12 mm. With proper replantation and care, fructification in such plants begins in the year of planting. They give 1-2 flower-bearing stems and a minimum productivity of 50-70 g per plant.

The crown diameter of plants of the category (A+) is 12-15 mm. These seedlings can be stored longer as compared to the other categories; therefore, they are especially valuable for planting large plantations with late planting. Although their cost is much higher than others, plants are fruiting well (productivity 150-250 g), and they well worth all the costs.

The crown diameter of plants of the category (WB) «waiting bed» is 18 mm and over. Plants



form 2-3 crowns and several flower-bearing stems, which increases their yield to 250-300 g of berries per bush, depending on the variety. They are used mostly for the planned period of obtaining berries (40-50 days after planting) in open ground and in the greenhouses [5, 6].

One of the shortcomings of "frigo" plants is the complexity of planting. Plants should be planted very carefully so that the roots do not bend, and the crown is not deepened too much into the soil. Due to carelessness when planting, loss of seedlings can amount to 30% of the total mass. There is a high risk of loss of seedlings due to the fact that they cannot be kept long in a defrosted state, and they must be immediately planted in the ground.

One of the varieties of modern planting material for common garden strawberry is tray or potted plants with a closed root system. The advantage of such plants in comparison with frigo and fresh bare rooted plants is that they are taking root faster after replanting, and they begin earlier to grow and bloom, and accordingly they have earlier harvest.

Plants grown in trays are less dependent on watering after replanting. Because an active root system during replanting into the soil, or the substrate is not damaged and quickly takes root, while when replanting "frigo" plants within 1-2 weeks (depending on weather conditions), it is necessary to apply irrigation by sprinkler until complete rooting [2].

One mother plant can produce more than 20 runners. In order to plant them, it is necessary to use the plastic trays. The optimal cell capacity is considered to be 150-200 cm³. Smaller capacities negatively affect the formation of the plant root system.

The well-developed seedling roots completely fill the cell and are easily separated from the tray, therefore plant can be planted in open ground or in a greenhouse without damage. If the planting needs to be postponed, the finished seedlings can be stored in the fridge. Usually, the thickness of the crown of such seedlings reaches 10-11 mm, and they have one or more reproductive buds [2, 3, 4].

In addition to the above, the tray seedlings have a number of advantages that positively affect their productivity.

Stolons for the tray seedlings are grown mostly in the greenhouses in a sterile substrate, which ensures the absence of soil pathogens, as well as pests, which are viral disease carriers.

It should be noted that growing of seedlings with an bare root system requires from 4 to 7 months, while the tray seedlings can be obtained using greenhouses for 3.5-4 weeks

The total strawberry yield, as well as a high quality of berries when using the tray seedlings, is significantly higher than when using frigo plants or the fresh bare rooted plants.

The only shortcoming of the tray seedlings is a high cost and complexity of transportation.

An important role when growing seedlings with a closed root system is a selection of the planting mixture (substrate). The mixture (substrate) used for taking the root may be composed of a coconut fraction with agroperlite, high-moor peat with agroperlite or a coconut fraction with peat and agroperlite, which allows for creating an optimal environment for growth of root.

The coconut fraction is made of crushed coconut shell and coconut fiber. It has a neutral chemical composition and is characterized by high air permeability. These properties make coconut an indispensable component for the substrates.

Peat contains essential organic and nutritional substances. Its use as one of the components of a substrate improves the mineral composition of the latter.

The use of agroperlite as a component of a substrate significantly improves the mechanical properties of the mixture. Owing to the high drainage properties of agroperlite, it is possible to avoid rotting of seedlings.

In the greenhouse facility of LLC Adina, we conducted studies of fructification of the different categories of strawberry "frigo" plants of the Elsanta and Sweet Charlie varieties. The data obtained are shown in table 1.



At the next stage of the work, we studied the effect of the composition of a substrate on rooting of the runners. As a substrate, we used coconut fiber, peat, peat + perlite (percentage ratio 50:50), coconut + perlite + peat (percentage ratio 50:30:20). The runners were taken from mother plants grown according to hydroponic technology using the fog-forming system “fogger”. The results are presented in Table 2.

Table 1. Figures of the first year of fructification of strawberries of the Elsanta and Sweet Charlie varieties, using the various categories of “frigo” plants.

Planted material category	Number of berries, pieces/per bush		Average mass of berries, g		Yield, t/ha	
	Elsanta	Sweet Charlie	Elsanta	Sweet Charlie	Elsanta	Sweet Charlie
WB	23	25	15,6	16,1	20	21
A+	18	20	15,2	15,8	18	19
A	14	16	13,8	14,5	10,6	12
A-(B)	7	8	13,1	14,2	7,8	9

As shown Table, by the size of berries and their number per plant, the difference between the varieties themselves is subtle. The weight of marketable berries and the total yield of seedlings of the categories WB and A+ in the first year of fructification are significantly higher than in the remaining categories, which clearly shows the feasibility of using these seedlings for crop planning in the first year of planting, while seedlings of the categories A- and A are better to grow, by removing the first flower-bearing stems, and to plan the massive fructification in the second year of planting.

Table 2. Figures of the yield of the tray (try) seedlings, using the substrates with different compositions

Substrate's composition	Share of the rooted runners, %	
	Elsanta	Sweet Charlie
Coconut	85	86
Peat	60	63
Peat + Perlite	80	82
Coconut + Perlite + Peat	93	95

The results show that the highest rooting rate of the runners of both varieties of strawberries is observed in a substrate “coconut fiber + perlite + peat”. This is due to good air permeability of coconut fiber, the water-holding and drainage properties of perlite, as well as the mineral composition of peat. The lowest rooting percentage of a substrate composed only of peat is due to its low drainage property, despite high amount of minerals in peat, plants were dying due to a high moisture content in a substrate.

Thus, when planning high yields in the first year of planting, the seedlings with a closed root system or frigo plants of the categories A + and WB are preferable, while when growing seedlings with a closed root system (tray plants), as a substrate, it is better to use a mixture of coconut, peat and perlite.

REFERENCES

1. Complete guide on common garden strawberry [Electronic resource]. – Page mode: <http://legkovmeste.ru/ogorod/sadovaya-zemlyanika-kleri-rekomendatsii-povyirashivaniyu> (08.11.2017)
2. Strawberry Growth, Development and Diseases. Edited by Amjad M. Husaini and Davide Neri 352 pages ISBN-10: 1780646631 ISBN-13: 978-1780646633
3. «Strawberries» S.A. Khapova. -64p. ISBN: 978-5-93395-270-1 16.05.2012.
4. Beloshapkina O.O. Healthy planting material of strawberry: success formula. /O.O. Beloshapkina, E. R. Batrak, I.I. Khanzhnyan //Plant protection and quarantine.- 2001.- No. 8. - p. 23
5. Bosyi O.V. The kinds of planting material of strawberry and the features of their use in the intensive technologies // O.V. Bosyi //Chief agronomist. - 2009. – No.1. - pp.45-46



6. Kozlova I.I. Manufacturing technology of the highly productive seedlings and the range of strawberries for the different cultivation systems /I.I. Kozlova // Chief agronomist. - 2010. – No.3. - p. 23

**სანერგე მასალის გავლენის შესწავლა მარწყვის პროდუქტიულობაზე
(სანერგე-სასათბურე მეურნეობა შპს „ადინა“-ს მაგალითზე)**

ცეციტიშვილი ნ., კოპალიანი რ.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
რეზიუმე

სტატიაში განხილულია სხვადასხვა სახის სანერგე მასალის გავლენა მარწყვის მოსავლიანობაზე. ნაჩვენებია სუბსტრატის შემადგენელი ნაწილების როლი კასეტური ჩითილების გამოყვანაში. დახასიათებულია სუბსტრატის ცალკეული კომპონენტები. შპს „ადინა“ ში გაშენებული მარწყვის „ელსანტასა“ და „სვით ჩარლის“ ჯიშების კვლევის შედეგად განსაზღვრულია, რომ მაღალი მოსავლის მისაღებად დარგვის პირველივე წელს მიზანშეწონილია A + და WB კატეგორიების "ფრიგო" ნერგების გამოყენება, ხოლო A- და A კატეგორიების ნერგების-დარგვიდან მეორე წელს. დადგენილია, რომ კასეტური ჩითილებისათვის ზრდის საუკეთესო სუბსტრატი არის ქოქოსის ნარევი პერლიტთან და ტორფთან.

Investigating quality and safety indicators of common garden strawberry fruits growing in western georgia

N. Tskitishvili

Akaki Tsereteli State University

There were studied, determined and described the chemical composition, basic physicochemical indicators and organoleptic characteristics of common garden strawberry growing in various regions of western Georgia. It has been demonstrated that the concentrations of the toxic elements and pesticides in strawberry fruits are within acceptable limits. The data obtained indicate their high quality, environmental safety and sanitary and hygienic well-being.

The human diet should be based on products that provide the body with energy and biologically active substances, as well as excrete food metabolites and poisonous substances from it.

Identification and use of environmentally friendly locally cultivated plant raw materials in food production as the source of biologically active substances and minor food components is an immediate problem whose solving will contribute not only to a rational use of raw natural resources, but also to most complete satisfaction of the needs of the people in various and high-quality general- and functional-purpose foods.

Promising crops for their involvement in the production of high-quality foods based on local plant raw materials are berries, in particular common garden strawberry. Its fruits contain sugars, organic acids, as well as nitrogenous, pectin, tanning and coloring substance, and bioflavonoids. It is quite favorably balanced with vitamin-mineral components. Common garden strawberry is a valuable source of vitamin C, its fruits contain vitamins E, carotene, B9, PP, B2, K, P. It also contains phosphorus, calcium, potassium, magnesium, iodine, and iron [1,4].

It should be noted that despite a sweet taste, strawberry has a sugar-lowering effect. A positive impact of common garden strawberry on human health is due to its hematopoietic and diuretic effects. Its use improves a neurological function, regulates the cholesterol content, and promotes osteoporosis prevention. The link has been established between the antioxidant content in strawberry and reduction in the incidence of chronic pathologies [3,4].

The aim of this paper was to investigate the quality and food safety indicators of strawberry fruits



growing in western Georgia.

Subjects of the investigation were fruits of common garden strawberry variety Albion of the strawberry 2019 harvest growing in Samtredia, Chokhatauri and Keda districts. Organoleptic and physicochemical quality indicators of the variety under investigation are presented in Table 1.

The figures in table indicate that fruits from different growing locations were not significantly different from each other in organoleptic parameters, and they had the appearance, shape, color, gustatory and flavoring qualities of this type of fruit. At the same time, berries growing in Keda district were slightly different in size, color and taste. Their larger size and lighter color can be explained by the fact that during the growing season and ripening stage of berries in Keda district, the air temperature is 6-8 °C lower than in Samtredia and Chokhatauri districts, which affects these indicators.

Table 1. Quality indicators of common garden strawberry fruit

Indicators	Growing locations of strawberry		
	Samtredia district	Chokhatauri district	Keda district
Organoleptic parameters:			
Appearance	Oblong fruits, regular conical shape with a cup	Oblong fruits, regular conical shape with a cup	Oblong fruits, regular conical shape with a cup
Berry size	25-30 g	25-30 g	35-40 g
Color	Glossy bright red	Glossy bright red	Glossy hot pink
Consistency	Thick berry, with a soft rich flesh.	Thick berry, with a soft rich flesh.	Thick berry, with a soft rich flesh.
Taste	Sweet, with a strongly-marked strawberry aroma	Sweet, with a strongly-marked strawberry aroma	Sour-sweet, with a strongly-marked strawberry aroma
Ripeness level	Salable	Salable	Salable
Physicochemical indicators			
Water, %	83,5	84.36	84,12
Proteins, %	0,9	0,8	0,75
Total sugar, %	6,5	6,1	5,6
Ash, %	0,37	0,32	0,38
Acidity (by malic acid), %	0,9	0,95	1,02
Sugar-acid index	7,2	6,4	5,4

Depending on growing location, the protein content in fruits is 0.75-0.9%, the ash content is 0.32-0.38%. Soluble solids in berries are mainly carbohydrates. The sugar content is 5.6-6.5%. The sugar-acid ratio, which reflects gustatory qualities of strawberry fruits, is higher for berries growing in Samtredia district.

In the conditions of present-day, when dangerous for human life and health substances resulting from human activities are constantly in the living environment, the safety of food raw materials is becoming one of the most pressing issues.

In this regard, we have investigated safety indicators of common garden strawberry fruits. The results are given in Table 2.

The figures in table indicate that the concentrations of the toxic elements and pesticides in strawberry fruits growing in different regions of western Georgia are within acceptable limits [2], indicating their environmental safety and sanitary and hygienic well-being.

The literature data set and the results we have obtained allow us for concluding that strawberry fruits are healthy therapeutic and dietary-purpose foods product for medical, preventive and dietary purposes, which could have a positive effect on the human body.



Table 2. Strawberry fruit safety indicators

Indicator name	Allowable levels	The actual content		
		Samtredia district	Chokhatauri district	Keda district
Toxic elements, mc/kg, max				
Lead	0,4	0,04	0,027	0,12
Arsenic	0,2	<0,02	<0,4	<0,4
Mercury	0,02	<0,00002	<0,00002	<0,00002
Cadmium	0,03	0,01	0,09	0,11
Pesticides, mc/kg, max				
Hexachlorocyclohexane	0,05	<0,002	<0,001	<0,001
DDT and its metabolites	0,10	<0,007	<0,007	<0,007

References

1. Skurikhin I.M. Chemical composition of foods/I.M. Skurikhin – M.: Food Industry, 1979. – 247 p/
2. Health and hygiene rules and standards “Hygienic requirements of safety and nutritional value of foods”. Sanitary Regulations and Norms 2.3.2.1078-01“M.: INFRA-M, 2002.
3. Expert examination of fresh fruits and vegetables / G.V. Plotnikova [and others]. - Novosibirsk: Siberian University Press, 2004. - 522 p.
4. Strawberry Growth, Development and Diseases. Edited by Amjad M. Husaini and Davide Neri 352 pages ISBN-10: 1780646631 ISBN-13: 978-1780646633

დასავლეთ საქართველოში მოყვანილი მარწყვის ნაყოფის ხარისხისა და უსაფრთხოების მაჩვენებლების შესწავლა ცქიტიშვილი ნ.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
რეზიუმე

შესწავლილია დასავლეთ საქართველოში მოყვანილი მარწყვის ქიმიური შედგენილობა, განსაზღვრულია მისი ძირითადი ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებლები, აღწერილია ორგანოლექტიკური მახასიათებლები. ნაჩვენებია, რომ ტოქსიკური ელემენტებისა და პესტიციდების შემცველობა მარწყვის ნაყოფში არ აღემატება ზღვრულად დასაშვებ ნორმებს. მიღებული მონაცემები მიუთითებს მარწყვის გამოსაკვლევ ნიმუშების მაღალ ხარისხზე, ეკოლოგიურ უსაფრთხოებასა და სანიტარულ-ჰიგიენურ საიმედოობაზე.

არაპარაზიტული დაავადებები - „ავადმყოფი მცენარის“ მიღების ფაქტორი

მოწენიძე ნინო
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

„ავადმყოფი მცენარის“ ჩამოყალიბებაში ერთ-ერთი უარყოფითი როლი ეკუთვნის არაპარაზიტულ დაავადებებს. მათ მიეკუთვნება: ტემპერატურული პირობებით, წყლის ბალანსის დარღვევით, სინათლის სიმცირითა თუ სიჭარბით, ნიადაგში საკვები ელემენტების ნაკლებობით გამოწვეული დაავადებები. ასევე, უნდა აღინიშნოს მოსავალზე საწარმოო ნარჩენებით მიყენებული ზიანი. ტემპერატურის გავლენას განიცდის მცენარის ყველა ორგანო: ტოტები, ყლორტები, ფოთლები, ყვავილები, იშვიათად ფესვებიც და ა.შ. თითოეული ორგანოს დაავადება თავისებური გარეგნული სახით ხასიათდება. მათი განხილვის დროს ეს ავადმყოფობები ორ ჯგუფად უნდა დავყოთ: პირველია ტემპერატურის სი-



ქარბით გამოწვეული ავადმყოფობები, მეორე - ტემპერატურის ნაკლებობით გამოწვეული ავადმყოფობები. წყლის რაოდენობის ცვალებადობაზე არის დამოკიდებული მცენარის განვითარება; იგი შესაფერად რეაგირებს წყლის სიჭარბესა და სიმცირეზე. მეტეოროლოგიურ ფაქტორთაგან მცენარეთა ნორმალურ განვითარებაზე მოქმედებენ ქარი, სეტყვა და მზიანი სხივები. მარილების სიმცირითაა გამოწვეული სხვადასხვა მცენარის ჯუჯობა, ნაგალობა ანუ განუვითარებლობა. ეს მოვლენა გავრცელებულია როგორც ერთწლიან მცენარეებში ისე მრავალწლიან ხეხილსა და ტყის ჯიშებში.

მცენარის ავადმყოფობის დამახასიათებელ ერთ-ერთ თვისებად მოსავლიანობაზე გავლენა უნდა ჩაითვალოს, რაც მის შემცირებაში გამოიხატება. მოსავლიანობაზე ასეთი უარყოფითი გავლენა სხვადასხვა სიძლიერით ყველა მცენარეზეა შემჩნეული და დამოკიდებულია როგორც თვით მკვებავი მცენარის აგებულებაზე, ასევე, პარაზიტის ბიოლოგიურ თვისებებზე და მცენარის დაავადებებისათვის გარემო ხელშემწყობ პირობებზე. „ავადმყოფი მცენარის“ ჩამოყალიბებაში ერთ-ერთი უარყოფითი როლი ეკუთვნის არაპარაზიტულ დაავადებებს. მათ მიეკუთვნება: ტემპერატურული პირობებით, წყლის ბალანსის დარღვევით, სინათლის სიმცირითა თუ სიჭარბით, ნიადაგში საკვები ელემენტების ნაკლებობით გამოწვეული დაავადებები. ასევე, უნდა აღინიშნოს მოსავალზე საწარმოო ნარჩენებით მიყენებული ზიანი.

ტემპერატურული პირობებით გამოწვეული ავადმყოფობები ბუნებაში ძალიან გავრცელებულია, მეტადრე იმ ადგილებსა და რაიონებში, სადაც ოროგრაფიული და კლიმატური პირობების მრავალფეროვნებაა. ასეთი სხვადასხვაობა ხშირად ხელს უწყობს ნორმალური ტემპერატურის უეცარ ცვალებადობას; ხდება ტემპერატურის როგორც ერთბაშად დაცემა, ასევე ამადლება. ტემპერატურის ცვალებადობის გავლენას მცენარე განიცდის თავისი განვითარების ყველა ფაზაში, დაწყებული შესვენების მდგომარეობიდან (მაგალითად, თესლი), ვიდრე სავსებით განვითარებულ მცენარემდე. ტემპერატურის გავლენას განიცდის მცენარის ყველა ორგანო: ტოტები, ყლორტები, ფოთლები, ყვავილები, იშვიათად ფესვებიც და ა.შ. თითოეული ორგანოს დაავადება თავისებური, გარეგნული სახით ხასიათდება. თითოეული ორგანოს დაავადება თავისებური გარეგნული სახით ხასიათდება. მათი განხილვის დროს ეს ავადმყოფობები ორ ჯგუფად უნდა დავყოთ: პირველია ტემპერატურის სიჭარბით გამოწვეული ავადმყოფობები, მეორე - ტემპერატურის ნაკლებობით გამოწვეული ავადმყოფობები.

ყურადღება უნდა მიექცეს ტემპერატურის ისეთ დონეს, რომელიც იწვევს მცენარის ნაწილობრივ ან მთლიან სიკვდილს. minimum-თან და maximum-თან დაახლოებული ტემპერატურა, საზოგადოდ, მცენარის შესუსტებას და ცუდ ზრდას იწვევს. ამ პირობების შეცვლის შემდეგ მცენარე ისევ ნორმალურ სახეს იღებს. აღმონაცენების და ახალგაზრდა ნერგების დაწვა სოფლის მეურნეობის პრაქტიკაში ხშირი მოვლენაა. გარეგნულად აღმონაცენების დაწვა შემდეგში მდგომარეობს: ახალი აღმონაცენები, როდესაც ნაზია და კარგ პირობებში იმყოფებიან, ამართულად დგანან. დიდი სიციხეების გამო დაიწყება ზოგიერთი ჩაწოლა ნიადაგზე იმავე სახით, როგორც Pythium-ით დაავადების დროს. შეუჩვეველი თვალისათვის მათ შორის განსხვავება ძნელი შესამჩნევია, მაგრამ როდესაც რამდენჯერმე შეხვდება მეურნეს, შემდეგ იგი ადვილად გამოარჩევს მათ გარეგნული სახით: Pythium-ით დაავადების დროს, რადგან გამომწვევი ორგანიზმი ნიადაგში ცხოვრობს. ერთი ადგილიდან იწყება ნერგების დაავადების კერა და კალოებისათვის მოტიტვლებული ადგილები ვითარდება.

დიდი სიციხეების დროს ყლორტების და ფოთლების დაწვა შედარებით ხშირად გვხვდება. ყლორტებისა და ფოთლების დაწვა ერთი და იგივე მოვლენით არის გამოწვეული: ზაფხულის განმავლობაში ძლიერი სიციხეების დროს, მცენარის ძლიერი ტრანსპირაციის გამო, ფეს-



ვის სისტემის მიერ ველარ იქნება წყლის მარაგი; საერთოდ, წყლის ცირკულაციის წონასწორობის დარღვევის გამო, მცენარის სხეულზე ხდება ტოტებისა და ფოთლების დაწვა - ხმობა.

დაწვისათვის ხელისშემწყობ პირობად ითვლება წვიმიანი და სიციხიანი დღეების მკვეთრი ცვალებადობა: დიდი წვიმების გამო ნიადაგში ჭარბი სინესტე იქმნება, რაც მცენარის სწრაფ ზრდას იწვევს. სწრაფი ზრდის შედეგად მცენარის ქსოვილები ვერ ასწრებს დასრულებას, უფრო ნაზი და ფხვიერია, ამიტომ ძლიერი ტემპერატურის მოქმედების გამო იწვევა. ტემპერატურის სიმცირით გამოწვეული ავადმყოფობანი უფრო მრავალი სახისაა ტემპერატურის სიჭარბით გამოწვეულ ავადმყოფობებთან შედარებით. საზოგადოდ, დაბალი ტემპერატურის მოქმედებამ შეიძლება ზოგ შემთხვევაში მცენარის ორგანოების სიკვდილი არ გამოიწვიოს, არამედ მხოლოდ საერთო განვითარებაზე იმოქმედოს; ამის საილუსტრაციოდ შეგვიძლია მოვიყვანოთ ბარის მცენარეების გადატანა მთაში, რომლებიც მთის შედარებით ცივ ჰავას შეუგებელი არ არიან და მათი აკლიმატიზაცია ახალ პირობებთან არ არის დასრულებული: ამის გამო მცენარე თავიდანვე კარგად ვერ ვითარდება, თანდათან სუსტდება და, ბოლოს, ასეთი განუწყვეტელი განუვითარებლობის გამო, შესაძლებელია, დაიღუპოს კიდეც.

დაბალი ტემპერატურა ხშირად ვეგეტაციის ხანგრძლივობაზე მოქმედებს, ამოკლებს მას, რის გამოც მცენარის პროდუქცია მცირდება ან ფუჭდება, არაკონდიციური ნაყოფები მიიღება და უფასურდება. ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ გვიან გაზაფხულის ან ცივი შემოდგომის ნაადრევ დადგომას. ციტრუსოვანთა ნაყოფებისათვის, მაგალითად, ასეთი პირობების დადგომის გამო ვეგეტაციის საერთო პერიოდი მოკლდება, მცენარის დაზამთრებისათვის ან ნაყოფების ნორმალური მომწიფებისათვის საჭირო წლიური აქტიურ ტემპერატურათა ჯამი მცირდება, რის გამოც ნაყოფებში (მანდარინი, ფორთოხალი) შაქარი ვერ გროვდება. ასევე გვიან გაზაფხულის და ცივი შემოდგომის მოქმედება ჩაის ბუჩქის ვეგეტაციაზე. იგი მოკლდება, მცენარე დუყებს არ იძლევა, რის გამოც ჩაის ფოთლის მოსავლიანობა მცირდება. დაბალი ტემპერატურისაგან გამოწვეული ქსოვილების დაწვა მცენარის ორგანოების გაყინვით აიხსნება. გაყინვის მოვლენის ასახსნელად მრავალი თეორია არსებობს; ამათგან უფრო მიღებულია თეორია, რომლის მიხედვით გაყინვა შემდეგში მდგომარეობს: მცენარის ქსოვილები გაყინვის დროს მისი შემადგენელი უჯრედებიდან კრისტალების სახით წყალი გამოიყოფა. ამით პროტოპლაზმაში შემავალი წყალი იყოფა, რასაც პროტოპლაზმის ქიმიური ცვლილებები მოსდევს. პროტოპლაზმაში შემავალი კოლოიდური ნივთიერებები, წყლის წართმევის გამო, იჭრება, იკუმშება და ბოლოს, პროტოპლაზმა მთლიანად კვდება. პროტოპლაზმის სიკვდილთან ერთად კვდება უჯრედი და შემდეგ ყველა ქსოვილი, რომელიც ყინვისაგან დაზიანებულ არეში იყო მოხვედრილი. ამრიგად, გამოყოფილი წყლის კრისტალები ქიმიურად ცვლიან პროტოპლაზმის შემადგენლობას; ამას გარდა, მათი მოქმედება მექანიკურად არის; პროტოპლაზმაში გაჩენილი წყლის კრისტალები მექანიკურად პროტოპლაზმას აზიანებენ. დაბალი ტემპერატურის მოქმედება მცენარის ვეგეტაციის დროს ხშირი მოვლენაა და გამოწვეულია ისეთი პირობებით, როდესაც ტემპერატურა 0⁰-ზე დაბლა იწვევს. ამ შემთხვევაში იღუპება მცენარის ყველა ახალგაზრდა ორგანო, ყვავილი, ფოთოლი, ყლორტი, რომლებსაც თავისი განვითარება დასრულებული არა აქვთ.

ყინვის მოქმედებით აიხსნება მერქნიან ჯიშებზე გავრცელებული ე.წ. ყინვისეული ბზარების შექმნა, რომელიც მერქანზე გასწვრივი, სხვადასხვა სიგრძისა და სიღრმის ნაპრალების გაჩენას იწვევს. ყინვისეული ბზარების გაჩენას შემდეგი გარემოებით ხსნიან: ტემპერატურის



თანდათანობით დაწვევა ან მომატება იწვევს მერქნის თანდათანობივ შევიწროებას (ტემპერატურის დაცევის გამო) და გაფართოებას; ტემპერატურის მკვეთრად დაცემის გამო სითბო თანაბრად ვერ ვრცელდება მთელ მერქანში, რადგან იგი სითბოს ცუდი გამტარია: მერქნის პერიფერიული ნაწილი უფრო ადვილად ცივდება და ამასთან ქერქის უჯრედების შემჭიდროება მოსდევს; მერქნის შიგნითა ნაწილი კი, ვინაიდან მას ყინვის გავლენა ასცდა, ვერ ცივდება, სითბოს ცუდი გამატარებლობის გამო ვერ შევიწროვდება; მერქნის პერიფერიული ნაწილი კი ძლიერი გაყინვის გამო იჭიმება, საბოლოოდ სკდება და გრძელი ბზარები უფითარდება. მერქანზე ბზარის გაჩენას მუდამ ხმაური მოსდევს.

ყინვისაგან ზიანდება აგრეთვე მცენარის ფესვები. ეს ემართებათ, უმთავრესად, ერთწლიან მცენარეებს, როდესაც მათ აღმონაცენებს ჯერ კიდევ ღრმად არა აქვთ გადგმული ფესვები. ეს მოვლენა ხშირია შემოდგომის ნათესებში როდესაც თოვლი დნება და სიმციროს გამო მხოლოდ ნიადაგს ასველებს ფესვის არეში. ტემპერატურის შემდეგი დაწვევა იწვევს წყლის გაყინვას, რის გამოც ნიადაგის გაყინული ზედაპირი რამდენადმე მალა იწვევს და ამოგლეჯს მცენარეს, რის შემდეგ მცენარე იყინება და კვდება.

შენახული მოსვლისათვის ტემპერატურის დაწვევა საფრთხეს წარმოადგენს, მეტადრე ძირხვენებისათვის, ფესვნაყოფებისათვის, ტუბერებისათვის, რომლებიც ბევრ წყალს შეიცავენ (მაგალითად, ჭარხალი სტაფილო, ხახვი, კარტოფილი და სხვ.) დამზრალ სხვადასხვა მცენარეულ პროდუქტს სხვადასხვა სახე აქვს. ზოგი მაგრდება, ზოგი, პირიქით, რბილდება და ლორწოვანი ხდება, ზოგი თავის ქიმიურ თვისებებსაც იცვლის. მაგალითად, კარტოფილი, გაყინვის შემდეგ ტკბილი ხდება. დამზრალ ნაყოფებს შენახვის უნარი ეკარგებათ.

წყლის რაოდენობის ცვალებადობაზე არის დამოკიდებული მცენარის განვითარება; იგი შესაფერად რეაგირებს წყლის სიჭარბესა და სიმცირეზე.

წყლის სიჭარბით გამოწვეული ავადმყოფობა შემდეგი სახისაა: მერქნიან ჯიშებსა და აგრეთვე ხეხილზე, ნიადაგის წყალი ფესვების სისტემის განვითარებაზე მოქმედებს. თუ ფესვი წყალგაუვალ ნიადაგში არის მოთავსებულნი ფესვები, ნაცვლად სიღრმეში გაზრდისა, ჰორიზონტალურად ვითარდებიან ზედაპირულ ფენაში. ეს ჰორიზონტალური განვითარება გამოწვეულია წყლიან არეში ფესვის მიერ ნაკლები ჟანგბადის მიღებით, ვინაიდან აერაციის გამწვანების გამო ფესვის სიღრმეში გავრცელება, ფესვებს ჟანგბადით ვერ უზრუნველყოფს, რის შედეგადაც ფესვი უჟანგბადობისგან იზრჩობა, მცენარე კვდება. ზედმეტი წყალი და წვიმები მცენარეზე ნაყოფების მოწვევის დროსაც მომქედებს. ბევრი წყლის გამო ნაყოფები არაჩვეულებრივად იზრდება, რასაც ხშირად ნაყოფის დასკდომა მოსდევს. ამის საუკეთესო მაგალითია ყურძნის ნაყოფების დასკდომა: ხშირი წვიმების გამო ყურძნის მარცვლების სირბილეში ზედმეტი წყალი გროვდება, რაც მარცვლის შიგნიდან ნაყოფის კანზე შესაფერ წნევას ავითარება. როდესაც ნაყოფის კანის გაზრდა ჩერდება, ვეღარ უძლებს წვენის შიგნითა წნევას და მარცვალი სიგრძეზე სკდება. ასე ემართება ხშირად საზამთროსაც, პომიდორს, ლეღვს და სხვ. დახეთქილი ადგილები ხელსაყრელია სხვა გარეშე ავადმყოფობათა და ნაყოფის დამლაპობი ორგანიზმების შესაჭრელად.

სინათლის სიმცირით გამოწვეულ არანორმალურ განვითარებად უნდა ჩაითვალოს მცენარეების ეთიოლაცია. უკანასკნელი იმ შემთხვევაში ხდება, როდესაც მწვანე მცენარე სიანთლეს მოკლებულ არეშია განვითარებული. ეთიოლირებული მცენარე ქლოროფილის განვითარებლობის გამო გაწვრილებულია, გამაღლებული და გაყვითლებული. სინათლის სი-



ჭარბით გამოწვეული ავადმყოფობები ნაკლებად არის გავრცელებული და ამიტომ პრაქტიკული მნიშვნელობა არა აქვს. აღნიშნულია მხოლოდ ორი გარემოება: 1) ძლიერი განათების დროს შესაძლებელია მცენარის ქსოვილებში ქლოროფილის დაშლა მოხდეს; 2) როდესაც ჩრდილის ამტანი მცენარეები გადაგვაქვს ღია, სინათლით მდიდარ ადგილებზე, შესაძლებელია ამან მათი დაწვა გამოიწვიოს ან კიდევ მცენარე ვერ შეეთვისოს ახალ ეკოლოგიურ პირობებს და დაიღუპოს.

მეტეოროლოგიურ ფაქტორთაგან მცენარეთა ნორმალურ განვითარებაზე მოქმედებენ ქარი, სეტყვა და მეხი. ქარის მოქმედება ორგანოა: პირდაპირი და არაპირდაპირი. პირდაპირი მოქმედების დროს ძლიერი ქალის შედეგად შესაძლებელია, მაგალითად, პურეულის ჩაწოლა, სიმინდის ნათესების ჩაწოლა, თუ ყანა შემოსულია, ხორბლეულთა მარცვლის ჩაცვენა, ხეხილის ნაყოფის ცვენა (ნაქარევი). ძლიერი ქარი მრავალწლიან იმცენარეების ტოტებს ამტვრევს. იყო შემთხვევაში, როდესაც ბაკურიანი სატყეოს ცხრაწყაროს ფერდობებზე რამდენიმე ათასი სრულხნოვანი ნაძვი ქარმა ძირიანად მოთხარა.

მცენარეების მექანიკური დაზიანებათა შესახებ საერთო უნდა ითქვას, რომ მისი შედეგები დამოკიდებულია დაზიანების სიძლიერესა და ადგილზე. თუ მცენარე სუსტად ან საშუალო სიძლიერით დაზიანდა, სათანადო მოვლით მისი გამოჯანსაღება ყოველთვის შეიძლება. მითუმეტეს, რომ ბუნებაში არსებობს მცენარეთა ორგანოების რეგენერაციის კანონი, როდესაც მცენარე ივითარებს კალუსს, ანუ ნაზარდს და ჭრილობა ხორცდება.

მცენარეული ორგანიზმებისათვის საჭირო ქიმიური ელემენტები საკმაოდ მრავლარიცხოვანია. მცენარის ნორმალური ზრდა-განვითარებისათვის ყველას ერთი და იგივე მნიშვნელობა არ აქვს. არიან ისეთი ელემენტები, რომლებიც აუცილებელია მცენარებისათვის. ნაცრის ელემენტების სიმცირით გამოწვეული ავადმყოფობა შესაძლოა შემდეგი სახისა იყოს: როდესაც ნიადაგი ნაკლებ საკვებ მარილებს შეიცავს, ზოგიერთი ნაყოფი მაგრდება; ასეთი მოვლენა გავრცელებულია მსხლისა და კომშის ზოგიერთ ჯიშში: ნაყოფში მრავალი გაქვავებული კოლენქიმიური უჯრედი იქმნება და ამის გამო ნაყოფი გემოს კარგავს.

საერთოდ მარილების სიმცირითაა გამოწვეული სხვადასხვა მცენარის ჯუჯობა, ნაგალობა ანუ განუვითარებლობა. ეს მოვლენა გავრცელებულია როგორც ერთწლიან მცენარეებში ისე მრავალწლიან ხეხილსა და ტყის ჯიშებში.

ლიტერატურა

1. ალექსიძე გ., ყანჩაველი შ., კემელავა რ. ხეხილის მავნებლები და დაავადებები თბილისი 2010 წ.
2. ყანჩაველი ლ. სასოფლო-სამეურნეო ფიტოპათოლოგია თბილისი 1987წ.
3. ალექსიძე გ. მცენარეთა დაცვა თბილისი 2014 წ.

Non parasitic diseases-a factor receiving a “Sick plant”

N. Dzotsenidze

Akaki Tsereteli State University

Summary

Non parasitic diseases play one of the negative roles informing a sick plant. Such diseases include: drastic change in temperature, disturbance in water balance, scarcity or excess of soil. Affected by temperature, all organs of the plant. These diseases are divided into two groups: 1. Caused by excessive temperature and 2. Caused by low temperature. The development of the plant depends on the amount of water change. Meteorological factors affect the development of the plant: wind, hail and meadow. The lack of vegetation is caused by the underdevelopment of the plant.



ტოპინამბური - მითი და რეალობა

წიფივაძე თ., ბრეგაძე ნ.*, ჩიგოვიძე ნ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიოლოგიურად აქტიურ
ნივთიერებათა კვლევის სამეცნიერო ცენტრი
*აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ტოპინამბურის სამშობლოდ ითვლება ჩრდილოეთ ამერიკა, ეს მცენარეული კულტურა ფართოდ არის გავრცელებული კონტინენტის ჩრდილოეთიდან სამხრეთამდე და ინდიელები უხსოვარი დროიდან იყენებდნენ საკვებად [1-3].

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ტოპინამბურის უნიკალური შედგენილობა, ინულინისა და ფრუქტანების მნიშვნელოვანი შემცველობა (70%-მდე), ვიტამინებით და მინერალებით სიმდიდრე მას ახვედრებს სამედიცინო პრეპარატების, კოსმეტიკური საშუალებებისა და სამკურნალო-პროფილაქტიკური კვების პროდუქტების ერთ-ერთ ყველაზე საუკეთესო ნედლეულთა ჩამონათვალში.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ტოპინამბურმა შეიძინა მისგან სამკურნალო პრეპარატების, დიეტური, სამკურნალო-პროფილაქტიკური, საკვები და ტექნიკური პროდუქტების ფართო ასორტიმენტის მიღების შესაძლებლობის გამო. ტოპინამბურისგან წარმოებული პროდუქტები რეკომენდირებულია შაქრიანი დიაბეტის, ანემიის, ათეროსკლეროზის, ჰიპერტონიის, სიმსუქნის (ჭარბი წონის), ონკოლოგიური და ინფექციური დაავადებების დროს [4-6].

ტოპინამბურის შესწავლაში მრავალწლიანი სამეცნიერო -კვლევითი მუშაობის გამოცდილება გვამძლევს საფუძველს ოპტიმისტურად შევხედოთ მის გამოყენებას ნედლეულის სახით ახალი სამკურნალო-პროფილაქტიკური პრეპარატების წარმოებისათვის შაქრიანი დიაბეტის თერაპიაში და მივცეთ ამ მცენარეს დადებითი ანტიდიაბეტური შეფასება. ამაში ჩვენ გვარწმუნებს ტოპინამბურის ტუბერის უნიკალური ქიმიური შედგენილობა, მისი განსხვავებული ნახშირწყლოვანი კომპლექსი ფრუქტოზის პოლიმერების საფუძველზე: ინულინი და ფრუქტოოლიგოსაქარაიდები: მაკრო-, მიკრო- და ულტრამიკროელემენტების (პერიოდული სისტემის 40-ზე მეტი ქიმიური ელემენტი) არსებობა, ასევე ცილები, პექტინური ნივთიერებები, ვიტამინები, ამინომჟავები, მრავალფუძიანი და ცხიმოვანი მჟავები, უჯრედისი და სხვ.[7-8].

განსაკუთრებით გვინდა აღვნიშნოთ, რომ სუფთა ინულინის შაქრის დამწევი ეფექტი გამოსახულია ნაკლები ხარისხით, ვიდრე ტოპინამბურისგან მიღებულ ფხვნილში. რაც ჩვენი აზრით შეიძლება აიხსნას სილიციუმის, მიკროელემენტებისა და ტოპინამბურის ფხვნილის შედგენილობაში შემავალი სხვა ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების (პოლი და ოქსიმჟავები) მნიშვნელოვანი როლით [9].

ტოპინამბურის ტუბერი აქტიურად აკუმულირებს სილიციუმს ნიადაგიდან და იგი მიეკუთვნება „სილიციუმფილურ“ მცენარეებს. სილიციუმის შემცველობა ტოპინამბურის მშრალ ნივთიერებაში არის დაახლოებით 0,8%. სილიციუმი მიჩნეულია აბსოლიტურად შუცვლელ ელემენტად, რომელიც აუცილებელია კოლაგენის - შემაერთებელი ქსოვილის ცილის - ფორმირებისათვის.

ინულინის ზოგიერთი კომპლექსური ნაერთი შეიძლება გამოყენებული იქნას როგორც სისხლის შემცვლელი, ინექციური პრეპარატი ჯირკვალში შეყვანისა და პერისტალტიკის სტიმულაციისათვის, აგრეთვე ანთების საწინააღმდეგო პრეპარატი და ა. შ. ინულინი წარმო-



ადგენს სხვადასხვა წარმოშობის ნაწლავის დისბაქტერიოზის კარგ პროფილაქტიკურ საშუალებას, რადგან ქმნის ოპტიმალურ პირობებს ნაწლავთა ნორმალური ფუნქციონირებისათვის. ამავე დროს აღინიშნება ნაწლავებიდან Ca^{2+} და Mg^{2+} - იონების ადსორბციის მატება, ქოლესტერინის დონის დაქვეითება სისხლის შრატში, კანცეროგენური და ლპობადი ნარჩენის შემცველობის შემცირება [10-11].

ზემოაღნიშნული ყველა მონაცემი მოწმობს მცენარეული ტოპინამბურისაგან დამზადებული პრეპარატებისა და სამკურნალწამლო საშუალებების გამოყენების აქტიურობასა და პერსპექტიულობას მედიცინაში.

ასე იქცა ტოპინამბურის შესახებ მითი რეალობად.

ჩვენი და უცხოელი მეცნიერების მრავალწლიანი კვლევითი მუშაობის შედეგად დადასტურებულია, რომ ტოპინამბურის ბოლქვებში პრაქტიკულად არ ხდება ნიტრატების დაგროვება, რასაც შეუძლია უჯრედთა მუტაციის გამოწვევა და შესაბამისად ონკოლოგიური პროცესების განვითარება. როგორც კვლევის შედეგად აღმოჩნდა უნიკალური ქიმიური შედგენილობის გამო ტოპინამბურს უნარი აქვს ნიტრატები გარდაქმნას არამავნე ნაერთებად და გამოიყენოს აუცილებელი ამინომჟავების სინთეზისათვის [8-9].

ტოპინამბურის ბოლქვებში მძიმე მეტალთა რაოდენობა არ მატულობს იმ ადგილებშიც კი სადაც ხელოვნურად გაზრდილია (10-15-ჯერ) ტყვიის, თუთიის, კობალტის, ნიკელის და სხვ. მეტალთა შემცველობა. ანალოგიური შედეგებია მიღებული ტოპინამბურის მიერ რადიოაქტიური ელემენტების დაგროვების უნარის შესწავლის დროს. ტოპინამბურის ზემოთ აღწერილი საოცარი თვისებები აიხსნება იმ ფაქტით, რომ მას საერთოდ არ ახასიათებს ტოქსიკური და ალერგიული მოქმედებები, ამიტომ მსოფლიო დიეტოლოგები ერთხმად აღიარებენ ტოპინამბურს უნიკალურ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტად, რომლის ხარისხი პრაქტიკულად არ არის დამოკიდებული გარემოს მდგომარეობაზე.

ტოპინამბურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თავისებურებაა მისი მიკრო- და მაკროელემენტური შედგენილობის ბალანსირება. კერძოდ, ტოპინამბურის ბოლქვები დიდ რაოდენობით შეიცავს რკინას, სილიციუმს, მაგნიუმს, კალიუმს, მანგანუმს, რომელთა დეფიციტი მნიშვნელოვნად ამცირებს ორგანიზმის იმუნური, ენდოკრინული და ნერვული სისტემების ფუნქციურ აქტიურობას, აფერხებს სისხლის მაჩვენებელს და შესაბამისად, შეიძლება გამოიწვიოს ნებისმიერი ორგანოს და სისტემის პათოლოგია.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ტოპინამბურში C და B ჯგუფების ვიტამინების საკმაოდ მაღალი შემცველობა, აგრეთვე მასში ორგანული პოლოიქსიმჟავების (6-8% მშრალი მასიდან) არსებობა (ლიმონის, ვაშლის, მჟაუნას, ქარვის, ფუმარინის მჟავები). ყველა ეს მჟავა ასკორბინმჟავასთან (C ვიტამინი) კომპლექსში ხასიათდება მკაფიოდ გამოხატული ანტიოქსიდანტური მოქმედებით. მათ უნარი აქვთ გააუვნებელყონ თავისუფალი ჟანგბადური რადიკალები და ნივთიერებათა ცვლის დაუჟანგავი პროდუქტები, რომელთა დაგროვება ორგანიზმში იწვევს მის მოწამვლას, მკვეთრად აუარესებს მრავალი ორგანოსა და სისტემის ფუნქციონირებას და შეიძლება გამოიწვიოს სიმსივნური, ანთებითი და სხვა ქრონიკულ დაავადებათა განვითარება.

კლინიკური იმუნოლოგიის მონაცემებით ტოპინამბურში არსებული ცილოვანი ნაერთები, თავისი სტრუქტურით, ახლოსაა ორთითა ჯირკვლის (თიმუსი) ცილებთან და აქვს თვისებები, რომლებიც პრაქტიკულად იდენტურია ამ ცილების თვისებების. არა მარტო ეს



განსაზღვრავს ტოპინამბურის სამკურნალო თვისებებს, არამედ, როგორც, მრავალრიცხოვანმა გამოკვლევამ გვიჩვენა ტოპინამბურის უნიკალურობა გამოიხატება მის უნარში - თავის თავში მოახდინოს იმპიათი, ბუნებრივი, ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერების - ინულინისა და პექტინური ნივთიერებების კონცენტრირება. ტოპინამბურის ბოლქვების თითქმის 20% შედგება ამ ნივთიერებისგან (ინულინისგან).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ინულინი წარმოადგენს რთულ ნახშირწყალს. ძირითადად, სწორედ ამით აიხსნება მისი ეფექტურობა. და მაინც რა ქმნის ინულინის მაღალ ღირებულებას? - ინულინის ესოდენ მაღალ ღირებულებას განაპირობებს მისი უდიდესი გავლენა ნივთიერებათა ცვლაზე. საქმე ისაა, რომ ინულინი კეთილისმყოფელ გავლენას ახდენს ადამიანის ორგანიზმზე მთელი მისი არსებობის განმავლობაში - დაწყებული კუჭ-ნაწლავში მოხვედრიდან დამთავრებული ორგანიზმიდან გამოსვლით. ინულინი მოხვდება თუ არა კუჭ-ნაწლავის ტრაქტში, მარილმჟავათი და ფერმენტებით იხლიჩება ფრუქტოზის ცალკეულ მოლეკულებად და მოკლე ფრუქტოზულ ჯაჭვებად, რომლებიც აღწევენ სისხლძარღვთა სისტემაში.

ინულინის დარჩენილი გაუხლიჩავი ნაწილი სწრაფად გამოდის ორგანიზმიდან, შეიერთებს რა ორგანიზმისათვის არასაჭირო მავნე ნივთიერებებს, ისეთებს, როგორცაა მძიმე მეტალები, რადიონუკლიდები, ქოლესტერინის კრისტალები, ცხიმოვანი მჟავები, სხვადასხვა ტოქსიკური ქიმიური ნაერთი, რომლებიც ორგანიზმში მოხვდნენ საკვებით ან წარმოიშვა მისი ცხოველქმედების პროცესში ბაქტერიებით (რომლებიც ცხოვრობენ ნაწლავებში). გარდა ამისა, ინულინი მნიშვნელოვნად ასტიმულირებს ნაწლავის (კედლის) კუმშვის უნარს, რაც შესამჩნევად აჩქარებს შლაკებისაგან, გადაუმუშვებელი საკვებისა და მავნე ნივთიერებებისგან ორგანიზმის გასუფთავებას. ანტიტოქსიკური ეფექტი ძლიერდება ტოპინამბურში არსებული უჯრედისის მოქმედების შედეგად [9-12].

ბოლო პერიოდში მრავალი ქვეყნის მეცნიერთა მიერ აღიარებულია, რომ არა მხოლოდ შაქრიანი დიაბეტის, არამედ ყველასათვის ცნობილი მრავალი დაავადების დროს, ბევრი ორგანოს უჯრედი არასრულფასოვნად ითვისებს გლუკოზას, რადგან მისი შეღწევა ორგანოში, სხვადასხვა მიზეზის გამო, გაძნელებულია. ამ დროს გარდაუვალია ენერგეტიკული უჯრედული შიმშილის განვითარება და ორგანიზმი იძულებულია გადააწყოს ნივთიერებათა ცვლა ისეთნაირად, რომ ენერჯის წყაროთა შორის პირველი ადგილი დაიკავონ ქოლესტერინმა, ცხიმოვანმა მჟავებმა, ტრიგლიცერიდებმა და სხვა ცხიმოვანი ცვლის კომპონენტებმა, აგრეთვე ამინომჟავებმა რომლებსაც შეიცავს ცილები; გარდა ამისა გლუკოზის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც არ იწვის ენერგეტიკულ ქვაბში, გარდაიქმნება ცხიმოვანი ცვლის პროდუქტებად, რაც ხელს უწყობს სიმსივნის, სისხლძარღვთა ათროსკლეროზის, გულის იშემიური დაავადების, არტერიული ჰიპერტენზიის და სხვათა განვითარებას.

ასეთი მოკლე ბიოქიმიური ექსკურსი საშუალებას იძლევა გავიგოთ ინულინის უზარმაზარი მნიშვნელობა და, შესაბამისად ტოპინამბურისაც. ბუნებრივი ფრუქტოზა, რომლისგანაც შედგება ინულინი, არის უნიკალური შაქარი, რომელსაც აქვს ნივთიერებათა ცვლის იმავე პროცესში მონაწილეობის უნარი, რომელშიც მონაწილეობს გლუკოზა და სრულფასოვნად ჩაენაცვლება მას სიტუაციებში, როდესაც გლუკოზა უჯრედებით არ შეივსება. ამიტომ ინულინის დიეტური ღირებულება ძალიან დიდია. მისი შემცველი პრეპარატების ან კვების პროდუქტების შექმნა მრავალ ქვეყანაში ითვლება მედიცინისა და ფარმაცოლოგიის ერთ-ერთ



პრიორიტეტულ მიმართულებად.

ამრიგად, ტოპინამბურის სამკურნალო-პროფილაქტიკური თვისებები განპირობებულია:

- მასში ინულინის მაღალი შემცველობით;
- მის შედგენილობაში იმ ცილების არსებობით, რომლებიც სტრუქტურითა და იმუნოლოგიური აქტიურობით თიმუსის ჰორმონის მსგავსია;
- ბალანსირებული მიკრო- და მაკროელემენტური შედგენილობით;
- B და C ჯგუფების ვიტამინების სიუხვით;
- ძლიერი ანტიოქსიდანტური მოქმედების ორგანული - ამინომჟავების შემცველობით.

ყველაფერი ზემოთქმული განაპირობებს ტოპინამბურისა და მისი წარმოებულების გამოყენების ფართო შესაძლებლობას, როგორც სამკურნალო, ისე პროფილაქტიკური მიზნით მოსახლეობის დიდი ნაწილისათვის.

ლიტერატურა

1. Топинимбур – биоэнергетическая культура XXI века. Киев-Иркутск. 1990.
2. Багаудинова Р.И., Федосеева Г.П. Рост, продуктивность и фракционный состав углеводного комплекса разных по скороспелости сортов топинамбура //Сельскохозяйственная биология, 2000. №1, С.55-63.
3. Шаталова Г. „целебное питание“, М.: Кулькура и традиции. 1995. С. 101-104.
4. Топинимбур – биоэнергетическая культура XXI века. Киев-Иркутск. 1990.
5. Алтунин Д. А., Конин С.С. „Биологическое земледелие залог здоровья наций“//Достижения науки и техники апк. -2004, №4. –С. 15-16.
6. Баделин В.ф. „Вершки и корешки топинамбура //Картофель и овощи“ 1991, №4. с.18-20.
7. Волягин А.А. „Земляная груша: топинамбур“ /Архангельск: Северное краевое изд. 1993 с. 48.
8. Герд А.А. „Топинамбур без прикрас“ //Приусадебное хозяйства. 1989, №10, с. 32-33.
9. Кочнев Н.К. „Топинамбур и экология“ тезисы докл. на III всесоюзной научно-производственной конференции. Одеса, 1991.
10. Смирнов А. И. О топинамбуре //Мир растений – М. 1998.с. 273-276.
11. Старцев В.И. Топинамбур – максимум пользы при минимуме затрат //Картофель и овощи. 1993, №9, с. 29-30.
12. Шайкин В.Г. Топинамбур удивительное растение/ В.Г. Шайкин , Т.Г. Юрищина//Картофель и овощи. 1998, №3, с. 17.

Jerusalem artichoke - myth and reality

T. Tsivtsivadze, N. Bregadze*, N. Chigogidze

Scientific Center for Biologically Active Substances of the Georgian Technical University

* Akaki Tsereteli State University

Summary

Jerusalem artichoke is considered North America. In North America, the culture of this plant is widespread on the continent and the Indians of its time immemorial eat. The unique composition of Jerusalem artichoke, a significant content of inulin and fructosans, vitamins and minerals is of exceptional interest as one of the best raw materials for medicines, cosmetics and food products of therapeutic and preventive nutrition. In addition, Jerusalem artichoke is a high-yielding crop, all parts of the plant can be used in harsh climatic conditions, which allows it to be attributed to a small class of reserve strategically important plants designed to save humanity during global cataclysms. Jerusalem artichoke is a divine gift to humanity. In the face of upcoming disasters, strong earthquakes, global warming and icing, he has the ability to remain viable.



ახალი თაობის სამკურნალო-პროფილაქტიკური კვების პროდუქტები

წივწივამე თ., ბრეგამე ნ.*, ჩიგოგიძე ნ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა კვლევის სამეცნიერო ცენტრი
*აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ტოპინამბური ცნობილია, როგორც საკვები და როგორც სამკურნალო-პროფილაქტიკური მცენარეული ნედლეული, რომელიც შეიცავს ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა უნიკალურ კონპლექსს. ტოპინამბურისაგან მომზადებული კვების პროდუქტები არამარტო გემრიელი და მარგებელია, არამედ აქვს პროფილაქტიკურ - სამკურნალო თვისებები - ორგანიზმიდან გამოაქვს მძიმე მეტალები და რადიონუკლიდები. შემუშავებულია თეთრი, რუხი და შავი პურის ტოპინამბურით გამდიდრებული ორიგინალური რეცეპტურები და ინოვაციური ტექნოლოგიები.

ტოპინამბურის ბაზაზე დამზადებული არაყი „ტოპინამბურა“, რომელიც შეიცავს ტოპინამბურის მკავურ ჰიდროლიზატს, ბუნებრივ მრავალატომიან სპირტებსა და მცენარეული ნედლეულის ეთერზეთებს, ხასიათდება მკვეთრად გამოხატული ანტიდიაბეტური თვისებებით.

ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა კვლევის სამეცნიერო ცენტრში (ხელმძღვანელი, თენგიზ წივწივამე) ბოლო პერიოდში შესწავლილია ინჟლინის შემცველი სტრატეგიული დანიშნულების სარეზერვო მცენარის-ტოპინამბურისგან (ქართული სახელწოდებით მიწავაშლა) ანტიდიაბეტური სამკურნალო პრეპარატებისა და ანტიდიაბეტური კვების პროდუქტებისათვის ბიოლოგიურად აქტიური დანამატების (ბადი) დამზადების ორიგინალური ხერხები და მეთოდები, რომლებსაც დღესდღეობით ანალოგები არ მოეპოვებათ მსოფლიოში.

მოწოდებულია ახალი ტიპის „მდოგვიანი პური“, რომელშიც გამოყენებულია დაპატენტებული ტექნოლოგიური სიახლენი (მწარმოებელი ფირმა „ივერიონი“); შემოთავაზებულია ანტიდიაბეტური რუხი პური „პიკანტური“ ბიოლოგიურად აქტიური დანამატებით (ქართული სუნელ-სანელებლები, 3-5%) რომელზედაც გაცემულია შესაბამისი სერტიფიკატი (მწარმოებელი ფირმა „ბეზეკი“); დამუშავებულია ახალი თაობის ანტიდიაბეტური თეთრი პურის „ელიტარული“ რეცეპტურა და მისი წარმოების ტექნოლოგია, რომელშიც ბიოლოგიურად აქტიური დანამატის სახით გამოყენებულია ინჟლინით გამდიდრებული ტოპინამბურის კონცენტრატი (5-7%, მწარმოებელი ფირმა „ბეზეკი“).

ტოპინამბურის ნედლეულის ბაზაზე დამზადებულია პროფილაქტიკურ-სამკურნალო დანიშნულების ორიგინალური რეცეპტურის არაყი „ტოპინამბურა“, რომელსაც აქვს არაჩვეულებრივი გემო და არომატი.

მოსალოდნელი კატაკლიზმებიდან (გლობალური დათბობა, აცივება და სხვ.) გამომდინარე, რაც მსოფლიოს უქადის უმძიმეს მომავალს და რასაც გარდაუვალად მოჰყვება პარკოსანი მარცვლეული კულტურების (ხორბლეული, სიმინდი, სოიო და სხვ.) განადგურება, წინა პლანზე დგება საკვები პროდუქტების სტრატეგიული მნიშვნელობის სარეზერვო მცენარეული კულტურების (ტოპინამბური, სტახისი და სხვ.) გამოყენების ტექნოლოგიების მოძიება-მექმნა. ასეთი მცენარეები სახამებლის ნაცვლად შეიცავენ ფრუქტოზის პოლომერულ ინჟლინს- ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებას [1,2].



დღეს განსაკუთრებით მწვავედ დგას მოსახლეობის ნუტრიენტული უზრუნველყოფის საკითხი, რამეთუ საკვები პროდუქტები, კვებით ღირებულებასთან ერთად, არეგულირებს ადამიანის ორგანიზმის მრავალრიცხოვან ბიოქიმიურ პროცესს. სხვადასხვა ტოქსიკანტის ზემოქმედებისას საჭიროა არა მხოლოდ ესენციური საკვები ნივთიერებების შევსება, არამედ საკვებში ისეთი ნივთიერებების ჩართვა, რომლებიც ხელს შეუწყობს ქიმიურად მავნე ნაერთების დეტოქსიკაციას და მათ სწრაფ გამოტანას ადამიანის ორგანიზმიდან [3,5].

ჩვენ მიერ შემოთავაზებულია სრულიად ახალი ტიპის მდოგვიანი პური, რომელიც შეიცავს ადვილად ასათვისებელ, სხვადასხვა (მცენარეული და ცხოველური) წარმოშობის ცილებსა და ბუნებრივ ანტისეპტიკურ საშუალებებს, რომელთა მოქმედების სინერგიზმი იცავს მას მავნე მიკროორგანიზმებისა და საფუარის საჭარბისაგან [6].

მდოგვიანი პურის წარმოებაში გამოყენებულია დაპატენტებული ტექნოლოგიური საი-ახლენი და „ნიუ-ჰაუ“, რაც ძირითადად განასხვავებს მას სხვა ქვეყნებში წარმოებული ანალოგიური პროდუქტისაგან, რომელშიც გამოიყენება მდოგვის ცხიმოვანი ზეთი.

ახალი ნიმუშის მდოგვიანი პური კარგად იჭერს ბმული იოდის ცილოვან მოლეკულებს, ამიტომ იოდდეფიციტის პროფილაქტიკისათვის მასში დამატებით შეტანილია ორგანული იოდის დონორი-ზღვის კომპოსტოს (ლამინარიის) ფხვნილი ან კონცენტრატი, რომელშიც შედის ბიოლოგიურად აქტიური კომპლექსები (მაკრო- და მიკროელემენტები, სტერინები, ქლოროფილის წარმოებულები და სხვ.).

შემოთავაზებული მდოგვიანი პურის მომატებული მედიკო-ბიოლოგიური ღირებულება, შენახვის ვადის ხანგრძლივობა და მაღალი ორგანოლექტიკური მახასიათებლები მნიშვნელოვნად ზრდის მის კონკურენტუნარიანობას საბაზრო ეკონომიკის პირობებში [7-10].

შაქრიანი დიაბეტის ეფექტური მკურნალობის საწინდარია კვების პროდუქტების სწორი შერჩევა. მეტად მნიშვნელოვანია არა მარტო მარტო საკვების ხარისხი (ეს თავისთავად!), არამედ კვების პროდუქტთა მრავალფეროვნებაც, დიაბეტიანთათვის დისკომფორტს ქმნის ისიც, რომ მათი ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, უნდა იკვებონ უმარილო, უგემური და უსანელებლო კერძებით.

სამკურნალო-პროფილაქტიკური კვების ახალი თაობის პროდუქტების დამზადება დღესდღეობით იქცა ხელოვნებად და შემოქმედებითი მიდგომის მუდმივ საზრუნავად. საკვები პროდუქტების წარმოება უკვე აღარ მიიჩნევა აუცილებლობად მხოლოდ სიცოცხლის შენარჩუნებისათვის, იგი გადაიქცა სტაბილური ჯანმრთელობისკენ მიმავალ მაგისტრალურ გზად.

ჩვენი ჯგუფის მიერ სიახლედ შემოთავაზებულია ახალი თაობის პური „პიკანტური“, რომელშიც შედის სერტიფიცირებული ანტიდიაბეტური დანამატები [11].

ახალი თაობის პური „პიკანტურის“ შესახებ შეიძლება ითქვას, რომ თავად სუნელთა ნარევის კონცენტრატი შედგება ანტიდიაბეტური აქტიურობის მქონე სამკურნალო მცენარეურებისაგან, რომლებიც მასტიმულირებელი საშუალებებია საკვების მონელებისა და საერთოდ ნივთიერებათა ცვლაში. ამა თუ იმ ფორმით, ისინი ხელს უწყობენ ნაწლავთა ფუნქციონირების გაუმჯობესებას. მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ აქცენტი გაკეთებულია ადგილობრივ მცენარეთა ნედლეულზე და არა უცხოურ ეგზოტიკურ სუნელებზე. რაც მომგებიანია ეკონომიკური თვალსაზრისით პურის მასიური წარმოების დროს.

მოწოდებული ახალი თაობის პური „პიკანტური“ არის მაღალი კვებითი ღირებულებით



ბის, ანტიდიაბეტური მიმართულების, შედარებით ხანგრძლივი შენახვის ვადის, არაჩვეულებრივი გემოს და შეუდარებელი არომატის მქონე პროდუქტი.

ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა კვლევის სამეცნიერო ცენტრში შემუშავებულია აგრეთვე მცენარე ტოპინამბურით გამდიდრებული (5-7%) ახალი თაობის ანტიდიაბეტური (სამკურნალო-პროფილაქტიკური) თეთრი პური „ელიტარულის“ რეცეპტურა და მისი წარმოების ახალი ტექნოლოგია [12-13].

საუკეთესო გემოსთან ერთად, ტოპინამბურის შემცველ ახალი თაობის პურ „ელიტარულს“ აქვს გამორჩეული კვებითი ღირებულება, რადგან მცენარეული ტოპინამბური შეიცავს ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა უნიკალურ კომპლექსს, რომელიც უაღრესად დადებითად მოქმედებს დიაბეტით დაავადებულებზე. რაც მთავარია, ბუნებრივ მცენარეული დანამატით - ტოპინამბურით გამდიდრებული პური „ელიტარული“ არ საჭიროებს რეკომენდაციებს დოზირებაზე ან შეზღუდვებს მოხმარებაზე, ამას წყვეტს თავად მოხმარებელი (რამდენიც სურს, იმდენი მიირთვას, რა თქმა უნდა, გონიერების ფარგლებში).

ახალი ახალი თაობის ანტიდიაბეტური პური „ელიტარულის“ მოხმარება სამკურნალო-პროფილაქტიკური მიზნით შეუძლიათ როგორც დიაბეტიანებს, ისე მომატებული „რისკ-ფაქტორის“ (სიმსუქნე, ჰიპერტონია, იშემია, სტომატიტი, დისბაქტერიოზი და სხვ.) შემთხვევაში და ჯანმრთელ ადამიანებს, ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე.

ჩვენს მიერ მოწოდებულია ექსკლუზივი, ბუნებრივი, ეკოლოგიურად სუფთა სამკურნალო მცენარეული ნედლეულის - ტოპინამბურის ბაზაზე დამზადებული არაყი (განსაკუთრებული), ეგზოტიკური „ტოპინამბურა“, რომლის მოხმარება შეუძლიათ როგორც დიაბეტიანს, ისე ჩვეულებრივ მოხმარებელს პროფილაქტიკური მიზნით. „ტოპინამბურა“ ხასიათდება შეუდარებელი გემოთი, არაჩვეულებრივი არომატით, მოხმარებისას იწვევს დაუფიქრარ სასიამოვნო შეგრძნებას.

„ტოპინამბურას“ ტექნოლოგიაში ჩადებულია უამრავი „ნიუ-ჰაუ“ რომელთა გავლენით იგი კიდევ უფრო მიმზიდველი და ჰარმონიული გახდა. პერსპექტივაში გათვალისწინებულია „ტოპინამბურას“ სხვა სახეობათა დამუშავება და წარმოებაში გაშვება. თვითღირებულება 20-25%-ით ნაკლებია ელიტარულ რუსულ არყებთან შედარებით, ხარისხითა და გემოთი ტოლს არ უდებს მათ.

„ტოპინამბურას“ თავისებურება არის ისიც, რომ მისი გემოსა და სიმაგრის დარბილებითა და სავსისამართო გამოირჩეულია შაქრიანი სიროფის, გლუკოზისა და მმარმჟავის გამოყენება, ვინაიდან ეს უკანასკნელნი გამოირჩევიან დიაბეტის განკურნების საპირისპირო ჩვენებით. ამ კომპონენტთა ნაცვლად გამოიყენება ტოპინამბურის სპეციალური მჟავური ჰიდროლიზატი (პირველი „ნიუ-ჰაუ“), რომელიც ერთდროულად შეიცავს ინულინს - ფრუქტოზის ბუნებრივი პოლისაქარიდის დაბალმოლეკულურ (გემოსათვის) და მაღალმოლეკულურ (პროფილაქტიკური თვისებებისთვის) კომპონენტებს. თავად ჰიდროლიზატი დამატებით შეიცავს მრავალფუძიან ორგანულ მჟავებს, რომლებიც შედიან მნიშვნელოვან ბიოქიმიურ (სამკარბონულ) კრების ციკლში. გარდა ამისა, არყის გემოს დარბილებისათვის და მისი ანტიდიაბეტური მიმართულების გაძლიერებისათვის გამოიყენება მრავალატომიანი სპირტები (3-5- 6-ატომიანი; მეორე „ნიუ-ჰაუ“)[9-10].

„ტოპინამბურას“ არომატიც უზრუნველყოფილია მცენარეული ნედლეულის ეთერზეთების გამოყენებით, რომლებსაც თავად გააჩნიათ სისხლში შაქრიანობის დამწევი ეფექტი და



ამასთან, შეიცავს ანტიდიაბეტურ შემადგენელს (მესამე „ნოუ-ჰაუ“).

„ტოპინამბურაში“ ბუნებრივი წარმოშობის ანტიოქსიდანტებისა და დიდი რაოდენობის ჰიდროქსილური ჯგუფების არსებობა, რომელთა ქმედებით უზრუნველყოფილია თავისუფალ რადიკალთა ჩახშობა და მოწესრიგებული სტრუქტურების წარმოქმნა წყალბადური ბმების ხარჯზე. აქცევს მას შეუცვლელ რადიოპროტექტორულ საშუალებად მომატებული გამოსხივების ზონასა და რადიოაქტიური დაბინძურების ადგილებში მუშაობის დროს [9].

არცის მრავალრიცხოვანი მოდიფიკაციის ჩამონათვალში, გათვალისწინებულია ნატურალური შემფერავებით შეფერილი „ტოპინამბურების“ წარმოება (მეოთხე „ნოუ-ჰაუ“), რომელთა სახელწოდება და დამზადების ხერხი დამატებით იქნება წარმოდგენილი მწარმოებლის შეკვეთის მიხედვით. ასევე გათვალისწინებულია შესქელებული არყების წარმოება.

ჩვეულებრივი არყის ტექნოლოგიური ხაზის არსებობისას მისი გადაწყობა (სერიოზული კაპიტალური დანახარჯების გარეშე) და მარცვლეულის სპირტიდან „ტოპინამბურის“ წარმოება ძალიან ადვილია [10].

ლიტერატურა

1. Шаталова „Целебное питание“. М.: Культура и традиции“. Воронеж: Изд-во Воронежского госуниверситета. 2007. с. 233-238.
2. Топинимбур – биоэнергетическая культура XXI века. Киев-Иркутск. 1990.
3. Багаутдинова Р.И. „Влияние минеральных удобрений на рост топинамбура и содержание углеводов в клубнях“ /Р.И. Багаутдинова - урал. Гос. Ун-т. Екатеринбург, 1997, с.8.
4. Баделин В.ф. „Вершки и корешки топинамбура //Картофель и овощи“ 1991, №4. с.18-20.
5. Доценко В.ф. „Лечебно-профилактические сорта хлеба“//тезисы докл. IV межрегиональной научно-производственной конференции „Проблемы возделывания и использования топинамбура и топин-солнечника“. Воронеж. 1992.
6. Кочнев Н.К., Калининцева М.В. „Топинамбур биоэнергетическая культура XXI века“ . М.: Типография „Арес“, 2002, с.76.
7. Новоселова Г. Н., Марина Н.В., Крючков В.Ф. и др. „Использование топинамбура в пищевой промышленности“ //тезисы докладов „Новые нетрадиционные растения и перспективы их практического использования“. Пушкино,1995, с.650-651.
8. Пасько Н. М. „Топинамбур – биотехнический потенциал для пищевых, лечебных, технических, кормовых и экологических целей“/ Сборник трудов. „Инновационные технологии и продукты“. Новосибирск1999, с.9-16.
9. Пашенко Л.П., Назинцева Е.А., Ефремова Т.В. „Новые аспекты в использовании продуктов из топинамбура в хлебопечении“ //Тезисы доклад. Пушкино, 1985, с.44-45.
10. თ. წივწივაძე, ნ. ჩიგოგიძე, რ.სხილაძე, რ.კლდიაშვილი, გ.სულაქველიძე. „ტოპინამბურისა და მისი გადამუშავების პროდუქტების მედიკო-ბიოლოგიური გამოყენების პერსპექტივები და ძირითადი მიმართულებები“. საერთაშორისო კონფერენციის მასალები: სპეციფიკური თვისებების მქონე ნაერთები და მასალები წარმოების ნარჩენების მეორეული ნედლეულის ბაზაზე. თანამედროვე ქიმიური ნაერთები და ტექნოლოგიები“ 18-19 სექტემბერი, 2008წ. თბილისი, გვ.10-11.
11. Н. Ш. Чигогидзе, Т.И. Цивцивадзе, К. Г. Парцхаладзе, Р.А. Схиладзе, Р.Ш. Клдиашвили, Г.А. Сулаквелидзе, Т. А. Доквадзе. „Внедрение в общественное питание диетических продуктов нового поколения антидиабетической направленности“. Сборник трудов межрегиональной научной конференции. „Проблемы безопасности продовольствия“. Тбилиси, 28-29 мая, 2009, с. 99-104.
12. წივწივაძე თ., ჩიგოგიძე ნ., კლდიაშვილი რ., სხილაძე რ., სულაქველიძე გ. „ბიოლოგიურად აქტიური ახალი თაობის სამკურნალო-პროფილაქტიკური კვების დანამატები“ - საქართველოს ეროვნული აკადემიის მაცნე, ქიმიის სერია, 2010, ტ.36, №4 გვ. 474-482.
13. წივწივაძე თ., კლდიაშვილი რ., სხილაძე რ., ჩიგოგიძე ნ., სულაქველიძე გ. ბიოკოორდინაციული ნაერთების შედგენილობა - აღნაგობა- თვისებები და მათი როლი არატრადიციული სამკურნალო საშუალებების, ბიოლოგიურად აქტიური დანამატებისა და კვების პროდუქტების შემუშავებაში. მონოგრაფია, თბილისი, 2009. 171 გვ.



Therapeutic and prophylactic food products of a new generation

T. Tsivtsivadze, N. Bregadze*, N. Chigogidze

Scientific Center for Biologically Active Substances of the Georgian Technical University

* Akaki Tsereteli State University

Summary

Jerusalem artichoke is known as food (an alternative to potatoes) and as a therapeutic and prophylactic plant material, which contains a unique complex of biologically active substances. Food products prepared from Jerusalem artichoke are not only tasty and healthy, but they also have therapeutic and prophylactic properties - they remove heavy metals and radionuclides from organisms. A new generation of antidiabetic bread, along with good taste, has long-lasting writing and therapeutic properties. The Jerusalem artichoke made the world's first antidiabetic vodka "Jerusalem artichoke", which contains the Jerusalem artichoke acid hydrolyzate, natural polyhydric alcohols and essential oils of plant origin, and has distinctive taste and antidiabetic properties.

**საქართველოს ანალციმის საფუძველზე შექმნილი სორბენტის
გამოყენების შესაძლებლობა მედიცინაში**

ხაზარაძე ნ.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

განხილულია საქართველოს ანალციმზემცველი ქანის გადაკრისტალებით მიღებული წვრილ-დისპერსული მონოკატიონიანი ცეოლითის ქიმიური შედგენილობა. გამოვლენილია კრისტალიზაციის პროცესში ნატრიუმის კატიონების მაქსიმალური ჩართულობა და შიგაკრისტალურ პოზიციებზე განლაგება. მიღებულია სინთეზური ნიმუშისათვის საკმაოდ მაღალი იონმიმოცვლისა (4,85 მექვ/გ) და სორბციული (12,0 მმოლ/გ) ტევადობები. რაც სამედიცინო თვალსაზრისით სორბენტისა და იონმიმოცვლის სახის ცეოლითური სამედიცინო პრეპარატის გამოყენების შესაძლებლობას იძლევა.

თანამედროვეობის ერთ-ერთ აქტუალურ სამეცნიერო პრობლემას ნანოგანზო-მილებიანი ცეოლითების მიღების ახალი მეთოდების შემუშავება და ამ გზით მიღებული ნანოკრისტალების სამკურნალო-წამლო პრეპარატების სახით გამოყენება წა-რმოადგენს. ასეთი პრეპარატების შექმნა, მკურნალობის მეთოდების შემუშავება-სთან ერთად აქტიურად არის ჩართული მრავალი დაავადების (თირკმლების მწვავე უკმარისობა, სტომატოლოგია, კუჭ-ნაწლავის დაავადებები და სხვა) სამკურნალო ტექნოლოგიების შემუშავებაში.

ნანოცეოლითური მასალების მიღების მიზნით ქიმიური მეთოდების გამოყენება მექანიკურთან შედარებით უპირატესია, რადგან იგი უზრუნველყოფს ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო, მინერალური და ორგანული მინარევებისაგან თავისუფალ, მაღალი სისუფთავის ნანონაწილაკების წარმოქმნას.

ნაწილაკის მცირე ზომა განაპირობებს ცეოლითის გარე ზედაპირის აქტივობას, რომელიც პირდაპირ დამოკიდებულია ბიოლოგიურ მოქმედებასთან. ამ მცირე ზომის ცეოლითურ კრისტალებს შენარჩუნებული აქვთ სელექტიური იონმი-მოცვლის შერჩევითი სორბციის, კატალიზური ქმედების უნარი. ამასთანავე ცეოლი-თური ნანომასალის გამოყენება, ხისტი რეგულარული მიკროფოროვანი სტრუქტურის გამო ხანგრძლივად არის შესაძლებელი.

აქედან გამომდინარე აქტუალურია სუფთა ცეოლითური ნანომასალის მიღება, რომელიც წარმატებით გამოიყენება ფარმაცევტულ მრეწველობაში და მედიცინაში. პასუხობს დროს და სარგებლობს დიდი მოთხოვნით.



წინამდებარე სამუშაოს მიზანს შეადგენდა ნანოგანზომილებიანი ცეოლითურ-ი კრისტალების მიღება საქართველოს ანალციმშემცველი ქანის გადაკრისტალე-ბით ჰიდროთერმულ პირობებში და მისი ზოგიერთი მახასიათებლის დადგენა.

ცნობილია ნანოგანზომილებიანი სინთეზური ცეოლითების მიღების ჰიდრო-თერმალური კრისტალიზაციის მეთოდი სუფთა რეაქტივების გამოყენებით [1], რაც ზრდის საბოლოო პროდუქტის ღირებულებას და ნაკლებ გამართლებულია ეკონო-მიური თვალსაზრისით. ამიტომ დიდია ინტერესი წვრილდისპერსული ცეოლითების მიღების ალტერნატიული მეთოდებისადმი იაფი, ბუნებრივი ნედლეულის გამოყენებით. ბუნებრივი ნედლეული-ჩვენ შემთხვევაში ანალციმშემცველი ქანი წარმოადგენს ნანოგანზომილებიანი ცეოლითური მასალის მიღებისათვის აუცილებელი კომპონენტების, სილიციუმისა და ალუმინის წყაროს და სრულად გამორიცხავს კრისტალიზაციის პროცესში ძვირადღირებული რეაქტივების ჩართვას.

კვლევაში გამოყენებული იყო ქუთაისის რეგიონის, გელათის უბნის ანალცი-მშემცველი ქანი-AG [2]. იგი წარმოადგენს დიდი მექანიკური სიმტკიცის მქონე მინერალს, რომელიც თავისი სტრუქტურის თავისებური აღნაგობის გამო დღეს-დღე-ობით, როგორც მოლეკულური საცერი ვერ პოულობს ფართო გამოყენებას; თუმცა მისი ქიმიური დამუშავებით შესაძლებელია გაუმჯობესებული თვისებების მქონე ადსორბენტების მიღება [3].

ექსპერიმენტი მოიცავდა ანალციმშემცველი ქანის წინასწარ მჟავურ დამუშავებას მისი რეაქციისუნარიანობის ამაღლების მიზნით; წყლიანი ტუტეალუმინსილი-კატის სუსპენზიის გაცხელებას და გელისმაგვარი ფორიანი ნივთიერების კოლო-იდურ ქიმიურ დალექვას და კრისტალიზაციას, ნანოცეოლითური მასალის მიღებით.

ჩვენს მიერ შემუშავებული მეთოდით მიღებულია ცეოლითური მასალა რომელიც რენტგენულ-დიფრაქტომეტრული მეთოდით იდენტიფიცირებულია, როგორც ფოჟაზიტის ტიპის წვრილდისპერსული ცეოლითი NaX(F) [4].

ცნობილია, რომ ცეოლითების ფიზიკურ-ქიმიური თვისებები განსაზღვრავენ მათ ტიპურ დანიშნულებას, რაც მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია კატიონების შემადგენლობასა და შიგა კრისტალურ პოზიციებზე მათ განლაგებაზე. ჩატარებულია ბუნებრივი ნედლეულის-AG, მისგან წარმოებული NaX(F) და ეტალონი NaX-ის ქიმიური ანალიზი კლასიკური მეთოდით. მიღებული შედეგების საფუძველზე გამოთვლილია იონმიმოცვლის ტევადობები. ცხრილი 1. ბუნებრივი ნედლეულის - AG, მისგან წარმოებული NaX(F) და ეტალონი NaX-ის ქიმიური შედგენილობა და იონმიმოცვლის ტევადობები

ცეოლითი	ფორმულა	E, მჟმ/გ
AG	(0,67Na ₂ O·0,14K ₂ O·0,14CaO·0,13MgO)Al ₂ O ₃ ·4·61SiO ₂ ·2,14H ₂ O	3,15
NaX(F)	0,92Na ₂ O·Al ₂ O ₃ ·2,3SiO ₂ ·4,5H ₂ O	4,85
NaX-ეტალონი[5]	0,94Na ₂ O·Al ₂ O ₃ ·2,41SiO ₂ ·4,80H ₂ O	5,25

როგორც ცხრილიდან 1 ჩანს ბუნებრივი ანალციმის ჰიდროთერმალურ პირობებში გადაკრისტალე-ბით მიღებული მიკროკრისტალური ცეოლითი NaX(F) წარმოადგენს ცეოლითის მონოკატიონურ ფორმას აქტიურად მოძრავი ნატრიუმის კატიონებით და მიმოცვლის მაღალი ტევადობით. ასევე შესწავლილია კრისტალიზაციის პროცესში მონაწილე კატიონების ძვრადობა, მათი გადანაწილება შიგა კრისტალურ სტრუქტურაში. აღმოჩნდა რომ კატიონების სტერიული ფაქტორისა და ჰიდრატა-ციის ხარისხის ფაქტორის გათვალისწინებით, პროცესი უპირატესად ნატრიუმის კატიონების მონაწილეობით მიმდინარეობს ცხრილი 2.



ცხრილი 2. NaX(F) კრისტალის სტრუქტურაში კატიონების ჩართულობა

ცეოლითი	Na ₂ O	K ₂ O	CaO	MgO
AG	8,5	2,85	1,85	1,04
NaX	13,88	-	-	-

ისინი ცეოლითის კრისტალური სტრუქტურის წარმოქმნისას ნაწილდებიან შიგა კრისტალურ პოზიციებზე, აკომპენსირებენ ალუმინსილიკატური კარკასის უარყოფით მუხტს და ამიტომ შესწევთ უნარი მონაწილეობა მიიღონ იონმიმოცვლით რეაქციებში. რადგანაც ბევრი ბიოქიმიური პროცესი მჭიდროდ არის დაკავშირებული იონმიმოცვლასთან, სამედიცინო თვალსაზრისით შესაძლებელია ჩვენს მიერ მიღებული წვრილდისპერსული ცეოლითი გამოყენებული იქნას ცოცხალი ორგანიზმებიდან მძიმე ლითონების კატიონების გამოსაყოფად.

წვრილდისპერსული ცეოლითების გამოყენება სამკურნალო პრეპარატების სახით დაფუძნებულია ასევე ბიოქიმიურ პროცესებთან დაკავშირებულ სორბციულ თვისებებზე.

ჩვენს მიერ შემოწმებულია NaX(F) ნიმუშის ადსორბციისუნარიანობა წყლისა და ბენზოლის ორთქლის მიმართ, ექსიკატორული მეთოდით, ოთახის ტემპერატურაზე P/Pls-0,40 და P/Pls-1-ის პირობებში. გამომოვლენილია-NaX(F) ნიმუშისათვის მაღალი ადსორბციის უნარი წყლის ორთქლის მიმართ (12,0მმოლ/გ), ბენზოლის ორთქლის მიმართ დაბალი ადსორბციის უნარი (2,92მმოლ/გ) კატიონის ნაკლებ პოლარიზებადობით და ელველის სიძლიერით არის განპირობებული.

კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, საქართველოს ბუნებრივი ნედლეულის, ანალციმ-შემცველი ქანის გადაკრისტალებით ჰიდროთერმალურ პირობებში მიღებული წვრილდისპერსული მიკროფორიანი ცეოლითი NaX(F) ხასიათდება, მაღალი იონმიმოცვლის ტევადობით და მიკროფორების საკმაოდ დიდი მოცულობით წყლის ორთქლის მიმართ. რაც სამედიცინო თვალსაზრისით სორბენტისა და იონმიმო-მცვლელის სახის ეკონომიურად იაფი და ეკოლოგიურად მისაღები ცეოლითური სამედიცინო პრეპარატის გამოყენების შესაძლებლობას იძლევა.

ლიტერატურა

- 1.М.Абришамкар. Оптимизация параметров, влияющих на эффективность синтеза цеолита ZSM-5. Zeitschrift für Anorganische und Allgemeine Chemie, 2010, вып. 636, с. 134-139.
- 2.Tsitsishvili V., Dolaberidze N., Alelishvili M., Tsintskaladze G., Sturua G., Khazaradze N., Gogoladze D. Zeolitic Rocks from Newly investigated plots of Georgia. - Bull. Acad Sciences of Georgia, 1999, v. 159, №1, p.79-83.
- 3.Tsitsishvili V., Dolaberidze N., Alelishvili M., Chipashvili D., Tsintskaladze G., Sturua G., Ni-jaradze M., Gigolashvili N. Adsorbent of the base of Modified Forms of Analcime.- Georgian Engineering News, 1999, №1(9), p.102-104.
- 4.В.Н.Семущин. Рентгенографический определитель цеолитов. Изд-во «Наука», Сибирское отделение, 1986, 125с.
- 5.Д.Брек. Цеолитовые молекулярные сита. Изд-во «Мир», Москва, 1976, 781с.

THE FEASIBILITY OF PREPARATION OF ZEOLITE MEDICINES

N.Khazaradze

Akaki Tsereteli State University

Summary

Chemical composition of fine-dispersion mono-cation zeolite obtained by recrystallization of analcime containing rock of Georgian origin has been considered. Maximum insertion of sodium cations and their spreading on inner crystalline positions in the process of crystallization was observed. Rather high for synthesized samples ion-exchange (4,85^{mequiv/g}) and sorption volumes (12,0^{mmol/g}) were obtained, which, with the medical point of view, enables us to use zeolite medicine of sorbent and ion-exchanger type.



ბუნებრივი ფილიპსიტის ბაზაზე ცეოლითური სობრენტის შექმნის შესაძლებლობა

ხაზარაძე ნ.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შემუშავებულია საქართველოს მინერალური ნედლეულის, ბუნებრივი ფილიპსიტის ბაზაზე მიკროელემენტმცველი სობრენტების მიღების მეთოდიკა. მიღებულია სობრენტები მიკროელემენტების მაქსიმალური შემცველობით. გამოვლენილია მათი ადსორბციისუნარიანობა წყლის ორთქლის მიმართ, რაც მათი მიკროელემენტმცველი სასუქების სახით გამოყენების შესაძლებლობას იძლევა.

კვლევა ითვალისწინებდა ბუნებრივი ფილიპსიტის (საქართველო, შუხუთი - PSH) მიკროელემენტების ($\text{Cu}^{+2}, \text{Co}^{+2}, \text{Mn}^{+2}$) შემცველი ფორმების მიღებას იონმიმოცვლითი სინთეზის გზით, რაც ერთის მხრივ წარმოადგენს ნიადაგის წყლიანი ფაზიდან ცეოლითით აღნიშნული კატიონების თანმიმდევრული ფიქსაციის პროცესის მოდელს, მეორეს მხრივ იძლევა ამ მეთოდით მიღებული მასალების, როგორც მიკროელემენტმცველი სასუქების გარკვეული დოზით იმ ნიადაგებში გამოყენების საშუალებას, რომლებიც მათ ნაკლებობას განიცდიან.

ფილიპსიტის სხვადასხვა მიკროელემენტმცველი ფორმების მიღება აქტუალურია და გამოყენება სასარგებლოა, ნიადაგში მცენარისათვის აუცილებელი მიკროელემენტების მისაწოდებლად.

ფილიპსიტის სტრუქტურის ცეოლითში მოძრავი კატიონების ($\text{Na}^+, \text{K}^+, \text{Ca}^{+2}, \text{Mg}^{+2}$) ნაკრების არსებობის გამო, რომელთაც გააჩნიათ იონმიმოცვლის კინეტიკური მახასიათებლების განსხვავებული აბსოლუტური მნიშვნელობები და აქედან გამომდინარე, სხვადასხვა მობილობა შესაძლებელს ხდის კატიონური შედგენილობის ცვლილებით მოვახდინოთ დიფერენცირებული ფიქსირება ცალკეული კატიონების მიხედვით.

იონმიმოცვლითი სინთეზი მიმდინარეობდა ხსნარის მუდმივი ძალების პირობებში და კატიონების მუდმივი აქტივობისას [1]. დაწვრილმანებული, ფხვნილის სახის ბუნებრივი ფილიპსიტი მუშავდებოდა სპილენძის, კობალტის და მანგანუმის ქლორიდების 1ნ. წყალხსნარებით. იონმიმოცვლა ტარდებოდა სტატიკურ პირობებში, მყარ ფაზასა და ხსნარს შორის, თანაფარდობით 1:6, წყლის აბაზანაზე, თითოეული დამუშავების დრო 0,5 სთ.

ექსპერიმენტი შესრულებული იყო კომბინირებულ ორბიტალურ/ხაზოვან წყლის აბაზანაზე - Grant Instruments OLS26 Aqua Pro (2014). იონმიმოცვლითი სინთეზის გზით მიღებული მოდიფიკაციების რენტგენული დიფრაქტოგრაფები ტიპიურია ფილიპსიტისათვის, რაც ადასტურებს იონმიმოცვლით რეაქციებში ალუმინსილიკატური კარკასის მდგრადობას. აღნიშნული ნიმუშების ალუმინსილიკატური კარკასის მდგრადობის შენარჩუნება დასტურდება Agilent Technologies Cary 630 FTIR (2013) სპექტრომეტრზე გადაღებული ინფრაწითელი სპექტრებითაც. ტეტრაედრთაშორისი, როგორც დეფორმაციული, ასევე სავალენტო რხევების ზოლების ინტენსივობა უცვლელი რჩება. ასევე არ იცვლება შიგატეტრაედრული რხევების სიხშირეები. ამ კვლევებით დადგენილია, რომ გარდამავალი კატიონების განაწილება ფილიპსიტის სტრუქტურაში სხვადასხვა პოზიციებზე ხდება კატიონების ზომების მიხედვით. პოზიციები განსაზღვრულია ფილიპსიტის სტრუქტურის თანამედროვე აღწერის თანახმად [2,3]. Mn^{+2} კატიონი, როგორც დიდი ზომის კატიონი თავსდება I ან II პოზიციაზე, Co^{+2} და Cu^{+2} კი მეტწილად II და II¹ პოზიციაზე.



ცხრილი 1. კატიონების განაწილება ფილიპსიტის სტრუქტურის პოზიციებზე

ნიმუში	კატიონი	პოზიცია		
		I	II	II ¹
MnPSH	Mn ⁺²	+	+	-
CoPSH	Co ⁺²	-	+	-
CuPSH	Cu ⁺²	-	+	+

შესწავლილია საკვლევი ნიმუშების ქიმიური შედგენილობა კლასიკური და ატომურ-ადსორბციული მეთოდების გამოყენებით. ცხრილში 2, მოტანილია საწყისი და მოდიფიცირებული ფილიპსიტების სრული ქიმიური ანალიზის საფუძველზე გამოთვლილი ელემენტარული უჯრედების შედგენილობა.

ცხრილი 2. ბუნებრივი და მოდიფიცირებული ფილიპსიტების ქიმიური შედგენილობა და ადსორბციისუნარიანობა წყლის ორთქლის მიმართ.

ნიმუში	ფორმულა	Si/Al	a, მმოლ/გ
PSH	(Na _{0.9} K _{4.5} Ca _{0.84} Mg _{0.64})(Al _{8.76} Si _{22.88} O ₆₄)·18.87H ₂ O	2.62	6.98
CuPSH	(Na _{2.00} K _{0.60} Ca _{0.40} Mg _{0.40} Cu _{1.10})(Al _{8.40} Si _{22.70} O ₆₄)·19.82 H ₂ O	2.81	6.90
CoPSH	(Na _{1.7} K _{0.50} Ca _{0.30} Mg _{0.36} Co _{1.9})(Al _{8.50} Si _{22.64} O ₆₄)·9.85 H ₂ O	2.66	6.75
MnPSH	(Na _{1.60} K _{0.50} Ca _{0.40} Mg _{0.34} Mn _{1.50})(Al _{8.50} Si _{22.70} O ₆₄)·19.8 H ₂ O	2.69	6.06

საკვლევი ლითონების მარილხსნარებთან ფილიპსიტის მრავალჯერადი ურთიერთქმედებისას აღინიშნება მანგანუმის, სპილენძის და კობალტის კატიონების ჩანაცვლების ხარისხების მონოტონური ზრდა, ანუ ფილიპსიტის სტრუქტურაში აღნიშნული კატიონების კონცენტრირება. აღნიშნული კატიონებით გამდიდრება ხდება ნატრიუმისა და კალიუმის ხარჯზე, კალციუმი და მაგნიუმი ძირითადად არ მონაწილეობენ იონმიმოცვლის პროცესში.

ექსპერიმენტულად განსაზღვრულია მოდიფიცირებული ფილიპსიტების ადსორბციული ტევადობა წყლის ორთქლის მიმართ, განხილულია გარდამავალი ლითონების კატიონების შეყვანის გავლენა ფილიპსიტის ადსორბციულ თვისებებზე.

დადგენილია, რომ კატიონების შეყვანა ფილიპსიტის კრისტალის სტრუქტურაში იწვევს წყლის ადსორბციის სიდიდის არსებით ცვლილებას. კარკასის უაროფითი მუხტის მაკომპენსირებელი კატიონის რადიუსის შემცირებით, წყლის პოლარული მოლეკულები 2.8 დიამეტრით იოლად აღწევს ფილიპსიტის მიკროფორებში და ადსორბირდება მიმოცვლით კატიონებზე იონ-დიპოლური ურთიერთქმედებით. მიღებული მონაცემების საფუძველზე, მოდიფიცირებული ფილიპსიტებისათვის ადსორბციისუნარიანობა წყლის ორთქლის მიმართ მცირდება რიგით:



ჩატარებული კვლევის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველს ბუნებრივი ფილიპსიტი წარმოადგენს, გახანგრძლივებული ქმედების, წყლის შემცველ, ეფექტურ იონმიმოცვლელს მიკროელემენტების, (სპილენძი, კობალტი და მანგანუმი) კონცენტრირებისათ-



ვის მიღებული ცოლითური მასალები კი ასევე წარმოადგენენ პერსპექტიულ მიკროელემენტემცველ სორბენტებს, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელია ნიადაგის გასანოციერებლად.

ლიტერატურა

1. V. Tsitsishvili, N. Dolaberidze, S. Urotadze, M. Alelishvili, N. Mirdzveli, M. NiJaradze. Ion Exchange Properties of Georgian Natural Zeolites. Chemistry Journal of Moldova, 2017, v. 12, No 1, p. 95-101, DOI: <http://dx.doi.org/10.1926/cjm.2017.413>.
2. Natural Zeolites for the Third Millenium. Editor Carmine Collelaand Frederik A. Mu-mpton. De Frede Editore Napoli, 2000, 481p.

Ability to form a zeolitic sobrient on the basis of natural Phillipsite

N. Khazaradze

Akaki Tsereteli State University

Summary

A technique has been developed for the preparation of microelement-containing sorbents based on Georgia's mineral raw materials, natural phillipsite. Sorbents containing the maximum amount of microelements were obtained, their adsorption capacity for water vapor was revealed, which allows using microelement-containing minerals as fertilizers.





სექცია

SECTION

СЕКЦИЯ

2

საკვები პროდუქტების არამომის თანამედროვე
ტექნოლოგიები, პროცესები და მოწყობილობები

TECHNOLOGIES, MODERN PROCESSES AND
EQUIPMENT OF FOOD PRODUCTION

СОВРЕМЕННЫЕ ТЕХНОЛОГИИ, ПРОЦЕССЫ И
ОБОРУДОВАНИЕ ПИЩЕВЫХ ПРОИЗВОДСТВ

К вопросу скоростного измельчения окомкованных пюре корнеплодов

**Абдуллаева С.Ш., Аннаев Н.А., Бабатуллаев Б.Б.,
Нурмухамедов Х.С., Саидкулов Ф.Р., Юлдашев С.А.**

Ташкентский химико-технологический институт, Ташкент, Узбекистан

В статье представлены результаты экспериментальных исследований по измельчению окомкованных кусков моркови, подвергнутых сушке. При скоростном измельчении материал в аппарате последовательно проходит две зоны: грубого и тонкого измельчения. В каждой зоне установлены стержни с различным шагом t/d их размещения. Причем, в зоне грубого измельчения $t/d=1,2-1,5$, а в зоне тонкого измельчения $t/d=0,75-0,95$. Установлено доминирующее влияние угловой скорости вращения рабочего вала и шага размещения стержней на степень измельчения, обеспечивающая интенсификацию процесса измельчения в 1,61-1,83 раза.

Технический прогресс в пищевой промышленности связан с достижениями науки о питании. Современные тенденции в питании человека, стремящегося вести здоровый образ жизни, требуют получения продуктов минимальной энергетической ценности и жира, наличием веществ, улучшающих пищеварение. Одним из способов решения данных проблем может являться применение пищевых волокон и порошков в рецептуре продуктов [1]. Созданные пищевые технологии позволяют производить продукты с заданным химическим составом макро- и микронутриентов [2], удовлетворяющие физиологические потребности населения в высококачественных, биологически полноценных, экологически безопасных продуктах питания [3].

В настоящее время в пищевой промышленности корнеплоды в основном используются в свежем виде, и только незначительная часть подвергается переработке с целью получения сока и еще меньшая часть – для получения порошков.

В последнее время бурно развивается направление получения пищевых добавок из корне- и клубнеплодов [4-6]. Анализ различных технологий переработки корнеплодов, с целью получения новых продуктов показывает, что во всех технологиях присутствует процесс измельчения корнеплодов и продуктов их промышленной переработки, в частности, окомкованных конгломератов. Технология производства пищевых добавок также включает процесс измельчения. Тем не менее, эффективного аппарата совмещающий и процесс измельчения, и процесс охлаждения с низкими потерями сырья, в промышленном масштабе отсутствует.

Общеизвестно, что измельчение твердых тел до частиц малых размеров осуществляется для улучшения товарного вида, повышения различных массообменных и химических процессов и т.д. Процесс измельчения и аппараты для его осуществления позволяют получить разнообразные виды продукции, которые потребляют до 1/3 мировых ресурсов энергии [7]. Измельчение позволяет достичь: увеличение удельной поверхности материала, улучшение гранулометрического состава, повышение реакционной способности порошков, разделение полезных ископаемых и



пустой породы (руды, угли, цементы, минеральные удобрения и т.д.) [8].

В зависимости от физико-механических свойств сырья или перерабатываемого материала к измельчению предъявляются соответствующие требования по дисперсному составу, степени чистоты и т.д. В большинстве случаев ставится задача получения возможно более тонких порошков при минимальных затратах времени и энергии. Всё это диктует необходимости исследования закономерностей процесса измельчения, свойств полученных порошков, развитие методов их дисперсного анализа.

В различных отраслях в производственных условиях эксплуатируется множество аппаратов для измельчения твердых тел, основанных на следующих принципах или их сочетаниях: разрезание, раскалывание, сжатие, удар, истирание, распиливание и т.д. [9,10]. Общеизвестно, что эффективность переработки твердых материалов, в частности, процесс измельчения в основном зависит от различных факторов: температуры, влажности, пористости, плотности и т.д. [8-10]. Естественно, одним из важных факторов являются пористость материала и его физическая плотность.

Помимо вышеизложенных методов известен метод тонкого и сверхтонкого измельчения вторичных продуктов переработки зерна [11]. В данном методе отсутствует какое-либо химическое и термическое воздействие на объект переработки. Нагрев исходного растительного сырья до 70-80°C за счет воздействия на мелющие тела носит кратковременный характер и не сказывается отрицательно на свойствах, составе и качестве конечного продукта.

Существует метод измельчения частиц путем вспучивания за счет создаваемой разницы давления при подаче растительного сырья и предварительного подсушивания при температуре 75-150°C [12]. Для получения порошка растительного сырья его измельчают до гомогенного состояния, смешивают с сухими овощными компонентами до содержания сухих веществ в смеси 20-30% и распыляют в газообразную среду двуокиси углерода при температуре 150-180°C и давлении 150-250 кПа. Процесс сушки производится под вакуумом при давлении не превышающим 50 кПа [13].

Сильвано Б. создал вальцовую мельницу для измельчения и сортировки сыпучих материалов, содержащий пару вращающихся в противоположных направлениях вальцов, между которыми образован зазор для прохода материала, подвергающийся измельчению, и устройство просеивания, объединенное с вальцами для разделения продуктов измельчения в соответствии с размерами частиц размолотого материала [14].

Кроме вышеуказанных способов измельчения существуют: аэрошелушение, метод циклических изменений давления среды, метод электрогидравлического эффекта и т.д. [15]. Однако, ни один из вышеперечисленных методов не нашел промышленного применения из-за невозможности достижения полного измельчения или значительных энергетических затрат.

Одним из перспективных методов измельчения твердых материалов является скоростное измельчение различных твердых тел в аппаратах турболопастного типа, в том числе и окомкованного пюре корне- и клубнеплодов [16,17].

Подобный объект переработки является полупродуктом в нетрадиционной технологии переработки сельскохозяйственного сырья, основанных на принципиально новых способах очистки, разделения, измельчения, сушки и классификации.

При получении пюре мякоть корнеплодов измельчается и сушки выходит окомкованным с температурой около 40°C. В целях организации одновременного измельчения и охлаждения измельченных комков проведены экспериментальные исследования в скоростном измельчителе турболопастного типа.

Экспериментальные исследования по измельчению моркови и столовой свеклы проведены при изменении угловой скорости вращения рабочего вала $v=14,7-254,3 \text{ c}^{-1}$ и шаге расположения



стержней $t/d=0,9-1,5$.

Зависимость степени измельчения сухого морковного пюре от шага размещения стержней на рабочем валу в виде графика функциональной зависимости $i=f(t/d)$ представлена на рис.1. Как видно из графика для всех числовых значений угловой скорости рабочего вала измельчителя функция имеет возрастающий характер.

Анализ экспериментальных данных показывает, что при при угловой скорости $\nu=18 \text{ с}^{-1}$ значении шага расположения стержней $t/d=1,5$, величина степени измельчения составит $i=1,04$, при $t/d=1,1$ значение $i=1,14$ и соответственно при $t/d=0,9$ численные значение степени измельчения равно $i=1,3$.

Видно, со снижением шага расположения стержней t/d с 1,5 до 0,9 достигается увеличение степени измельчения комков моркови на 8%.

Увеличение угловой скорости рабочего вала измельчителя до $\nu=103 \text{ с}^{-1}$ дает следующие результаты: при $t/d=1,5$ величина степени измельчения составит $i=1,68$, при $t/d=1,1$ значение $i=1,98$ и при $t/d=0,9$ степень измельчения увеличится до $i=2,38$. Так, с уменьшением шага расположения стержней t/d с 1,5 до 0,9 достигается увеличение степени измельчения комков моркови на 41%.

Сопоставление экспериментальных данных по влиянию угловой скорости на степень измельчения показывает, что с ростом угловой скорости вращения вала от 18 до 103 с^{-1} эффективность измельчения возрастает в 1,61–1,83 раза.




Рис.1. Влияние угловой скорости вращения рабочего вала на степень измельчения высушенного пюре моркови
◆ - $\nu=18 \text{ с}^{-1}$; ■ - $\nu=41 \text{ с}^{-1}$; △ - $\nu=57 \text{ с}^{-1}$; ◇ - $\nu=80 \text{ с}^{-1}$; □ - $\nu=103 \text{ с}^{-1}$.

Высокая эффективность процесса измельчения деформирующихся твердых материалов в турболопастных измельчителях объясняется одновременным воздействием нескольких сил, исходящих от следующих способов измельчения: раскалывание, удар и истирание. Измельчение происходит за счет многочисленных соударений исходного материала об измельчающие стержни, которые установлены на рабочем валу и вращаются с угловой скоростью до 103 с^{-1} .

Следует особо отметить, что измельчение окомкованных материалов в турболопастных аппаратах позволяет получить сыпучий материал с заданным гранулометрическим составом. Кроме того, загружаемые в аппарата комки пюре поступают на измельчение с температурой $50-60^\circ\text{C}$. Измельчаемые частицы при движении внутри аппарата в турбулизированном потоке одновременно охлаждаются в потоке холодного воздуха. Полученный конечный продукт в виде



порошка обладает рядом преимуществ: данная форма является наиболее перспективным, эффективным и компактным способом обеспечивающая длительное хранение и транспортирование растительного сырья без потерь; Естественно, пищевые порошки освобождены от значительной части влаги, содержащейся в обычных продуктах, в связи с чем, имеют незначительный объем, массу и высокую концентрацию питательных веществ. Относительно низкая влажность пищевых порошков способствует их длительному хранению при максимальном сохранении питательных свойств и витаминов исходного продукта.

В заключении следует подчеркнуть, что с ростом угловой скорости (или числа оборотов) рабочего вала степень измельчения увеличивается. Поэтому, применение скоростного метода целесообразно и эффективно при измельчении окомкованных материалов клубне- и корнеплодов, полученных после сушки. Кроме того, в данном методе, наряду с измельчением, осуществляется процесс охлаждения полученных частиц.

Литература

1. Губина И. «Цитри-Фай» - новый компонент здорового рациона питания // Переработка молока, 2010. - №3. - с.31.
2. Дроздова Т.М., Влощинский П.Е., Позняковский В.М. Физиология питания.- Новосибирск: Сиб. универ. изд-во, 2007. - 352 с.
3. Переработка картофеля – стратегический путь развития картофелеводства России / Под общей редакцией В.И. Старовойтовой. – М.: Техноэликс, 2006, С.156.
4. Сапронов А.Р. Технология сахарного производства.- М.:Колос, 1999. – 495 с.
5. Переработка картофеля – стратегический путь развития картофелеводства России / Под общей редакцией В.И. Старовойтовой. – М.: Техноэликс, 2006, С.156.
6. Garrote R.L., Silva E.R., Bertone R.A. Effect of thermal treatment on steam peeled potatoes // J.Food Eng.-2000.- v.45.-N2.-P.67-76.
7. Магомедов М.Г. Разработка способа получения порошкообразного свекловичного полуфабриката и кондитерских изделий на его основе. - Автореф.дисс... канд.техн.наук, Воронеж, 2006. - 23 с.
8. Перов В.А., Андреев Е.Е., Биленко Л.Ф. Дробление, измельчение и грохочение полезных ископаемых. – М.: Недра, 1990. – 300 с.
9. Yusupbekov N.R., Nurmuhamedov H.S., Zokirov S.G. Kimyoviy texnologiya asosiy jarayon va qurilmalari.- Toshkent, Fan va texnologiya, 2015. – 848 b.
10. Общий курс процессов и аппаратов химической технологии. Под ред. В.Г. Айнштейна. – М.: М.: Логос, 2006. – т.1-2.-1792 с.
11. Ошкордин О.В., Усов Г.А. и др. Кинетика и динамика измельчения растительного сырья для производства пищевых продуктов // Ползуновский вестник, 2011. - №2. - с.202-206.
12. Патент РФ №1792303, МКП⁴ А23L 1/212. Способ получения порошков из сырья растительного происхождения / В.М. Андриевский, В.В. Живетин, В.Н. Злобин, А.Г. Селиванов, В.А. Беликов, Н.В. Юмашев, В.И. Слесарев; опубл. 30.01.1993.- Бюл.№3 - ил.1- с.7.
13. Патент РФ №2013058, МКП⁷ А23В 7/02. Способ получения сухого пищевого продукта из репчатого лука / Пилипенко Л.Н., Квасенков О.И. и др.; опубл.30.05.1994. - Бюл.№17 - с.5.
14. Патент России №2263540, МКП⁷ В02С 4/06. Вальцовая мельница для измельчения и сортировки сыпучих материалов / Барбьери Сильвано (It). – ил. 3. – с.4.
15. Белобородов В.В. Основные процессы производства растительных масел. – М.: Пищевая промышленность, 1966. – 478 с.
16. Abdullaev A.Sh., Nurmuhamedov H.S., Abdullaeva S.Sh. Issue of non-traditional clearing roots // USA, The advanced science, 2013.-№5.- p.81-84.
17. Патент РУз №05704, МКП⁷ А23В 7/02. Аппарат жидкостного псевдооживленного слоя Для разделения твердой неоднородной смеси на фракции / Абдуллаев А.Ш., Глушенкова А.И., Нурмухамедов Х.С., Абдуллаева С.Ш. и др.; опубл.30.05.1994. - Бюл.№17 - с.5.

To the issue of speed grinding pelletized mashed root vegetables
S.Sh. Abdullaeva, N.A. Annaev, B.B. Babatullaev, H.S. Nurmukhamedov, F.R.Saidkulov, S.A.Yuldashev
Tashkent Chemical Technological Institute, Tashkent, Uzbekistan

Summary

The article presents the results of experimental studies on grinding pelletized pieces of carrots subjected to drying. During high-speed grinding, the material in the apparatus passes through two zones in succession: coarse



and fine grinding. In each zone, rods with different pitch t/d of their placement are installed. Moreover, in the coarse grinding zone $t/d = 1,2-1,5$, and in the fine grinding zone $t/d = 0,75-0,95$. The dominant influence of the angular speed of rotation of the working shaft and the pitch of the rods on the degree of grinding, which intensifies the grinding process in 1,61 - 1,83 times.

ელექტროკონტაქტური გაცხელების ეფექტი ჩაის წარმოების ტექნოლოგიურ პროცესებში

ანდლულაძე ზ., დოლიძე ბ., შავიშვილი ლ., მუხამაჯირია გ.

ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ჩაის, სუბტროპიკული კულტურების და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტი

ნაშრომი ეძღვნება მწვანე ჩაის წარმოების ტექნოლოგიურ პროცესში ელექტრო-კონტაქტური გაცხელების მეთოდის გამოყენებას

ექსპერიმენტულად დადგენილია შემოთავაზებული მეთოდის გამოყენების შესაძლებლობა მწვანე წნეხილი ჩაის წარმოებაში ფიქსაციის პროცესის განხორციელებისთვის. მეთოდი ეფუძნება, ელექტრო-დებლ შორის მოთავსებულ. ჩაის დაწნეხილ მასაში, ელექტრული დენის გატარებით წარმოქმნილი თბური ენერჯიის ზემოქმედების შედეგად ფოთლის მჟანგავი ფერმენტების ინაქტივაციას. გამომუშავებული საცდელი ნიმუშები აკმაყოფილებენ პროდუქტისადმი წაყენებულ ტექნოლოგიურ და სამომხმარებლო მოთხოვნებს.

კვების მრეწველობაში თბური ტექნოლოგიური პროცესების განხორციელებისათვის პერსპექტულად ითვლება პროდუქტთან ელექტრული დენის უშუალოდ კონტაქტის მეთოდი. მისი გამოყენების ძირითადი მიზანია გადასამუშავებელი მასალის გაცხელება ტექნოლოგიური მოთხოვნების შესაბამისად. აღნიშნულის არსი მდგომარეობს იმაში, რომ გადასამუშავებელ მასაში არსებული წყალი, თავისი მუხტგადამტანი ნაწილაკებით, იძლევა ელექტრული დენის გავლის საშუალებას, რაც იწვევს სითბოს წარმოქმნას მის გაცხელებამდე. მთლიან მოცულობაში ტემპერატურის სწრაფი ზრდა საშუალებას იძლევა დიელექტრიკულ ფორმაში შევქმნათ ელექტროკოაგულიაციის შუალედური პროცესი მოკლე დროში (10-60 წმ) და გადასამუშავებელი მასა გავაცხელოთ 60-90 °C ტემპერატურამდე. აპარატურული უზრუნველყოფის სიმარტივე, მაღალი მარგი ქმედების კოეფიციენტი, პროცესის სწრაფი განხორციელება, ტემპერატურული ველის საკმაოდ მაღალი თანაბარზომიერება. ენერგეტიკული პარამეტრების კონტროლსა და რეგულირებაზე ადვილი ხელმისაწვდომობა - ყველა ეს ეფექტი, როგორც ტექნოლოგიური, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მეთოდის პრაქტიკული გამოყენებისათვის [1.2].

კვლევის მიზანია ჩაის წარმოებაში თბური ტექნოლოგიური პროცესების განხორციელებისთვის ელექტროკონტაქტური გაცხელების მეთოდის პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობების დადგენა. ამ მხრივ ყველაზე სახასიათო მწვანე ჩაის წარმოებაში ფიქსაციის პროცესია, რომლის ძირითადი დანიშნულებაა თერმული დამუშავების გზით ფოთოლში მჟანგავი ფერმენტების ინაქტივაცია.


საერთაშორისო მასშტაბით მწვანე ჩაის წარმოებაში ფიქსაციის პროცესის განხორციელებ-



ბისტვის გამოიყენება დაორთქლვა, მოხალვა და ცხელი ჰაერით ზემოქმედება, რომელთა მნიშვნელოვან ნაკლად მიიჩნევა ენერჯის დანაკარგების სიდიდე, გამოყენებული ტექნოლოგიური დანადგარების მაღალი ლითონტევადობა, პროცესის მართვის სირთულე და შესაბამის მანქანა-მოწყობილობათა დაბალი მარგი ქმედების კოეფიციენტი.


ლაბორატორიულ პირობებში ჩატარებული ცდების შედეგების საფუძველზე დადგენილია ელექტროკონტაქტური გაცხელების მეთოდით ჩაის ფოთლის ფიქსაციის პროცესის განხორციელების შესაძლებლობა [3].

ექსპერიმენტები ტარდებოდა ლაბორატორიული ხელსაწყო გამოყენებით, რომელიც წარმოადგენს დიელექტრიკული მასალისაგან დამზადებულ მართკუთხედის კვეთის მქონე კასეტას (1) მოსახსნელი ფუძით (4) და მასში მოძრავი დგუმით (3). კასეტის მოპირდაპირე წახნაგებზე მონტირებულია ლითონის ელექტროდები(2), მასზე ელექტრული დენის მოდების და მისი რეგულირების შესაძლებლობით (ნახ.1).



ნახ.1 ლაბორატორიული მოწყობილობის სქემა

ჩაის მასაში დენის გატარებას ვახდენდით მისი გარკვეულ მასურ სიმკვრივეზე (400-900 კგ/მ³) დაწნევის შემდეგ. ცდებმა გვიჩვენა, რომ ჩაის მასის საჭირო ტემპერატურამდე გაცხელება შესაძლებელია 30-200 წმ დროის ფარგლებში, რაც თავის მხრივ დამოკიდებულია ფოთოლში არსებული წყლის ელექტროგამტარიანობაზე(X), ჩაის ფოთლის ხარისხობრივ და რეოლოგიურ მახასიათებლებზე, დაწნევის დონეზე და სხვა.



ნახ.2. ჩაის ფოთლის დაწნევის მრუდები. მრუდის ნომერი შეესაბამება ნიმუშის ნომრებს. მსხვილი წერტილებით აღნიშნულია წნევის დონე, რომლის დროსაც ხდება წყლის გამოყოფა

საკვები ხორცის ხარისხის შეფასების ერთ-ერთი მთავარი კრიტერიუმს წარმოადგენს წყლის შენარჩუნების უნარი. კუნთების ფიზიოლოგიისა და საკვები ხორცის შესწავლის სხვადასხვა სფეროში გამოიყენება ბირთვული მაგნიტური რეზონანსის ¹H რელაქსაციის მეთოდოლოგია, რომელიც საშუალებას იძლევა ჰეტეროგენულ მასალებში გამოვლინდეს პროტონების მობილობა, ასევე, ქმნის შესაძლებლობებს წყლის თავისებურების დახასიათებისთვის. პროტონული ბმრ რელაქსაციის მეთოდი გამოიყენება წყლის შენარჩუნების უნარის განსასაზღვრად, რაც, წყლის პროპორციის გაზომვის საშუალებას იძლევა გამოსაკვლევ საქონლის ხორცში, რომელშიც სავარაუდოა ცვრიანობის დაკარგვა.

ბოლო წლებში სურსათის ხარისხზე მომხმარებელთა ინტერესი განუწყვეტლივ იზრდება. ხორცი და ხორცპროდუქტები არის საკვები რაციონის უმნიშვნელოვანესი ნაწილი და, შესაბამისად, ხარისხის კონტროლის მეთოდები ანგარისგასაწევი და სანდო უნდა იყოს. გარდა ამისა, საჭიროა, რომ უკეთესად იქნეს გააზრებული ხორცის პროდუქტების საბოლოო ხარისხსა და მათ ოპტიმიზაციაზე ძირითადი ბიოქიმიური და ბიოფიზიკური ფაქტორების გავლენა.

საკვები ხორცის ხარისხის შეფასების ერთერთი მთავარი კრიტერიუმია წყლის შენარჩუნების უნარი (წმუ). თუმცა, ზუსტი მექანიზმები, რომლებიც განსაზღვრავს წყლის შენარჩუნების უნარს ხორცში ბოლომდე არ არის ახსნილი. გარდა ამისა, არასაკმარისად არის განსაზღვრული კუნთებში წყლის გადანაწილებასა და მობილობაზე როგორ გავლენას ახდენს შინაგანი და გარეგანი ფაქტორები.

ამჟამად, ბირთვული მაგნიტური რეზონანსი (ბმრ ანუ NMR) ფართოდ გამოიყენება



კუნთების ფიზიოლოგიისა და ხორცის შესასწავლად. ^1H NMR რელაქსაციის მეთოდოლოგია საშუალებას იძლევა ჰეტეროგენურ მასალებში გამოვლინდეს პროტონების მობილურობა და მოხდეს წყლის თვისებების დახასიათება.

წინამდებარე მიმოხილვის მიზანია ბმრ მეთოდის შესაძლებლობის ჩვენება ხორცში წყლის შემცველობის შესასწავლად, კერძოდ, როგორ იცვლება წყლის განაწილება და მობილურობა პირუტყვის დაკვლის შემდგომ პერიოდში. განიხილება აგრეთვე ბირთვულ-მაგნიტურ რეზონანსული სპექტროსკოპიის გამოყენების ზოგიერთი ასპექტი მეტაბოლურ კვლევებში.

ბმრ წარმოადგენს სპექტროსკოპიულ მეთოდს, რომელიც პირველად გამოყენებულ იქნა ფიზიკაში, კერძოდ, 1952 წელს მეცნიერთა ჯგუფს გადაეცა ნობელის პრემია ზოგიერთი ატომური ბირთვის კუთხური მაგნიტური მომენტის არსებობის აღმოჩენისთვის [1, 2]. ამის შემდეგ, ბმრ მეთოდი განვითარდა და დაიწყო მისი გამოყენება ქიმიაში, განსაკუთრებით, ორგანულ ნაერთებში მოლეკულური სტრუქტურის შესასწავლად. შემდგომში მოხდა ამ მეთოდის გამოყენება ბიოლოგიურ კვლევებშიც. ბმრ-ის მონაცემები მიიღება და მუშავდება სხვადასხვა მეთოდით. მაგ., პროტონული რელაქსომეტრია ფართოდ გამოიყენება წყლის მდგომარეობის შესასწავლად მრავალ ბიოლოგიურ მასალაში, მათ შორის, კუნთოვან ქსოვილსა და ხორცში. ხორცში წყლის შემცველობა შეადგენს 75%-ს და როგორც დომინანტური შემადგენელი კომპონენტი ასრულებს მნიშვნელოვან როლს ხორცის ხარისხის შეფასებაში (Bertram & Andersen 2004a).

ბმრ სპექტროსკოპიის სხვა მეთოდის გამოყენებითაც შეიძლება ინფორმაციის მიღება ისეთი სპეციფიკური ატომური ბირთვების შესახებ, როგორებიცაა, მაგ., ^{31}P , ^1H , ^{13}C . ბმრ სპექტროსკოპიის საშუალებით შეისწავლება ის მოლეკულები, რომელთა შედგენილობაშიც შედის ის ატომები, რომლებიც შეიძლება კუნთის მეტაბოლიტებს წარმოადგენდეს. სპეციფიკური მეტაბოლიტების ფორმირება და გარდაქმნა პირდაპირ კავშირშია ბიოქიმიურ მოვლენებთან და ასახავს კუნთებში მიმდინარე ფიზიკურ და ქიმიურ ცვლილებებს, რომლებიც მნიშვნელოვანია მიოფიბრილებში წყლის შეკავებისთვის, შესაბამისად, ბმრ სპექტროსკოპია ასევე განიხილება ეფექტურ საშუალებად წყლის შენარჩუნების უნარის (წმუ) შესასწავლად. ღორის ხორცის წარმოებაში წმუ-ს ხარისხი მნიშვნელოვანი მახასიათებელია (Rosenfold & Andersen 2002). ნედლი ხორცის წყლის შეკავების განმსაზღვრელია წმუ და ტრადიციულად შეისწავლება გრავიმეტრიული მეთოდით [3]. 1960-იან წლებში წმუ-ზე ყურადღება განსაკუთრებით გამახვილდა, როდესაც გაჩნდა ხორცის ხარისხის პრობლემები, ე.წ. ფერმკრთალი, დარბილებული, გაჟღენთილი და მუქი, მშრალი, მაგარი კატეგორიების სახით [4-7].

ფერმკრთალი, დარბილებული, გაჟღენთილი ხორცი ხასიათდება წყლის შენარჩუნების ძალიან დაბალი უნარით, რაც ასოცირდება ცვრიანობის (ტენის) დაკარგვასთან (drip loss) 10%-მდე და წარმოადგენს ძალიან ცუდ მაჩვენებელს. ეს მოვლენა მე-20 საუკუნის შუა პერიოდიდან დეტალურად იქნა აღწერილი [8,9]. ეს უკანასკნელი უკავშირდება დაკვლით გამოწვეულ კუნთის მეტაბოლურ ცვლილებებს, კონკრეტულად კი გლიკოლიზის დარღვევებს და დაბალ pH-ს კუნთოვან ბოჭკოებში. ეს ცვლილებები ასოცირებულია ღორებში დაკვლით გამოწვეული სტრესით რიანოდინის რეცეპტორების ჰალოტანის მგრძნობიარე გენების მუტაციებთან (RYR1) [10].

კვლევებმა დაადგინა კავშირი პრეპარატ ჰალოტანსა და მგრძნობიარე გენის არსებო-



ბასთან დასაკლავ პირუტყვში და აგრეთვე ხორცის ხარისხთან [11]. აღმოჩნდა, რომ ჰომოზი-გოტური გენების მატარებელი ღორები რეაგირებს ჰალოტანზე [12,13]. ამჟამად, ხორცის მწარმოებელი კომპანიები უარს ამბობს ჰალოტანის მიმართ მგრძობიარე გენების მქონე პირუტყვის სელექციაზე. შესაბამისად, ეფექტური ტექნიკური საშუალებები აქტუალურია წყლის შენარჩუნების უნარის დასადგენად ღორის ხორცის ინდუსტრიაში ისეთი ფაქტორის გამომწვევი ბიოფიზიკური მექანიზმების შესასწავლად, როგორცაა ცვრიანობის დაკარგვა.

ბირთვული მაგნიტურ რეზონანსული მეთოდი პირველად 1985 წელს გამოიყენეს ხორცში წმუ-ს დასადგენად, რომლის დროსაც აღმოჩნდა, რომ პროტონული ბმრ რელაქსაციის დრო კორელაციაშია ე.წ. წმუ-ს განმსაზღვრავი ინჰიბირირების დროსთან. T2 რელაქსაციის დრო მნიშვნელოვნად განსხვავებულია ხორცის სახეობებში, რომლებიც კლასიფიცირდება, ერთი მხრივ, როგორც ფერმკრთალი, დარბილებული, გაჟღენთილი (ანუ დაბალი წმუ), მეორე მხრივ, მუქი მშრალი მაგარი (ანუ მაღალი წმუ), და ბოლოს, ნორმალური ხორცი [14]. ამჟამად, ღორის ხორცში წმუ-ს შესასწავლად დადგენილია კორელაციური კავშირი T2 რელაქსაციის დროსა და გრავიმეტრიულ მეთოდს შორის [15-17]. ბმრ T2 რელაქსაციის დროის და ცვრიანობის დაკარგვას შორის კორელაციის ბიოფიზიკური ახსნა იმაში მდგომარეობს, რომ ბმრ რელაქსაცია გვამლევს ინფორმაციას ხორცში წყლის განლაგების შესახებ. ექსპერიმენტული კვლევების შედეგად ნანახი იქნა წყლის სამი პოპულაცია: T2B - მაკრომოლეკულებთან ასოცირებული წყალი; T21- მიოფიბრილების წყალი; T22 - ექსტრა-მიოფიბრილარული წყალი. შემდგომი კვლევებით დადგინდა საფუძვლიანი კორელაციური კავშირის არსებობა ექსტრა-მიოფიბრილარულ წყალსა და ცვრიანობის დაკარგვას შორის, აგრეთვე პირდაპირი კორელაცია წყლის დაკარგვის რაოდენობას შორის ცენტრიფუგირების შედეგად და T22 ექსტრა-მიოფიბრილარული წყალის პოპულაციის რაოდენობას შორის [18]. ამგვარად, პროტონული ბმრ რელაქსაციის მეთოდი ძალიან ძლიერი კვლევითი საშუალებაა წყლის შენარჩუნების უნარის განსასაზღვრავად, ვინაიდან, იძლევა წყლის პროპორციის გაზომვის საშუალებას საკვლევი საქონლის ხორცში.

ლიტერატურა

1. Bloch., Hansen W.W., Packard M. (1946) Nuclear induction. Phys. Rev., 69, 127.
2. Purcell E.M., Torrey H.C., Pound P.V. (1946) Resonance absorption by nuclear magnetic moments in a solid. Phys. Rev., 69, 37-38.
3. Honikel K.O. (1998) Reference methods for the assessment of physical characteristics of meat. Meat Sci., 49, 447-457.
4. Bendall J.R., Wismer-Pedersen J. (1962) Some properties of the fibrillar proteins of normal and watery pork muscle. J. Food Sci., 27, 144-159.
5. Sayre R.N., Briskey E.J. (1963) Protein solubility as influenced by physiological conditions in the muscle. J. Food Sci., 28, 675-679.
6. Scopes R.K. (1964) The influence of post-mortem conditions on the solubilities of muscle proteins. Biochem. J., 91, 201-207.
7. Penny I.F. (1969) Protein denaturation and water-holding capacity in pork muscle. J. Food Technol., 4, 269-273.
8. Ludvigsen J. (1954) Undersøgelser over den sa^kkaldte 'muskeldegeneration' hos svin. Beretning fra forsøgslaboratoriet, 272, 1-122.
9. Wismer-Pedersen J. (1959) Quality of pork in relation to rate of pH changes post mortem. Food Res., 24, 711-727.
10. Fujii, J, et al. (1991). Identification of a mutation in porcine ryanodine receptor associated with malignant hyperthermia. Science. 253 (5018): 448-451.



11. Briskey E.J. (1964) Etiological status and associated studies of pale, soft, exudative porcine musculature. Adv. Food Res., 13, 89–178.
12. Eiklenboom G., Minkema D. (1974) Prediction of pale, soft, exudative muscle with a non-lethal test for the halothane-induced porcine malignant hyperthermia syndrome. Tijdschrift voor Diergeneeskunde, 99, 421–426.
13. MacLennan D.H., Phillips M.S. (1992) Malignant hyperthermia. Science, 256, 789–794.
14. Tornberg E., & Andersson A., (1993) Water and fat distribution in pork in relation to sensory properties. In: E. Puolanne, D.I. Demeyer, M. Ruusunen, S. Ellis (eds), Pork Quality: Genetic and Metabolic Factors. CAB International, Wallingford, UK.
15. Brøndum J., Munck L., Henckel P., Karlsson A., Tornberg E., Engelsen S.B. (2000) Prediction of water-holding capacity and composition of porcine meat with comparative spectroscopy. Meat Sci., 55, 177–185.
16. Brown R.J.S., Capozzi F., Cavani C., Cremonini M.A., Petracci M., Placucci G. (2000) Relationships between ¹H NMR relaxation data and some technological parameters of meat: a chemometric approach. J. Magn. Reson., 147, 89–94.1
17. Bertram H.C., Andersen H.J. (2006a) Proton NMR relaxometry in meat science. In: G.A. Webb (ed.), Modern Magnetic Resonance. Springer, Netherlands.
18. Bertram H.C., Dønstrup S., Karlsson A.H., Andersen H.J. (2002) Continuous distribution analysis of T2 relaxation in meat – an approach in the determination of water holding capacity. Meat Sci., 60, 279–285.

NMR spectroscopy for studies of water content characteristics in meet products
G. Tkemeladze, G. Kvartskava, S. Kharashvili, T. Chachibaia*, S. Ohanjanian **

Georgian Technical University
Tbilisi State University

** Armenian State Agrarian University, Yerevan, Armenia

Summary

Proton Water-holding capacity (WHC) is a major quality attribute of fresh meat. Nuclear magnetic resonance (NMR) has during recent years gained increasing use within different areas of muscle physiology and meat science. NMR ¹H relaxation methodologies enable detection of the mobility of protons in heterogeneous materials and thereby provide possibilities for a characterization of the properties of water. NMR relaxation is a very powerful tool for determination of WHC as it gives a direct measure of the proportion of water in the meat that is susceptible to be lost as drip.

ტოპინამბურის კრიოპროტექტორული თვისებების შესწავლა ხორბლის ცომის გაყინვის დროს

ფრუიძე ე., აფხაძე ქ., დოლიძე მ*, ცაგარეიშვილი ხ.
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
*** საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი**

ხორბლის ცომის გაყინვის დროს არასასურველი პროცესების თავიდან აცილების მიზნით გამოიყენება კრიოპროტექტორები, რომლებიც წარმოადგენენ ნივთიერებებს წყლის შენარჩუნების უნარით. ამ მიზნით კრიოპროტექტორად შეირჩა ტოპინამბურის ფხვნილი და შესწავლილი იქნა მისი გავლენა ცომის რეოლოგიურ თვისებებზე, ნახევარფაბრიკატებში ბიოქიმიური პროცესების მიმდინარეობასა და მზა ნაწარმის ხარისხზე. დადგენილ იქნა, რომ ოპტიმალური რაოდენობის ტოპინამბურის ფხვნილის დამატებით იზრდება ხორბლის ცომის გაყინვის სიჩქარე როგორც ტრადიციული, ისე მოკური გაყინვის დროს. საუკეთესო ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებლებით ხასიათდებოდა ხორბლის პურის ნიმუშები, რომელთა შემადგენლობაში დამატებული იყო 6-8% ტოპინამბურის ფხვნილი.



კვების მრეწველობაში სამაცივრო ტექნოლოგიის მიღწევების გამოყენება ხანგრძლივი შენახვის ნახევარფაბრიკატებისა და პროდუქციის წარმოების საშუალებას იძლევა. პურის ცხობის მრეწველობაში ერთ-ერთი პერსპექტიული ტექნოლოგიაა პურფუნთუშეულის წარმოება გაყინული ნახევარფაბრიკატიდან. სწრაფად გაყინული პროდუქციის წარმოება და რეალიზაცია ეფექტურია არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ სოციალური თვალსაზრისითაც, რადგან ის მნიშვნელოვნად ამცირებს ხარჯებს ყოველდღიურ ცხოვრებაში. ცომის გაყინვა საშუალებას იძლევა შენარჩუნებული იქნას მზა ნაწარმის ხარისხი, ბიოლოგიური და კვებითი ღირებულებები. [http://www.classofoods.com/page2_4.html].

ხორბლის პურის ნახევარფაბრიკატების გაყინვის დროს ხდება ცილების დენატურაცია და აგრეგაცია, რომელიც იწვევს მათი ფუნქციური თვისებების დაკარგვას. ამას გარდა ილუპება საფუარის უჯრედები ყინულის კრისტალების წარმოქმნის და წყლის დაკარგვის გამო. ნახევარფაბრიკატის გაყინვის პროცესი გავლენას ახდენს მზა ნაწარმის მოცულობაზე. მზა ნაწარმის მოცულობის შენარჩუნების მიზნით მნიშვნელოვანია ნამზადის სტრუქტურის სტაბილიზაცია. გაყინვას დაქვემდებარებული ცომისათვის მნიშვნელოვანია სამი ძირითადი მახასიათებელი: აირის წარმოქმნა, აირის შენარჩუნება, ცომის რეოლოგიური თვისებები, რადგან დაბალი ტემპერატურის ზემოქმედებით აირის წარმოქმნა მცირდება, აირის შენარჩუნების უნარი სუსტდება და რეოლოგიური თვისებები უარესდება. არასასურველი პროცესების თავიდან აცილების მიზნით ნახევარფაბრიკატების გაყინვის დროს გამოიყენება კრიოპროტექტორები, რომლებიც წარმოადგენენ ნივთიერებებს წყლის შენარჩუნების უნარით. მათ მიეკუთვნება ფრუქტოზა, სორბიტი, პექტინი და სხვა [1,2,5].

გაყინვის დროს მიკროორგანიზმების სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნების შესწავლამ აჩვენა, რომ გაყინვა და გაღობა გავლენას ახდენს საფუარების ცხოველმქმედებაზე [3]. შიგაუჯრედული წყლის არაუჯრედულ ყინვად გარდაქმნის გამო ნელი გაყინვისას ხდება საფუარების შეგუება დაბალტემპერატურულ გარემოსთან. სწრაფად გაყინვისას ხდება შიგაუჯრედული გაყინვა, რადგან ტემპერატურის ცვლილება ხდება უფრო სწრაფად, ვიდრე უჯრედულ მემბრანაში წყლის გატარება. კრიოპროტექტორების გამოყენება ამცირებს კრისტალების ზომებს და ხელს უშლის ცილებიდან წყლის მოლეკულების მიგრაციას. კრიოპროტექტორის გამოყენების შედეგად ცილა ხდება უფრო მდგრადი დისოციაციისა და დენატურაციის მიმართ, მცირდება გაყინვის დროს ცილის მიერ დაკარგული წყლის რაოდენობა [4].

კრიოპროტექტორის დამატებით წარმოიქმნება ცილოვან-პოლისაქარიდული კომპლექსი, რომელიც იწვევს წყლის მინისებურ მდგომარეობაში გადასვლის ტემპერატურის შემცირებას. პოლიმერის მოლეკულური მასის მომატებით მინად გარდაქმნის ტემპერატურა მცირდება [3]. პექტინს აქვს საუკეთესო შემაკავშირებელი და კომპლექსური ნივთიერებების წარმოქმნის უნარი. გასაყინი ცომის მოხელისას პექტინის დამატებით მცირდება წყლის მინისებურად გარდაქმნის ტემპერატურა პოლიმერის მოლეკულური მასის მომატების გამო. გამოკვლევებით დადგენილია, რომ პექტინის დამატება აუმჯობესებს ცომის აირის წარმოქმნისა და აირის დაჭერის უნარს, დადებითად მოქმედებს ცომში თავისუფალი ტენის განაწილებაზე, რაც ხელს უშლის მსხვილი კრისტალების წარმოქმნას და მიიღება მაღალი ხარისხის ნაწარმი.

თანამედროვე პირობებში მნიშვნელოვანია ისეთი დანამატების მოძიება რომელსაც ექნება როგორც კომპლექსების წარმოქმნის უნარი, ასევე რადიოპროტექტორული თვისებები. ამ



მიზნით ჩვენს მიერ კრიოპროტექტორად შერჩეული იქნა ტოპინამბურის ფხვნილი და შევისწავლეთ მისი გავლენა ცომის რეოლოგიურ თვისებებზე, ნახევარფაბრიკატებში ბიოქიმიური პროცესების მიმდინარეობასა და მზა ნაწარმის ხარისხზე.

ტოპინამბური (ლათ. Helianthus Tuberosus) – არის მრავალწლოვანი ტუბერისებრი ბალახოვანი მცენარე მხესუმზირასებრთა გვარიდან. ტოპინამბურის ბოლქვები შეიცავს მშრალი ნივთიერებების საკმარისად დიდ რაოდენობას (20%), რომლის 80% შეიცავს ფრუქტოზის პოლიმერულ ჰომოლოგს-ინულინს. ინულინი არის პოლისაქარიდი, რომლის ჰიდროლიზის შედეგად წარმოიქმნება ფრუქტოზა. ტოპინამბური შეიცავს უჯრედის და მინერალური ელემენტების მდიდარ ნაკრებს, ცილებს, პექტინს, ამინომჟავებს, ორგანულ და ცხიმოვან მჟავებს, B1, B2, C ვიტამინებს[3,4].

ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენდა რამდენად იყო შესაძლებელი კრიოპროტექტორად ტოპინამბურის ფხვნილის გამოყენება. ამიტომ შევისწავლეთ ტოპინამბურის ფხვნილის გავლენა ნახევარფაბრიკატის გაყინვის სიჩქარეზე. ცომში ვამატებდით ტოპინამბურის ფხვნილს 2%-დან 10%-მდე ფქვილზე გადაანგარიშებით. შედეგები ნაჩვენებია ნახ. 1-ზე.

როგორც შედეგებიდან ჩანს ტოპინამბურის ფხვნილის დამატებით იზრდება გაყინვის სიჩქარე 0,6 °C/წთ -დან და მაქსიმუმალურ მნიშვნელობას (2,8 °C/წთ) აღწევს 8% ფხვნილის დამატების შემთხვევაში. ფხვნილის შემდგომი დამატება იწვევს გაყინვის სიჩქარის შემცირებას. აღსანიშნავია, რომ გაყინვის სიჩქარის ზრდა ტოპინამბურის ფხვნილის დამატებით შეინიშნება როგორც ტრადიციული მეთოდით გაყინვისას, ისე შოკური გაყინვის დროს. თუმცა შოკური გაყინვისას გაყინვის სიჩქარე იზრდება უფრო სწრაფად. ამრიგად ტოპინამბურის ფხვნილის ოპტიმალური რაოდენობა არის 8% ხორბლის ფქვილზე გადაანგარიშებით, რომელიც იძლევა გაყინვის სიჩქარის მაქსიმალური სიდიდის მიღწევის საშუალებას.

კრიოპროტექტორის დამატება გავლენას ახდენს კრიოტროპული სტრუქტურის წარმოქმნის პროცესის მიმდინარეობაზე და შესაბამისად განაპირობებს ნახევარფაბრიკატის რეოლოგიურ თვისებებსა და მზა ნაწარმის ხარისხს.

ჩვენი სამუშაოს შემდეგ ეტაპზე გამოვიკვლიეთ ტოპინამბურის ფხვნილის გავლენა ხორბლის ცომის რეოლოგიურ თვისებებსა და მზა ნაწარმის ხარისხზე. ჩატარდა საცდელი ცხობების მთელი სერია. დანამატები შეგვქონდა ცომში მოხელის პროცესში, რომელსაც ვამზადებდით უაფრო მეთოდით. შედეგები მოცემულია ცხრილი 1; 2 და ნახაზი 2; 3.

ცხრილი 1. ტოპინამბურის ფხვნილის გავლენა მზა ნაწარმის ხარისხზე ტრადიციული გაყინვის პირობებში.

ხარისხის მაჩვენებელი	ტრადიციული გაყინვა						
	კონტროლი	2% ტოპინამბურის ფხვნილი	4% ტოპინამბურის ფხვნილი	6% ტოპინამბურის ფხვნილი	8% ტოპინამბურის ფხვნილი	10% ტოპინამბურის ფხვნილი	12% ტოპინამბურის ფხვნილი
პურის გულის სინესტე, %	44,5	43,8	43,6	43,4	43,2	43,0	43,0
მჟავიანობა, გრად.	2,8	2,8	3,0	3,0	3,1	3,2	3,2
H/D	0,48	0,50	0,50	0,52	0,54	0,56	0,57



ხვედრითი მოცულობა, სმ ³ /100 გრ	3,48	3,52	3,54	3,56	3,60	3,65	3,65
ფორიანობა, %	68	72	74	70	75	78	78
ფორმა	მრგვალი						
ფერი	ღია ფერის მოყვითალო ელფერით	ღია ფერის	ღია ფერის	ღია ფერის	ღია ფერის	ღია ფერის რუხი შეფერილობით	მკვეთრად გამოხატული რუხი შეფერილობით
პურის გულის მდგომარეობა	დრეკად-ელასტიური						
პურის ქერქის მდგომარეობა	პურის ზედაპირი სწორია (გლუვი) ნახეთებისა და ნაბზარების გარეშე ქერქი ყავისფერია, პრიალა						


ცხრილი 2. ტოპინამბურის ფხვნილის გავლენა მზა ნაწარმის ხარისხზე შოკური გაყინვის პირობებში

ხარისხის მაჩვენებელი	შოკური გაყინვა						
	კონტროლი	2% ტოპინამბურის ფხვნილი	4% ტოპინამბურის ფხვნილი	6% ტოპინამბურის ფხვნილი	8% ტოპინამბურის ფხვნილი	10% ტოპინამბურის ფხვნილი	12% ტოპინამბურის ფხვნილი
პურის გულის სინესტე, %	44,7	44,4	44,2	44,0	43,8	43,6	43,5
მჟავიანობა, გრად.	2,8	2,8	3,0	3,0	3,1	3,2	3,2
H/D	0,50	0,52	0,54	0,55	0,56	0,58	0,58
ხვედრითი მოცულობა, სმ ³ /100 გრ	3,52	3,55	3,56	3,58	3,60	3,66	3,66
ფორიანობა, %	70	73	74	76	77	79	79
ფორმა	მრგვალი						
ფერი	ღია ფერის მოყვითალო ელფერით	ღია ფერის	ღია ფერის	ღია ფერის	ღია ფერის	ღია ფერის რუხი შეფერილობით	მკვეთრად გამოხატული რუხი შეფერილობით
პურის გულის მდგომარეობა	დრეკად-ელასტიური						
პურის ქერქის მდგომარეობა	პურის ზედაპირი სწორია (გლუვი) ნახეთებისა და ნაბზარების გარეშე ქერქი ყავისფერია, პრიალა						




ცხრილების მონაცემებიდან ჩანს, რომ საუკეთესო მაჩვენებლებით ხასიათდებოდა ნიმუშები, რომელთა შემადგენლობაში დამატებული იყო 6÷8% ტოპინამბურის ფხვნილი. ტოპინამბურის ფხვნილის დამატებით მიღებული ნაწარმის ხარისხი ხვედრითი მოცულობით, ფორიანობით და ფორმის შენარჩუნების უნარით უმჯობესი იყო დანამატის გარეშე მიღებულ ნაწარმზე. ფერი და გემო იყო ხორბლის პურისათვის დამახასიათებელი. 10% ფხვნილის დამატების შემთხვევაში მზა ნაწარმს ქონდა რუხი შეფერილობა მკვეთრად გამოხატული ტოპინამბურის გემოთი. მზა ნაწარმის ორგანოლექტიკურმა შეფასებამ ცხადყო, რომ დანამატის ოპტიმალური დოზის გამოყენებით მიღებული ნაწარმი ხასიათდებოდა უკეთესი არომატითა და საგემოვნო თვისებებით. დასამატებელი ტოპინამბურის ფხვნილის ოპტიმალური რაოდენობაა 8% ფქვილის რაოდენობაზე გადაანგარიშებით.


ამრიგად, ოპტიმალური რაოდენობის ტოპინამბურის ფხვნილის დამატებით იზრდება ხორბლის ცომის გაყინვის სიჩქარე როგორც ტრადიციული, ისე შოკური გაყინვის დროს. საუკეთესო ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებლებით ხასიათდებოდა ხორბლის პურის ნიმუშები, რომელთა შემადგენლობაში დამატებული იყო 6÷8% ტოპინამბურის ფხვნილი.



ნახაზი 1. ტოპინამბურის ფხვნილის გავლენა ცომის გაყინვის სიჩქარეზე



ნახაზი 2. ტოპინამბურის ფხვნილის დამატებით პურის ორგანოლექტიკური პროფილოგრამა ტრადიციული გაყინვის მეთოდით



ნახაზი 3. ტოპინამბურის ფხვნილის დამატებით პურის ორგანოლექტიკური პროფილოგრამა შოკური გაყინვის მეთოდით

ლიტერატურა

1. [ToktamHejrani, Zahra Sheikholeslami, S. AliMortazavi, Mahdi Karimi, Amir Hosesein Elhamirad](#), Impact of the Basil and Balangu gums on physicochemical properties of part baked frozen Barbari bread, [Information Processing in Agriculture](#), V.6 (3), 2019, P.407-413.
2. [Pegah Sadeghi, VasafiNasserHamdami, JavadKeramat](#) Quality and microbial stability of part-baked 'Barbari bread' during freezing storage, [LWT - Food Science and Technology](#), V.104, 2019, pp. 173-179.
3. Кенийз Н.В., Определение содержание свободной и связанной влаги в тесте с добавлением



- კრიოპროტექტორთა [Текст] / Н. В. Кенийз // Молодой ученый, 2014, № 4, с. 187–189.
4. 44. Кенийз, Н. В. Влияние дефростации в технологии хлеба из замороженных полуфабрикатов на качество готового продукта / Н. В. Кенийз, Н. В. Сокол // Вестник НГИЭИ, 2011, Т. 2. № 2 (3), с 92–101.
 5. 45. Кенийз Н. В. Влияние различных криопротекторов на реологию теста для полуфабрикатов [Текст] / Н. В. Кенийз, Н. В. Сокол // Молодой ученый, 2014, № 10. с. 147–150.

The study of cryoprotective properties of topinambur in the freezing process of wheat dough

E. Pruidze, K. Apkhadze, *M. Dolidze, Kh. Tsagareishvili

Akaki Tsereteli State University

* Georgian Technical University

Summary

Cryoprotectants, which are substances that can hold water, are used to prevent unwanted processes when freezing wheat dough. For this reason, topinambur powder was chosen as a cryoprotectant, and its effect on the rheological properties of the test, biochemical processes in semi-processed products and the quality of finished products was studied. It was found that the optimal amount of topinambur powder increases the speed of freezing wheat dough in both traditional and shock freezing. The best physico-chemical qualities were characterized by samples of wheat bread, which contained 6-8% topinambur powder.

**ქვეყნის სასურსათო რძის წარმოების საკითხები
ინდუსტრიული მეძროხეობის განვითარების პირობებში**

**ქილიფთარი ც., ბარკალაია რ., ფირცხალაიშვილი თ., ჟღენტი თ.
სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი**

ინდუსტრიული მეძროხეობის განვითარება, რომელიც დარგის ინტენსიფიკაციის აუცილებელ პირობას წარმოადგენს საჭიროებს მაღალმერძეული სპეციალიზირებული ჯიშების შემოყვანას და მოშენებას. ისინი სამრეწველო წარმოების პირობებს კარგად არიან მორგებული და ტექნოლოგიური მაჩვენებლების მიხედვით სელექცირებულია. საქართველოს ინტენსიურ ფერმებში ბოლო წლებში ფართოვდება მერძეული მიმართულების ჰოლშტინური და შვიცურ ჯიშების პირუტყვის იმპორტი. სტატიაში გადმოცემულია მათი ადაპტაციის უნარის გამოცდის შედეგები აღმოსავლეთ საქართველოს პირობებში.

ქვეყნის სასურსათო რძით უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, მეცხოველეობის წამყვანი დარგის, მეძროხეობის რეორგანიზაცია და ინტენსიფიკაცია, სოფლის მეურნეობის ეროვნული სტრატეგიის მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს. მეძროხეობის ინტენსიფიკაცია დაკავშირებულია ინდუსტრიული მეძროხეობის და მაღალგანვითარებული საკვებ-წარმოების შექმნასთან, რძის წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა-გამოყენებასთან.

რძისა და ხორცის ინდუსტრიული წარმოების ტექნოლოგიები საჭიროებენ მაღალპროდუქტიული, სპეციალიზირებული ჯიშების მოშენებას, რომლებიც სამრეწველო წარმოების პირობებს კარგად არიან მორგებული და ტექნოლოგიური მაჩვენებლების მიხედვით სელექცირებული (6,7). მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოში ძროხის ათასზე მეტი ჯიშია რეგისტრირებული, ინდუსტრიულ მეძროხეობაში სულ რამოდენიმეა პოპულარული, ესენია ჰოლშტინური, ჯერსული, შვიცური, ანგლერული, დანიური წითელი და სიმენტალური. მათი ძირითადი მომწოდებელი ევროპის ქვეყნებიდან არის ჰოლანდია, გერმანია, დანია, შვეიცარია, ავ-



სტრია, ბალტიის სახელმწიფოები; ამერიკიდან- აშშ და კანადა (4).

საქართველოში ძროხის მაღალპროდუქტიული ჯიშების იმპორტს საუკუნენახევრის ისტორია აქვს (2), მაგრამ ბოლო წლებში მან განსაკუთრებული ინტერესი შეიძინა. ოპერატიული მონაცემებით ევროპის ქვეყნებიდან ინტენსიურ ფერმებში უკვე შემოყვანილია 5000 სულზე მეტი ჯიშის პირუტყვი, რომელთა შორის ყველაზე მეტი ჰოლშტინურ და შვიცურ ჯიშს მიეკუთვნება, შემდეგ რანგობრივად სიმენტალურის, ესტონური წითელის და ჯერსულის ჯიშების პირუტყვია. ამის მიუხედავად, ინდუსტრიული ფერმები ქვეყანაში წარმოებული პროდუქციის 1%-საც ვერ იძლევა, რასაც განაპირობებს შემყვანილი მაღალპროდუქტიული პირუტყვის არასათანადო კვება, ეკოლოგიური ფაქტორების და მოვლა-შენახვის პირობების შეუსაბამობა მათი ორგანიზმის მოთხოვნილებასთან, ტექნოლოგიური პროცესების დარღვევა, ფერმერების კვალიფიკაციის დაბალი დონე და ა.შ. ამასთან დიდ როლს თამაშობს იმპორტული ჯიშების უსისტემო მოშენება ქვეყნის სხვადასხვა ზონაში აკლიმატიზაციის უნარის გათვალისწინების გარეშე (1). ეს მაშინ, როდესაც ახალი საარსებო გარემო უდიდეს გავლენას ახდენს აქ შეყვანილი ცხოველების ორგანიზმზე, შეგუების პროცესში ცხოველი იცვლის თავის სამეურნეო-ბიოლოგიურ თვისებებს და ეს პროცესი მით უფრო რთულად მიმდინარეობს, რამდენადაც მისი აკლიმატიზაციის უნარი დაბალია. ამიტომ, ჯიშების იმპორტი და მათი რეგიონული გაადგილება, რომელიც პირუტყვის ჯიშობრივი გაუმჯობესების ეფექტიანი ხერხია, უნდა წარიმართოს შემოყვანილი, მაღალკულტურული ჯიშების ზონალური გამოცდის საფუძველზე. დასაბუთებული კვლევების გარეშე უნდა აიკრძალოს უცხოეთიდან არაგეგმური ჯიშების შემოყვანა და სტიქიურად მათი მოშენება, რამაც ბევრი ფერმერი წარმოების კრახამდე მიიყვანა.

აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტის პრაქტიკულ-თეორიული მნიშვნელობის გაითვალისწინებით სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში დაიწყო საქართველოში ყველაზე მეტად პოპულარული ჰოლშტინური და შვიცური ჯიშების მოშენების ეფექტურობის შესწავლა და ცხელი კლიმატის მიმართ შეგუების უნარის გამოცდა. კვლევის პირველი ვარიანტი შესრულებულია თბილისის საგარეუბნო ზონაში, ამჟამად იგი მიმდინარეობს კახეთის რეგიონის ინდუსტრიულ ფერმებში.

თელეთის შპს „მარგებლის“ ფერმაში კვლევები შესრულებული იქნა ფურების დაუმეღ-ჯგუფური შენახვის პირობებში, რა დროსაც ცხოველები დღის უმეტეს ნაწილს ატარებს ღია ფარდულებში, ხოლო მეორე საკვლევ ობიექტზე, შპს „მწვანე რანჩოს“ ფერმაში, სადაც შენახვის სისტემა ასევე თავისუფალ-ჯგუფურია, მაგრამ დახურული ტიპის სადგომში, რომელსაც ტემპერატურის და ტენიანობის რეგულირებისათვის გააჩნია სპეციალური სისტემა. ორივე ობიექტზე პირუტყვის კვების დონე საკმაოდ მაღალი იყო, წლის ყველა სეზონში თითქმის ერთგვაროვანი კვების ულუფებში მშრალი ნივთიერების შემცველობა შეადგენდა 20- 21კგ-ს, სამიმოცვლო ენერგა 200-215 მეგაჯოულს, მონელებადი პროტეინი 1800- 1810 გრამს, ულუფები ბალანსდებოდა ცხიმებით, ნედლი უჯრედანით, კალციუმით, ფოსფორით, ლიზინითა და ტრიპტოფანით, მაგრამ ნორმასთან შედარებით დარღვეული იყო შაქარ-პროტეინოვანი შეფარდება, რაც ნეგატიურად აისახება ფურების ფაშვის მიკროფლორის განვითარებასა და უჯრედანას მონელებაზე. იგი გავლენას ახდენს, როგორც მონაწველის სიდიდეზე, ასევე ცხიმის შემცველობაზე.

თელეთის ფერმაში ცდა ჩატარდა პირველნაყოფ ფურებზე. შესწავლამ გაოაგვინა, რომ შვიცური ჯიშის ცხოველების ლაქტაციის ხანგრძლივობა შეადგენდა 349 დღეს, ჰოლშტინურის - 27 დღით მეტი იყო. შესაბამისად ჰოლშტინური ჯიშის ფურებს გახანგრძლივებული



ჰქონდათ სერვის პერიოდი. იგი შეადგენდა 216.2 დღეს, შვიცური ჯიშის ანალოგების 167.4 დღეს. საცდელმა ცხოველებმა გამოავლინეს საკმაოდ მაღალი სარძეო პროდუქტიულობა. ჰოლშტინური ჯიშის ფურების მონაწველი მერყეობდა 4953-8333 კგ-ს შორის და საშუალოდ 6270.2 კგ-ს უდრიდა, შვიცური ჯიშის ანალოგების მონაწველი 11.1 %-ით ნაკლები იყო. სხვაობა რძის ცხიმ და ცილა პროდუქციაში შეადგენს შესაბამისად 8.2-10.2 %-ს.

ჯიშებს შორის სტატისტიკურად არაადამაჯერებელი განსხვავება დაფიქსირდა რძის ცხიმის, ცილის და შაქრის პროცენტული შემცველობის მიხედვით.

შპს „მწვანე რაჩოს“ ფერმაში, სადაც ფურების ნახევარზე მეტს ლაქტაცია ძლიერ გახანგრძლივებული ჰქონდათ, ჯიშობრივი განსხვავება მეწველ ფურის პროდუქტიულობაში, მონაწველის გათვლით იქნა განსაზღვრული. დადგინდა, რომ ჰოლშტინური მეწველი ფურებიდან მიღებული რძის რაოდენობა დღეში შეადგენდა 31,9 კგ-ს, თვეში 955 კგ-ს, შვიცურის კი შესაბამისად 27,8 და 842 კგ-ს. სხვაობა თვის მონაწველის მიხედვით ჰოლშტინურსა და შვიცურს შორის 114,7 და 113,4%-ია. ე.ი დაახლოებით ისეთი, რაც თელეთის ფერმაში იქნა მიღებული.

ზოგადად სოფლის მეურნეობას და კერძოდ მეძროხეობის განვითარებას უდიდეს პრობლემას უქნის გლობალური დათბობით გამოწვეული ბუნებრივი კატაკლიზმები, რაც უფრო მკვეთრად არის გამოხატული საქართველოს დაბლობ ზონაში. იგი გამოიხატება გარემო ტემპერატურის მკვეთრი მომატებაში, პირუტყვის სხვადასხვა დაავადებების გავრცელებაში, სითბური სტრესების წარმოშობაში, ცხოველთა დაკნინებაში, პროდუქტიულობისა და ნაყოფიერების მნიშვნელოვან შემცირებაში. ამ მოვლენის მიმართ შემოყვანილი მაღალპროდუქტიული ჯიშები განსაკუთრებით მგძნობიარენი არიან. ექსტრემალურ პირობებში შემოყვანისას მათ უხანგრძლივდებათ ადაპტაცია და ძნელად გადიან აკლიმატიზაციის პროცესს. ამიტომ ძროხის ჯიშების გამოცდის დროს აუცილებელია მათი ექსტრემალური კლიმატის მიმართ შეგუების გენეტიკური უნარის შესწავლა (3,5).

ახალ გარემო პირობების მიმართ ინტროდუცირებული ცხოველების ადაპტაციის მიმდინარეობის დასახასიათებლად წლის სეზონების მიხედვით შესწავლილი იქნა კლინიკური, სისხლის მორფოლოგიური და ბიოქიმიური მაჩვენებლები, რომლებიც იმავდროულად წარმოდგენას იძლევა ცხოველის ფიზიოლოგიურ მდგომარეობაზე და ნივთიერებათა ცვლის ინტენსივობაზე. დადგინდა, რომ ზაფხულის ცხელ დღეებში, როდესაც ჰაერის ტემპერატურა 40 გრადუსზე ზევით ადის და ტენიანობა 34-36% მდე ეცემა, ცხოველებში ვლინდება მკვეთრი რეაქციები, იცვლება ფიზიოლოგიური სტატუსი, ვლინდება ძლიერი სტრესები.

შპს „მარგებლის“ ფერმაში შესრულებულ კვლევებში, სადაც სადგომი ფარდულის მიკროკლიმატსა და მის გარეთ გარემოს კლიმატს შორის სხვაობა დიდი არ იყო, ჰოლშტინური და შვიცური ჯიშის საცდელი ცხოველების სუნთქვის სიხშირემ შუადღეზე დილის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით მოიმატა 57- 75%-ით. პულსი გადიდებული იყო 4,4-11, %-ით, ხოლო ორგანიზმის ტემპერატურა, 1,14-4.8%-ით, ამასთან ტემპერატურული პიკის საათებში სუნთქვის სიხშირე ყველაზე მაღალი ჰქონდათ ჰოლშტინური ჯიშის ფურებს, შვიცური ჯიშის ფურების ფიზიოლოგიური სტატუსი შედარებით უფრო მყარი იყო. მიკროკლიმატის პარამეტრების დარღვევას ორივე ჯიშის ცხოველებში თან ახლდა მადის დაქვეითება, მონაწველისა და ცხიმინობის მკვეთრად შემცირება.

შპს „მწვანე რაჩოს“ ფერმაში დახურული ტიპის სადგომში, სადაც ხელოვნურად ხდებოდა სადგომის ვენტილაციით გაგრილება, ექსტრემალურად მაღალი ტემპერატურა შედარებით მაღალ ტენიანობასთან ერთად (შუადღეზე სადგომში ტემპერატურა 29-32 გრადუს-



სი, ტენიანობა 56-58%) ცხოველებში იწვევდა კლინიკური სტატუსის დიდ ცვლილებას. ამასთან დაფიქსირდა, რომ ჰოლშტინური ჯიშის ფურეებში სუნთქვის სიხშირე დილის მაჩვენებელთან შედარებით, რომელსაც კომფორტული ზონა ეწოდება, შუადღეზე, გაიზარდა 43 %-ით, პულსის სიხშირე 28%-ით, ხოლო შვიცური ჯიშის ინდივიდებში, შესაბამისად 73 და 29%-ით.

ზამთრის ცივ დღეებში, როდესაც ჰაერის ტემპერატურა -9 გრადუსამდე დაეცა და ტენიანობამ კი 61-65%-მდე მოიმატა, შესწავლილი კლინიკური პატრამეტრები ორივე ჯიშის საცდელ ფურეებში ნორმის საზღვრებიდან არ გასულა, თუმცა სუნთქვის სიხშირე დილის საათებში დაკვირვებაზე დაყენებულ ყველა ფურეში შენელებული იყო, პულსი აჩქარებული, რაც ორგანიზმის სიცვისაგან დაცვის ნორმალური რეაქციაა. ჰოლშტინურისაგან განსხვავებით შვიცური ჯიშის ფურეებში პულსის და სუნთქვის სიხშირის ცვლილებები მაღალი არ იყო, რაც ცივი კლიმატის მიმართ მის მეტ შემგუებლობაზე მიუთითებს.

ახალ საარსებო გარემოში ჯიშების შეგუების უნარის განსაზღვრისას მნიშვნელოვანია მოშენებული პირუტყვის ტექნოლოგიური მაჩვენებლის შესწავლა. კვლევამ უჩვენა, რომ ჰოლშტინური ჯიშის ფურეებში მასტიტები, ენდომეტრიტები და ბერწიანობის მაჩვენებლები უფრო მაღალია, ვიდრე შვიცური ჯიშის ანალოგებში, რაც მიუთითებს ჰოლშტინების მოშენებისას ტექნოლოგიური პროცესების ზუსტად დაცვის აუცილებლობას.

კვლევები ინდუსტრიულ საწარმოებში გრძელდება, რომელიც საუძველად დაედება ამ ჯიშების მოშენების რეკომენდაციების შემუშავებას.

ლიტერატურა

1. ც.ქილიფთარი, ძროხის შავ-ჭრელი ჯიშის აკლიმატიზაციის და მოშენების საკითხები საქართველოში. საქ.სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის შრ. კრებული, ტ.XV, გვ.281-285. 2001წ.
2. ც.ქილიფთარი, ზ.შერმაზანაშვილი. საქართველოში ძროხის ევროპული ჯიშების შემოყვანის ისტორიისთვის. აგრარული მეცნიერების პრობლემები. ტ41. 2007 წ. გვ.180-182/.
3. ქილიფთარი ც., ბარკალაია რ., ფირცხალაიშვილი თ., ჟდენტი თ. საქართველოში შემოყვანილი ჰოლშტინური ჯიშის ფურების კლინიკური მაჩვენებლები ცხელ ექსტრემალურ კლიმატურ პირობებში. I საერთაშორისო სამეც.-პრაქტიკ. კონფერენცია „ახალი ინოვაციები“.
4. Акклиматизация импортированного из разных стран скота ... <https://cyberleninka.ru/.../akklimatizatsiya-importirovannogo-iz-raznyh-stran-skota-go>.
5. И. Малинин Тепловой стресс у молочных коров www.agritimes.ru/articles/1625/teplovoj-stress-u-molochnyh-korov, 1 окт. 2014
6. Стрекозов Н.И. Стратегические направления развития отрасли молочного скотоводства / Н. И. Стрекозов, В. И. Чинаров, А. В. Чинаров // Экономика сельскохозяйственных и перерабатывающих предприятий. – 2016. – № 4. – С. 11–14.
7. Productive longevity of European Holstein cows in conditions of industrial technology / R. V. Milostiviy, M. P. Vysokos, O. O. Kalinichenko, T. O. Vasilenko, D. F. Milostiv. Ukrainian Journal of Ecology. – 2017. – Vol. 7.- P. 169–179.

Issues of Milk Production in the Conditions for Industrial Development of Animal Husbandry in Georgia

T. Kiliptari, R. Barkalaia, T. Pirtskhalaishvili, T. Zhghenti

The Scientific-Research Center of Agriculture

Summary

For the development of intensive animal husbandry, it is necessary to import highly productive specialized breeds of livestock and breed them. Animals should be well adapted to the conditions of industrial production, selection should be directed by technological indicators. In recent years, imports of dairy cattle – Holstein and Brown Swiss -have been increasing in intensive farms in Georgia. The Scientific-research center of agriculture began studying the effectiveness of their breeding and testing the animals' adaptability to hot climate conditions in the suburbs of Tbilisi and in industrial farms in Kakheti. An experiment on a farm in Teleti showed that the average yield of Holstein cows was 6270.2 kg, while the equivalent of the Swiss breed was 11.1% less. The difference in fat and protein in milk was 8.2-10.2%, respectively. Approximately the same difference in favor of the Holstein breed



was observed in the Akhmeta's municipality in the farm Mtsvane Rancho. Statistically unbelievable difference between the breeds was obtained by the percentage of fat, protein, and sugar in the milk. On hot summer days, when the air temperature was above 40 degrees and the humidity decreased to 34-36%, the physiological status of both breeds changed. In extreme climatic conditions, much stronger stress was observed in Holstein cows.

შემკვლავი ცომის მომზადება კუნელის ფხვნილის გამოყენებით

ყიფიანი ა.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სტატიაში განხილულია ფენოლოური ნაერთებით მდიდარი შავი კუნელის ფხვნილის გამოყენება შემკვლავი ნამცხვრის წარმოებაში. აღმონდა რომ კუნელის ფხვნილის გამოყენებით შესაძლებელია არა მარტო ტექნოლოგიური პროცესის სრულყოფა, არამედ მაღალი ბიოლოგიური ღირებულების მქონე ნაწარმის მიღება სამკურნალო პროფილაქტიკური კვებისათვის.

კვების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის მიზანს მოსახლეობის ჯანმრთელობის განმტკიცება და შენარჩუნება, არასრულფასოვანი და არაბალანსირებული კვებით განპი-რობებულ დაავადებათა პროფილაქტიკა წარმოადგენს. ჯანსაღი კვების პროდუქტებით მოსახლეობის დაკმაყოფილება შესაძლებელია მაღალი კვებითი ღირებულებისა და ფუნქციონალური დანიშნულების პროდუქტების გამოყენებით, ასორტიმენტის გაფარ-თობითა და და მათი ინოვაციური ტექნოლოგიების შემუშავებით [1,2].

აღსანიშნავია, რომ ფქვილოვანი საკონდიტრო ნაწარმი მოსახლეობის მხრიდან ყოველდღიური საყოველთაო მოხმარებით გამოირჩევა, თუმცა მათი ბიოლოგიური და კვებითი ღირებულების დაბალი დონე აღნიშნული ნაწარმის ძირითად ნაკლზე მიუთი-თებს, რამეთუ ფქვილოვანი საკონდიტრო ნაწარმის, როგორც ნახშირწყლებისა და ცხიმების მაღალი შემცველობის მქონე წყაროს გაზრდილი რაოდენობით მოხმარება იწვევს რაციონის ბალანსირების დარღვევას, როგორც საკვები ნივთიერებების, ასევე ენერგეტიკული ღირებულების მიხედვით. ამიტომ მოსახლეობის უზრუნველყოფა მაღალხარისხოვანი სამკურნალო-პროფილაქტიკური თვისებების მქონე კვების პროდუქტებით, კერძოდ კი ფქვილოვანი ნაწარმით მეტად აქტუალურია.

ფქვილოვანი საკონდიტრო ნაწარმის ხარისხის, ბიოლოგიური ღირებულებისა და გემოვნებითი ღირსების ამაღლება შესაძლებელია არატრადიციული მცენარეული ნედლეულის ფართო გამოყენებით. აღნიშნული თვალსაზრისით განსაკუთრებით ყურადსაღებია ველურად მზარდი ნაყოფები და კენკრა, რომლებიც ბიოფლავონოი-დების ფასეულ წყაროს წარმოადგენენ. ისინი პროდუქტს ანიჭებენ დიეტურ თვისებებს, აძლიერებენ ორგანიზმის იმუნიტეტსა და ანტიოქსიდანტური პროცესების აქტივობას, იწვევენ სისხლძარღვთა კაპილარების კედლების სიმტკიცის გაზრდასა და შეღწევადო-ბის შემცირებას [2,3].

აღნიშნულიდან გამომდინარე მიზნად დავისახეთ ფუნქციონალური დანიშნულების შემკვლავი ნამცხვრის რეცეპტურისა და ტექნოლოგიის შემუშავება, ცომის მომზადება ველურად მზარდი კენკრის გამოყენებით.

ჩვენს მიერ გამოკვლეულ იქნა წყალტუბოს რაიონში გავრცელებული შავი კუნელი (*Crataegus pentagina*), რომლის ზოგიერთი ზოგიერთი ტექნიკური მახასიათებელი წარმოდგე-



ნილი ცხრილში 1

ცხრილი 1. შავი კუნელის ზოგიერთი ტექნიკური მახასიათებელი

ტექნიკური მახასიათებლები	სიმწიფის სტადია	
	მკვახე	მწიფე
ნაყოფის ფორმა	მომრგვალო	
ფერი	მუქი შინდისფერი	შავი
გემო	მომჟავო	მოტკბო-მომჟავო
სუნი	დამახასიათებელი	
ნაყოფის ზომა, სმ	d= 0.49-1,21	d= 0.72-1,44
მასა,გ	-	0,34-0,57
100 ცალის მასა,გ	-	49,2
სიმკვრივე, გ/სმ ³	-	0,983
100 ცალის მოცულობა,სმ ³	-	
ტენიანობა,%	44,2	70,1

ნაყოფი გამოირჩევა ფენოლური ნაერთების მნიშვნელოვანი შემცველობით (5843 მგ%,რო-მელთა 80% ფლავონოლებია), ხოლო ანტოციანების შემცველობა 1985,6 მგ%, რაც შეეხება ნახშირწყლები წარმოდგენილია მონოსაქარიდებით, უჯრედისით, სახამებლითა და პექტინოვანი ნივთიერებებით.

რამდენადაც არატრადიციული მცენარეული ნედლეული სეზონურია, მისი შენახვის მიზნით კუნელის ნაყოფებიდან მიღებულ იქნა ფხვნილი ნაყოფების ბლანშირებით-ქსოვილების დარბილებისა და შეღწევადობის უზრუნველყოფის მიზნით, შემდგომი გადრესვით, 55-60°C ტემპერატურაზე შრობით 8% ტენიანობამდე და დაქუცმაცებით-მცენარეული ქსოვილების მყარი სტრუქტურის რღვევისა და ამორფული ფრაქციის გაზრდის მიზნით.

მიღებული ფხვნილი ერთგვაროვანი ფხვიერი მასაა, შეფერილობით ღია ყავისფერი- დაწი ყავისფერამდე, მონოსაქარიდების გაზრდილი რაოდენობით, რაც აიხსნება შრობი- სას სახამებლის, ანტოციანებისა და ფლავონოლების ინტენსიური დაშლით. აღნიშნული დაბალმოლეკულური, წყალში ხსნადი ნაერთები ე.წ. პლასტიფიკატორები გავლენას ახდენენ ცომის სტრუქტურის ჩამოყალიბებასა და ნაწარმის გაჯირჯვების უნარზე. ფხვნილის გემო სუსტ-მჟავაა, შრობისას ორგანული მჟავების კონცენტრაციის შემცირე- ბის გამო.

ლაბორატორიულ პირობებში შემკოჭავი ნამცხვრის მისაღებად გამოყენებულ იქნა I ხარისხის ხორბლის ფქვილი, ტენიანობით 14,5% და 30% წებოგვარას შემცველობით. ცომის საკონტროლო ნიმუში მომზადებულ იქნა შემკოჭავი ნამცხვრის, რეცეპტურა „ლენინგრადული“-ს შესაბამისად, ნამზადის საკვლევი ნიმუში კი კუნელის ფხვნილის დამატებით, ფქვილის საერთო მასის 5%-ის რაოდენობით, ცომის რეცეპტურულ ნარევი (ემულსიაში), შაქრისა და ხილის პიურეს ნაცვლად. რეცეპტურული ნარევი ცომის მოზელის წინ ექვემდებარებოდა ინტენსიურ დამუშავებას შემდღვები ორგანოს 600-800 ბრ/წთ პირობებში. ცომის ტენიანობა 25-26%.

ჩატარებული ანალიზით აღინიშნა ძვრის ზღვრული დამაბულობის შემცირება(8,7 კპა--დან 7,2კპა-მდე)საკონტროლოსთან შედარებით ე.ი. ცომის სტრუქტურა შესუსტდა, რაზედაც არსებითი გავლენა დაბალმოლეკულურ, წყალშიხსნად ნაერთებთან ერთად იქონია მაღალ მოლეკულურმა პოლისაქარიდებმა, როგორცაა პექტინოვანი ნივთიერებები, ცელულოზა, ჰემიცელულოზა.



ამრიგად, კუნელის ფხვნილის გამოყენებით შესაძლებელია შემოკოჭავი ნამცხვრის ცომის მომზადების ინტენსიფიკაცია და მაღალი კვებითი ღირებულებისა და ათვისების მქონე ნაწარმის მიღება.

შემუშავებულ იქნა ფლავონოიდებით, ვიტამინებით, მიკრო და მაკროელემენტებით გაძდიდრებული შემოკოჭავი ნამცხვრის „მხნობა“ რეცეპტურა, რომელიც გამოირჩევა გულსისხმარღვთა სისტემის მარეგულირებელი და მანორმალიზებელი მოქმედებით და ანტიოქსიდანტური პოტენციალით.

ლიტერატურა

1. Кошев А.К. Дикорастущие съедобные растения в нашем питании -М. Пищевая промышленность. 1980
- 2.Рецептуры на печенье, галеты, вафли. Москва. Пищевая промышленность. 1969.с.345.
- 3.Сухих Т.Н. Фруктовые ингредиенты для кондитерских изделий //Кондитерское производство 2007. №3. С.16-17

Preparation of protracted dough with hawthorn powder

A. Kipiani

Akaki Tsereteli State University

The paper describes the use of blackthorn powder rich in phenolic substances in the production of dry baked products, such as ship breads. The paper describes the use of blackthorn powder rich in phenolic substances in the production of dry baked products

ჭინჭრის წვენი სტრუქტურა და ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების გამოკვლევა

ყიფიანი ა., კოპალეიშვილი თ., ჯაფარიძე ი.*

**აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო
*შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი, საქართველო**

სტატიაში განხილულია ფიტო დანამატის-ჭინჭრის წვენი მიღების ტექნოლოგია და გამოკვლეულია მასში შემავალი ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები. დადგენილ იქნა, რომ ჭინჭრის წვენი გამოირჩევა ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების მაღალი შემცველობით, აქვს მაღალი ანტიოქსიდანტური აქტივობა, რაც განაპირობებს მისი გამოყენების შესაძლებლობას კვების დანამატად.

კვება ადამიანის არსებობის ერთ-ერთი ძირითადი პირობა, ჯანმრთელობის განმსაზღვრელი ფაქტორი და ცხოველმოქმედების საფუძველია, რომელიც გავლენას ახდენს სიცოცხლის ხანგრძლივობასა და შრომის უნარზე.

როგორც ცნობილია ადამიანის ჯანმრთელობას დიდ წილად ცხოვრების წესი და დაჯანსაღი კვება განსაზღვრავს. ამიტომ მეტად მნიშვნელოვანია ადამიანის კვების სტრუქტურის ცვლილება, კვების პროდუქტების ხარისხის ამაღლება და მათთვის სამკურნალო-პროფილაქტიკური თვისებების მინიჭება, რამდენადაც კვების სტრუქტურაში შეინიშნება ფიზიოლოგიურად ფუნქციური ინგრედიენტების: შეუცვლელი ამინომჟავების, ცილების, საკვები ბოჭკოებისა და რიგი ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების დეფიციტი.



ბოლო დროს განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ე.წ. ფუნქციონალურ საკვებ პროდუქტებს, რომლებიც ფაქტიურად ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების ერთობლიობას წარმოადგენს.

კვლევებით ზუსტად არის დადგენილი კავშირი კვების სტრუქტურის დარღვევასა და მრავალი დაავადების (ონკოლოგიური, გულსისხლძარღვთა, შაქრიანი დიაბეტი, სიმსუქნე და სხვა) მნიშვნელოვან ზრდასთან. აღნიშნულ დაავადებათა უმეტესობის პროფილაქტიკის უმნიშვნელოვანეს ფაქტორს ჯანსაღი კვება წარმოადგენს. ბალანსირებული კვების პრობლემის გადაჭრის ერთერთ პრიორიტეტს წარმოადგენს საკვები პროდუქტების გამდიდრება მცენარეული წარმოშობის ნატურალური საკვები ინგრედიენტებით. რისთვისაც ფუნქციონალური დანიშნულების სამკურნალო მცენარეების მოძიება-შესწავლა ფიტო ფხვნილებისა და ექსტრაქტების დამზადების მიზნით და გამოყენება ფიტო დანამატად კვების მრეწველობაში, მნიშვნელოვნად გვესახება.

კვლევის მიზანს შეადგენდა შეგვესწავლა დასავლეთ საქართველოს მთიანეთში, კერძოდ მაღალმთიან აჭარის რეგიონში გავრცელებული, ველურად მზარდი ბალახოვანი მცენარის, ჭინჭრის (*Urtica dioica* L.), ბიოლოგიურად აქტიური ნაერთები.

მცენარეულ ნედლეულში ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების შემცველობაზე, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ვეგეტაციის პერიოდი. აღნიშნულის გათვალისწინებით ჩვენს მიერ ექსპერიმენტისათვის გამოყენებულ იქნა ყვავილობის პერიოდში აღებული ჭინჭრის ფოთოლი, რომელიც სხვა პერიოდებთან შედარებით, ბიოლოგიურად აქტიური, ჰიდროფილური ნაერთების უფრო მაღალი შემცველობით გამოირჩევა. ამიტომ ექსპერიმენტისათვის გამოყენებულ იქნა ვეგეტაციის აღნიშნულ პერიოდში დამზადებული ჰაერმშრალი ნედლეული.

ორსახლიანი ჭინჭრის სქელი ჰიდროფილური ექსტრაქტის მისაღებად გამოყენებულ იქნა კლასიკური მეთოდი-ნედლეულის ერთჯერადი დაყოვნება ბისმაცერაცია, რომელიც შეიძლება მიკუთვნებულ იქნას სტატიკურად მიმდინარე პერიოდულ პროცესებს, როდესაც ექსტრაგენტი თანდათან მიეწოდება გამოსაწვლილ ნედლეულს და პროცესი საფეხურებრივად მიმდინარეობს.

შეჩეულ იქნა ექსტრაგირების ჩატარების ოპტიმალური პირობები: ექსტრაგენტი-70%-იანი წყალ-სპირტიანი ხსნარი; ჭინჭრის ფოთლების დაქუცმაცების ხარისხი-3 მმ; ჰიდრომოდული (ნედლეულისა და ექსტრაგენტის თანაფარდობა)-1:10; ექსტრაგირების ჯერადობა-2; ექსტრაქციის დრო-120 წთ; ექსტრაქციისათვის გამოყენებულ იქნა ჩვენს მიერ შერჩეული ინოვაციური პერიოდული ქმედების ექსტრაქტორი, პულსატორით (ვიბრაციის სიხშირე 2-3 წ⁻¹ და ამპლიტუდით 1-2 მმ).

ექსტრაგენტის გამოთვლილი რაოდენობა დაყოფილ იქნა ორ ულუფად, ერთი ულუფა დავამატეთ ექსტრაქტორში წინასწარ ჩატვირთულ დაქუცმაცებულ ნედლეულს და დავტოვეთ ექსტრაქციისათვის 50-55°C. ექსტრაქციის პროცესში, ყოველ 15 წთ-ში, 1 წუთის განმავლობაში სწარმოებდა პულსაცია სიხშირით 2-3 წ⁻¹ და ამპლიტუდით 1-2 მმ. პირველადი გამონაწვლილის გადმოდვრის შემდეგ, ნედლეული გამოვწნებეთ და დავამატეთ ექსტრაგენტის მეორე ულუფა და კვლავ დავაყოვნეთ. ბოლოს ჭინჭრის ორთავე სპირტიანი გამონაწვლილი გავაერთიანეთ და მოვათავსეთ ცივ ადგილას (სამაცივრო კამერა 4-8°C-ზე) 12 საათის განმავლობაში. ბალასტური (ფისოვანი) ნივთიერებების დალექვის შემდეგ, გამონაწვლილი



გავფილტრეთ ქაღალდის უნაცრო ფილტრზე, რის შედეგადაც მიღებულ იქნა გამჭვირვალე, მუქი მწვანე ფერის გამონაწვლილი ეთილის სპირტისა და ჭინჭრის ფოთლების არომატული, დამახასიათებელი სუნით.

სქელი ექსტრაქტის (ტენიანობით არაუმეტეს 25%-ისა) მისაღებად გავფილტრული სპირტიანი გამონაწვლილი შესქელებულ იქნა ეთილის სპირტის გამოხდით 60°C-ზე, R 1020 ტიპის როტაციულ ვაკუუმ ამორთქლებელში.

მიღებული ექსტრაქტი წარმოადგენს სქელ, ბლანტ მასას მუქი-მწვანე ფერით, სასიამოვნო სპეციფიური სუნით, მწარე გემოთი. სქელი ექსტრაქტი კარგად იხსნება წყალში, სპირტში. ინახება მინის ჭურჭელში, საიდანაც ხდება ნიმუშის აღება და ხარისხის კონტროლი.

ექსტრაქტის ქიმიური შედგენილობა შესწავლილ იქნა მაღალი წნევის სითხური ქრომატოგრაფირების მეთოდით. კვლევის შედეგები წარმოდგენილია ცხრილებში 1 და 2.

ცხრილი 1. ორსახლიანი ჭინჭრის ექსტრაქტის ქლოროფილისა და კაროტინოიდების შემცველობა მგ/გ მშრალ მასაზე გადანგარიშებით

ნიმუშის დასახელება	ქლოროფილები		ჯამური ქლოროფილები	კაროტინოიდები
	a	b		
ჭინჭრის ექსტრაქტი	2,465	1,73	4,83	0,86

როგორც კვლევის შედეგებიდან ჩანს, ოსახლიანი ჭინჭრის ექსტრაქტი გამოირჩევა ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების მაღალი შემცველობით, აქვს მაღალი ანტიოქსიდანტური აქტივობა. აღნიშნულ ნივთიერებათა შემცველობის გამო რეკომენდირებულია გამოყენებულ იქნას ფქვილოვან საკონდიტრო ნაწარმის გასამდიდრებლად.

ცხრილი 2. ორსახლიანი ჭინჭრის ექსტრაქტის ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების შემცველობა და ანტიოქსიდანტური აქტივობა

ნიმუშის დასახელება	საერთო ფენოლები მგ/ 100 გ მშრალ მასაზე გადანგარიშებით	საერთო ფლავონოიდები მგ/ 100 გ მშრალ მასაზე გადანგარიშებით	ანტიოქსიდანტური აქტივობა	
			განზავების ფაქტორი	AA,%
ჭინჭრის ექსტრაქტი	30,84	11,04	25	56,45

ლიტერატურა

- 1.Капрельянц Л., Хомич Г.А.//Функциональные продукты; тенденции и перспективы 2012. №4(2). С.5-8.
- 2.Кузнецова Л.С.,Сиданова М.Ю. Технология приготовления мучных кондитерских изделий-М.: Академия: Высшая школа,2013.-400с.
- 3.Лавренев В.К., Лавренева Г.В. Современная энциклопедия лекарственных растений. Издательский дом «Нева».2006.-271с.
- 4.Перспективы использования лекарственных растений в качестве биологически активных добавок. //https://superbotanik.net/referati/referaty-po-medicine



TECHNOLOGY OF PRODUCING NETTLE JUICE AND STUDYING BIOLOGICALLY ACTIVE SUBSTANCES

A. Kipiani, T. Kopaleishvili, I. Japaridze*

Akaki Tsereteli State University

*Shota Rustaveli State University

Summary

The article discusses the technology of phyto-additive-nettle juice making and investigates the biologically active substances contained in it. It has been found that nettle juice has a high content of biologically active substances, has a high antioxidant activity, which makes it possible to use it as a nutritional supplement.

Влияние пахты на показатели качества продукта кефирного

Шингарева Т.И., Шуляк Т.Л, Куприец А.А., Подрябинкина А.А.,
Деркач Л.Н., Селех Л.И.

Могилевский государственный университет продовольствия, Беларусь

Исследовано влияние количественного содержания пахты в смеси, используемой для нормализации молока при получении продукта кефирного. Продукт кефирный выработывали с применением концентрированных заквасок чистых культур, состоящих из мезофильно-термофильной молочнокислой микрофлоры и дрожжевой культуры. Установлены пределы количественного содержания пахты в смеси, позволяющие получить качественную кислomолочную продукцию, стойкую при хранении.

Результаты исследований

Пахта является вторичным молочным сырьем, получаемым на предприятиях молочной промышленности и относится к нежирному молочному сырью. Образуется пахта при производстве масла из коровьего молока методами сбивания или преобразования высокожирных сливок на стадиях сбивания или сепарирования сливок, соответственно [1, 2]. В своем составе пахта содержит молочный сахар (до 5 %), белки (3,5 %), жиры (не более 0,5 %), органические кислоты (в основном молочная кислота), минеральные вещества (калий, магний, фосфор, кальций, натрий, железо), витамины (B, E, A, PP, D, биотин, холин) и фосфатиды. Пахта при минимальном содержании в своем составе холестерина (10 мг в 100 г), содержит широкий комплекс веществ антисклеротического липотропного действия. Это, прежде всего, фосфолипиды, которых в пахте в 1,4 раза больше, чем в цельном молоке и в 11 раз больше, чем в обезжиренном [3÷6].

Несомненно, что пахта является полноценным видом молочного сырья. Однако по своему составу, в сравнении с молоком, пахта имеет определенные различия, которые могут отражаться на параметрах производства и выходных характеристиках продукции.

Исследовали процесс ферментации и показателей качества кефирной продукции, выработанной из молочного сырья: молока обезжиренного и пахты (ОБМ/пахта), соответственно в соотношениях 100/0, 90/10, 75/25 и 50/50. В качестве заквасочной микрофлоры применяли закваску бактериальную концентрированную прямого способа внесения «FD-DVS Exact-KEFIR 2» (Дания), аналог кефирной. Закваска включала молочнокислую мезофильно-термофильную микрофлору: *Str.thermophilus*, *Lactococcus lactis* subsp. *cremoris*, *Lactococcus lactis* subsp. *lactis*, *Lactococcus lactis* subsp. *lactis* biovar *diacetylactis*, *Leuconostoc*, и дрожжевую культуру: *Debarymyces hansenii*.

При выработке образцов кефирного продукта исходное сырье подвергали пастеризации при $t_{92\div 93}^{\circ}\text{C}$ в течение 3÷5 мин. После пастеризации проводили охлаждение молочного сырья до температуры заквашивания $30\pm 1^{\circ}\text{C}$, после чего в молочное сырье вносили закваску прямого внесения, при этом закваску во все образцы вносили в одинаковом количестве. Сквашивание



смеси осуществляли температуре 30 ± 1 °C в течение 10 ± 1 ч. По завершении процесса сквашивания в свежеприготовленных образцах определяли условную вязкость при 30 ± 1 °C (неразрушенный сгусток), затем образцы перемешивали и охлаждали до 20 ± 1 °C, измерив при этой температуре вязкость разрушенного сгустка. Далее, охладив образцы до 6°С, определяли их вязкость (восстановленный сгусток), и оставляли на хранение в условиях холодильника течение 13 суток. В процессе хранения в образцах кефирного продукта определяли показатели физико-химические (кислотность, вязкость) и органолептические (внешний вид, вкус и запах, консистенция).

Изменение титруемой и активной кислотности образцов кефирного продукта в процессе хранения, полученного на молочной основе (ОБМ/Пахта), представлено соответственно в таблице 1 и 2, результаты дегустации образцов в таблице 3.

Таблица 1 - Изменение титруемой кислотности образцов кефирного продукта в процессе хранения

Номер образца (ОБМ / Пахта)	Продолжительность хранения, сутки				
	0	4	7	10	13
Образец 1 (контроль, 100/0)	$90,3 \pm 1,8$	$91,0 \pm 2,0$	$100,7 \pm 0,9$	$101,7 \pm 1,6$	$100,0 \pm 2,0$
Образец 2 (90/10)	$89,7 \pm 1,6$	$91,3 \pm 2,4$	$101,0 \pm 1,3$	$102,3 \pm 2,4$	$100,7 \pm 0,9$
Образец 3 (75/25)	$90,0 \pm 1,3$	$91,3 \pm 1,1$	$100,7 \pm 1,6$	$102,3 \pm 1,8$	$101,0 \pm 0,7$
Образец 4 (50/50)	$90,0 \pm 1,3$	$91,7 \pm 1,8$	$100,0 \pm 2,0$	$102,7 \pm 1,8$	$101,7 \pm 1,1$

Таблица 2 - Изменение активной кислотности образцов кефирного продукта в процессе хранения

Номер образца (ОБМ / Пахта)	Продолжительность хранения, сутки				
	0	4	7	10	13
Образец 1 (контроль, 100/0)	$4,66 \pm 0,03$	$4,48 \pm 0,01$	$4,42 \pm 0,06$	$4,42 \pm 0,03$	$4,42 \pm 0,03$
